

1  
964/2



178/2

# სახკრთა სამართალი

3

საქართველოს კვლევითი უნივერსიტეტის გამომცემლობა

1964

1

„საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოები ვალდებული არიან გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობა, გადაჭრით აღმოფხვრან სოციალისტური კანონიერების დარღვევის შემთხვევები. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დანაშაულის თავიდან აცილებას. აღკვეთონ საქმის გაჭიანურებისა და მშრომელთა საჩივრებისადმი გულგრილი დამოკიდებულების ფაქტები“.

საქართველოს კომუნისტური პარტიის  
X XII ყრილობის რეზოლუციიდან.



# საბჭოთა სამართალი

## № 1

იანვარი—თებერვალი

1964 წელი

გამოცემის XI წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო  
ი რ ს ი ვ ი უ რ ი ქ ე რ ნ ა ლ ი

### შინაარსი

ა. შენაბღე — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბრძოლა სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის . . . . .	3
დ. მახარაძე — მეტი ყურადღება სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდასა და საზოგადოებრიობის ჩაბმას დამნაშავეობასთან ბრძოლაში . . . . .	13
ლ. ისაკაძე — თანავეტრობა სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებზე . . . . .	19
შ. ფაფიაშვილი — დაქტილოსკოპიურ ექსპერტიზისათვის მასალების მომზადება . . . . .	27

### დისკუსია, კოლეგია, რეპლიკა

ლ. თალაკვაძე — შეიძლება თუ არა მაგნიტოფონის გამოყენება ჩვენების ფიქსირებისათვის . . . . .	35
ი. ნანუკაშვილი — შენიშვნები საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ახალი გამოცემის შესახებ . . . . .	40

### შეხვედრები

შ. კვესელავა — ათასი ფუთი ბრალდება . . . . .	44
ოფიციალური მასალა . . . . .	55
ნიკო ნიკოლაძის დაცვითი სიტყვა . . . . .	71
მ. ტენი — თეთრი სპილოს გატაცება . . . . .	80

### პრიტიკა და გიბლიოგრაფია

• სურგულაძე — საბჭოთა კავშირის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის სახელმძღვანელოს შესახებ . . . . .	91
შკითხველთა საყურადღებოდ . . . . .	96

5461





## СОДЕРЖАНИЕ

А. Менабде — Борьба коммунистической партии и советского народа за укрепление социалистической законности . . . . .	3
Д. Махарадзе — Больше внимания пропаганде правовых знаний и привлечению общественности в борьбе с преступностью . . . . .	13
Л. Исакадзе — Соавторство на произведения изобразительного искусства .	19
Ш. Папиашвили — Подготовка материалов для дактилоскопической экспертизы	27

### ДИСКУССИЯ, ПОЛЕМИКА, РЕПЛИКА

Л. Талаквადзе — Можно ли пользоваться магнитофоном для фиксации показаний . . . . .	35
И. Нанукашвили — Замечания к новому изданию УПК ГССР . . . . .	40

### ЗА РУБЕЖОМ

М. Квеселава — Тысяча пудов обвинения . . . . .	44
Официальный материал . . . . .	55
Защитительная речь Нико Николадзе . . . . .	71
М. Твен — Похищение белого слона . . . . .	80

### КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

И. Сургуладзе — Учебник по истории государства и права СССР . . . . .	91
К сведению читателей . . . . .	96

### სარედაქციო კომლენია:

შეკვ. № 820  
ტირაჟი 5.000  
შე 04184

ა. კაციტაძე (რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი,  
ვ. ბერძენიშვილი, ი. დოლიძე, გ. ინწკირველი,  
მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, თ. წერეთელი,  
ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—3-09-62

გადაეცა წარმოებას 20/11-64 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/IV-64 წ. ანაწყოების ზომა 7×12; გაბეჭდილია ზომა 70×108; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 8.

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14  
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14



## კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბრძოლა სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის

ა. მინაზღა,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

სოციალისტური სახელმწიფოს კანონები, აგრეთვე ყველა სხვა ნორმატიული აქტი, გამოცემული სახელმწიფო ორგანოების მიერ, გამოხატავენ ხალხის ნება-სურვილს. ისინი მიმართულია ხალხის ინტერესების დაცვისაკენ, ახალი ადამიანის აღზრდისაკენ, კომუნისტური საზოგადოების აშენებისაკენ. საერთო-სახალხო სახელმწიფოს კანონებში რომლებიც ემსახურებიან კომუნისტური მშენებლობის ამოცანას, ჰარმონიულად შეხამებულია, როგორც მთელი საბჭოთა ხალხის, ისე ცალკეულ მოქალაქეთა ინტერესები.

ამიტომ პარტია მოითხოვს ყველა სახელმწიფო ორგანოსაგან, თანამდებობის პირთაგან, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოქალაქეთაგან კანონების უცილობლად და ზუსტად დაცვას.

სოციალისტური კანონიერება წარმოადგენს ხალხის ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთ მეთოდს, საერთო-სახალხო სახელმწიფოს განმტკიცების უმნიშვნელოვანეს პირობას. სწორედ ამით აიხსნება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე და პირველი კანონების გამოცემიდანვე სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ქმედითი ბრძოლის წარმოების აუცილებლობა. პარტია და მთავრობა განუწყვეტლივ იბრძვიან სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და ზუსტად დაცვისათვის. სრულიად რუსეთის საბჭოების VI საგანგებო ყრილობაზე 1918 წლის 8 ნოემბერს ლენინის წინადადებით მიღებულ იქნა დადგენილება „კანონების ზუსტად დაცვაზე“, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ „რევოლუციური ბრძოლის ერთი წლის განმავლობაში რუსეთის მუშათა კლასმა შეიმუშავა საფუძვლები რსფსრ კანონებისა, რომელთა ზუსტად დაცვა აუცილებელია მუშებისა და გლეხების ხელისუფლების შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის რუსეთში“. ამასთან დაკავშირებით ყრილობამ მოუწოდა „რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, ყველა ორგანოს და საბჭოთა ხელისუფლების ყველა თანამდებობის პირს უსასტიკესად დაიცვან საბჭოთა რესპუბლიკის კანონები“.<sup>1</sup>

ვ. ი. ლენინმა ყველა სახალხო კომისარს დაუგზავნა ეს დადგენილება და მისწერა: „ამასთანავე გიგზავნით ბროშურას „შეასრულეთ საბჭოთა რესპუბლიკის კანონები“, თქვენ ყურადღებას მივაქცევ მასში გადაბეჭდილ კანონს, გამოცემულს საბჭოების სრულიად რუსეთის VI ყრილობის მიერ. შეგახსენებთ, რომ აუცილებელია ამ კანონის შესრულება“.<sup>2</sup> ეს ბროშურა ლენინის მითითებით მომზადდა და გამოიცა.

თვით ლენინი საბჭოთა დაწესებულებებში შემოღებული კანონების, წე-

<sup>1</sup> СУ РСФСР, 1918 г., № 90, стр. 908.

<sup>2</sup> Ленинский сборник VIII, стр. 19.

სების იდეალურად დაცვის მაგალითს წარმოადგენდა. ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ საჭიროა უსასტიკესად დავიცვათ რევოლუციური წესრიგი, საჭიროა წმინდად დავიცვათ საბჭოთა ხელისუფლების კანონები და მითითებანი და თვალყური ვადევნოთ მათ შესრულებას ყველას მიერ. სულ მცირე უკანონობა, სულ მცირე დარღვევა საბჭოთა წესრიგისა უკვე ის ხვრელია, რომელსაც დაუყოვნებლივ გამოიყენებენ მშრომლების მტრებიო, — ამბობდა ლენინი.

მოვიყვანოთ ყველასათვის ყურადსაღებ რამდენიმე ფაქტს ლენინის მოღვაწეობიდან.

საინტერესოა ბარათი, გაგზავნილი რუმინანცევის მუზეუმის ბიბლიოთეკაში (ახლა ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკა), თხოვნით — მიეცათ მისთვის საცნობარო ხასიათის რამდენიმე წიგნი. „თუ საცნობარო გამოცემები, წესების მიხედვით, შინ არ გაიცემა, ხომ არ შეიძლება მივიღო სალამოსათვის, ღამისათვის, როცა ბიბლიოთეკა დაკეტილია. დილით დავაბრუნებთ“.<sup>1</sup>

ლენინს, როგორც მთავრობის თავმჯდომარეს, უფლება ჰქონდა რიგგარეშე ესარგებლა სხვადასხვაგვარი მომსახურებით, მაგრამ ის კატეგორიულ უარს აცხადებდა ამაზე... მუშა გ. მ. ივანოვი იგონებს, როგორ შეხვდა ის ერთხელ ლენინს კრემლის საპარკიმახეროში: „როდესაც ილიჩი შემოვიდა საპარკიმახეროში, ყველანი წამოვდექით და ხმაურით მივესალმეთ. ლენინი მოგვესალმა, მერე ამოიღო ჯიბიდან ჟურნალი და კითხვა დაიწყო. ცოტა ხნის შემდეგ სავარძელი გათავისუფლდა. ლენინს შესთავაზეს რიგგარეშე დაეკავებინა ადგილი. — გმადლობთ, — თქვა ლენინმა, — ჩვენ უნდა დავიცვათ რიგი და წესი. კანონებს ხომ ჩვენ თვითონ ვცემთ. მან თავის რიგს მოუცადა“.<sup>2</sup> ამასვე გვიამბობს კრემლის სხვა მუშა — მეტელევი. ის იგონებს, რომ ლენინის თავმდაბლობას ადასტურებს „მისი ხელმოწერები კრემლის საპარკიმახეროს ტალონის წიგნაკებზე, სადაც ის ხელს აწერდა როგორც ყველანი და თავის რიგს უცდიდა. ამოდ სთავაზობდნენ რიგგარეშე დაეკავებინა ადგილი, ეუბნებოდნენ — თქვენ ყველაზე მეტად ხართ დაკავებული, უნდა იჩქაროთო და სხვ. „ყველა ერთნაირადაა დაკავებული“, — გვპასუხობდა ის და, როდესაც რიგი მოუწევდა, ისარგებლებდა საპარკიმახეროთი, გადაიხდიდა ფულს, შემდეგ კიდევ მოაწერდა ხელს (ასეთი წესი იყო შემოღებული) და სამუშაოდ წავიდოდა“.<sup>3</sup>

წესიერი რომ იყო და სხვებისაგანაც წესიერებას ითხოვდა, ლენინს მიაჩნდა, რომ წესრიგის არც ერთი დარღვევა დაუსჯელი არ უნდა დარჩესო. მხოლოდ ამ შემთხვევაში დამყარდება წესრიგი, მხოლოდ ამ პირობებში მიეჩვევიან ადამიანები წესიერებასო. 1921 წლის 23 აპრილს შრომისა და თავდაცვის საბჭოს, სხდომაზე საპატიო მიზეზის გარეშე დავგიანებისათვის ლენინმა წინადადება შეიტანა პასუხისმგებელი პირების ჯგუფისათვის გამოეცხადებინათ მკაცრი საყვედური და გაეფრთხილებინათ, რომ ასეთი რამის განმეორებისას მათ სამართალში მისცემდნენ.<sup>4</sup>

„თუ ჩვენ კეთილსინდისიერად ვასწავლით დისციპლინას მუშებსა და გლეხებს, — წერდა ლენინი, — ვალდებული ვართ ჩვენი დავიწყოთ“.<sup>5</sup>

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, ტ. 35, გვ. 481.

<sup>2</sup> Журн. „Новый мир“, № 1, 1947 г., стр. 179—180.

<sup>3</sup> Журн. „Пролетарская революция“, № 3, 1924 г.

<sup>4</sup> Ленинский сборник XX, стр. 342.

<sup>5</sup> Ленинский сборник XXIV, стр. 23.

სახკომსაბჭოს მდივანმა თხოვნით მიმართა ლენინს სახკომსაბჭოს საქმეებში ნაშრომი ერთი თანამშრომელი ქალის მიღების შესახებ, რომელსაც კოლექტივის ბიურო აძლევდა რეკომენდაციას. სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი ამის წინააღმდეგი იყო, ის იმოწმებდა დეკრეტს „საბჭოთა დაწესებულებებში ნათესავეების ერთად მუშაობის შეზღუდვის შესახებ“. ამასთან დაკავშირებით მდივანმა მისწერა ვ. ი. ლენინს, რომ კოლექტივის მიერ რეკომენდებული თანამშრომელი ქალი „ძალიან ძვირფასი მუშაკია და ჩვენთვის საინტერესოა სწორედ მისი მიღება, ვინაიდან ჩვენ ცოტა გვყავს კარგი მუშაკი. არ შეიძლება რომ დეკრეტს გვერდი ავუაროთ?“ ვ. ი. ლენინმა 1919 წლის 4 მარტს ამ წერილს წააწერა: „დეკრეტების გვერდის ავლა არ შეიძლება: მარტო ასეთი წინადადებისათვის პასუხისგებაში აძლევენ. მაგრამ შეიძლება ცაკის მეშვეობით გამონაკლისის დაშვება და მე ამას გირჩევთ“<sup>1</sup>.

განსაკუთრებულ შეურთველობას იჩენდა ლენინი კომუნისტების მხრივ სამსახურებრივ ბოროტმოქმედებათა ჩადენისადმი. ის მოითხოვდა ყოველგვარი შესაძლებლობის მოსპობას იმისა, რომ გამოყენებული ყოფილიყო მმართველი პარტიის მდგომარეობა კომუნისტების პასუხისმგებლობის შესასუსტებლად საბჭოთა ხელისუფლების კანონების დარღვევისათვის.

სკკპ ცკ ნოემბრის (1962 წ.) პლენუმზე ნ. ს. ხრუშჩოვმა გამოაქვეყნა ლენინის 1922 წლის 18 მარტს დაწერილი ბარათი პოლიტიბუროს წევრებისათვის, რომელშიც ის სასტიკად გმობდა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ცდას — ეშველათ პარტიის წევრებისათვის, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს. ეს ბარათი წინათ არ გამოქვეყნებულა. აი მისი შინაარსი:

„მოსკოვის კომიტეტი (და მათ შორის მისი მდივანი ამხ. ზელენსკი) უკვე არა ერთხელ ფაქტიურად იწყნარებს ბოროტმოქმედ-კომუნისტებს, რომლებიც ჩამოხრჩობის ღირსნი არიან. ეს „შეცდომით“ კეთდება. მაგრამ ამ „შეცდომის“ საშიშროება ძალიან დიდია. **წინადადებას ვიძლევი:**

1. ამხ. დივილკოვსკის წინადადება მიღებულ იქნას.

2. სასტიკი საყვედური გამოეცხადოს მოსკოვის კომიტეტს კომუნისტებისადმი შემწყნარებლობისათვის.

3. დაუმოწმეთ ყველა გუბკომს, რომ სასამართლოებისათვის „ზევაგლენის მოხდენის“ ოდნავი ცდებისათვის იმ მიზნით, რომ მათ „შეარბილონ“ კომუნისტების პასუხისმგებლობა, ცეკა **გარიცხავს** პარტიიდან.

4. ცირკულარულად ეცნობოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს (ასლი გუბკომპარტიებს), რომ სასამართლოები ვალდებული არიან უფრო მკაცრად დასაჯონ კომუნისტები; ვიდრე არაკომუნისტები. ამ მითითებების გამოუყენებლობისათვის სახალხო სასამართლოები და იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრები გაძევებულ იქნებიან **სამსახურიდან**.

5. სრულიად ცაკის პრეზიდიუმს დაევალოს ზურგი აუწვას მოსსაბჭოს პრეზიდიუმს პრესაში საყვედურის გამოცხადებით. ლენინი“<sup>2</sup>.

დაბოლოს ლენინი უმატებს: P. S. უაღრესად თავმოსაჭრელია და უმსგავსოებაა: ხელისუფლების სათავეში მდგომი პარტია იცავს „თავის არამზადებს“.<sup>2</sup>

<sup>1</sup> Ленинский сборник XXXV, стр. 60.

<sup>2</sup> Н. С. Хрущев, Развитие экономики СССР и партийное руководство народным хозяйством, М., 1962 г., стр. 100—101.

1919 წლის 18 თებერვალს ლენინი დეპეშით შეეკითხა მამადიშვიტს სამაზრო აღმასკომს: „ნუთუ სწორია, რომ სორმოველი კომუნისტი რუკავიშნიკოვი ერთი თვეა ციხეში და საქმე არ ირჩევა? თუ სწორია, დამნაშავე პასუხისგებაში უნდა მიეცეს საქმის გაჭიანურებისათვის. პასუხი მიდეპეშით“.

1921 წლის დეკემბერში XI პარტიულმა კონფერენციამ, მიუთითა რა „რევოლუციური კანონიერების მტკიცე საწყისების დამყარებაზე ცხოვრების ყველა დარგში“ განსაკუთრებით აღნიშნა, რომ „ხელისუფლების ორგანოების, მისი აგენტების და მოქალაქეთა სასტიკი პასუხისმგებლობას საბჭოთა ხელისუფლების მიერ შექმნილი კანონებისა და მის მიერ დადგენილი წესრიგის დარღვევისათვის თან უნდა სდევდეს პიროვნების და მოქალაქეთა ქონების გარანტიის გაძლიერება“.<sup>1</sup>

საკავშირო ცაკისა და სახკომსაბჭოს საანგარიშო მოხსენებაში საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობისათვის ლენინმა ხაზი გაუსვა რევოლუციური კანონიერების განსაკუთრებულ აუცილებლობას: „რაც უფრო მეტად შევდივართ ისეთ პირობებში, რაც მტკიცე და მაგარ ხელისუფლებას შეეფერება, მით უფრო აუცილებელია წამოვაცენოთ რევოლუციონური კანონიერების განხორციელების მტკიცე ლოზუნგი“.<sup>2</sup>

1922 წლის მაისში ლენინის წინადადებით დაარსდა პროკურატურა, რომელსაც დაეკისრა მეთვალყურეობა გაეწია კანონების დაცვისათვის, კანონიერების ერთგვაროვნად გატარებისათვის მთელ საბჭოთა ქვეყანაში და ბოროტ-მოქმედებასთან ბრძოლის ორგანიზაციის სწორად დაყენებისათვის.

ლენინმა შეიმუშავა სოციალისტური კანონიერების ძირითადი დებულებები და ამასთან დაკავშირებით დასაბუთა პროკურატურის შექმნის აუცილებლობა კანონიერების განუხრელად განმტკიცების მიზნით. მანვე დასახა პროკურატურის ამოცანები, უფლებები და ვალდებულებანი.

„პროკურორს, — წერდა ლენინი, უფლება აქვს და ვალდებულია ერთი რამ გააკეთოს: თვალყური ადევნოს მთელ რესპუბლიკაში კანონიერების ნამდვილად ერთნაირი გაგების დადგენას, მიუხედავად ყოველგვარი ადგილობრივი განსხვავებისა და წინააღმდეგ ყოველგვარი ადგილობრივი გავლენისა“.<sup>3</sup>

პროკურორი პასუხისმგებელია იმაზე, — ამბობდა ლენინი, — რომ არც ერთი ადგილობრივი ხელისუფლების არც ერთი გადაწყვეტილება არ ეწიხა-აღმდეგებოდეს კანონს და მხოლოდ ამ თვალსაზრისით აპროტესტებდეს ყოველგვარ უკანონო გადაწყვეტილებას.

ლენინმა უანდერძა პარტიას, მთავრობასა და ხალხს მუდამ ეზრუნათ სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის.

უნდა ითქვას, რომ ლენინის ეს ანდერძი ყოველთვის როდი სრულდებოდა ერთგვარი თანმიმდევრობით. ი. ბ. სტალინის პიროვნების კულტის პერიოდში ადგილი ჰქონდა რევოლუციური კანონიერების სერიოზულ დარღვევებს, რამაც საგრძნობი ზიანი მიაყენა ხალხს.

სტალინი ამტკიცებდა: სოციალიზმის პერიოდში „ძირითადი საზრუნავი“ სოციალისტური კანონიერების დარგში „სოციალისტური საკითხების დაცვაა და არა სხვა რაიმე“. სტალინის პირდაპირი მითითებით შეიქმნა სამეულები შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან; უგულვებელყოფილი იყო საბჭოთა

<sup>1</sup> სკვპ რევოლუციებსა და გადაწყვეტილებებში... გამ. 7, ნაწ. I, გვ. 763.

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, ტ. 33, გვ. 199.

<sup>3</sup> ვ. ი. ლენინი, ტ. 33, გვ. 429.



ადამიანების უფლებებისა და თავისუფლების დაცვა; ინერგებოდა თვითნებობა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენება. სტალინის პიროვნების კულტის საფუძველზე განვითარდა ჩვენში იურიდიული ნიჰილიზმი.

სამწუხაროდ, იმ პირობებში პროკურატურა უმწეო აღმოჩნდა უკანონობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამაში ცოტადენი ბრალი როდი მიუძღვის სსრ კავშირის პროკურორს ა. ი. ვიშინსკის, რომელიც არათუ პრაქტიკულად უჭერდა მხარს მასობრივ რეპრესიებს და უკანონობას, არამედ ცდილობდა თეორიულადც დაესაბუთებინა მათი აუცილებლობა.

სოციალისტური კანონიერების ძირითადი მოთხოვნა ასეთია: კაცი მხოლოდ მაშინ შეიძლება ვიცნოთ დამნაშავედ და დაესაჯოთ, როდესაც დანაშაულებრივი ფაქტი, ბრალდებულის დანაშაული აბსოლუტურად ზუსტადაა დასტურებული, არავითარ ეჭვს არ იწვევს მისი უტყუარობა. მაგრამ ვიშინსკი, რომელსაც სურდა გაემართლებინა კანონიერების უხეში დარღვევები, ამტკიცებდა -- პოლიტიკურ საქმეებში ბრალეულობის ძირითადი დამამტკიცებელი საბუთი ბრალდებულის აღიარება არისო.

1937 წელს, მასობრივი რეპრესიების პერიოდში, ა. ვიშინსკი ამბობდა: „სასამართლოს მიერ აბსოლუტური ჭეშმარიტების დადგენის მოთხოვნა სწორი არ არის, ვინაიდან სასამართლოს საქმიანობის პირობები მოსამართლისაგან მოითხოვენ საკითხის გადაჭრას არა აბსოლუტური ჭეშმარიტების დადგენის, არამედ ამა თუ იმ ფაქტორის მაქსიმალური შესაძლებლობის თვალსაზრისით, რომლებიც სასამართლოს შეფასებას საჭიროებს“. პრაქტიკულად ეს ნიშნავს, რომ შეიძლება მსჯავრი დაედოს პიროვნებას, რომლის დანაშაულიც არ არის დამტკიცებული, არამედ მხოლოდ ივარაუდება.

ვიშინსკიმ პროკურატურა სახელმწიფო უშიშროების ორგანოების უბრალო დანაშაულად აქცია. არსებობს ვიშინსკის წერილი მოკავშირე რესპუბლიკების პროკურორებისადმი მიწერილი, რომელშიც ავალებს მათ „ხელი არ შეუშალონ“ სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს, ე. ი. ყოველგვარი შემოწმების გარეშე მოაწერონ ხელი დაპატიმრების ორდერებზე, რომლებსაც უშიშროების ორგანოების გამოძიებლები გამოწერენ და დასტური მისცენ ყოველი ადამიანის მსჯავრდებაზე. სამწუხაროდ, პროკურორები სიტყვაშეუბრუნებლად ისრულებდნენ ამ ანტიპარტიულ, უკანონო განკარგულებას. სსრ კავშირის გენერალური პროკურორი რ. ა. რუდენკო ადასტურებს, რომ „ზედამხედველობა სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატების ორგანოებში წარმოებულ გამოძიებაზე ფაქტიურად აღკვეთილი იყო“.<sup>1</sup>

ვიშინსკის ხელმძღვანელობით შემუშავდა სამართლის ცნების განსაზღვრა, რომელიც აზვიადებდა იძულების როლს სოციალისტური საზოგადოების იურიდიული ნორმების დაცვაში და უგულებელყოფდა საორგანიზაციო-აღმზრდელი ღონისძიებათა როლს სოციალისტური კანონიერების დაცვაში.

ვიშინსკის აზრებს იმეორებდნენ თავის შრომებში პროფ. გოლუნსკი, მ. ა. ჩელცოვი, ვ. ს. ტადევოსიანი და სხვები. ამჟამად მიმდინარეობს პრინციპული, ღრმა მეცნიერული კრიტიკა შეცდომებისა, რომლებიც დამკვიდრებული იყო იურიდიულ მეცნიერებაში სტალინის პიროვნების კულტისა და ვიშინსკის

<sup>1</sup> „Правда“ от 28 мая 1962 г.

ზეგავლენით. ეს კრიტიკა სასარგებლოა იურიდიული მეცნიერების შემდგომ განვითარებისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის.

პარტიის მიერ მხილებული ეუოვისა და ბერიას ბანდა ცდილობდა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების კონტროლიდან გამოეთიშა სახელმწიფო უშიშროების ორგანოები, ისინი პარტიასა და მთავრობაზე ზევით დაეყენებინა, ამ ორგანოებში შეექმნა უკანონობისა და თვითნებობის პირობები.

პიროვნების კულტი და მისგან წარმოშობილი კანონებისადმი უპატივცემლობა, თვითნებობა, პიროვნების უფლებების შეზღუდვა, მისი ინტერესების შეზღუდვა სრულიად უცხოა სოციალისტური საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის მისი განვითარების ყველა სტადიაში. სოციალისტური დემოკრატია და სოციალისტური კანონიერება ერთმანეთისაგან განუყოფელია, ორგანულად გამომდინარეობს პროლეტარიატის დიქტატურიდან და საერთო-სახალხო სახელმწიფოდან. სერიოზული შეცდომაა ამ ფაქტის უარყოფა ზოგიერთი ჩვენი იურისტის მიერ.<sup>1</sup>

სკკ XX ყრილობამ ლენინურად აშკარად აღიარა პიროვნების კულტის პირობებში დაშვებული შეცდომები, უთხრა ამის შესახებ ხალხსა და დარაზმა მთელი ძალები პიროვნების კულტის შედეგების ლიკვიდაციისათვის. ეს იყო ლენინიზმის უდიდესი გამარჯვება.

სკკ ცენტრალური კომიტეტი ლენინურად ჩაუდგა სათავეში პიროვნების კულტის შედეგების ლიკვიდაციისათვის, პარტიული და სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის ლენინური ნორმების აღდგენისათვის ბრძოლას. უკვე განხორციელებულია რიგი ვადამწყვეტი ღონისძიება, რომლებიც მიმართულია პიროვნების კულტის შედეგების აღმოფხვრისაკენ, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და საბჭოთა მოქალაქეების კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვისაკენ. სახელმწიფო უშიშროების ორგანოები რეორგანიზებულია, ისინი პარტიის, ხალხისა და კომუნისმის ისეთი ერთგულნი არიან, როგორც იყვნენ ლენინისა და ძერჟინსკის დროს. აღდგენილია კეთილი, დიადი სახელი ჩეკისტისა, რომელიც მშრომელების დიდი პატივისცემით სარგებლობდა.

სავსებით აღდგენილია თავის უფლებებში და გაძლიერებულია საპროკურორო ზედამხედველობა.

იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იქნეს სასამართლოების მიერ კანონების ერთგვაროვანი გამოყენება, მათი საქმიანობის მთელი ხელმძღვანელობა ერთ ცენტრშია თავმოყრილი — სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოში. გაუქმებულია სპეციალური სასამართლოები, მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების სამხედრო ტრიბუნალები და სატრანსპორტო სასამართლოები. გაუქმებულია აგრეთვე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული განსაკუთრებული თათბირი, რომელიც სასამართლოს გარეშე იყენებდა დასჯით ღონისძიებებს.

გაუქმებულია საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტრო. ხოლო რესპუბლიკური სამინისტროები გარდაიქმნა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროებად. მილიციის ორგანოები დაუქვემდებარეს მშრომელთა დეპუტა-

<sup>1</sup> О. С. Иоффе, М. Д. Шаргородский, Вопросы теории права, М. 1961, стр. 290—291. სოციალური, რომ რეცენზიაში ამ წიგნზე უკრ. „Советское государство и право“ (1962, № 6, გვ. 144—146) ზრ.ფერი ზრ არის ნათქვამი სატრეცენზიო წიგნის ავტორების ამ შეცდომებზე.

ტების ადგილობრივ საბჭოებს. შრომაგასწორების კოლონიების შექმნით გაძლიერდა აღმზრდელი მუშაობა შრომაგასწორებით დაწესებულებებში.

სკკპ XX ყრილობამ მოიწონა 1953 წლის შემდეგ პარტიის მიერ სოციალისტური კანონიერების განსამტკიცებლად მიღებული ღონისძიებანი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების შესახებ ყრილობის რეზოლუციაში აღნიშნულია: „ყრილობა სავსებით უჭერს მხარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ საბჭოთა კანონიერების განმტკიცებისათვის მიღებულ ღონისძიებებს, საბჭოთა კონსტიტუციით გარანტირებულ მოქალაქეთა უფლებების მტკიცედ დაცვას და ავალებს ყველა პარტიულ და საბჭოთა ორგანოს ფიზიკურად იდგნენ კანონიერების სადარაჯოზე, მტკიცედ და მკაცრად აღკვეთონ უკანონობის, თვითნებობის, სოციალისტური მართლწესრიგის დარღვევის ყოველგვარი გამოვლინება“.

პარტიის XX ყრილობის შემდეგ, ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე კიდევ უფრო ამაღლდა ბრძოლა პიროვნების კულტის შედეგების ლიკვიდაციისათვის, რევოლუციური კანონიერების შემდგომი განვითარებისათვის. ის კანონები, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო 1958 წლის დეკემბერში სისხლის სამართლის, სასამართლო წყობილებისა და სასამართლო წარმოების დარგში, ხოლო 1961 წლის დეკემბერში სამოქალაქო კანონმდებლობისა და სასამართლო წარმოების დარგში, განმსჭვალულია საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა თავისუფლებისა და უფლებების გარანტიების შემდგომი გაფართოების იდეით. ისინი აწესებენ ძირითად დებულებებს, რომლებიც სავალდებულოა ყველა მოკავშირე რესპუბლიკისათვის და უზრუნველყოფენ სსრ კავშირის კანონმდებლობის ერთიანობას. მათ საფუძველზე გამოიციემა მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსები.

კანონმდებლობის ერთიანობა და საბჭოთა კავშირის კანონების ერთგვაროვნად გაგება და გამოყენება სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე წარმოადგენს ლენინიზმის ზეიმს და კანონიერების განმტკიცების უმნიშვნელოვანეს პირობას.

პარტიის ახალ პროგრამაში ნათქვამია: „პარტია აყენებს ამოცანას უზრუნველყოფილ იქნას სოციალისტური კანონიერების ზუსტად დაცვა, აღმოიფხვრას მართლწესრიგის ყოველგვარი დარღვევა, მოხდეს დამნაშავეობის ლიკვიდაცია, აღიკვეთოს მისი წარმომშობი ყველა მიზეზი“.<sup>1</sup>

სოციალისტურ საზოგადოებაში თანდათანობით ისპობა დანაშაულის წარმომშობი მიზეზები. ამის ძირითადი მიზეზები — კერძო საკუთრება წარმოების იარაღებსა და საშუალებებზე, ადამიანის ექსპლოატაცია ადამიანის მიერ, უმუშევრობა, მშრომელების სიღატაკე და უუფლებობა — ჩვენში დიდი ხანია ლიკვიდირებულია. საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი ზრდა, მათი კულტურული ღონისა და შეგნების ზრდა, სრული სოციალისტური დემოკრატიის განვითარება, ყველა მშრომელის აქტიური მონაწილეობა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში — ყოველივე ეს ქმნის პირობებს ჩვენს საერთო-სახალხო სახელმწიფოში ბოროტმოქმედების საბოლოოდ ლიკვიდაციისათვის.

1953 წლის შემდეგ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის

<sup>1</sup> საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბილისი, 1961 წ., გვ. 117.

ახალი კურსის რაობა იმაში მდგომარეობს, რომ სავსებით აღდგეს სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის ლენინური პრინციპები, ყოველ მხრივ განვითარდეს საბჭოთა მოქალაქეების უფლებანი.

პარტიის ახალი კურსი სავსებით აისახა სკკპ პროგრამაში. კანონმდებლობითი წესით ის აისახება სსრ კავშირის კონსტიტუციაში, რომლის პროექტი ახლა მუშავდება. ახალმა კონსტიტუციამ უნდა ასახოს ახალი ეტაპი სოციალისტური საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარებაში, უფრო მაღალ დონეზე უნდა აიყვანოს სოციალისტური დემოკრატია, უფრო მტკიცე გარანტიები უნდა შეუქმნას მშრომელების დემოკრატიულ უფლებებს და თავისუფლებას, სოციალისტური კანონიერების მტკიცედ დაცვას, მოამზადოს პირობები საზოგადოებრივ კომუნისტურ თვითმმართველობაზე გადასასვლელად.<sup>1</sup>

განამტკიცებს რა სოციალისტურ კანონიერებას, საბჭოთა ხელისუფლება სულ უფრო და უფრო მეტად იყენებს დარწმუნებას, ყოველმხრივ ზრდის მშრომელებში საზოგადოებრივი ვალდებულების მაღალ შეგნებას, საზოგადოებრივი ინტერესების დარღვევებისათვის შეუთრავებლობას.

სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების გამო ბუნებრივად ხდება სახელმწიფოებრივი იძულების სფეროს შეზღუდვა. შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენში თითქმის არ ხდება პოლიტიკური დანაშაულობანი. მაგრამ ჩვენში ბევრი ადამიანი ჩადის საზოგადოებრივ-საშიშ დანაშაულს. მათ წინააღმდეგ ბრძოლა წარმოებს არა მხოლოდ საზოგადოებრივი ზემოქმედების საშუალებებით, არამედ სახელმწიფოებრივი იძულების გზითაც.

სკკპ პროგრამაში აღნიშნულია: „კომუნისმის მშენებელ საზოგადოებაში არ უნდა იყოს სამართლის დარღვევა და დამნაშავეობა. მაგრამ სანამ არის დამნაშავეობის გამოვლინებანი, უნდა მივიღოთ სასტიკი ზომები იმ პირთა დასასჯელად, რომლებმაც ჩაიდინეს საზოგადოებისათვის საშიში დანაშაულობანი. დაარღვიეს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები, არა სურთ ეზიარონ პატიოსან შრომით ცხოვრებას. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს დანაშაულთა თავიდან აცილებას“.<sup>2</sup>

პარტიამ აიღო მტკიცე კურსი ჩვენს ქვეყანაში დანაშაულობის ლიკვიდაციაზე. იმ პირთა ხელახლა აღზრდაზე, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული, დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლაში ფართო საზოგადოებრიობის ჩაბმაზე.

კომუნისმი არის ადამიანობის სრული ზეიმი, ჰუმანიზმის უმაღლესი საფეხური. ის მოწოდებულია იმისათვის, რომ გააადამიანოს ადამიანი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ჩვენ ამ მიმართულებით მივდივართ, ჩვენ ამას ვქმნით.

ამ ბოლო ხანებში სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს მიერ მიღებული კანონები იმ პირთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ ვინც ხელყოფს მილიციის მუშაკებისა და სახალხო რაზმეულის წევრების სიცოცხლეს, ზიანს მიაყენებს მათ ჯანმრთელობას, ან შებღალავს მათ სახელს, აგრეთვე ვინც ბრალად ედება გაუპატიურება, მექრთამეობა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გატაცება — ავალბენ მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს მუშაკებს და მთელ საბჭოთა

<sup>1</sup> Н. С. Хрушев, О выработке проекта новой Конституции СССР, выступление на сессии Верховного Совета С СР 25 апреля 1962 г.

<sup>2</sup> საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბილისი, 1961 წ., გვ. 118.

საზოგადოებრიობას უღმობელი ბრძოლა აწარმოონ ამ საშიშ დამნაშავეთა მიმართ.

სოციალისტური კანონიერების განმტკიცების ინტერესები მოითხოვს საპროკურორო ზედამხედველობის რადიკალურად გაუმჯობესებასა და გაძლიერებას. 1955 წლის „საპროკურორო ზედამხედველობის დებულება სსრ კავშირში“ სწორად აღნიშნავს, რომ პროკურატურის ორგანოები თავის ფუნქციებს ახორციელებენ ადგილობრივი ორგანოებისაგან დამოუკიდებლად და მხოლოდ სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს ექვემდებარებიან. ამ დებულების მიხედვით პროკურორები ადგილებზე არიან ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები, რომელსაც ისინი ექვემდებარებიან და რომლის სახელითაც უწევენ ზედამხედველობას კანონების ზუსტად შესრულებას. აქ ჩვენ გვაქვს ლენინური დებულებების თითქმის სიტყვასიტყვითი განმეორება.

სოციალისტური კანონიერების პრინციპი მოიცავს არა მხოლოდ კანონების დაცვის პრობლემას, არამედ სახელმწიფოს საკანონმდებლო მოღვაწეობასაც, თვით კანონებს, მათ შინაარსს. კანონიერება გულისხმობს ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობის ზუსტ სამართლებრივ რეგულირებას, გულდასმით დამუშავებულ კანონმდებლობას. 1953 წლის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში ძალიან დიდი მუშაობაა ჩატარებული კანონმდებლობის გასაუმჯობესებლად. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით მიღებულ იქნა განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი კანონები, მათ შორის კანონი სახელმწიფო აპარატის სრულყოფის მიზნით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიაზე განსახილველად და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწით სარგებლობის კანონმდებლობის საფუძველთა პროექტი, რომლის დანიშნულებაა განსაზღვროს სოციალისტური მშენებლობის გამოცდილება საადგილმამულო ურთიერთობათა დარგში და ხელი შეუწყოს ქვეყნის მიწის სიმდიდრეთა უფრო რაციონალურ გამოყენებას. შემუშავებულია პროექტი ქორწინებისა და ოჯახის კანონმდებლობის საფუძველებისა, რომლის მიზანია აქტიურად შეუწყოს ხელი საბჭოთა ოჯახის შემდგომ განმტკიცებას. მომზადებულია აგრეთვე შრომის კანონმდებლობის საფუძველების, შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძველების პროექტი და კანონი სახელმწიფო სამრეწველო საწარმოს შესახებ.

პიროვნების კულტის ყოველგვარი რეციდივის აღმოფხვრის გარანტიას წარმოადგენს, პირველ რიგში, არა მისი სიტყვიერი დავაობა, არამედ ის კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც განახორციელა და ახორციელებს პარტია. ამ ღონისძიებათა შორის დიდი (თუ უმთავრესი არა) მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ კონტროლს სახელმწიფოებრივი ორგანოებისა და დაწესებულებების (მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, დამსჯელი ორგანოების) საქმიანობაზე, აგრეთვე ფართო საჯაროობა, რომელიც ხორციელდება ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ყველა ორგანოს მიმართ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის (1962 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფოებრივი კონტროლის შექმნის შესახებ, რომლის მიზანია პარტიული, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი კონტროლის შემდგომი გაუმჯობესება და სრულყოფა, კიდევ უფრო გააუმჯობესა ბრძოლა სო-

ციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და ზუსტად დაცვისათვის კიდევ უფრო გააძლიერა მისი როლი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის წარმატებით მშენებლობის საქმეში.

უნდა ითქვას, რომ იურიდიული მეცნიერების ერთგვარი ჩამორჩენილობა ხელს უშლიდა სამართლის პრობლემების დროულ და მეცნიერულ დამუშავებას, ხელს უშლიდა სოციალისტური კანონიერების განხორციელებას, რის გამოც სამართლიანად აკრიტიკებდნენ იურისტებს სკკპ XXII ყრილობაზე. ეს კრიტიკა მიღებულ იქნა სამოქმედო სახელმძღვანელოდ და XXII ყრილობის შემდეგ საბჭოთა იურისტებმა — თეორეტიკოსებმა და პრაქტიკოსებმა — ფართოდ გაშალეს მუშაობა ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე. სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემების დამუშავების დარგში არსებული სერიოზული შეცდომებისა და ნაკლის გამოსააშკარავებლად და დასაძლევად. საბჭოთა იურისტების ღირსების საქმეა კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანონ ეს მუშაობა. აიყვანონ იგი იმ დონეზე, რომელიც შეესაბამება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის წარმატებით მშენებლობის ამოცანებს



# მეტი ურადღება საქართველოში სოციალისტური პროპაგანდასა და საზოგადოებრივნი ჩაბნას დაენაშაქოპოგანსთან ბრძოლაში

დ. მახარაძე,

საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის აღმინისტრაციული და სავაჭრო-საფინანსო ორგანოთა განყოფილების გამგე

იურიდიული ცოდნის პროპაგანდას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კომუნისტური კაშლილი მშენებლობის პერიოდში.

საბჭოთა სოციალისტური კანონები ხალხს ემსახურება, მის ინტერესებს იცავს. პარტია მოითხოვს გავაძლიეროთ საბჭოთა კანონმდებლობის პოპულარიზაცია, ავადმყოფოთ საზოგადოებრიობის როლი სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში. საბჭოთა კანონების შინაარსის განმარტების აუცილებლობა — ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ანდერძთაგანია. ვ. ი. ლენინი მოითხოვდა, რომ ყოველ საბჭოთა მოქალაქეს, და პირველ რიგში კომუნისტებს, კარგად სცოდნოდათ საბჭოთა კანონები, ეზრუნათ მისი განუხრელად დაცვისათვის.

საბჭოთა კანონების პროპაგანდის მნიშვნელობას, როგორც სოციალისტური კანონიერების განმტკიცების ერთ-ერთ საშუალებას, განსაკუთრებული სიძლიერით გაუსვა ხაზი სკკპ ცენტრალური კომიტეტის იგნისის (1963 წ.) პლენუმმა, რომელმაც განიხილა პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მორიგი ამოცანები. სოციალისტური სახელმწიფოს სამართლებრივი აქტების პროპაგანდა მიზნად ისახავს ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადოს კანონების შინაარსი. თვითული მოქალაქის მიერ თავისი უფლებისა და მოვალეობის ნათლად წარმოდგენა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მართლწესრიგის, კანონიერების განმტკიცების აუცილებელი წინაპირობაა. კანონის პროპაგანდის მეშვეობით იზრდება კანონებისადმი პატივისცემა, მართლწესრიგის დაცვა და კანონიერებისათვის ბრძოლა ყველა მოქალაქის შინაგან მოთხოვნილებად იქცევა.

ჩვენი სამართლიანი და ჰუმანური კანონების განმარტებით საბჭოთა იურისტს თავისი წვლილი შეაქვს ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმის განვითარების საქმეში. კანონმდებლობის პროპაგანდა ჩვენი ქვეყნის ხალხების თანასწორუფლებიანობაზე ხელს უწყობს სოციალისტური ინტერნაციონალიზმის განვითარება-დანერგვას. ჩვენი კანონების (კონსტიტუციის, სამოქალაქო, საოჯახო და სხვა კოდექსების) ინტერნაციონალიზმი განსაკუთრებით ნათლად ჩანს კაპიტალისტური სახელმწიფოების შესაბამის კანონდებულებებთან მათი დაპირისპირების დროს.

საბჭოთა კანონმდებლობა გამოხატავს რა ჩვენი სახელმწიფოს ზრუნვას მშრომელებისადმი, რომლებიც კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ მოქალაქეობრივ მოვალეობას, ამასთან ითვალისწინებს იმ პირთა პასუხისმგებლობას სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე, რომლებიც თავს არიდებენ შრომას --- მუქთახორების, ლოთების, უსაქმურების მიმართ. მოსახლეობისათვის



შრომის კანონმდებლობის ნორმათა განმარტება, ყოველმხრივ უწყობს ხელს მშრომელთა საწარმოო აქტივობის გაზრდას.

მშრომელთა არა ერთხელ გამოთქმულ სურვილისა და წინადადებათა საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1961 წლის 14 ივნისს მიიღო ბრძანებულება „იმ პირების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ეწვევიან ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას“.

ქ. თბილისის საზოგადოებრიობამ სავსებით მოიწონა აღნიშნული ბრძანებულება, რაიონულმა საბჭოებმა და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა გარკვეული ღონისძიებანი განახორციელეს პარაზიტულ ელემენტების გამოვლინებისა და მათი ქალაქიდან გასახლებისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი მუშაობა ჩატარებული ღენინის, ორჯონიკიძის, 26 კომისრის რაიონებში.

მაგრამ ჩვენ, ჯერ კიდევ, არასაკმარისად ვიყენებთ აღნიშნულ კანონს და მთელა სიმკაცრით არ ვებრძვიტ ყველა ჯურის პარაზიტებსა და მუქთახორებს. მილიციისა და პროკურატურის ორგანოები, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ადგილებზე საკმარისად ვერ იჩენენ სათანადო ოპერატიულობას ამ კანონის გამოყენებისათვის; ჯერ კიდევ სუსტადაა ჩაბმული საზოგადოებრიობა პარაზიტული ელემენტების გამოვლინებისა და გასახლების საქმეში.

საბჭოთა კანონების პრობაგანდა ამაღლებს მოსახლეობის პირად პასუხისმგებლობას სახალხო საკუთრების დაცვის საქმეში; ხელს უწყობს მასების დარაზმვას გამტაცებლების, გამფლანგველების და სხვათა წინააღმდეგ საბრძოლველად.

კანონიერების განმტკიცებისათვის, დანაშაულობასთან ბრძოლის გაძლიერებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური მართლშეგნების ჩამოყალიბებას მშრომელებში, სამართლებრივ აღზრდის დაკავშირებას ზნეობრივ აღზრდასთან.

საბჭოთა საზოგადოების მონაწილეობა მართლწესრიგის დარღვევასთან ბრძოლაში, დამნაშავეობის თავიდან აცილებაში მრავალგვარი ფორმით ვლინდება.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულებისა და აზხანაგური სასამართლოების მოღვაწეობა. ქ. თბილისში სახალხო რაზმელთა რიცხვი 316-ს შეადგენს და მათში გაერთიანებულია 17 ათასზე მეტი რაზმელი. მუშები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, კომკავშირლები, რომლებიც გაერთიანებული არიან რაზმეულებში ებრძვიან ლოთებს, უსაქმურებს, მუქთახორებს, ხულგნებს, ქურდებს, სახელმწიფო ქონების გამტაცებლებს. ქ. თბილისის სახალხო რაზმეულებმა (განსაკუთრებით ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა, ვ. ი. ღენინის სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ტყავის № 1 და ფეხსაცმელების № 2 ფაბრიკები, მაუდ-კამვოლის კომბინატი, ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტი-



ტუტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სხვა) გამოავლინეს და თავიდან აიცილეს ათობით დანაშაული, აღკვეთეს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის მრავალი შემთხვევა. საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლაში თავი ისახელა ბევრმა სახალხო რაზმელმა. მათ შორის აღსანიშნავი არიან: პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასისტენტი — ჩიგოგიძე, ფეხსაცმელების № 2 ფაბრიკის მუშა — ძოძუაშვილი, მუსიკალურ-კლავიშებიანი ინსტრუმენტების ფაბრიკის ოსტატი — ბერძე, საბიბლიოთეკო კოლექტორის პარტორგანიზაციის მდივანი — კეკელია და მრავალი სხვა. მოწინავე რაზმელთა მუშაობის გამოცდილების გაზიარებასა და არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ამოცანას მიეძღვნა გასულ წელს პარტიის თბილისის კომიტეტის მიერ ჩატარებული სახალხო რაზმელთა საქალაქო შეკრება.

სერიოზულ ადმინისტრაციულ-აღმზრდელობით მუშაობას ეწევიან ქალაქში აგრეთვე ამხანაგური სასამართლოები. საბჭოთა კანონმდებლობის აქტიურ პროპაგანდას ეწევიან: ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის“ (თავმჯდომარე ოგანოვი), მთავარი ფოსტამტის (თავმჯდომარე ჯანაშვილი), აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკისა და მრავალი სხვა ამხანაგური სასამართლოები.

სკკპ X XII ყრილობის გადაწყვეტილებებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლის გაძლიერების აუცილებლობას სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებასა და დამნაშავეობის სრულ აღმოფხვრაში. დიდია ამ საქმეში პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების როლი, რომელთაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა შრომის კანონმდებლობის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

დამნაშავეობასთან საბრძოლველად ფართო საზოგადოებრიობის მიზიდვისათვის გამოყენებულია ბევრი სხვადასხვა ფორმა, რომელთა შორის დავასახელებთ:

ა) საზოგადოებრიობის მონაწილეობა მილიციისა და პროკურატურის ორგანოების საქმიანობაში. ამ ფორმას მიეკუთვნება: კოლექტივების მონაწილეობა თავდებქვეშ აყვანილ პირთა გამოსწორებასა და ხელახლა აღზრდაში; საზოგადოებრიობის დახმარება დანაშაულის გახსნასა და გამოძიებაში; მილიციისა და პროკურატურის ორგანოებისათვის თავისდროულად შეტყობინება ჩადენილი დანაშაულის შესახებ; მოქალაქეთა მიერ ადმინისტრაციული ორგანოების ინფორმირება საწარმოსა და ყოფაცხოვრებაში ცალკეულ პირთა უღირსი ქცევის შესახებ; მონაწილეობა დამნაშავეთა დაკავებაში, დახმარება დანაშაულის ჩამდენ პირთა შესახებ ცნობების შეკრებაში და სხვა.

ბ) საზოგადოებრიობის მონაწილეობა სასამართლო ორგანოების საქმიანობაში; საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეების განხილვისას საზოგადოებრივ ბრალმდებელთა და საზოგადოებრივ დამცველთა საქმიანობა; წარმოება-დაწესებულებებში ჩატარებულ გამსვლელ სასამართლო პროცესებზე მუშა-მოსამსახურეთა მონაწილეობა.

გ) საზოგადოებრიობის მონაწილეობა დანაშაულის გამომწვევი და ხელშემ-

წყობი მიზეზების გამოვლინებაში. ამ მხრივ შეიძლება აღინიშნოს სხვადასხვა საზოგადოებრივი საკონტროლო კომისიების საქმიანობა, რომელთაც შეუძლიათ მოგვეცნენ ძვირფასი მასალა გარკვეულ ობიექტზე დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზების შესახებ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ ამჟამად საზოგადოებრივი კონტროლიორების როლს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტისა და მისი ადგილობრივი ორგანოების საქმიანობასთან დაკავშირებით.

დ) საზოგადოებრიობის მონაწილეობა არასრულწლოვან დამნაშავეთა გამოსწორებასა და აღზრდაში. დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველ შრომით კოლონიასთან შექმნილ მზრუნველთა საბჭოს (რომელიც შესდგება პარტიული და საბჭოთა ორგანოების, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წარმომადგენლებისაგან) საქმიანობას, მუშათა კოლექტივების საშეფო მუშაობას, ჩვენი ქვეყნის წარჩინებულ ადამიანებთან არასრულწლოვან დამნაშავეთა შეხვედრას. მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე საბჭოთა ორგანოების მონაწილეობა კოლონიებიდან განთავისუფლებული ახალგაზრდების შრომით მოწყობისათვის, ისეთი პირობების შექმნას, რაც გამოორიცხავს მათ მხრივ ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას.

\* \* \*

საჭიროა განსაკუთრებით შევჩერდეთ მშრომელთა შორის საბჭოთა სამართლის ცოდნათა პროპაგანდის ისეთ ფორმაზე, როგორცაა სალექციო მუშაობა. მოქალაქეების, განსაკუთრებით ხელმძღვანელი მუშაკების მიერ საბჭოთა სამართლის ცალკეული დარგების, მოქმედი კანონმდებლობის უცოდინარობა ხშირად სამართალდარღვევის მიზეზს წარმოადგენს. ამიტომ ასეთი პროპაგანდის დანიშნულებაა დახმარება გაუწიოს მოქალაქეებს თავიანთი უფლებების გარკვევაში, რათა მათ სწრაფად მოახდინონ რეაგირება კანონის დარღვევის ყოველ შემთხვევაზე, ვის მიერაც არ უნდა იყოს იგი ჩადენილი.

ლექცია-მოხსენებები ისეთნაირად უნდა იყოს აგებული, რომ მან დაინტერესება გამოიწვიოს მსმენელებში, ადვილად გასაგები იყოს და შეიცავდეს კონკრეტულ ფაქტებს იმ საწარმოს, დაწესებულების, სასწავლებლის ცხოვრებიდან სადაც ლექცია იკითხება.

ქალაქ თბილისის ადმინისტრაციული ორგანოების—მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს ბევრი მუშაკი კეთილსინდისიერად და რეგულარულად ეწევა საბჭოთა კანონების პროპაგანდას, გამოდის მოსახლეობაში წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ლექციებითა და მოხსენებებით. ასეთები არიან: ქ. თბილისის პროკურორი ა. ტაკიძე, მილიციის სამმართველოს უფროსი ა. ოსეფაიშვილი, საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის სამმართველოს განყოფილების უფროსის მოადგილე ქ. გეორგაძე, მილიციის კიროვის რაიგანყოფილების უფროსი გ. ჯამყრელი-

ძე, ქ. თბილისის პროკურორის თანაშემწე დ. ფოჩიანი, ორჯონიკიძის რაიონო-კურორის თანაშემწე გ. ჭინჭარაძე, ქ. თბილისის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების პროკურორი ი. დავარაშვილი, სახალხო მოსამართლეები ვ. არავიაშვილი, ო. ჯაფარიძე და სხვ.

ზემოჩამოთვლილი და ბევრი სხვა ამხანაგები არა მარტო ეწევიან საბჭოთა კანონების პროპაგანდას, არამედ მათდამი მინდობილ უბანზე კეთილსინდისიერად იბრძვიან ამ კანონების პრაქტიკულად განხორციელებისათვის. მუშაობაში მთავარია არა მარტო კანონების პროპაგანდა, არამედ პირადი მაგალითის მიცემა მათ განხორციელებისათვის.

სამწუხაროდ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს ზოგიერთი მუშაკი არ იჩენს საკმაო დაინტერესებას, რომ გამოვიდეს მოსახლეობაში, წარმოება-დაწესებულებაში. ლექცია-მოხსენებებით არ ეწევა საბჭოთა კანონების პროპაგანდას.

საბჭოთა ადამიანის ფორმირება წარმოებს პარტიისა და სახელმწიფოს აღმზრდელობითი მუშაობის მთელი სისტემის ზეგავლენით. აღმზრდელობითი მუშაობის წარმატება კი შეიძლება მოპოვებულ იქნას, მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი მოიცავს ჩვენი საზოგადოების უკლებლივ ყველა ფენას, როდესაც თვითვე ადამიანის ქცევაში, ყოველი კოლექტივის, ყველა ორგანიზაციისა და დაწესებულების საქმიანობაში კომუნისტური იდეები ორგანულად შეერწყმება კომუნისტურ საქმეებს.

უკანასკნელ ხანს ქალაქ თბილისში დიდი მუშაობა ტარდება სოციალისტური კანონიერების და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის. გაუმჯობესდა საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდა მოსახლეობაში. ტარდება საუბრები, კითხვა-პასუხის საღამოები იურიდიულ თემებზე, თეორიული კონფერენციები. იდეოლოგიური მუშაობის ამ დარგში თვალსაჩინო წვლილი შეაქვს აგრეთვე საზოგადოება „ცოდნას“ თბილისის საქალაქო განყოფილებას, მის რაიონულ განყოფილებებსა და საზოგადოების წევრებს.

სწორედ „საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის ორგანიზაციის ამოცანებს საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდის შემდგომი გაძლიერების საქმეში“ მიეძღვნა თბილისის საქალაქო განყოფილების გამგეობის IV პლენუმი, რომელიც გასულ წელს გაიმართა. მოხსენებითა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ საზოგადოება „ცოდნის“ პლენუმი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საბჭოთა კანონმდებლობის განმტკიცებას, ფართო მასების დარაზმვის საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის.

პლენუმმა განხილულ საკითხზე მიიღო შესაბამისი დადგენილება.

პარტიის თბილისის კომიტეტის ბიურომ გასულ წელს საქართველოს კენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად განიხილა საკითხი „ქალაქ თბილისის მოსახლეობაში საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდის გაძლიერების შესახებ“. მიღებულ დადგენილებაში გათვალისწინებულია მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საბჭოთა კანონიერების შემდგომ განმტკიცებას.



ამხანაგური სასამართლოებისა და სახალხო რაზმეულებში მომუშავე პირების სამართლებრივი ცოდნის ამაღლების მიზნით შეიქმნა სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტი. შემთხვევით არ არის იგი ორჯერ მოხსენებული სკკპ ცკ ივნისის (1963 წ.) პლენუმის დადგენილებაში დასაწყისში—როგორც პროპაგანდის ფორმაზე, რომელსაც მასიური ხასიათი აქვს, ხოლო შემდეგ — როგორც საზოგადოებრივ სასწავლო დაწესებულებაზე, რომელიც ცოდნით აიარაღებს მოსახლეობას. სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტის მუშაობის გამოცდილება ფრიად დადებით შედეგებს იძლევა; ამიტომ სრულიად კანონზომიერია, რომ მსმენელთა რიცხვი იქ შესამჩნევად იზრდება.

ქ. თბილისის პარტიულ ორგანიზაციებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ სოციალისტური კანონიერების პროპაგანდის გაძლიერება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური კანონიერების შემდგომ განმტკიცებას და ამ საქმეში საზოგადოებრიობის აქტიურ მონაწილეობას.

# თანაავტორობა სახვითი ხაღვანების ნაწარმოებზე

ლ. ისაკაძე

საავტორო სამართლის სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც ერთი ავტორი, ასევე კოლექტივი — ორი ან რამდენიმე თანაავტორი.

თანაავტორობა ეს არის ორი ან მეტი პირის საერთო შემოქმედებითი შრომით შექმნილ ნაწარმოებზე საავტორო უფლების საზიაროდ მიკუთვნება.

თანაავტორობის ორი სახეობა არსებობს:

ერთ შემთხვევაში ორი ან რამდენიმე პირის შემოქმედებითი შრომით შექმნილი ნაწარმოები წარმოადგენს ერთიანს, განუყოფელ მთელს, რომლის ცალკეულ ნაწილებს არა აქვთ დამოუკიდებელი მნიშვნელობა. ასეთია მაგალითად რ. სტურუასა და ყ. მექმარიაშვილის მიერ ერთობლივად შექმნილი პანო — „საქართველოს ზემი“. ამგვარ კოლექტიურ სურათებში არ არის იმის შესაძლებლობა, რომ აღინიშნოს, თუ რა გაკეთდა ნაწარმოების შექმნისას თითოეული თანაავტორისაგან. ამ დროს თანაავტორებს ნაწარმოებზე საავტორო უფლება ეკუთვნით თანაზიარად, ხოლო ობიექტი არის ნაწარმოები. სწორედ ამიტომ მათ არა აქვთ რაიმე განსაკუთრებული უფლება ამ ნაწარმოების რომელიმე ნაწილზე, როგორც განსაზღვრულ ობიექტზე.<sup>1</sup>

მეორე შემთხვევაში ორი ან რამდენიმე პირის შემოქმედებითი შრომით შექმნილ ნაწარმოების ცალკეულ ნაწილებს აქვთ დამოუკიდებელი მნიშვნელობა; ამ დროს თითოეული თანაავტორი წარმოადგენს საავტორო სამართლის სუბიექტს მის მიერ ამ ნაწარმოებში შექმნილ ნაწილზეც. მეორე შემთხვევას ადგილი აქვს უმეტესად სკულპტურული ჯგუფის შექმნის დროს, როდესაც მოქანდაკეები ცალკეულ ფიგურებს ჰქმნიან. ასე მაგალითად, რუსთაველის სახელობის კინოთეატრის ფასადზე მუშებისა და სპორტსმენების ფიგურები შექმნილია ვ. თოფურაძისა და შ. მიქატაძის მიერ.

ამგვარად, როგორც სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 99-ე მუხლშია ნათქვამი: „საავტორო უფლება ნაწარმოებზე, რომელიც შექმნილია ორი ან მეტი პირის საერთო შრომით (კოლექტიური ნაწარმოები), ეკუთვნით თანაავტორებს საზიაროდ, მიუხედავად იმისა, ქმნის თუ არა ასეთი ნაწარმოები ერთ განუწყვეტელ მთლიანობას, თუ შედგება ნაწილებისაგან, რომელთაგან თითოეულს აგრეთვე აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა. თითოეული თანაავტორი ინარჩუნებს საავტორო უფლებას კოლექტიური ნაწარმოების მის მიერ შექმნილ ნაწილზე, რომელსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს“.

საავტორო სამართლის ამ ზოგადი დებულებებიდან გამომდინარე, როგორც განუყოფელ, ასევე წილობრივ ნაწარმოებებზე თანაავტორობისათვის **საჭიროა:**

<sup>1</sup> დერჯერის ისტორიაში ცნობილია, რომ პოლანდიელი მხატვრები — ძმები ბოტები ერთობლივად ჰქმნიდნენ სურათებს. ერთი იყო განთქმული პეიზაჟისტი, მეორე — პორტრეტისტი. იგივე ითქმის რეპინისა და აივაზოვსკის სურათზე „პუშკინი ყირიმში“. ნაგრამ ამ პირობებშიც კი არ არის დანაწილებული საავტორო სამართლის ობიექტი.

1. საავტორო სამართლის ობიექტი შეიქმნას თანავტოროთა შემოქმედებითი საქმიანობით. არ ჩაითვლება თანავტოროად პირი, რომელმაც ნაწარმოების შექმნისას ავტორს მხოლოდ ტექნიკური დახმარება გაუწია (დეკორაციის მაკეტის შემქმნელი, ოსტატი, რომელიც ქანდაკებას ჩამოსახამს და სხვ.). ავტორი არ არის მოვალე შეასრულოს ყოველგვარი ტექნიკური სამუშაო ნაწარმოების შექმნის მოსაშაადებლად. პრაქტიკაში არც ისე ადვილია პირის თანავტოროად ცნობა, იმის დადგენა არის პირი ტექნიკური დამხმარე, თუ ნაწარმოების შემოქმედებათა ავტორი. „როდესაც გამომცემლობა — „რადიანსკა ზკოლამ“ ისტორიული სურათების რეპროდუქციები გამოუშვა კონსულტაციისათვის და ნაწარმოების აღწერისათვის სპეციალისტები მოიწვია. ამ უკანასკნელებმა საავტორო ჰონორარიდან წილის გადახდა მოითხოვეს, მაგრამ კიევის ერთ-ერთმა სახალხო სასამართლომ უარი უთხრა სარჩელზე იმ მოტივით, რომ მოსარჩელებს არა ჰქონდათ თანავტორობის უფლება“.<sup>1</sup>

უფრო ძნელია თანავტორობის დადგენა სკულპტურულ ნაწარმოებზე. მოქანდაკე რაიმე რთული ნაწარმოების შექმნისას ხშირად მიმართავს სხვა კვალიფიციურ პირებს დახმარებისათვის. ეს პირები მხოლოდ მაშინ ითვლებიან თანავტოროებად, თუ ისინი შემოქმედებით დახმარებას გაუწევენ ავტორს. ამ დროს მნიშვნელობა არა აქვს, იყო თუ არა მათ შორის დადებული შეთანხმება თანავტორობის შესახებ. სკულპტურულ ნაწარმოებზე თანავტოროად ჩაითვლება პირი, რომელიც მონაწილეობს პირველდაწყებითი ესკიზის შექმნაში ან სამუშაო მოდელის შემუშავებაში. არ ჩაითვლებიან თანავტოროებად ისინი, რომლებიც მუშაობდნენ მოდელზე ნატურაში. აქ უკვე საქმე გვაქვს ტექნიკურ და არა შემოქმედებით მუშაობასთან. სკულპტურული ნაწარმოების შექმნისას ერთდროულად მონაწილეობენ სკულპტორებიცა და არქიტექტორებიც (შოთა რუსთაველის ძეგლის მოქანდაკეა კ. მერაბიშვილი, არქიტექტორი შ. თულაშვილი). თუ შეთანხმებით სხვა რაიმე არ არის გათვალისწინებული არქიტექტორი არ ჩაითვლება სკულპტურული ნაწარმოების თანავტოროად და იგი ინარჩუნებს საავტორო უფლებას მის მიერ შექმნილ ნაწილზე.

2. რამდენიმე პირის ზიარი შემოქმედებითი საქმიანობა. თანავტორობისათვის აუცილებელი არ არის, რომ ავტორები ზიარად მუშაობდნენ ნაწარმოების ჩასახვიდან ვიდრე დამთავრებამდე, მაგრამ ზიარი თანამშრომლობა კი აუცილებელია ქანდაკების შექმნის დროს. როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ, თანავტორობასთან გვექნება საქმე არა მარტო პირველდაწყებითი ესკიზის შექმნის დროიდან, არამედ სამუშაო მოდელის შექმნის სტადიიდანაც. მხატვარი — ილუსტრატორი არ ჩაითვლება მწერლის თანავტოროად. ამ დროს არ იქმნება კოლექტიური ნაწარმოები, არ არის ზიარი შრომა. უმეტესად ილუსტრაციები ნაწარმოებებზე იქმნება რამდენიმე ხნის შემდეგ, თუმცა შესაძლებელია იგი წიგნის გამოსვლისთანავე შეიქმნას, გაერთიანდეს ერთ წიგნში, მაგრამ ორივე ისინი ცალ-ცალკე ჩამოყალიბებულ, დამოუკიდებელ ნაწარმოებებს წარმოადგენენ. ამით განსხვავდება მათი შრომა ლიბრეტისტისა და კომპოზიტორის მუშაობისაგან ოპერაზე, სადაც ამ უკანასკნელთა ზიარი შემოქმედებითი საქმიანობა ჰქმნის საავტორო სამართლის ერთიან

<sup>1</sup> Е. Вакман, И. Грингольц, „Авторские права художников,“ Москва, 1962 г. стр. 71.

ობიექტს. მწერალს შეუძლია გადაამუშაოს ლიტერატურული ტექსტი და არ იზრუნოს ილუსტრაციების ბედზე; ხოლო მხატვარს ასევე შეუძლია გადაამუშაოს ილუსტრაციები, შეცვალოს ან ამოიღოს იგი წიგნიდან თავისი სურვილით. ილუსტრაციები შეიძლება გამოიცეს ლიტერატურული ტექსტისაგან დამოუკიდებლად (მაგალითად გამოგვადგება ვ. ცუცქერიძის ილუსტრაციები ვაჟა-ფშაველას „აილუდა ქეთელაურზე“, თ. ყუბანეიშვილის ილუსტრაციები ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივზე“ და მრავალი სხვ.). ამგვარად, ილუსტრაცია და ლიტერატურული ტექსტი საავტორო სამართლის ცალკეულ, სხვადასხვა, დამოუკიდებელ ობიექტებს წარმოადგენენ. გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი ლიტერატურული ტექსტი, რომელიც ილუსტრაციებს ხსნის. მაგალითად, სურათიანი წიგნები ბავშვებისათვის, აგიტპლაკატები და სხვა. ეს უკვე ზიარი ნაწარმოებია, სადაც მხატვარი და მწერალი თანავტორებად ითვლებიან.

3. თანავტორობა ნებაყოფლობითი მონაწილეობა ნაწარმოების შექმნის დროს. იყენებენ რა ბოროტად სამსახურებრივ მდგომარეობას, ზოგჯერ, დამკვეთი ორგანიზაციების წარმომადგენლები თავს ახვევენ ავტორებს თავიანთ თანავტორობას. მაგალითად, რეჟისორი მოსთხოვს თეატრის მხატვარს დეკორაციებას, რეკვიზიტებისა და ა. შ. ესკიზებზე თანავტორად ცნობას. საბჭოთა კანონმდებლობა სასტიკად კრძალავს იძულებით თანავტორობას.

თანავტორობის დროს აღმოცენდება მთელი რიგი საკითხები, რომელიც დაკავშირებულია ავტორის უფლებებთან ზიარ ნაწარმოებზე. ასეთებია: სამუშაოს შესრულების განაწილება, ნაწარმოების გავრცელება და აღბეჭდვა, ავტორობა გვარების მითითება, ჰონორარის განაწილება და სხვა. „საავტორო სამართლის საფუძვლების“<sup>1</sup> მეხუთე მუხლით ავტორობა ურთიერთობა განისაზღვრებოდა მათი შეთანხმებით. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებში ამაზე არაფერია ნათქვამი, ჩვენ რასაკვირველია, არ უნდა ვიფიქროთ, რომ მეხუთე მუხლმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა. ამასთან, სასურველია მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობაში ამ საკითხის დაზუსტება. საერთოდ ყურადსაღებია, რომ თანავტორობა ურთიერთობის განსაზღვრული, ერთიანი წესის დადგენა შეუძლებელია, რადგანაც ეს ურთიერთობა მეტად მრავალგვარია. ის კი უნდა გვახსოვდეს, რომ თანავტორებს ერთნაირი უფლება აქვთ ნაწარმოებზე, ხოლო ჰონორარი განისაზღვრება ავტორის მიერ გაწეული შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით.

ამჟამად სახვით ხელოვნებაში თანავტორობის დიდად გავრცელებულ სახეს წარმოადგენს ე. წ. შემოქმედებითი ბრიგადები. აქ, როგორც წესი, გაერთიანებულია როგორც ახალგაზრდა მხატვრები, ასევე ფუნჯისა და ჩუქურთმის საკმაოდ ცნობილი ოსტატები, რომლებიც ჩვეულებრივად ამ ბრიგადების სათავეში დგანან.

თანავტორობის დროს ხშირად არის ლაპარაკი „მთავარ ავტორზე“ და „თანავტორზე“. ეს გვხვდება უმეტესად არქიტექტურული და სკულპტურული ნამუშევრების დროს. თუ პირველადწყებით ესკიზს ცალკე, დამოუკიდებლად დაამუშავებს სკულპტორი, და თანავტორი მუშაობას შეუდგება სამუშაო მოდელის დამზადების სტადიიდან, ამ დროს უკვე საქმე გვაქვს „მთავარ ავტორთან“ ე. ი. ესკიზის შემქმნელთან და „თანავტორთან“. ამ პირობებში თანავ-

<sup>1</sup> სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს დადგენილება, კანონთა კრებული, 1928 წ. № 27, მუხლი 245.

ტორმა გამოსახულება შესაძლოა უფრო სხვაგვარად დახვეწოს, დაახუსტოს ცალკეული ნაკვებები, შესაძლოა შესცვალოს მხატვრული გამოსახულების ფორმაც და სტილიც, მაგრამ მთავარი ავტორის ჩანაფიქრი, პირველდაწყებითი ესკიზი ყოველთვის ინდივიდუალიზირებულია და ამიტომ მთავარი ავტორი ყოველთვის განყენებულად დგას. ასე, საქართველოს სსრ მთავრობის სასახლის არქიტექტორია ვ. კოკორინი, თანავტორი გ. ლეჟავა.

სამართლებრივი თვალსაზრისით მთავარი ავტორი არ სარგებლობს რაიმე უპირატესობით თანავტორთან შედარებით და მათ ერთნაირი უფლებები აქვთ.

არც „საავტორო სამართლის საფუძვლებში“ და არც „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებში“ არაფერი არ არის ნათქვამი ავტორთა ურთიერთობის მოწესრიგებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მათ შორის საერთოდ არავითარი შეთანხმება არ არის, ანდა როდესაც მათ არ შეუძლიათ მივიდნენ ასეთ შეთანხმებამდე. მიზანშეწონილი კი იქნებოდა, კანონში პირდაპირ ყოფილიყო მითითება, რომ ყველა თანავტორი სარგებლობს მსგავსი უფლებამოსილებით, თუ სხვა რაიმე გათვალისწინებული არ არის მათ შორის დადებულ სპეციალურ შეთანხმებაში.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ თანავტორთა შეთანხმებლობის შემთხვევაში დავა უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ.<sup>1</sup> არის მეორე მოსაზრებაც, რომ აღნიშნულ შემთხვევაში საკითხს სწყვეტს ხმების უმრავლესობა.<sup>2</sup> ეს არასწორია. ისინი ათანაბრებენ ნაწარმოებზე თანავტორთა ურთიერთობას საერთო საკუთრების წესებთან და მიუთითებენ რსტსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 62-ე მუხლზე (საქართველოს სსრ სსკ იგივე მუხლი), სადაც ნათქვამია, რომ „საერთო საკუთრების მფლობელობა, სარგებლობა და განკარგულება განხორციელდება ყველა მონაწილის საერთო თანხმობით, ხოლო უკეთეს უთანხმოება აღიძვრის — ხმის უმრავლესობით...“ საკუთრების რაიმე საგნის (ვთქვათ კარადის, სახლის და ა. შ.) ხელოვნების ნიმუშთან გაიგივება, ზუნებრივია, შეუძლებელია. სახვითი ხელოვნების რაიმე შემქმნელს განსაკუთრებული უფლება აქვს თავისი ნაწარმოების მიმართ, რაც გამომდინარეობს ამ ობიექტის განსაკუთრებული შემოქმედებითი ხასიათიდან და ერთდროულად მასთან დაკავშირებულ საავტორო უფლებიდან. ავტორის უფლებების დარღვევა შესაძლებელია ამ დავით დაინტერესებული პირების მიერ. შეიძლება ხმების უმრავლესობით გადაწყდეს რომელიმე თანავტორისათვის რაიმე უფლების ჩამორთმევა ან კოლექტივიდან მისი სრულიად გარიცხვა. ეს კი საკლებით ეწინააღმდეგება საბჭოთა საავტორო სამართლის მოთხოვნებს. ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი ახალი და კარგი ნაწარმოები ჩვენი ხალხის იდეურ-ესთეტიკური აღზრდის მძლავრი იარაღია, იგი მომავალს ეკუთვნის. და ამიტომ, ყოველმხრივ მიზანშეწონილია თანავტორთა დავის გადაწყვეტა სასამართლოს მიერ. რასაკვირველია, სასამართლოში საქმის გადაწყვეტამდე დავა განხილულ უნდა იქნას შემოქმედებით კავშირებსა და ავტორთა უფლების დაცვის სამმართველოებში.

კანონი არაფერს ლაპარაკობს თანავტორთა შეთანხმების ფორმაზე. დასაშვებია შეთანხმების შედგენა, როგორც წერილობით, ასევე ზეპირად. წერი-

<sup>1</sup> В. Кабатов, „Советское авторское право на произведения изобразительного искусства“, автореферат.

<sup>2</sup> Е. Вакман, И. Грингольц, „Авторские права художников“, стр. 75.



ლობითა შეთანხმების შედგენისას საჭიროა მხოლოდ თანავტორთა ხელის მოწერა. სხვა არავითარი დამოწმება ან რეგისტრაცია ამას არ ესაჭიროება. სასურველა შეთანხმების დროს გვარების თანმიმდევრობის დადგენა და ჰონორარის დასაზუსტება. ეს პრაქტიკაში ძალიან იშვიათად ხდება. შემკვეთი ორგანიზაცია იმ შემთხვევაში, როდესაც სამუშაო ხელშეკრულების საფუძველზე სრულდება, თანავტორებისაგან წერილობით შეთანხმებას თხოულობს, ანდა შეკვეთის ხელშეკრულებაში შეაქვს ჰონორარის განაწილებისა და გვართა თანმიმდევრობის პირობები. შემოქმედებით ბრიგადებში, თანავტორთა მონაწილეობას ნაწარმოების შექმნაში და აქედან გამომდინარე საკითხებს, განსაზღვრავს სამხატვრო ფონდის სამმართველო.

იმ შემთხვევაში, როდესაც თანავტორები არ წარადგენენ შეთანხმებას, ხოლო შემკვეთი ორგანიზაციისათვის უცნობია მათ მიერ ამ ნაწარმოებზე გაწეული შრომა, ავტორთა გვარები დაიწერება ანბანური თანმიმდევრობით და ჰონორარაც განაწილება ერთნაირად. თუ ნაწარმოები ერთ განუწყვეტელ მთლიანობას ჰქმნის, რომლის ცალკეულ ნაწილებს არა აქვთ დამოუკიდებელი მნიშვნელობა, არც ერთ თანავტორს ამ ნაწარმოებისა არ შეუძლია დამოუკიდებლად განკარგოს ეს ნაწარმოები, როგორც მთლიანად, ასევე ნაწილობრივ. ცოტა უფრო სხვაგვარადაა ეს საკითხი წილობრივ ნაწარმოებზე, რომლის თითოეულ ნაწილს აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა. ამ შემთხვევას ადგილი აქვს მონუმენტური ქანდაკებების მიმართ. საავტორო სამართლის თანახმად, თითოეულ თანავტორს შეუძლია სხვებისაგან დამოუკიდებლივ განკარგოს წილობრივი ნაწარმოებიდან მის მიერ შექმნილი ხელოვნების ნიმუში, თუ შეთანხმებით სხვა რაიმე არ არის დადგენილი. მართალია თანავტორები კანონით სრულიადაც არ არიან შეზღუდულნი წილობრივი ნაწარმოებიდან მათ მიერ შექმნილი ნაწილის გამოყენების შესახებ, მაგრამ ყოველი თანავტორი ამ უფლებით სარგებლობის დროს უნდა ცდილობდეს, რომ ზიანი არ მიაყენოს კოლექტიური ნაწარმოების კომპოზიციურობას, შემოქმედებით ხასიათსა და სხვა თანავტორთა ინტერესს. ასე, მაგალითად, ერთი და იგივე კვარცხლბეკის გამოყენება სხვადასხვა ქანდაკებისათვის, ბუნებრივია, დააქვეითებს კოლექტიური ნაწარმოების სინთეტურკურსა და ტიპურ სახეს. ამის თაობაზე ვ. ი. სერებროვსკი წერს, რომ

! გამოჩენილი საბჭოთა მხატვრების — კუკრინიკების საინტერესო შემოქმედებით საქმიანობაზე ჰყვები: ნ. ვ. კამინი და ი. გრინგოლი თვეინთ წრგში („Авторские права художников“. Москва, 1962 г. გვ. 78): „კუკრინიკები ისე შეეწყვენ ერთმანეთს, რომ, როგორც წესი, ნათ შორის შეუთანხმებლობა არ არსებობს, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე საკითხზე ერთმანდალ არ გამოქვადენდება სრული თანხმობა, იგი ერთი-ორი დღე ღიად რჩება — დაე დარჩეს! ხოლო შემდეგ ნაწარმოები სრულდება ჩვეულებრივად თანავტორთა საერთო შეთანხმებათ. იმ გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც აზრები არ ემთხვევიან, საკითხი გადაწყდება სმების უმრავლესობით. იგულისხმება რომ კუკრინიკებს არა ჰყავთ „მთავარი ავტორი“. ყველა ისინი თანაბარ მდგომარეობაში არიან. ჰონორარი იყოფა თანასწორად. ამასთან, თანაწორად იყოფა ის ჰონორარიც, რომლებსაც ნხატვრები იღებენ ერთპიროვნულად შესრულებული სამუშაოსათვის... ომის პერიოდში კუპრიანოვი და კრილოვი ევაკუაციაში იმყოფებოდნენ ურალში, ხოლო სოკოლოვი — კუბიშივეში. განზორება რამდენიმე თვე გავრჩელა. სოკოლოვს მიმართეს შეკვეთებისათვის; არ იცოდა როგორ მოქცეულიყო და შეეკითხა მეგობრებს. მათ უთხრეს: „აიღე სამუშაო და შეასრულე“. „კი, მაგრამ როგორ მოვაწერო, — შეეკითხა სოკოლოვი. „კუკრინიკები, — უპასუხეს ამხანაგებმა. — ხოლო ჩვენ აქ ვიმუშავებთ და ჩვენც მოვაწერთ კუკრინიკებს“. ეს ფაქტი თანავტორთა შესანიშნავ შემოქმედებით თანამშრომლობაზე ლაპარაკობს.

თანაავტორმა „ამ უფლებით იმგვარად უნდა ისარგებლოს, რომ ამან არ მოახდინოს კოლექტიური ნაწარმოების ღირსებაზე მთლიანად“.<sup>1</sup>

თანაავტორთა უფლებების გადაწყვეტის დროს ფრიად მნიშვნელოვანი საკითხია მათი პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში.

აქ ჩვენ ორი მომენტი უნდა განვიხილოთ:

1. განუყოფელი ნაწარმოების დროს თანაავტორებს შორის, როგორც წესი, საერთო ხელშეკრულება იდება. ამ პირობებში გაწეული შრომა ფასდება, როგორც ერთიან, განუყოფელ მთელზე და ჰონორარს თანაავტორები იღებენ მხოლოდ ნაწარმოების შექმნის შემთხვევაში. მაგრამ რა პასუხისმგებლობა ეკისრებათ თანაავტორებს, როდესაც ერთნი ასრულებენ თავიანთ ვალდებულებას ხელშეკრულების მიხედვით, მეორენი კი არა? ლიტერატურაში და პრაქტიკაში ამ საკითხზე დავა მიმდინარეობს. ზოგს მიაჩნია, რომ თანაავტორებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობის შესრულების დროს უნდა დაეკისროთ სოლიდარული პასუხისმგებლობა და მიუთითებენ სამოქალაქო საპართლის კოდექსის 115, 116 მუხლებზე,<sup>2</sup> მეორენი კი ამის წინააღმდეგი არიან.<sup>3</sup> 115 მუხლით „...კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს შესრულება, როგორც ყველა მოვალისაგან ერთად, ისე თითოეულისაგან ცალცალკე; ამასთანავე მას შეუძლია მოითხოვოს ვალდებულების შესრულება როგორც მთლიანად, ისე ნაწილობრივ. უკეთუ რომელიმე მოვალისადმი გადახდევინება ვერ მოხერხდა, კრედიტორს შეუძლია მთელი დანაკლისი გადაახდევინოს დანარჩენ მოვალეებს“... ამ მუხლის გამოყენება თანაავტორობის დროს შეუძლებელია, რადგანაც თუ ავტორი სხვადასხვა მიზეზით ან შეგნებულად არ ასრულებს თავის მოვალეობას, ამ პირობებში არ არის იმის შესაძლებლობა, რომ სხვა ავტორს ვაიძულოთ ამ მოვალეობის შესრულება, აქ შემკვეთს არა აქვს შესაძლებლობა „მთელი დანაკლისი გადაახდევინოს დანარჩენ მოვალეებს“. იგივე შემთხვევაში, ბუნებრივია, რომ თუ თანაავტორები თვით შეცვლიან „ურჩ“ ავტორს, შემკვეთი შეიძლება ამის წინააღმდეგი წავიდეს, რადგანაც საავტორო ხელშეკრულება წმინდა პიროვნულ ხასიათს ატარებს და შემკვეთისათვის ფრიად მნიშვნელოვანია, თუ ვინ ასრულებს შეკვეთას.

სამუშაოს შეუსრულებლობის დროს საკითხი დგება თანაავტორთა მიერ ავანსის დაბრუნებაზე. განუყოფელი ნაწარმოების დროს ავანსი უნდა დაბრუნდეს ყველა თანაავტორმა, რადგანაც ხელშეკრულების ობიექტი განუყოფელია, მის რომელიმე ნაწილს დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს და ამავ

<sup>1</sup> В. И. Серебровский, „Вопросы советского авторского права“, Москва, 1956 г. стр. 74.

<sup>2</sup> Л. М. Азов, „Отношения по издательскому договору при соавторстве“, журн. „Советское государство и право“, 1940 г. № 8—9, стр. 203.

<sup>3</sup> М. В. Гордон, „Советское авторское право“, 1959 г. стр. 55, В. И. Серебровский, „Вопросы советского авторского права“, 1956 г. стр. 74—75 и др.

დროს შემკვეთისათვის ხშირად უცნობია თანაავტორთა შორის სამუშაოს განაწილება.

2. წილობრივი ნაწარმოების დროს ხელშეკრულება უმეტესად ცალკე იდება ნაწარმოების თითოეულ დამოუკიდებელ ნაწილზე. თუ ხელშეკრულებაში არ არის ნათქვამი, რომ ნაწარმოები შეფასდება მხოლოდ მისი სრული დამთავრების შემდეგ, თანაავტორებს შეუძლიათ მოითხოვონ მათ მიერ შესრულებული სამუშაოს განხილვა და შეფასება და სამუშაოს ჩაბარების შემდეგ მიიღონ პონორარი. წილობრივი ნაწარმოების დროს თითოეული თანაავტორი პასუხს აგებს მისთვის დაკისრებულ სამუშაოს დროულად შესრულებაზე. თანაავტორი, რომელმაც კეთილსინდისიერად შეასრულა დაკისრებული სამუშაო არ აბრუნებს ავანს, თუ სხვა თანაავტორი არ შეასრულებს მასზე დაკისრებულ სამუშაოს. თანაავტორი ვალდებულია დააბრუნოს მიღებული ავანსი იმ შემთხვევაში, თუ იგი სამუშაოს გარკვეულ ნაწილს არ ჩააბარებს დადგენილ ვადაში ან მის მიერ შესრულებული სამუშაო ჩაითვლება არაკეთილსინდისიერად.<sup>1</sup> როგორც პართებულად აღნიშნავს ვ. ი. სერებროვსკი,<sup>2</sup> თანაავტორის მიერ მასზე დაკისრებული სამუშაოს არადროული ჩაბარება ყოველთვის არ შეიძლება მისი მიზეზით იყოს გამოწვეული. შესაძლებელია ისეთი შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთ თანაავტორს არ შეეძლო შეასრულებინა თავისი სამუშაო იმის გამო, რომ სხვა თანაავტორმა არ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება ხელშეკრულების მიხედვით. ამ შემთხვევაში არ შეიძლება პირველი თანაავტორის ბრალზე ვილაპარაკოთ (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 118-ე მუხლი), ხოლო რაც შეეხება ავანსს, იგი უნდა დააბრუნოს, რადგან ავანსი არის ავტორის გასამრჯელოს საგარანტიო მინიმუმი დახარჯული შრომისათვის და რამდენადაც მას არავითარი შრომა არ გაუწევია, ამიტომ ავანსის დაუბრუნებლობა მას უსაფუძვლო გამდიდრებად ჩაითვლება.

ძნელად გადასაწყვეტი საკითხები წამოიჭრება ხოლმე, თანაავტორთა შემადგენლობის შეცვლასთან დაკავშირებით. ეს შესაძლებელია როგორც ნაწარმოების დამთავრებისას, ისე ნაწარმოების დამთავრებამდე. პირველ შემთხვევაში ავტორთა შემადგენლობა ფაქტიურად ცვლილებას არ განიცდის. თანაავტორი არ ჰკარგავს რაიმე საავტორო უფლებას (თუ არ მივიღებთ მხედველობაში თავისივე სურვილით ხელმოუწერლობას), გამოდის მხოლოდ ანონიმურად. ეს შემთხვევა შეიძლება სხვადასხვა მიზეზმა განაპირობოს: ვთქვათ არასწორად მიაჩნია ავტორს წარმართული მუშაობა, არ მიაჩნია ნაწარმოები გამოქვეყნებისთვის მზად და ა. შ.

მეორე შემთხვევაში ნაწარმოები დაუმთავრებელია და თანაავტორი გადის შემოქმედებითი კოლექტივიდან (ვთქვათ ობიექტური მიზეზების გამო, ან არ ეთანხმება კოლექტივის აზრს). თუ თანაავტორები შესაძლებლად არ მიიჩნევენ

<sup>1</sup> „Сборник постановлений Пленума и определений коллегий Верховного Суда СССР 1940 г.“ М., 1941, стр. 285—286.

<sup>2</sup> В. И. Серебровский, „Вопросы советского авторского права“, стр. 76.



თვით დაამთავრონ დაწყებული სამუშაო, გასული თანაავტორი შეიძლება სხვა პირით შეიცვალოს. ახალი პირის მოწვევა შესაძლებელია, მხოლოდ თანაავტორთა შემოქმედებითი კოლექტივის სრული თანხმობით ან მისი უმრავლესობით. თუ სამუშაო ხელშეკრულებით სრულდება, თანაავტორთა შესაცვლელად მხოლოდ კოლექტივის გადაწყვეტილება საკმარისი არ არის. ამ დროს მთავარია შემკვეთის თანხმობა. ორგანიზაციისათვის, რომელმაც ხელშეკრულება დადო და რომელიც დაინტერესებულია სამუშაოს ხარისხით, მნიშვნელოვანია შემოქმედებითი კოლექტივის შემადგენლობა. იმ შემთხვევაში თუ ახალი თანაავტორის მოწვევა შეუძლებელია, შემკვეთ ორგანიზაციას შეუძლია გააუქმოს თანაავტორებთან შეთანხმება იმ დროსაც კი, თუ თანაავტორებს შესაძლებლად მიაჩნიათ ამ ნაწარმოების დასრულება. ასე, მაგალითად, ვ. ნ. იაკოვლევის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც „სევესტოპოლის დაცვის“ პანორამის აღდგენაზე მომუშავე მხატვართა ბრიგადას ხელმძღვანელობდა, ხელოვნების საქმეთა კომიტეტმა გააუქმა სახელშეკრულებო ურთიერთობანი ავტორთა კოლექტივთან.

რაც შეეხება გასული თანაავტორის საავტორო უფლებებს, იგი განისაზღვრება მუშაობის ხარისხითა და წვლილით დამთავრებულ ნაწარმოებში.

# დაქვილოსკოპიური ექსპერტიზის მასალების მომზადება

## შ. ფაფიაშვილი

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის თანახმად „ექსპერტიზა დაინიშნება იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის გამოკვლევის ან სასამართლოში განხილვის დროს საჭიროა მეცნიერული, ტექნიკური ან სხვა სპეციალური ცოდნა“. კანონის ეს მოთხოვნა ვრცელდება ყველა სახის ექსპერტიზის დანიშვნაზე, მათ შორის დაქტილოსკოპიურ ექსპერტიზაზეც.

გამომძიებელი ან მომკვლელი პირი თუ საჭიროდ მიიჩნევს საქმეზე დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ჩატარებას, მან თავიდანვე უნდა დაიწყოს ექსპერტიზისათვის მასალების მომზადება. გამომძიებელს ეს მოქმედება შემდეგში უნდა გამოიხატოს: 1. შემთხვევის ადგილას დათვალიერების დროს განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინოს იმ საგნების მიმართ, რომლებზეც მისი ვარაუდით შესაძლოა დატოვებულია დამნაშავეს ხელის კვალები. 2. მოახდინოს თითების ანაბეჭდიანი საგნების ამოღება და შეფუთვა მათი ფოტოგადაღების შემდეგ. 3. შეაგროვოს შედარებითი გამოკვლევისათვის საჭირო მასალები დანაშაულის ჩადენაში ექვმიტანილთა, ბრალდებულთა, დაზარალებულთა და მოწვეთა დაქტილოსკოპიური ბარათების სახით. 4. აწარმოოს მიღებულ ანაბეჭდების წინასწარი გულდასმითი დათვალიერება. 5. გამოიტანოს დადგენილება დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ.

ამრიგად, გამომძიებლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა უზრუნველყოს ექსპერტიზა გამოსაკვლევი და შესადარებელი ობიექტებით. ამავე დროს გამომძიებელს უნდა ახსოვდეს, რომ რაც უფრო მეტ გამოსაკვლევ მასალებს წარადგენს ექსპერტიზაზე მით უფრო რეალურია ექსპერტიზის წინაშე დასმული საკითხების წარმატებით გადაწყვეტა. ასე, მაგალითად, თუ შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილია გამომძიებისათვის მნიშვნელობის მქონე თითის რამდენიმე ანაბეჭდი, ყველა ფიქსირებული უნდა იქნას.

პრაქტიკაში, ხშირად იმ ობიექტების ამოღება და გადაგზავნა დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ჩასატარებლად, რომლებზეც აღმოჩენილია შემთხვევის ადგილზე დატოვებული თითების ანაბეჭდები, მთელი რიგი მიზეზების გამო შეუძლებელია. ასეთ ვითარებაში აუცილებელია ჯერ გადავიღოთ მისი ფოტოსურათი პირვანდელი სახით, ხოლო შემდეგ თუ კვალი ნაკლებ ხილვადია მისი უფრო თვალაჩინოებისათვის მოვახდინოთ ქიმიური რეაქტივებით დამუშავება, შემდეგ კი მოვახდინოთ მასშტაბურ-დეტალური წესით ფოტოგადაღება და დამუშავებული კვლების დაქტილოსკოპიურ ფირზე გადატანა. დაქტილოსკოპიური ფირი უნდა დავამაგროთ ოთხივე კუთხით და მის ერთ-ერთ მხარეს დამაგრებულ მუყაოს ან მკვრივი ქაღალდის ფურცელზე გავაკეთოთ წარწერა თუ სად, როდის, ვის მიერ იქნა ამოღებული, აგრეთვე

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის თარიღი. იგი დამოწმებული უნდა იქნეს გამოძიებლისა და თანამოწმეების ხელმოწერით.

ექსპერტიზის ჩასატარებლად მარტოდენ გამოსაკვლევი ობიექტების, ე. ი. შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი თითების ანაბეჭდების გადაგზავნა საკმარისი არაა. გამოსაკვლევ ობიექტებთან ერთად შედარებითი გამოკვლევისათვის უნდა გადაიგზავნოს საჭირო თითების ანაბეჭდების ნიმუშებიც. პრაქტიკაში ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როდესაც დაქტილოსკოპიური ბარათების უხარისხოდ შედგენის გამო ფერხდება დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ჩატარება. ასე, მაგალითად, დამნაშავეთა მიერ გაქურდულ იქნა ხულოს რაიონის ერთერთი სოფლის მაღაზია. შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს მინაზე აღმოჩენილი იქნა თითების ანაბეჭდები, რომლებიც ეჭვმიტანილ შ-სა და ტ-ს დაქტილოსკოპიურ ბარათებთან ერთად გამოსაკვლევად გადმოეგზავნა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მილიციის რესპუბლიკურ სამმართველოსთან არსებულ სამეცნიერო-ტექნიკურ განყოფილებას. მაგრამ, ეჭვმიტანილ პირთა დაქტილოსკოპიური ბარათების უხარისხოდ შედგენის გამო შეუძლებელი გახდა ექსპერტიზის ჩატარება, რამაც ხელი შეუშალა დანაშაულის გახანასა და დამნაშავეთა დროულად გამოვლინებას.

შედარებითი გამოკვლევისათვის თითების ანაბეჭდების მიღება სწარმოებს სასტამბო საღებავით სპეციალურ ბლანკზე, რომელსაც ეწოდება „დაქტილოსკოპიური ბარათი“. ბარათი ითვალისწინებს ადამიანის ათივე თითის ანაბეჭდის მიღებას. თუ გამოძიებელს არა აქვს ასეთი ბარათი, მაშინ მან თეთრი, კრიალა ზედაპირის მქონე ქაღალდისაგან წინასწარ უნდა დაამზადოს იგი და მასზე მოახდინოს მოწმის, ეჭვმიტანილის, ან დაზარალებულის დაქტილოსკოპირება. დაქტილოსკოპირებისათვის საჭირო ყველა მასალა მოთავსებულია საგამომძიებლო ჩემოდანში. დაქტილოსკოპიური ბარათები უნდა შევადგინოთ ორ და მეტ ეგზემპლარად, რდგან შესაძლოა რომელიმე მათგანი ექსპერტიზის ჩატარებისათვის უვარგისი აღმოჩნდეს. იგი დამოწმებული უნდა იქნეს გამოძიებლის ან იმ პირის ხელმოწერით ვინც გამოძიებლის დავლებით აწარმოა პირის დაქტილოსკოპირება.

იმისათვის, რომ დავადგინოთ, მკვლელობის ან სხვა სახის დანაშაულის ჩადენის ადგილზე აღმოჩენილი თითების ანაბეჭდები მიეკუთვნება თუ არა დამნაშავეს ან დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირს, საჭიროა ჯერ დავადგინოთ აღმოჩენილი ანაბეჭდები ხომ არ მიეკუთვნება თვით დაზარალებულს ან მისი ოჯახის რომელიმე წევრს, რისთვისაც საჭიროა მოვახდინოთ მათი დაქტილოსკოპირებაც.

დაქტილოსკოპირებულ უნდა იქნან აგრეთვე ის პირები, რომლებიც პირველად მივიდნენ შემთხვევის ადგილზე და სეარაუდოა, რომ შეეხნენ რაიმე საგანს. ასეთ ვითარებაში გამოძიებელს უფლება აქვს თავისი შეხედულებისამებრ ჩამოართვას მათ თითების ანაბეჭდების ნიმუშები შედარებითი გამოკვლევისათვის. გამოძიებლის ეს უფლება სრულიად ნათლადაა გამოხატული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლში, რომლის თანახმადაც გამოძიებელს უფლება აქვს ჩამოართვას ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს ხელწერილის, კვალის და სხვა ნიმუშები, რაც საჭიროა შედარებითი გამოკვლევისათვის. განსაკუთრებულ შემთხვევაში გამო-

მძიებელს უფლება აქვს ჩამოართვას ნიმუშები შედარებით გამოკვლევებისათვის აგრეთვე მოწმეებსა და დაზარალებულთ, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა საჭიროა შემოწმდეს, ხომ არ დაუტოვებიათ აღნიშნულ პირებს კვალი შემთხვევის ადგილზე ან რაიმე ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთზე.

ამრიგად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ზუსტად განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომელთაც შეიძლება ჩამოერთვათ ნიმუშები შედარებით გამოკვლევისათვის.

გამომძიებელი როცა საჭიროდ მიიჩნევს ამა თუ იმ პირის დაქტილოსკოპირებას, მაშინ აღნიშნული მუხლის თანახმად უნდა გამოიტანოს დადგენილება „შედარებითი გამოკვლევისათვის ნიმუშების მიღების საჭიროების შესახებ“. ეს დადგენილება სავალდებულოა იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც იგი გამოტანილია.

აღნიშნული დადგენილების გარდა გამომძიებელმა უნდა შეადგინოს შედარებითი გამოკვლევისათვის ნიმუშების მიღების წარმოების ოქმი. მართალია, ამის შესახებ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლში არაფერია ნათქვამი, მაგრამ კანონის ამ მცირედენ ხარვეზს ავსებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 95-ე და 96-ე მუხლები, რომლებიც შეეხება ოქმების წარმოების აუცილებლობასა და საგამომძიებლო მოქმედებათა ოქმებს. ამიტომ, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 95-ე მუხლის მოთხოვნა საგამომძიებლო მოქმედებათა წარმოების დროს ოქმების შედგენის აუცილებლობის შესახებ უნდა გავრცელდეს შედარებითი გამოკვლევისათვის ნიმუშების მიღების წარმოებაზეც, როგორც საგამომძიებლო მოქმედებაზე. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად ოქმი შედგენილ უნდა იქნას საგამომძიებლო მოქმედებათა პროცესში ან მისი დამთავრების შემდეგ. ოქმში უნდა აღნიშნოს მისი შედგენის ადგილი, დაწყებისა და დამთავრების დრო, აგრეთვე იმ პირის თანამდებობა და გვარი, რომელმაც აწარმოა აღნიშნული საგამომძიებლო მოქმედება და ყველა იმ პირთა გვარი, სახელი, მამის სახელი და მისამართი, რომლებიც მონაწილეობდნენ ან ესწრებოდნენ მის წარმოებას. ოქმს ხელი უნდა მოაწეროს მან ვინც აწარმოა ეს საგამომძიებლო მოქმედება და ყველამ ვინც მონაწილეობდა ან ესწრებოდა ამ საგამომძიებლო მოქმედებას. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ამ მოთხოვნის დაცვა აუცილებელია. სამწუხაროდ, ჩვენს საგამომძიებლო პრაქტიკაში შედარებითი გამოკვლევისათვის ნიმუშების ჩამორთმევის დროს მას არ იცავენ, რაც საპროცესო კანონის უხეშ დარღვევად უნდა ჩაითვალოს.

მას შემდეგ, რაც გამომძიებელი შეკრებს ნიმუშებს შედარებითი გამოკვლევისათვის, მან თვით უნდა მოახდინოს ნიმუშების გულდასმითი დათვალიერება. ამას ის მნიშვნელობა აქვს, რომ თუ შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ქარგის ანაბეჭდი და ექვიტანალის ან სხვა პირების თითების ანაბეჭდებზე გამოსახული ქარგების საერთო ნიშნები ერთმანეთს არ დაემთხვევა, მაშინ გამომძიებელი გამოიტყუებს მათი იდენტიფიკაციის შესაძლებლობას და მიმართავს შესადარებელი ნიმუშების მიღებას სხვა პირებისაგან. გამომძიებლის მიერ ანაბეჭდთა ასეთი დათვალიერება მიზნად ისახავს მხოლოდ იმას, რომ შეამციროს დაქტილოსკოპიურ ექსპერტიზაზე გადასაგზავნი ნიმუშების



რაოდენობა. ამით გამოძიებელი კი არ წყვეტს პიროვნების იდენტიფიკაციის საკითხს, არამედ ამზადებს მასალებს დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ჩასატარებლად. თითების ანაბეჭდებით პიროვნების იდენტიფიკაციის საკითხის გადაწყვეტა ეკუთვნის მხოლოდ ექსპერტს და არა სხვა რომელიმე პირს.

რაკი შევეხეთ დაქტილოსკოპიურ ბარათებს, ზედმეტი არ იქნება თუ შევჩერდებით დაქტილოსკოპიური ბარათების ფორმასა და ბარათზე დაქტილოსკოპირების წესის თაობაზე კრიმინალისტურ ლიტერატურაში გამოთქმულ ზოგიერთ მოსაზრებას. ზოგიერთი კრიმინალისტი სამართლიანად შენიშნავს, რომ შესამოწმებელ პირთა დაქტილოსკოპირების არსებულ პრაქტიკას აქვს ორი უარყოფითი მხარე. პირველ უარყოფით მხარედ იაინი მიიჩნევენ დაქტილოსკოპიური ბარათების ფორმას.

როგორც ვიცით დაქტილოსკოპიური ექსპერტიზისათვის შესადარებელი ნიმუშების მიღებას ყველა პირთაგან ვაწარმოებთ ერთი და იგივე ფორმის დაქტილოსკოპიურ ბარათებზე, ე. ი. იმ ბარათებზე, რომლებიც განკუთვნილია სისხლის სამართლის დამნაშავეთა რეგისტრაციისათვის. ცნობილია, რომ ზოგჯერ ახდენენ ისეთ პირთა დაქტილოსკოპირებას, რომლებსაც დანაშაულის ჩადენასთან კავშირი არა აქვთ. ასე, მაგალითად, მოწმისა და დაზარალებულისაგან ხშირად ვიღებთ ნიმუშებს შედარებითი გამოკვლევისათვის. მაგრამ, შემთხვევას ადგილზე აღმოჩენილი თითების ანაბეჭდები განა ყოველთვის მათ მიერაა დატოვებული, ანდა შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი თითების ანაბეჭდების დამტოვებელი პირი დანაშაულის ჩადენასთან ყოველთვის რაიმე კავშირშია. ან ყოველთვის აუცილებლად მის მიერაა ჩადენილი დანაშაული? ცხადია, არა. ამ პირთა დაქტილოსკოპირება დამნაშავეთათვის განკუთვნილ დაქტილოსკოპიურ ბარათებზე არ შეიძლება რითიმე გავმართლოთ, რადგან იგი ასე თუ ისე მაინც ლახავს მათ მოქალაქეობრივ ღირსებას. ამიტომ სრულიად მართებულად უნდა ჩაითვალოს ს. პ. პოტაშკინის მოთხოვნა, რომ დაქტილოსკოპიური ექსპერტიზისათვის შემოღებულ იქნას სპეციალური ბარათები.<sup>1</sup> თუ წინასწარ გამოძიებაში გვაქვს ისეთი ფორმის ბლანკები როგორცაა: მოწმის, ბრალდებულის დაკითხვის და სხვა მთელი რიგი სახის ოქმები, რატომ არ შეიძლება შემოვიღოთ დაქტილოსკოპიური ექსპერტიზისათვის განკუთვნილი ბარათები. ასეთი ფორმის ბარათების შემოღება გამოძიებულს განათავისუფლებდა იმ უხერხული მდგომარეობისაგან, რომელსაც განიცდის ზემოაღნიშნულ პირთა დაქტილოსკოპირების დროს.

დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის პრაქტიკაში მეორე უარყოფითი თავსებულება მდგომარეობს დაქტილოსკოპიურ ბარათებზე თითების ანაბეჭდთა მიღების წესში. ს. პ. პოტაშკინი აღნიშნავს, რომ რაკი ასეთ ბლანკზე თითების ანაბეჭდები გათვალისწინებულია დაქტილოსკოპიური ფორმლის გამოსაყვანად, ამიტომ თითების ანაბეჭდების მიღება სწარმოებს ისეთი წესით, რომ მასზე აიხანება მხოლოდ ქარგების გვერდითი და ცენტრალური ნაწილი. ხოლო თითის წვერებზე მოთავსებული დერილოვანი ხაზები კი არა. შემთხვევის ადგილზე კი ასეთი კვანძები არც თუ ისე იშვიათად გვხვდება. ამიტომ ხშირად ექსპერტიზაზე წარმოადგენილ გამოსაკვლევ ობიექტზე ასახულია თითის

<sup>1</sup> С. П. Поташкин, О специальном бланке для подготовки дактилоскопической экспертизы“ (Советская криминалистика на службе следствия, вып. 12, 1959, стр. 147—149).



წვერის ანაბეჭდი, ხოლო შესადარებელ ნიმუშზე კი ასეთი ანაბეჭდი გამოჩნად ხელი არ არის. ამან კი ზოგჯერ ექსპერტი შეიძლება მიიყვანოს მცდარ, არასწორ დასკვნამდე.<sup>1</sup> ასეთი შეცდომის თავიდან ასაცილებლად იგი გვთავაზობს სრულიად ახალი სახის ფორმის დაქტილოსკოპიურ ბარათს, რომელიც განკუთვნილი იქნება მხოლოდ დაქტილოსკოპიური ექსპერტიზისათვის. იგი შედგება სამი განყოფილებისაგან.

პირველ განყოფილებაში თითების ანაბეჭდების აღება სწარმოებს იმავე წესით, როგორც სარეგისტრაციო ბარათზე. მეორე განყოფილებაში კი თითის წვეროდან ქარგის ცენტრალური ნაწილის სიგრძითი მიმართულებით. მესამე განყოფილების უჯრედებში თითების ანაბეჭდების აღება სწარმოებს თითის ბოლო ნაწილების გვერდითი გადაბრუნებით.

ს. პ. პოტაშკინის მიერ შემოთავაზებული ამ ახალი ფორმის დაქტილოსკოპიური ბარათის შემოღება კარგი იქნება, მაგრამ ეს საკითხი დღემდე არ არის გადაწყვეტილი.

მას შემდეგ, რაც გამოძიებელი მოამზადებს დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ჩასატარებლად ყველა საჭირო მასალას, უნდა გამოიტანოს დადგენილება დაქტილოსკოპიური (ხელის კვალის ან კრიმინალისტიური) ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ. დადგენილებაში უნდა მითითებულ იქნას თუ კონკრეტულად რა სახის ექსპერტიზა ინიშნება. პრაქტიკაში ჯერ კიდევ გვხვდება შემთხვევები, როცა დადგენილებით ვერ გაიგებთ თუ რა სახის ექსპერტიზა დანიშნა, ხშირად იმასაც, თუ რას შეეხება გამოტანილი დადგენილება. ასე, მაგალითად, 1960 წლის 5 ნოემბერს აბაშის რაიონიდან საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მილიციის რესპუბლიკურ სამმართველოსთან არსებულ სამეცნიერო-ტექნიკურ განყოფილებაში დაქტილოსკოპიურ ბარათებთან ერთად გამოგზავნილ იქნა შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ბოთლი თითების ანაბეჭდებით, რომელზეც გამოტანილი იყო დადგენილება — „ამოღებული ნივთსაგანს სამეცნიერო-ტექნიკურ განყოფილებაში გადაგზავნის შესახებ“. 1960 წლის ოქტომბრის თვეში ქ. თბილისის ერთ-ერთი რაიონის მილიციის განყოფილებიდან სამეცნიერო-ტექნიკურ განყოფილებაში გადმოგზავნილი იქნა უფროსი ოპერწმუნებულის მიერ გამოტანილი დადგენილება „ნივთბეჭდების ცეცხლმაროლელი იარაღის სამეცნიერო-ტექნიკურ განყოფილებაში შესამოწმებლად გადაგზავნის შესახებ“ და მასთან ერთად გადმოგზავნა ცეცხლსასროლი იარაღი მასზე დარჩენილი თითების ანაბეჭდებით. მაგრამ აღნიშნულ დადგენილებაში მოცემული არ იყო ექსპერტიზის წინაშე გადასაწყვეტად დასმული საკითხები.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის თანახმად ექსპერტიზა დანიშვნის შესახებ გამოტანილ დადგენილებაში მითითებული უნდა იყოს უშუალოდ ექსპერტზე, როგორც ფიზიკურ პირზე, ე. ი. მასზე ვისაც ევალება ექსპერტიზის ჩატარება, ან იმ დაწესებულების სახელწოდება, რომელშიაც უნდა ჩატარდეს ექსპერტიზა. იმ შემთხვევაში თუ გამოძიებელი თავის დადგენილებაში უშუალოდ მითითებს ექსპერტს და თუ ექსპერტიზა ჩატარდება საექსპერტო დაწესებულების გარეთ,

<sup>1</sup> იხ. ს. პ. პოტაშკინის დს. ხელნაწერი სტატი.

<sup>2</sup> თუ შემთხვევის ადგილის დოკუმენტებში მონიშნულ იქნება სპეცილისტი კრიმინალისტიკის დარგში, მაშინ სსსრ-შია მსგე დევლოს ექსპერტიზის ჩატარება.

მაშინ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად, გამომძიებელმა უნდა დაიბაროს ის პირი ვისაც დაავალა ექსპერტიზის ჩატარება და შეამოწმოს მისი პიროვნება, მისი დამოკიდებულება ბრალდებულთან, დაზარალებულთან და საჭირო ცნობები მისი სპეციალობისა და კომპეტენტურობის შესახებ. შემდეგ გამომძიებელმა ექსპერტს უნდა ჩააბაროს დადგენილების ალი და გააფრთხილოს, რომ „აუცილებელია ისეთი დასკვნის მიცემა, რომელიც ზუსტად უნდა ეყრდნობოდეს მის განკარგულებაში გადაცემულ მასალებსა და იმ სპეციალურ ცოდნას, რაც ექსპერტს აქვს“. აგრეთვე მან ექსპერტს უნდა განუმარტოს მისი ის უფლებები და მოვალეობები, რომლებიც გათვალისწინებულია საპროცესო კოდექსის 73 მუხლით. შემდეგ ექსპერტი გაფრთხილებულ უნდა იქნეს, რომ „იგი პასუხს აგებს დასკვნის მიცემაზე უარის თქმის, თავის არიდების ან წინასწარი შეცნობით ცრუ დასკვნის მიცემისთვის, რაზედაც მას ჩამოერთმევა ხელწერილი ამა კოდექსის 189 მუხლის მეორე და მესამე ნაწილების თანახმად“. ყველა ზემოაღნიშნული მოქმედება გამომძიებელმა უნდა აღნიშნოს დადგენილებაში ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, რაც დადასტურებული უნდა იქნას ექსპერტის ხელმოწერით.


იმ შემთხვევაში, როდესაც გამომძიებელი დადგენილებაში არ მიუთითებს ექსპერტზე და ასახელებს მხოლოდ საექსპერტო დაწესებულებას, მაშინ მან დაწესებულებას უნდა გაუგზავნოს დადგენილების ალი და ექსპერტიზისათვის საჭირო მასალები (საქართველოს სსრ სსკ 188 მუხ.). დაწესებულებების ხელმძღვანელმა, გამომძიებლის დადგენილების მიღების შემდეგ, ექსპერტიზის ჩატარება უნდა დაავალოს დაწესებულების ერთ ან რამდენიმე თანამშრომელს. ამავე დროს, ექსპერტიზის ჩატარებელი პირი გაფრთხილებული უნდა იქნეს საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელის მეორე, რომ იგი პასუხს აგებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 197 მუხლით წინასწარი შეცნობით ცრუ დასკვნის მიცემისათვის (საქართველოს სსრ სსკ 189 მუხ.).

ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ გამოტანილ დადგენილებაში ჩამოთვლილი უნდა იყოს ყველა ის კითხვები, რომლებზეც მოითხოვენ ექსპერტიზაგან დასკვნის მიცემას. აგრეთვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს გამოსაკვლევად გადასაგზავნი მასალები.

განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიექცეს ექსპერტის წინაშე დასმული საკითხების სწორ ფორმულირებას. საკითხები უნდა ჩამოყალიბებული იყოს ზუსტად, ნათლად და კონკრეტულად.

დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დანიშვნის დროს გამომძიებლის მიერ ექსპერტიზის წინაშე დასმული საკითხების სწორ ფორმულირებასა და თანმიმდევრობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ექსპერტის მიერ საკითხების სწორად გადაწყვეტისათვის. მართალია ექსპერტ-კრიმინალისტს უფლება აქვს გამომძიებლის მიერ არასწორად დასმული საკითხები თავისი შეხედულებებისამებრ ხელახლად, სწორად ჩამოაყალიბოს, მაგრამ იგი ამას ყოველთვის ვერ ახერხებს, რადგან ზოგჯერ დადგენილებიდან შეუძლებელია იმის გაგება თუ კონკრეტულად რისი დადგენა სურს გამომძიებელს მოცემული საქმის ირგვლივ.

ექსპერტიზის წინაშე დასმული საკითხების არასწორად ჩამოყალიბებისა



და გაურკვევლობის თავიდან აცილების მიზნით, გამომძიებელმა წინასწარ უნდა გაიაზროს ექსპერტის წინაშე გადასაწყვეტად დასასმელი საკითხები, კარგად ჩამოაყალიბოს იგი და ისე შეიტანოს ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ გამოტანილ დადგენილებაში.

ხშირად დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ გამოტანილ დადგენილებაში ექსპერტიზის წინაშე არასწორად აყენებენ საკითხს. ასე მაგალითად, 1960 წლის 20 ოქტომბერს ქ. თბილისის გარნიზონის პროკურატურის უფროსმა გამომძიებელმა დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის წინაშე დააყენა ასეთი საკითხი: „არის თუ არა იდენტური № 10 საწყობიდან ამოღებულ საგნებზე აღმოჩენილი თითის ანაბეჭდები ექსპერტიზისათვის წარმოდგენილი ნიმუშებიდან რომელიმე თითის ანაბეჭდთან.“ ეს ფორმულირება არა სწორია, რადგან თითის ერთი ანაბეჭდი არ შეიძლება იყოს მეორე ანაბეჭდის იდენტური. დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დროს ვაიგივებთ არა თითების ანაბეჭდებს, არამედ ანაბეჭდებზე გამოსახულ თითების ქარგებს მასზედ არსებული დვრილოვანი ხაზების ცალკეული დეტალებით, ხოლო ქარგების ვაიგივების საშუალებით პიროვნებას. ამიტომ, სწორი იქნება თუ დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის წინაშე დავაყენებთ საკითხს: შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი თითების ანაბეჭდები დატოვებულია თუ არა გარკვეული პირის (ნ. ი. ივანოვის) ან პირთა (ნ. ი. ივანოვის, ს. პ. პეტროვის, ა. ა. ჩხიკვაძის) მიერ.

ამრიგად, დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ გამოტანილ დადგენილებაში ექსპერტის წინაშე გადასაწყვეტად დასმული საკითხები სწორად და ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის თანახმად ყველა სახის და მათ შორის დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ გამოტანილ დადგენილებაში უნდა განვასხვავოთ სამი ძირითადი ნაწილი: 1. შესავალი, 2. აღწერილობითი და 3. რეზოლუციური.

შესავალ ნაწილში ნაჩვენებია უნდა იქნეს: სად, როდის, ვის მიერ იქნა დადგენილება გამოტანილი და რა კავშირი აქვს გამოსაკვლევ ფაქტს სისხლის სამართლის საქმესთან.

აღწერილობით ნაწილში გადმოცემული უნდა იქნეს ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი და ის გარემოება, რომელმაც გამოიწვია საქსპერტო გამოკვლევის აუცილებლობა. აღწერითი ნაწილის ბოლოს უნდა მიეთითოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ მუხლებზე, რომლითაც ინიშნება ექსპერტიზა.

რეზოლუციურ ნაწილში ნაჩვენებია უნდა იყოს: რომელი სახის ექსპერტიზა ინიშნება და ვის ევალება მისი ჩატარება (დასახელებელი უნდა იქნას საქსპერტო დაწესებულება, ან ის პირი, რომელსაც დაევალება ექსპერტიზის ჩატარება), ექსპერტიზის წინაშე გადასაწყვეტად დასმული საკითხები, ბოლოს, გამოსაკვლევად გადასაგზავნი საგნებისა და დოკუმენტების სრულყოფილი ნუსხა.

ამრიგად, გამომძიებლის ან მოსამართლის მიერ გამოტანილი დადგენილება დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, მხოლოდ მაშინ იქნება სრულყოფილი, როდესაც იგი სრულად და თანმიმდევრულად ასახავს ყველა ზემოაღნიშნულ საკითხებს.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ გამოძიების სწორად წარმართვისა და საქმის გარემოების ყოველმხრივ სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლევისათვის მნიშვნელობა აქვს გამოძიებლის მიერ ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ გამოტანილი დადგენილების საექსპერტო დაწესებულებაში დროულად გადაგზავნას. პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ გამოტანილი დადგენილების გადაგზავნას საექსპერტო დაწესებულებაში ექსპერტიზის ჩასატარებლად აგვიანებენ, რაც ცხადია ხელს უშლის დანაშაულის დროულად გახსნასა და დამნაშავის გამოვლინებას, ამავე დროს ქმნის მოკვლევისა და წინასწარი გამოძიებისათვის კანონით დაწესებული ვადების დარღვევის პირობებს. ასე მაგალითად, ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის მილიციის განყოფილებიდან სამეცნიერო-ტექნიკურ განყოფილებაში დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ჩასატარებლად მასალები გადაიგზავნა 1960 წლის 12 სექტემბერს, როცა დადგენილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ გამოტანილი იყო 1960 წლის 25 აგვისტოს, ე. ი. მასალები ექსპერტიზაზე გადმოგზავნილ იქნა 17 დღის შემდეგ.

ამრიგად, გამოძიებელი შეკრებს რა ყველა საჭირო მასალას ექსპერტიზის ჩასატარებლად უნდა გამოიტანოს დადგენილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, სწორად ჩამოაყალიბოს ექსპერტიზის წინაშე გადასაწყვეტად დასმული საკითხები და დადგენილება შესასრულებლად დროულად გადაგზავნოს ექსპერტიზისათვის საჭირო ყველა მასალებთან ერთად.

**დისკუსია, პოლემიკა, რეპლიკა**

**შეიძლება თუ არა მაგნიტოფონის გამოყენება  
ჩვენების უიქსიკაბისათვის**

ლ. თალაკვაძე

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ზოგიერთმა ავტორმა გამოთქვა მოსაზრება გამოძიების პროცესში ჩვენების მაგნიტოფონური ჩანაწერის გამოყენების შესახებ<sup>1</sup>.

მაგრამ, როგორც სჩანს, საქმე არ იფარგლება მარტოდენ რეკომენდაციებით. სსრ კავშირის პროკურატურის საგამომძიებლო სამმართველოსა და კრიმინალისტიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც 1962 წლის 13-21 დეკემბერს ჩატარდა და მიეძღვნა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, გ. მ. მინკოვსკის მოხსენებაში, მაგნიტოფონური ჩანაწერის დაშვებისა და სარგებლობის დებულების დასაბუთებასთან ერთად მითითებული იყო, „ბოლო წლებში ჩვენების ფიქსირების ეს საშუალება გამოყენებული იყო ზოგიერთ საქმეზე“<sup>2</sup>.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია გადაწყვეტილი იქნეს საკითხი თუ რამდენად კანონიერია და დასაშვები ამ საგამომძიებლო მოქმედების გამოყენება.

1. ჩვენების მაგნიტოფონზე ჩაწერა მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების დროს ეწინააღმდეგება მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას. საქართველოს სსრ სსკ-ის 147, 148, 149, 156, და 158 მუხლები, აგრეთვე სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსს კოდექსების სათანადო მუხლები ზუსტად აწესრიგებენ ბრალდებულისა და მოწმის დაშვების წესს, მათ მიერ მიცემული ჩვენების ფიქსირებასა და დამოწმებას. მაგნიტოფონზე ჩანაწერის წარმოება კი არის პროცესუალური აქტი და არა დამხმარე ტექნიკური ხერხი.

თუ დასაკითხავ პირს განუცხადებენ, რომ მის მიერ მიცემული ჩვენება ჩაწერილი იქნება ფირზე და ამის შესახებ მითითებულია დაკითხვის ოქმში, ხოლო თვით ჩანაწერი თან ერთვის ოქმს, ეს, რა თქმა უნდა, სხვა არაფერია, თუ არა პროცესუალური მოქმედება.

თუ ჩანაწერი მოისმინება როგორც იმ პირის დაკითხვისას, რომლის ჩვენე-

<sup>1</sup> А. Винберг и А. Ейсман, Фототелеграфия и звукозапись в криминалистике, М., 1946 г., стр. 21—30; Н. Селиванов, Научно-технические средства при расследовании преступлений, Социалистическая законность, 1961, № 9, стр. 38; А. Герасун, За применение магнитофона в следственной работе, Социалистическая законность, 1962, № 10, стр. 51—53; Л. М. Корнеева, Привлечение в качестве обвиняемого, М., Госюридат, 1962, стр. 87; ЕЕ же, Применим ли магнитофон в следственной работе? Социалистическая законность, 1963, № 1, стр. 52 и др.

<sup>2</sup> Г. Манковск ий, Процессуальные вопросы применения новых научно-технических средств фиксации результатов следственных действий, Практика применения нового уголовного-процессуального законодательства и стадии предварительного расследования, М. 1962, стр. 52.

ბაც არის ჩაწერილი, ისე სხვა პირების დაკითხვისას, ეს, რა თქმა უნდა, პროცესულური მოქმედებაა.

თუ ამ პირის ან სხვა პირთა ჩვენების შემოწმებისა და შეფასებისას ჩვენებები, რომლებიც ჩაწერილია დაკითხვის ოქმში, უპირისპირდება ჩვენებებს, ჩაწერილს ფირზე, და ამრიგად, დასტურდება ან უარყოფილია ფირზე ჩანაწერით, — ჩვენების მაგნიტოფონური ჩანაწერი წარმოადგენს დამამტკიცებელ საბუთს და სხვა არაფერს.

მაგრამ ეს პროცესუალური მოქმედება და მტკიცების ეს საშუალება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული. სისხლის სამართლის საპროცესო კანონში მოცემულია პროცესუალურ მოქმედებათა და მტკიცების საშუალებათა ამომწურავი ჩამოთვლა. ამიტომ არ შეიძლება არ მივიღეთ დასკვნამდე, რომ მოკვლევასა და წინასწარ გამოძიებაზე ჩვენების მაგნიტოფონზე ჩაწერის წარმოებას არა აქვს საფუძველი მოქმედ კანონში, მის მიერ არ არის გათვალისწინებული და, აქედან გამომდინარე, არაკანონიერია.

ამრიგად, წინასწარ გამოძიებაზე ჩვენების მაგნიტოფონზე ჩაწერის გამოყენების მომხრეებს არა აქვთ საფუძველი ამტკიცონ, რომ ეს საგამომძიებლო მოქმედება შეიძლება წარმოებულ იქნას მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონის საფუძველზე. მაგრამ შესაძლოა ისინი მართლნი არიან, როდესაც მიუთითებენ ამ საგამომძიებლო მოქმედების მიზანშეწონილობასა და სარგებლობაზე? მაშინ შეიქმნებოდა აუცილებლობა შეგვეტანა სათანადო ცვლილებები მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში.

2. მოკვლევასა და წინასწარ გამოძიებაზე ჩვენების მაგნიტოფონზე ჩანაწერი, მოქმედი კანონის თვალსაზრისით მისი დაუშვებლობის გარდა, წარმოადგენს საგამომძიებლო მოქმედებას, რომელიც, ჩვენის აზრით, თავისი არსის მიხედვითაც არასწორი და მიზანშეუწონელია, იგი არ უწყობს ხელს მოკვლევის წარმატებით ჩატარებას.

საკითხი ეხება არა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებას, რომელსაც არა აქვს პროცესუალური ხასიათი, არამედ მეთოდს, საშუალებას, რომელიც გამოიყენება საგამომძიებლის მიერ დაკითხვის დროს კანონით გათვალისწინებული პროცესუალური წესით.

როგორ უნდა მოხდეს მაგნიტოფონზე ჩვენების ჩაწერა?

თუ ფირზე ჩაწერით მთელ დაკითხვას თავიდან ბოლომდე, აბსოლუტურად ყველაფერს რაც დაკითხვაზე ითქმის, გავაფრთხილებთ რა ამის შესახებ დასაკითხავ პირს — ეს იმდენად შებოჭავს მას და შექმნის მისთვის დამატებით ფსიქოლოგიურ ტვირთს, რომ უმეტეს შემთხვევაში ამგვარი დაკითხვა არ მიგვიყვანს საქმის გარემოებათა ახსნამდე.

ხოლო თუ ჩაწერას მოვახდენთ ამორჩევით — ჩაწერით მხოლოდ ჩვენების ცალკეულ ნაწილებს, ცალკეულ დებულებებს, მხოლოდ მას, რის ჩაწერასაც საჭიროდ მიიჩნევს საგამომძიებელი, ეს აუცილებლად მიგვიყვანს ჩვენების დამახინჯებამდე.

ჩვენების მაგნიტოფონზე ჩაწერის გამოყენების მომხრენი ხედავენ ამ სიძნელეებს და ცდილობენ მათ გადალახვას. ვ. ვინბერგი და ა. ეისმანი მიუთითებენ: „ბუნებრივია, რომ ხმის ჩაწერა უნდა გამოვიყენოთ იმ პირთა დაკითხვი-

სას, რომელთა ჩვენებებსაც აქვთ არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ყველაზე უფრო სერიოზულ საქმეებში“.<sup>1</sup>

ვის შეუძლია გამოძიების პროცესში წინასწარ განსაზღვროს თუ რომელ პირთა ჩვენებებს შეუძლიათ ქონდეთ „არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა?“

და რატომ უნდა გამოვიყენოთ ხმის ჩაწერა მხოლოდ „ყველაზე უფრო სერიოზულ საქმეებზე?“ თუ ჩვენების მაგნიტოფონურ ჩანაწერს შეუძლია ხელი შეუწყოს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, მაშინ გასაგებია, რომ მისი გამოყენების სფერო არ უნდა შევზღუდოთ „ყველაზე სერიოზული საქმეებით“.

შემდეგ, თუ მომკვლევი პირი ან გამოძიებელი მივლენ იმ დასკვნამდე, რომ განსაზღვრულ პირთა ჩვენებებს აქვთ საქმეზე „გადამწყვეტი და არსებითი მნიშვნელობა“ და ჩაწერენ მათ ფირზე, მაშინ სხვა პირებს შეიძლება წამოეჭრათ სავსებით კანონიერი პრეტენზიები იმის თაობაზე, თუ რატომ არის ჩაწერილი ერთი ბრალდებულის ჩვენება (მაგ., რომელმაც აღიარა თავისი ბრალი) და არ არის ჩაწერილი სხვა ბრალდებულის ჩვენებები (მაგ. ვინც უარყოფს თავის ბრალს); რატომ არის ჩაწერილი ერთი მოწმის ჩვენება (მაგ. რომელიც ბრალდებულის სასარგებლო ჩვენებას იძლევა) და არ არის ჩაწერილი სხვა მოწმის ჩვენება (მაგ. რომელიც ბრალდებულს ამხელს.).

ასეთ შემთხვევებში გამოძიებელს არ ექნება არავითარი საფუძველი უარი თქვას სხვა პირთა შუამდგომლობაზე ჩვენების მაგნიტოფონზე ჩაწერის შესახებ.

საქმე შეეხება არა მარტო დაინტერესებულ პირთა შუამდგომლობას. მაგნიტოფონური ჩანაწერის გამოყენების დროს გამოძიებელი იძულებული იქნებოდა, ჩვენის აზრით, ჩაეწერა ყველა დაკითხულ პირთა ჩვენებები, ვინაიდან გამოძიების პროცესში ძნელია იმის განსაზღვრა, თუ შემდგომში, დანაშაულის გასასხნელად რომელ ჩვენებას ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა.

3. ჩვენების მაგნიტოფონზე ჩაწერის მომხრეთა უდიდესი უმრავლესობა ლაპარაკობს მტკიცების ამ საშუალების გამოყენებაზე მხოლოდ მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების სტადიაში. გაკვირვება უნდა გამოიწვიოს იმ ფაქტმა, რომ მტკიცება, თურმე, შეიძლება იყოს მტკიცებად მხოლოდ პროცესის ერთერთ სტადიაზე. ცხადია, რომ ასეთი მოსაზრება ვერ იქნება გამოყენებული საბჭოთა იურიდიულ მეცნიერებაში. ამიტომ, თუ საქმეზე ჩვენების ფიქსირებისათვის გამოყენებული იყო ხმის ჩანაწერი, მაშინ სისხლის სამართლის საქმე უნდა გადაცემული იქნას სასამართლოში მაგნიტოფონური ჩანაწერებით, რომელთა შესახებაც დაკითხვის ოქმებში არსებობს მითითება.

სასამართლოსათვის აუცილებელი იქნება სასამართლო სხდომაზე მოისმინოს ყველა ჩანაწერი. ეს აუცილებელია, ვინაიდან მოსამართლეები მოვალენი არიან გაეცნონ საქმის ყველა მასალას, ხოლო ჩვენების მაგნიტოფონური ჩანაწერის გაცნობა არ შეიძლება სხვაგვარად, თუ არ მოისმენ მათ, ამ შემთხვევაში საჯარო სასამართლო სხდომაზე. ეს არ შეუწყობს ხელს სასამართლო პროცესის სწორ ჩატარებას და მის სწორ აღქმას დამსწრე მოქალაქეების მიერ. უფრო მეტიც, ამან შეიძლება მიგვიყვანოს სრულიად დაუშვებელ სიტუაციებამდე.

მაგალითად, მოწმე არ გამოცხადდა სასამართლოში. ჩართავენ მაგნიტო-

<sup>1</sup> А. Винберг и А. Эйман, Фототелеграфия и звукозапись в криминалистике, М., 1946, стр. 30.



ფონს და თითქოს მოწმე იქ არის, იგი ლაპარაკობს ყველას გასაგონად, თავისი ხმით. ხოლო მისი ნახვა არ შეიძლება, მისი დაკითხვა შეუძლებელია.

ხოლო, თუ მოწმის ჩვენება, ჩაწერილი ფირზე და მოსმენილი სასამართლო დარბაზში, ეწინააღმდეგება სხვა პირთა ჩვენებებს, მაშინ ასეთ შემთხვევაში ჩვენ ხელთა გვაქვს რაღაც უცნაური და დაუშვებელი დაპირისპირების სუროგატი, სადაც ცოცხალი პირის მაგიერ არსებობს მისი ჩვენების ჩანაწერი ფირზე და არ არსებობს ის გარანტიები, რომლებიც დაცულია დაპირისპირების დროს. ერთი პირი „ლაპარაკობს“ (ფირიდან) მეორე პირის დასწრებით, მაგრამ ამ უკანასკნელს არ შეუძლია უპასუხოს, მისცეს მას შეკითხვები, ვინაიდან ეს პირი ფაქტიურად არ იმყოფება დაკითხვის ადგილზე, მას სცვლის მაგნიტოფონი. დაპირისპირებისათვის გათვალისწინებული პროცესუალური ნორმების გვერდის ავლა არ შეიძლება დაშვებული იქნას საგამომძიებლო და სასამართლო პრაქტიკაში.

ან კიდევ: მიძიედ დაჭრილმა სიკვდილის წინ აჩვენა, რომ მას დანა დაარტყა მოქალაქე ა-მ. მისი ჩვენება ფიქსირებული იქნა ფირზე. გამოძიების დროს შესაძლებელი გახდა იმის დადგენა, რომ დაზარალებული შეცდა. მაგრამ სხვა ჩვენებებთან ერთად, სასამართლოზე უნდა მოსმენილი იქნას დაღუპულის ჩვენების ჩანაწერიც, მისი ხმა ჩაწერილი ფირზე. ამ ხმის გაგონებას, რომლითაც იგი მოქალაქე მ-ს ბრალს სდებს მკვლელობაში, შეუძლია თავისი ფსიქოლოგიური ზემოქმედების ძალით გამოიწვიოს მეტად არასასურველი შედეგი.

ამას გარდა, მაგნიტოფონის გამოყენება სასამართლო სხდომაზე არ შეუწყობს ხელს სასამართლო განხილვის უშუალოდისა და ზეპირსიტყვიერების პრინციპების რეალიზაციას.

4. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ბრალი დაედოთ ჩვენების ფიქსირებისათვის მაგნიტოფონის გამოყენების მომხრეებს საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში შეგნებულად დანაშაულის გამოძიების ბურჟუაზიული მეთოდის გადმოტანაში. მაგრამ, უნდა შევნიშნოთ, რომ საქმე გვაქვს სწორედ ამის მსგავს მოვლენებთან.

ბურჟუაზიულ სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებულის აღიარება ფაქტიურად რჩება „მთელი მსოფლიოს საუკეთესო მტკიცებად“. ამ „მთელი მსოფლიოს საუკეთესო მტკიცების“ მისაღებად შემუშავებულია მორალური ზემოქმედების მეთოდიკა, რომლის მიზანია მიაღწიოს ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარებას და არ მისცეს მას შესაძლებლობა უარი თქვას თავის ჩვენებაზე. ამასვე ემსახურება მაგნიტოფონის ფირზე ჩვენების ფიქსირების მეთოდი.<sup>1</sup>

ჩვენის აზრით, საკმარისია მოვიყვანოთ ამ საკითხზე ამერიკელი იურისტის უ. რ. კიდლის მოსაზრება, რომელიც წერდა: „... იშვიათად შეიძლება გვერდი აუარო ხანგრძლივ და ძვირად ღირებულ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, თუ ჩვენ მოვასმენინებთ ბრალდებულის დაკითხვის ჩანაწერს მის ადვოკატს, რომე-

<sup>1</sup> Fridrich Kleingchmidt, Lehrbuch für den Praktischen Kriminaldienst, verlag f. polizeie. Fachschrifftrum Liibeck, 1953, s. 180—183;

Journal of criminal law, criminology and police science. vol. 47, № 6 March—April 1957, 698.

Journal of criminal law, criminology and police science. vol. 48 № 6 March—April 1958, 660—663 и др.



ლიც დარწმუნდება ამ საქმის სასამართლოზე დაცვის ცდის მიზანშეუწონლობაში და დაარწმუნებს თავის დაცვის ქვეშ მყოფს იცნოს თავი დამნაშავედ“.<sup>1</sup>

მაგნიტოფონური ჩანაწერის ძირითადი მიზანია ისე გაამაგროს ჩვენება, რომ დაკითხულს არ შეეძლოს შემდგომ მასზე უარის თქმა. თუ ბრალდებული ან მოწმე შემდგომში შესცვლიან თავის ჩვენებებს, მათ მოასმენინებენ ძველი ჩვენების მაგნიტოფონურ ჩანაწერს და ეს აიძულებს მათ დაუბრუნდნენ ძველ ჩვენებას.

როგორც წესი, ჩვენების მაგნიტოფონური ჩანაწერის მომხრენი უარყოფენ ამ ხერხის ამ მიზანს. მაგრამ მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებიც ამას აღიარებენ.

ა. ვინბერგი და ა. ეისმანი მიუთითებდნენ: „ბრალდებულის ჩვენების ხმის ჩანაწერი შეიძლება მოხერხებულად იქნას გამოყენებული იმ თანამონაწილის მხილებისათვის, რომელიც უარყოფს თანამონაწილეობას, ან კიდევ, წინათ მიცემული ჩვენების უარყოფისას...“<sup>2</sup>

ნ. სელივანოვი ამტკიცებს: „წინათ მიცემული ჩვენების მოსმენა, რომელიც ეწინააღმდეგება შემდგომ ახსნა-განმარტებებს, როგორც წესი, სათანადო გავლენას ახდენს დასაკითხავ პირზე“.<sup>3</sup>

ამაშია ამ ხერხის არსი — ახალი საშუალება დიდი ხნის წინათ ცნობილი ჩვენების „გამაგრებისა“, განსაკუთრებით ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების გამაგრებისა ისეთი საშუალებით, რომ დასაკითხავმა პირმა ვერ შესძლოს უარყოს თავისი ჩვენებები.

ბრალდებული ან მოწმე თავისი ჩვენების მაგნიტოფონური ჩანაწერის მოსმენის გავლენით შეიძლება დაუბრუნდეს ძველ, შესაძლოა არასწორ, მცდარ ან ტყუილ ჩვენებებს, უარს იტყვის რა თავის სწორ ჩვენებაზე, რომლითაც მას სურდა გამოესწორებინა წინათ დაშვებული შეცდომა. ეს სრულიად დაუშვებელი ზეგავლენაა დასაკითხავ პირზე, რაც არავითარ შემთხვევაში არ უწყობს ხელს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

საყურნალო სტატიის მოცულობა არ გვაძლევს საშუალებას შევჩერდეთ სხვა საფუძვლებზე ჩვენების ფიქსირებისათვის მაგნიტოფონის გამოყენების წინააღმდეგ. მაგრამ, ჩვენი აზრით, ნათქვამიც საკმარისია იმისათვის, რომ დასაბუთებული იქნას უარყოფითი დამოკიდებულება საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში ჩვენების ფიქსირებისათვის მაგნიტოფონის გამოყენების მიმართ.

<sup>1</sup> WR. Kidd, Police Juterrogation, she Police Journal Brooklyn № V. 1954. 64—65.

<sup>2</sup> А. Винберг и А. Ейсман, ციტ. ნ. შრომი, გვ. 29—30.

<sup>3</sup> Н. Селиванов, ციტ. სტატია, გვ. 38.

## შენიშვნები საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ახალი გამოცემის შესახებ

0. ნაწუკაშვილი

იურიდიული ტერმინები ქართულ ენაზე სულ უფრო ზუსტდება და სრულყოფილი ხდება. იხვეწება კანონების ენა და სტილი. დღევანდელ პირობებში დაუშვებელია უმნიშვნელო ტერმინოლოგიური ნაკლისა თუ შეუსაბამობის მოთმენა საკანონმდებლო აქტებში. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ დიდი მნიშვნელობის მქონე კანონთა კრებულის გამოცემას, როგორც არის „კოდექსი“. ყოველი ახალი გამოცემა კოდექსისა მიზნად უნდა ისახავდეს წინა გამოცემებში დაშვებული ხარვეზების თუ შეცდომების გასწორებას; მიღებული ტექსტის გულდასმით უნდა შემოწმდეს, კრიტიკულად გადაისინჯოს და შეიგოს. ამ მხრივ, ჩვენი აზრით, ჯერ კიდევ საჭიროებს სათანადო ყურადღებას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც სახელმწიფო გამოცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა მასობრივი ტირაჟით იმ სერიოზული ცვლილებების და დამატებების გათვალისწინებით, რაც მასში შეტანილია საკანონმდებლო ორგანოების მიერ 1963 წლის 1 აგვისტომდე.

შეჩერდებით რამდენიმე სარედაქციო და ტერმინოლოგიური ხასიათის შენიშვნაზე.

აღრევ იყო აღნიშნული, რომ რუსული ტერმინის «доказательство»-ს ქართულ შესატყვისად „დამამტკიცებელი საბუთის“ ხმარება არ არის სწორი. მართალია ეს ხელოვნური და საკმაოდ უხერხული ტერმინი იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებულია, მაგრამ მცდარი ან არასწორი ტერმინის დაკანონება იმ მოსაზრებით, რომ იგი უკვე

ინმარება, გაუმართლებელია. მით უმეტეს, რომ იურიდიული ტერმინოლოგიის შემმუშავებელ ავტორთა კოლექტივის მიერ «доказательство»-ს ქართულ შესატყვისად მიღებულია ტერმინი „მტკიცებულობა“. გარდა აღნიშნულისა ყურნალ „საბჭოთა სამართლის“ 1960 წლის იანვარ-თებერვლის ნომერში, ჯერ კიდევ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის უკანასკნელი რედაქციით მიღებამდე ა. გელოვანი აყენებდა საკითხს, რომ «доказательство»-ს ქართულ შესატყვისად გამოგვეყენებია ტერმინი „მტკიცება“. ვფიქრობთ, ეს საკითხი საჭიროებს სათანადო განხილვას და საბოლოო გადაჭრას.

თუ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში სიტყვა საბუთი გამოყენებული გვაქვს იქ, სადაც ამის საჭიროება არ არის და პირიქით იგი სრულიად ზედმეტია, სხვა შემთხვევაში (მაგ. მუხ. 61, 79) რუსულ ტექსტში ნახმარი ტერმინი «документы» რომლის ქართულ შესატყვისადაც სწორედ საბუთი წარმოადგენს, ქართულ ტექსტში „დოკუმენტად“ არის თარგმნილი. რატომ არ შეიძლებოდა ამ შემთხვევაში გამოგვეყენებია ქართული სიტყვა „საბუთი“, რით არის გამოწვეული უცხოური წარმოშობის ტერმინის გამოყენების აუცილებლობა, მაშინ როცა მშობლიურ ენაზე მისი შესატყვისი მოვუპოვება?

ეს გარემოება იქნებ იმითაცაა გამოწვეული, რომ სიტყვა „საბუთი“ ვიხმარეთ რა არაპირდაპირი მნიშვნელობით, მას ხელოვნურად მივანიჭეთ გარკვეული ტერმინოლოგიური მნიშვნელობის ცნე-

ბის შინაარსი, ხოლო როცა ეს ტერმინი საჭირო შეიქმნა მისი პირდაპირი მნიშვნელობის გამოსახატავად, იგი, ასე ვთქვათ, გახარჯული აღმოჩნდა და იძულებული გავხდით მიგვემართა ლათინური წარმოშობის სიტყვისათვის.

ასე მაგალითად, 79-ე მუხლის წინადადების დასაწყისი «доказательства по делу могут быть установлены из документов» თარგმნილია: „დამატკიცებელი საბუთი საქმეზე შეიძლება დადგენილი იქნეს დოკუმენტებიდან“, თუ ამ წინადადებას ზემოთ აღნიშნული შენიშვნის ვათვალისწინებით ვთარგმნიდით მივიღებდით „მტკიცებულობა (ან მტკიცება) საქმეზე შეიძლება დადგენილ იქნეს საბუთებიდან“. ვფიქრობთ ამ შემთხვევაში უფრო ზუსტად არის გადმოცემული რუსული ტექსტის ქართული თარგმანი და წინადადებაც უფრო ბუნებრივია, რომ აღარაფერი ვთქვათ ენის სიწმინდის დაცვის ინტერესებზე, რაც უდავოდ ანგარიშგასაწევია.

ამგვარად, ყოველმხრივ გამართლებული იქნება „დოკუმენტის“ ნაცვლად გამოვიყენოთ მისი ქართული შესატყვისი „საბუთი“.

არის აზრი, რომ «уголовный»-ს ქართულ შესატყვისად ნაცვლად „სისხლის სამართალი“-სა შემოგვეღო და დაგვემკვიდრებია ტერმინი — „სისხლის“. ალბათ ამის შედეგია, რომ კოდექსში ზოგან აღნიშნული ტერმინი გვხვდებოდა. ჩვენ არ შევჩერდებით იმის განხილვაზე, თუ რამდენად სწორია ეს, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ თუ ეს ტერმინი მიღებულია ამ სახით, მაშინ იგი საჭიროა იხმარებოდეს ყველგან და არა ცალკეულ შემთხვევებში, როგორც ამას ადგილი აქვს ამჟამად.

მაგალითად, საპროცესო კოდექსის 43-ე მუხლის სათაური «участие защитника в уголовном судопроизводстве» ქართულად თარგმნილი იყო: „დამცველის მონაწილეობა სისხლის სასამართ-

ლო წარმოებაში“ — (ანალოგიურ შემთხვევებს ვხვდებით საფუძვლების 1-2 მუხლის თარგმანში და სხვ.).

ვფიქრობთ, რომ აღნიშნული რუსული ტერმინის ქართულ შესატყვისად ზოგან „სისხლის“ და ზოგან „სისხლის სამართალი“-ს ხმარება გაუმართლებელია. უნდა იყოს ერთ-ერთი მათგანი.

რუსული იურიდიული ტერმინოლოგია შედარებით კარგად არის დამუშავებული, მაგრამ გარკვეული ხარვეზები აქაც შეიმჩნევა. ქართული კი, მიუხედავად იმ დიდი შესაძლებლობისა, რომელსაც ენის ლექსიკის სიუხვე იძლევა, მეტ ყურადღებას საჭიროებს. ერთი და იგივე ცნების გამოსახატავად რამდენიმე ტერმინის ხმარებამ შეიძლება გამოიწვიოს გაუგებრობა, მით უმეტეს, როდესაც ეს აუცილებლობით არ არის გამოწვეული. მოვიყვანოთ რამდენიმე ფაქტს:

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში სახალხო და ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის დამატებით გამოძიებაზე დაბრუნების შემთხვევაში რუსულ ტექსტში იხმარება შემდეგი ტერმინები: Возвращение дела на «доследование», на «дополнительное расследование», на «дополнительное следствие», и на «новое расследование». მათ შესაბამისად ქართულში იხმარება: „დამატებითი გამოძიება“, „ახალი გამოკვლევა“, „დამატებითი გამოკვლევა“. ტერმინოლოგიის ასეთმა ნაირფეროვნებამ შეიძლება გამოიწვიოს გაუგებრობა. შესაძლოა დაისვას კითხვა: ხომ არ შეიცავს «доследование» — «дополнительное следствие»-საგან განსხვავებულ შინაარსს, ან „ახალი გამოკვლევისათვის“ საქმის გადაცემასა და „დამატებით გამოკვლევისთვის“ საქმის გადაცემას შორის რა არსებითი განსხვავებაა. თუ განსხვავება არ არის, გა-

ნა არ აჯობებდა გამოგვეყენებია ერთ-ერთი ყველაზე უფრო სწორად შერჩეული ტერმინი? 358-366-ე მუხლებით დადგენილია, რომ თუ საქმე უნდა წარიმართოს დამატებითი გამოძიების საწარმოებლად, იგი ეგზავნება პროკურორს, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში განჩინის გამოძიების სასამართლოს. ასევე სასამართლოს გამწესრიგებელი სხდომიდან (მუხ. 222-232) — თუ სასამართლოს განხილვის სტადიიდან (მუხ. 259-309) საქმე ეგზავნება პროკურორს. ყველა შემთხვევაში საქმის დაბრუნების საფუძველია წინასწარი გამოძიების მასალების შევსების აუცილებლობა დამატებითი მონაცემებით, რაც საჭიროა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის. პროკურორი ყველა შემთხვევაში ვალდებულია შეასრულოს სასამართლოს მითითება (თუ განჩინებას არ აპროტესტებს). მისი მოქმედება და ფუნქციები ერთნაირია როგორც — „დამატებითი გამოძიების“ დროს ისე „დამატებითი გამოკვლევის“ თუ „ახალი გამოკვლევის“ დროს, რამდენადაც ეს ტერმინები არ გამოხატავენ ერთმანეთისაგან განსხვავებულ, სხვადასხვა ღონისძიებას და იდენტური არიან, სამი სხვადასხვა ტერმინის ხმარება გაუმართლებელია.

რაც შეეხება მოქმედებას, როცა პროკურორი საჭიროდ ჩათვლის საქმე გადასცეს მოკვლევ ორგანოს, ასეთ შემთხვევაში შეიძლება ვისმართო ტერმინი „დამატებითი მოკვლევა“, ე. ი. საქმის გადაცემა დამატებითი მოკვლევისათვის და ეს გამართლებული იქნება შესასრულებელ მოქმედებათა სპეციფიკურობის თვალსაზრისით. ყველა დანარჩენ შემთხვევაში უნდა დადგინდეს ერთიანი ტერმინი და, ჩვენი აზრით, უფრო მიზანშეწონილი იქნება „დამატებითი გამოძიება“, რაც მრავალმხრივ არის გამართლებული. ჯერ ერთი, გამოძიება მოიცავს მოკვლევასაც, როგორც წი-

ნასწარი გამოძიების შემადგენელ ნაწილს, გარდა ამისა რაც მთავარია — „გამოძიება“ დამკვიდრებული ტერმინია იურისპრუდენციაში (следствие). მისი ტერმინოლოგიური მნიშვნელობა კონკრეტულად განკუთვნილია ამ დარგისათვის და ეს გარემოება მის უპირატესობას, როგორც იურიდიული ტერმინისას, აშკარად ხაზს უსვამს. მაგალითად: გამოძიებელი, საგამომძიებლო მოქმედება, საგამომძიებლო განყოფილება, სასამართლო გამოძიება, წინასწარი გამოძიება და სხვა. მაშინ, როცა „გამოკვლევა“, „კვლევა“ უფრო ზოგადი მნიშვნელობის ტერმინია და გავრცელებულია მეცნიერების ყველა დარგში, აქედან „კვლევითი ინსტიტუტი“ — „სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორია“, „მეცნიერული გამოკვლევა“ და სხვა.

საყურადღებოა, რომ რუსული ენის ლექსიკონში следствие, განმარტებულია, როგორც «Выяснение обстоятельств связанных с преступлением», ხოლო «расследование» ნიშნავს, подвергнуть всестороннему рассмотрению, изучению და აგრეთვე ნიშნავს «произвести следствие»-საც.

აღნიშნული გარემოებანი, ვფიქრობთ, იძლევიან საფუძველს, რომ ტერმინის შერჩევის დროს მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში უპირატესობა მიეცეს „გამოძიებას“, როგორც იურიდიული მნიშვნელობის ტერმინს. იგი უნდა დამკვიდრდეს და იხმარებოდეს არა მარტო აღნიშნულ, არამედ ყველა სხვა შემთხვევაშიც, როდესაც საკითხი ეხება „იმ გარემოებათა გამორკვევას, რაც დანაშაულებრივ ქმედობასთან არის დაკავშირებული“.

საყურადღებოა, რომ რუსული ტერმინების ქართულად თარგმნისას მთელ რიგ შემთხვევებში არ არის დაცული ერთიანობა. მაგალითად, 222-ე მუხლში «расследование» თარგმნილია

ქართული  
ენათმეცნიერება

„გამოძიებად“, ხოლო 232 მუხლში ერთგან თარგმნილია „გამოკვლევად“, მეორეგან „გამოძიებად“, შემდეგ ისევ „გამოკვლევად“. «Раскрытие преступления» თარგმნილია როგორც „დანაშაულის გახსნა“ და „დანაშაულის გამოძიება“; судопроизводство „სამართალწარმოებად“ და „სასამართლო წარმოებად“; душевное заболевание სულით ავადმყოფობად და სულიერ დაავადებად; обязанность „აუცილებლობად“ და „სავალდებულობად“.

მართალია ზოგ შემთხვევაში ენის თავისებურება ან შესაფერისი შესატყვისების უქონლობა მშობლიურ ენაზე გარკვეულ სიტყვებს ქმნის თარგმნის დროს, მაგრამ, ჯერ ერთი, დასახლებულ და რიგ სხვა შემთხვევებში ამის აუცილებლობა არ იგრძნობა, მეორეც, როდესაც საკითხი ეხება ტერმინებს სასურველია მათი უნიფიცირება და შინაარსის შეძლებისდაგვარად ზუსტად განსაზღვრა.

კოდექსის 25-ე მუხლის მე-7 პუნქტში ჩამოყალიბებულია თუ პროცესის რა სტადიიდან ეწოდება ბრალდებულს

სამართალში მიცემული და მსჯავრდებული. რამდენადაც განაჩენი არსებობს არა მარტო გამამტყუნებელი, უფრო სწორი იქნებოდა ბოლო წინადადება „ხოლო გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ მსჯავრდებული“ ჩამოგვეყალიბებინა შემდეგნაირად: „ხოლო განაჩენის გამოტანის შემდეგ მსჯავრდებული ან გამართლებული“...

აშკარა შეუსაბამობაა 42 მუხლის სათაურსა (ბრალდებულის უფლებები) და მის შინაარსს შორის. სათაურის მიხედვით მუხლის შინაარსი უნდა ეხებოდეს მხოლოდ ბრალდებულის უფლებებს, მაშინ, როცა აქვეა მოცემული სამართალში მიცემულის და მსჯავრდებულის თუ გამართლებულის უფლებებიც. საჭიროა აღნიშნული მუხლის სათაურის დაზუსტება.

ჩამოთვლილი შენიშვნების გათვალისწინება საქართველოს სსრ სისსლის სამართლის საპროცესო კოდექსის ახალ გამოცემაში მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

## ათასი უთი ბკადემა

პროფ. მ. კვიციანი

### ნიურნბერგის პროცესის მონაწილის მოგონებები

ბრალდების სასწორით აწონვა როგორ შეიძლება, იტყვის ალბათ მკითხველი, როცა ამ სტატიის სათაურს წაიკითხავს.

რატომაც არ შეიძლება? მაშ მართლმსაჯულების ქალღმერთ თემიდას რატომ დააქვს ხელით სასწორი თუ კი არაფერს წონის?

ამაზეც შეგვაძვებინა, ეს მითია და არა სინამდვილე.

რა თქმა უნდა, მაგრამ ხომ შეიძლება მითიც სინამდვილე იქცეს ან პირიქით? მაშ რაღა თემიდასთვის უნდა იყოს ეს შეუძლებელი! ის ხომ ახლაც ჩვენს შორის დიდის და სულ მისხლობით წონის ადამიანთა ცოდვა-ბრალსა და სიკეთე-მადლის სიმძიმეს?

ეს კიდევ ალეგორიაა — იტყვიან.

შესაძლებელია, მაგრამ ალეგორიაც ხომ სინამდვილეს გამოხატავს, იმას რაც არის და რისი გამოსახვაც უკეთ ვესურს. აი, როცა ნიურნბერგის პროცესზე წარდგინდა ათასი ფუთი ბრალდების შესახებ გაამბობთ, მაშინ ვნახოთ რა რისი ალეგორიაა. ახლა კი წინასწარ ბოდიში უნდა მოვიხადო ამ ყურნალის მკითხველების წინაშე, რომ მე უფრო ლიტერატურული თვალსაზრისით შემიძლია ამის გაკეთება ვიდრე იურიდიულსა.

...პატივმოყვარეობის ყინით შეპყრობილ პიტლერებს ქაღალდზე გადაჰქონდათ ყველაფერი რასაც ამბობდნენ ან ფიქრობდნენ. დაწესებულებები ადგენდნენ ანგარიშებს, იწერდნენ ყოველივე შეკრების თუ თათბირის შინაარსს, აღრიცხავდნენ და ინახავდნენ უფროსების სიტყვიერ თუ წერილობით განკარგულებებს, პედანტური გერმანული სიზუსტით ამუშავებდნენ ბრძანებებს, ინსტრუქციებს, დირექტივებს. ისტორიაში დამკვიდრების მოსურვე „ადიდებულნი ამა ქვეყნისანი“ ადგენდნენ დღიურებს, აგროვებდნენ სუვენიერებს. მართო პოლონეთის ყოფილი გუბერნატორის, ერთ-ერთი მთავარი სამხედრო დამნაშავეს, ჰანს ფრანკის დღიურები 42 ტომს შეადგენს. თითოეულ ტომში ათასამდე გვერდია. სხვებიც ასე გულმოდგინედ აღრიცხავდნენ თავიანთი ცხოვრების ყოველ ნაბიჯს. ბოლოს ყველაფერი ეს მოკავშირეთა არმიებმა იგდეს ხელთ. სპეციალური შემკრები ცენტრებიც შექმნეს, სადაც ამ დოკუმენტებს

ჯერ წონით იღებდნენ, ხოლო შემდეგ არჩევდნენ და ახარისხებდნენ.

მე თვითონ ვიყავი ქ. კასელში, სადაც 3 ათასი ტონა ასეთი დოკუმენტებისა იყო შეგროვილი. ორ ათასზე მეტი მემანქანე იჯდა მიწისქვეშა ქიმიური ქარხნის ერთ უზარმაზარ საამქროში და ბეჭდავდა ამ მასალებს. ორი ათას საბეჭდ მანქანას ერთად გაჰქონდა გუგუნი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა თითქოს საბეჭდი მანქანები კი არა ტყვიამტრქვევები დაუყენებიათ და უშენდნენ ბრალდებებს მთავარ სამხედრო დამნაშავეებს.

ასეთივე შემკრები ბუნქტები გახსნილი იყო მარბურგში, ფლესბურგში, ბერტესგადენსა და სხვაგან. მე არაფერს ვამბობ იმ დოკუმენტებზე, რომლებიც საბჭოთა არმიის ნაწილებმა იგდეს ხელთ. ყოველივე ეს რამდენიმე ათას ტონას ან ასეულ ათას ფუთს შეადგენს.

სამი თვის დაძაბული მუშაობის შემდეგ დაახლოებით ათასი ფუთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დოკუმენტებისა გაგზავნილი იქნა ქ. ნიურნბერგს, როგორც საბრალდებო მასალა. ამ ათას ფუთში მე ჯერ მხოლოდ ფიზიკურ წონას გვუღისხმობ, მაგრამ თუ ალეგორიაზე მიდგა საქმე, შეიძლება ესეც წარმოვიდგინოთ. ამისთვის ჯერ იმ ათასი ფუთი დოკუმენტებიდან სულ რამდენიმე გრამი ავიღოთ. აი თუნდაც ერთი წინადადება პიტლერის წიგნიდან „ჩემი ბრძოლა“, ალბათ სულ რაღაც ერთ მილიგრამ ქაღალდზე დაბეჭდილი.

„მე ვათავისუფლებ კაცობრიობას ისეთი საშინელი ქიმიისაგან, როგორიცაა სინდისი“. შემდეგ სინდისისაგან ვათავისუფლების მორალური კოდექსი პასუხისმგებლობისაგან ვათავისუფლების იურიდიულ კანონად იქცა და ფრონტზე დაიგზავნა დირექტივა:

„ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან ვათავისუფლებულ იქნან გერმანელი ჯარისკაცები, რომლებიც დაპყრობილ ქვეყნებში ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ რაიმე დანაშაულს ჩაიდენენ“. ამ დირექტივას ხელს პიტლერი და კაიტელი აწერდნენ.

ადილი მისახვედრია თუ რა შედეგი მოყვებო-

საქართველო  
საბჭოთა კავშირი

და სინდისისა და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებულ ბანდების მოქმედებას მათ მიერ დროებითი ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ამით ხომ იმთავითვე იქნა გაუქმებული ომების წარმოების ყოველგვარი ნორმა, რაც საერთაშორისო სამართლით არის დადგენილი და ჰააგის კონვენციით გათვალისწინებული.

პიტლერელები არ სცნობდნენ კანონს, მის ძალას. ისინი უარყოფდნენ ყველაფერს, რაც მათ ხელს უშლიდათ ბარბაროსული გეგმების განხორციელებაში. ან რა იურიდიულ ნორმებზე შეიძლება აქ იყოს ლაპარაკი, როცა თვითონ პიტლერი წერს: „მე არ ვიცი რას ნიშნავს უფლება. გამარჯვებულებს ასეთ კითხვას არ უსვამენ. მთავარია არა უფლება, არამედ გამარჯვება“ და „ამაყად დასძენს: „ღიახ, ჩვენ ბარბაროსები ვართ და კიდევაც ვამაყობთ ამითო“, ან სხვა ადგილას: „როცა მე მესმის სიტყვა ჰუმანიზმი მზად ვარ რევოლუერზე ვიტაცო ხელი“.

პიტლერს არც გერინგი ჩამორჩებოდა. მან თქვა: „მოსპობილ იქნას ყველა, ვინც აღმაცერად შეხედავს გერმანიას“. ეს თქმა უმალ დირექტივად იქცა, თანაც ვითომ „წინაღობულად, აქაოდა ტერორისტების წინააღმდეგ ვიბრძვიით:“

— ადგილზე, ყოველგვარ სასამართლოს გარეშე, დახვრეტილ იქნას ყველა, ვინც ითვლება ტერორისტად ან არ ითვლება ასეთად“.

მოდით და გაიგეთ ვინ უნდა დაიხვრიტოს და ვინ არა! ან ამას მართლაც რად უნდა სასამართლო, როცა განაჩენი წინასწარაა გამოტანილი, იმის მიუხედავად, ითვლება ბრალდებული ტერორისტად თუ არ ითვლება ასეთად.

გერინგს ფანტაზია არ აკლდა. ეს მან აღადგინა სიკვდილიანი დასჯის „მამა-პაპური“ წესი — ნაჯახით თავის მოკვება.

ომის დროს ერთი მოთხრობა წავიკითხე, სადაც აღწერილია თუ როგორ გადაუწყვიტეს ვიღაც პროფესორს სიკვდილით დასჯა. ეშვაოტზე რომ მიჰყავდათ, სულ ეცინებოდა, მატყუებენ, ჩემი გამოტყუება უნდათ თორემ როგორ შეიძლება გოეთესა და ბეთოვენის ქვეყანაში კაცს ნაჯახით თავი მოჰკვეთონ. იმ უბედურს ტურმებზე ღიმილი მხოლოდ მაშინ შეაშრა როცა თავი გააგდებინეს.

შემდეგ გერინგმა ეს არ იკმარა და ახალი განკარგულება გასცა: სიკვდილმისჯილი თავდაღმა კი არა პარალელა დააწვიანო, რომ მოქნიულ ნაჯახს თვალი შეავლოს და ელდა ეცესო.

ამან ჩემზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ნიურნბერგში წინასწარ დაკითხვის დროს დამტკიცებულ კითხვებს ოდნავ გადაუხვიეთ და გერინგს ვკითხეთ, თუ როგორ მოუვიდა ასეთი აზრი თავში.

— ეს აზრი კი არაა — საშუალებაა, — „განმარტა“ მან.

— განა ასეთი საშუალების გამართლება შეიძლება?

— რაკი ამას მიმართავენ სჩანს შეიძლება! რითი?

— მიზნით, რისთვისაც ის არის შემოდებული — შემოგვიღრინა მან — მიზანი ამართლებს საშუალებას. სიკვდილით ერთს იმიტომ სჯიან, რომ მეორე დააშინონ. რაც უფრო ეფექტურია დაშინების საშუალება, მით უფრო გამართლებულია დასჯა როგორც ასეთი.

შემდეგ ცხოვრებამ შეიტანა გერინგის ამ „ეფექტურ“ საშუალებაში თავისი კორექტივი. სიკვდილის დასჯა ისე მსიური გახდა, რომ ახალი ტექნიკის გამოყენების გარეშე მათი „გეგმის“ შესრულება შეუძლებელი იყო. გეგმა კი მართლაც კოლოსალური ჰქონდაო. აი ერთი მათგანი, ესცესულ რაღაც ერთ მილიგრამ ქაღალდზე დაწერილი: „ევროპაში ებრაელობა უნდა მოისპოს როგორც რასა“. ამ ერთი წინადადების შედეგი იყო ათ მილიონამდე ადამიანის მოსპობა დაწყებული საკონცენტრაციო ბანაკში რამდენიმე წუთის წინ დაბადებული ბავშვით, რომელიც წყლით სავსე კასრში ჩააგდეს და დაბრუნებული 108 წლის მოხუცი ქალით.

მერე ჰიმლერმა გამოაცხადა თავისი „ახალი გეგმა“ 30 მილიონი სლავის გაწყვეტის შესახებ.

პროცესზე გერინგს ჰკითხეს: ნამდვილია თუ არა, რომ ჰიმლერმა ასეთი განცხადება გააკეთა, რაზედაც უპასუხა, განცხადება კი იყო, მაგრამ დირექტივა არ ყოფილა. ჩვენ ვიცით როგორ ხდებოდა ეს, როცა რამე საშინელი განკარგულება იყო გასაცემი. პიტლერი, გერინგი, ან ჰიმლერი განაცხადებდნენ, ეს მიიღეთ როგორც ბრძანება მიუხედავად იმისა მოგივთ ამაზე წერილობითი მითითება თუ არაო. მითითება კი სხვაგვარი მიდიოდა, უკვე საკონტროლო ციფრებად ჩამოყალიბებული, იუგოსლავიაში მოისპოს ამდენი, ჩეხოსლოვაკიაში ამდენი და ასე სხვაგანაც. განსაკუთრებით პოლონეთში, რუსეთში.

ამას კი შესრულება უნდოდა. დაიწყო „სასიკვდილო კამერების“ მშენებლობა მოსაწამლავი „აბაზანებით“, ლიფტებით, კრემატორიუმებით. თითო სენსზე 2 ათასი კაცი! დღე და ღამ განუწყვეტლივ მუშაობდნენ კრემატორიუმის ღუმელებში, ბოლავდა საკვამლე მიღები. ასეთ ბანაკებში გამოზავნილებს ცინიკურად უცხადებდნენ: აქ შემოსვლა საკუთარი ფეხებით შეიძლება, გასვლა კი მხოლოდ კრემატორიუმის საკვამლე მილით.

თანაც გასაოცარი არტისტული ცინიზმი ყველაფერი ეს მუსიკით, ორკესტრით. იანოვსკის საკონცერტაციო ბანაკში ტყვეებისაგან ორკესტრი შეადგინეს. სპეციალური შეკვეთით „სიკვდილის ტანგო“ დააწერინეს და სიმფონიური მუსიკის აკომპანიმენტის ქვეშ ხოცავდნენ დიდსა თუ პატარას. მერე ყველა ფანტაზიორობდა. იმავე ბანაკის



კომენდანტს გუსტავ ვილჰელმს ცოლი და 9 წლის გოგონა ესტუმრნენ ბანაკში. მათ საპატივცემულოდ ასეთი „მეფური ნადირობა“ იქნა გამართული. გუსტავი და მისი ოჯახის წევრები აივანზე იდგნენ. ქვემოდაც ესესელები ჩველ ბავშვს აისროდნენ მალე. გუსტავი ესროდა. გოგონა კისკისებდა და იძახდა: კიდევ მამა, კიდევ!

გუსტავის ფანტაზიას მართლაც არ ჰქონდა საზღვარი. ჰიტლერს, რომ 54 წელი შეუსრულდა მან ეზოში გაამწკრივა 54 სამხედრო ტყვე და საკუთარი ხელით დახვრიტა ყველანი. ასეთი საჩუქარი უძღვნა მან თავის „საყვარელ ფიურერს“ დაბადების 54 წლისთავეს.

სხვაგან კიდევ უარესი! ვინ რას არ იკონებდა თავის გასართობად. ერთი ძაღლებს აგლეჯინებდა ტყვეებს, მეორენი შეჯიბრებას აწყობდნენ სირბილში, ვინც პირველი მიიბრუნდა დასტოვებდნენ, სხვებს დახვრეტდნენ. ასეც ერთობოდნენ: გამწკრივებდნენ ტყვეებს ბანაკის ეზოში. ყველაზე „ახარბულები მოთამაშე“ მივიღოდა პირველთან და დაუყვირებდა „რატომ ხარ პირველი? და ესროდა. ახლა მწკრივის ხოლოს, რატომ ხარ ბოლო?“ და ასე შემდეგ. ეს პირველი და ბოლო არ ილეოდა ვიდრე ერთი კაცი არ დარჩებოდა, — იმას კი იმ დღეს ხელს არ ახლებდნენ.

„ადამიანის ფასი გროშია“, გამოაცხადა ჰიმლერმა და მალე მოვილი ქაღალტების მოსპობის გეგმა დასახეს.

1941 წლის 16 ივლისს ჰიტლერმა მიიწვია თავისთან რაიხსმარშალი გერინგი, რაიხსლაიტერი როზენბერგი, რაიხსმინისტრი ლამერსი, ფელდმარშალი კაიტელი და იმპერიის კანცელარიის უფროსი ბორმანი. გერინგმა სთხოვა ჰიტლერს განემარტა საბჭოთა კავშირის რომელ რაიონებს შეპირდა ის უცხოეთის სახელმწიფოებს. ამ თათბირის შემდეგ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება და დაიგზავნა დირექტივები.

აი, ჩემს წინ ახლაც დევს ასლი იმ თათბირზე მიღებულ დოკუმენტისა, რომელშიც წერია: „ფიურერმა გადაწყვიტა აღგავოს პირისაგან მიწისა ბეტერბურგი. საბჭოთა რუსეთის დამარცხების შემდეგ არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს ამ დიდი დასახლებული პუნქტის შემდგომი არსებობა.“

საპაერო ძალებმა მაშინვე მიიღეს დირექტივა: ფიურერმა გადაწყვიტა მოსპოს ქ. ბეტერბურგი და ტერიტორია გადასცეს ფინეთს.“

სხვა დოკუმენტებში წერია: „ვარშავა უნდა მოისპოს, როგორც დასახლებული პუნქტი“, „არავითარ საქმიანობას არ წარმოადგენს აღდგენილი იქნეს ქ. კიევი“ და სხვა.

მერე ქაღალტებიც არ ეყოთ და სახელმწიფოებს მიადგენენ. დაიცალოს ადგილობრივი მოსახლეობისაგან პოლონეთის უდიდესი ნაწილი, კარპატების მხარე, დასავლეთი უკრაინა, ყირიმი, საქარ-

თველო. ახლა უკვე შეუძლებელია დიდილით გარეშე ვიკითხოთ დოკუმენტი, რომელშიც სწერია, ინგლისელები დიდი ბრიტანეთის კუნძულიდან აღმოსავლეთში უნდა იქნენ გასახლებული. ან ირონიის მეტი რა უნდა გამოიწვიოს ფაშისტური გერმანიისა და მისი სატელიტების დავამ „ღვეზელის“ (ეს საბჭოთა კავშირია მ. კ.) გასაყოფად. ი. ანტონესკუ „დიდი რუმინეთის“ შექმნაზე ოცნებობდა ჯერ ოდესამდე, შემდეგ ყირიმიამდე, ბოლოს კავკასიამდე. ფინელებმაც მოიგონეს „დიდი ფინეთი“ ურალამდე. მერე გერმანიამ შეუბღვირა „ღვეზელს“ ჩემი და როგორც მინდა ისე გავყოფო. ყირიმი მე თვითონ მინდა და როზენბერგმა მაშინვე მოიგონა ახალი სახელები ქალაქებისათვის: ფრიდრიხსჰაფენი, თეოდორისჰაფენი და სხვ. ბაქოს ნავთსაც ხომ არავის დაუთმობდნენ. აქ დიდი სამხედრო ბაზა უნდა შეექმნათ სადაც მხოლოდ სამხედროები იცხოვრებდნენ, მათი ოჯახებისათვის კი საქართველო იყო განკუთვნილი. ამისათვის ყველაფერი გერმანული პუნქტუალობით ჰქონდათ წინასწარ განსაზღვრული. მე თვითონ ვნახე დოკუმენტი გერინგის ხელისმწერით, სადაც ზუსტადაა აღნიშნული სოსუმის რაიონის რომელ სოფელში რა ჯიშის თამბაქო უნდა დათესილიყო.

ასეთ სიტუაციაში ბუნებრივია დაისვა კითხვა რა უნდა ექნათ ადგილობრივი მოსახლეობისათვის? ასეთი რამ ხომ არ ახსოვს ისტორიას? არც რამე ტერმინი არსებობს გერმანულ ლექსიკონში ამის განმოსახატავად. მაგრამ ეს არაფერი! სამაგიეროდ არსებობს ისეთი „ფილოსოფიის“ როგორიც იყო ა. როზენბერგი. ის ხელად მოიგონებს ტერმინს „განახლება“. თუ რას ნიშნავს ეს, ამის განმარტებით ლექსიკონს ჰიმლერი და ფრანკი აღგენდნენ. მათ იცან, რომ „განსაკუთრებული მოპყრობა“—ფიზიკურად მოსპობას ნიშნავს. სა—მოთხის ემულონი“ — სიკვდილის ბანაკისაკენ გაგზავნას, „კრისტალური ღამე“ — ებრაელების დარბევას, „ღამე და ნისლი“ — ყმაწვილების გატაცებას, ისე რომ მშობლებმა ვერასოდეს ვერ გაიგონ სად არიან ისინი და სხვა. ამიტომ არც „განახლების“ გამოფრვა უჭირთ. იცან რომ აქაც მხოლოდ მოქმედებაა საჭირო, რაც მოსპობას ნიშნავს. ფრანკი უფრო გულახდილი იყო და აცხადებდა, როცა გავიმარჯვებთ პოლონელებს, უკრაინელებს და სხვა ამისთანა მაწანწალებს ვინც ამ ტერიტორიაზე დახვებება დაკეობდნენ სორცად ვაქცევთო. ამისათვის შენდებოდა ამდენი საკონცენტრაციო ბანაკები, რომ ტერმინი „განახლება“ სწორად განმარტებულიყო.

ასეთი გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარების მეთოდებზე გერინგი და ჰიტლერი ზრუნავდნენ „ჩვენ დაგეშილი ნავაზებივით უნდა ვიყოთ“ — ასწავლიდა გერინგი პოლიციელებს „ჩვენ უნდა ვძარცვოთ და ვძარცვოთ რაც შეიძლება ექვე-



ტურად“ — განაცხობდა ის. მაგრამ გერინგი ძარცვით როდი კმაცოფილდებოდა, ის მკვლელობისაკენ მოუწოდებდა და „ფიურერივით“ ათავისუფლებდა ყველას სინდისისა და პასუხისმგებლობისაგან. გერინგი გესტაპოელების მიტინგზე ამბობდა: „ყოველი ტყვია, გასროლილი ბოლიციელების რევოლვერით ეს ჩემი ტყვიაა, თუ ვინმე ამას მკვლელობას უწოდებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მე ვარ მკვლელი. მე გავეცი ასეთი ბრძანება, მე დავეთანხმე ამას, მე ვიღებ ჩემს თავზე პასუხისმგებლობას და არც მეშინია ამისი“.

როცა პროცესზე გერინგს ჰკითხეს, როგორ ამბობდით ასეთ რამეებსო, მან „აღიარა“ რომ მის გამოთქმებს საერთოდ აკლია „სალონური სინატიფი“, ისე კი გამარჯვებულებს არ ასამართლებენო — ინუგეშებდნენ ისინი თავს და მართლაც დაგვიწილი ნაგაზებივით დათარეშობდნენ სუვერენული სახელმწიფოების ტერიტორიებზე.

ნუთუ ყველაფერი ეს მართალია? მეკითხებოდნენ როცა ნიურნბერგიდან ახალი დაბრუნებული ასეთ ამბებს ვუყვებოდი ნაცნობ-მეგობრებს ან სტუდენტებს. ვატყობდი ბევრს არ სჯეროდა და ეს ჩემთვის სრულიად გასაგები იყო, რადგან ბევრი რამ მართლაც დაუჯერებელია და შეურაცხყოფელი, არა მარტო გერმანელებისათვის, არამედ საერთოდ ადამიანობის ცნებისათვის. ასეთ შემთხვევაში მე ყოველთვის მიგმართავდი ერთ დოკუმენტს, შესაძლებელია იურიდიული თვალსაზრისით არც ისე მნიშვნელოვანს. მაგრამ ლიტერატორისათვის მეტად საყურადღებოს. ამ დოკუმენტს მე დღემდე ვინახავ. ეს არის ერთი დამსჯელი ჯგუფის (sonderkomando) მეთაურის წერილი მეორისადმი. „შენ ბედი გაქვს — წერს ის და ყოველთვის ისეთ უბანზე ხვდები, რომ თავს გამოიჩინე ხოლმე. გავიგე შენ უკვე 95 ათასი კაცის ლიკვიდაცია მოგიხდენია, მე კი მხოლოდ 75 ათასისა მოვასწარი“. და შემდეგ: „ხანდახან ვფიქრობ რა იქნება, რომ ყველაფერი რასაც ჩვენ ვაკეთებთ, მოწინააღმდეგე გავიგოს! როგორ გამოიყენებენ ისინი ამას ჩვენს წინააღმდეგ საბროპაგანდოდ. თუმცა რა სისულელეს ვამბობ! ეს მათ საბროპაგანდო მასალად არ გამოადგებათ, სულერთია მაინც არავინ დაიჯერებს, რომ შესაძლებელია ასეთი რამ მოხდეს“.

ასეა. არის დანაშაულობანი რომლის სიმძიმე შორდება ადამიანის ნორმალური წარმოდგენის ფარგლებს და საერთოდ კარგავს სინამდვილის სახეს.

სწორედ აქ იმალება მითისა და ალეგორიის აუცილებლობა. აქედანვე გამომდინარეობს ათასი ფუთი ბრალდების ალეგორიაც, რადგან ყველა დირექტივა, რომლის შედეგადაც მთელი ეს საშინელება ხდებოდა სულ რამდენიმე გრამ ქაღალდზეა დაწერილი.

მერე და რამდენი ასეთი გრამი იქნება იმ ათას

ფუთ დოკუმენტებში, რომლებიც წარმოდგენილი იქნა ნიურნბერგში, როგორც საბრალდებო მასალა? ან ყოველივე ამის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულთა ალეგორიული წონის განსაზღვრა ვის შეუძლია, თუ აქაც თემიდას მითიური სასწორი არ მოვიშველიეთ? ვერც პროცესის მასშტაბებს წარმოვიდგენთ ალეგორიის გარეშე, რადგან ასეთი პროცესი არ ახსოვს კაცობრიობის ისტორიას. არც საერთაშორისო სამართლისათვისა ცნობილი მსგავსი პრაქტიკა.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ თითქოს ექვსი სახელმწიფოს მიერ დანიშნულ სპეციალურ ტრიბუნალს უნდა გაესამართლებინა მთავარი გერმანელი სამხედრო დამნაშავენი: კაიზერი ვილჰელმ II, გენერლები ლიუდენდორფი, ჰინდენბურგი და სხვ. მაგრამ, ასე წარმოიდგინეთ, ბრალდებულებმა არ ისურვეს ეს. ვილჰელმ II ბელგიაში გაიქცა. მიუხედავად ანტანტის სახელმწიფოების მოთხოვნისა ბელგიის მთავრობამ არ გასცა თავისი „საპატიო სტუმარი“. არც გენერლები გამოცხადდნენ სასამართლოში და კაცმა რომ თქვას, არც შეუწუხებიათ ისინი. პირიქით ჰინდენბურგმა პრეზიდენტის პოსტიც დაიკავა და თავის მემკვიდრედ ავსტრიელი ევრეიტორი ადოლფ შიკლგრუბერი (ჰიტლერი) დაუტოვა გერმანულ ხალხს.

ამჯერად სურათი შეიცვალა და მოკავშირეთა გადაწყვეტილებით მეორე მსოფლიო ომის 22 მთავარი სამხედრო დამნაშავე სპეციალური ტრიბუნალის წინაშე წარსდგა. ამათ „დაკომპლექტებასაც დრო მოუწდა. ვაკანტური დარჩა ჰიტლერის, გებელსის, ჰიმლერის და სხვათა ადგილები, რომელნიც თვითმკვლელობით განერიდნენ პასუხისმგებლობას. რობერტ ლეიმ უკვე ციხეში მოახერხა ამავე გზით დაედღწია თავი მართლმსაჯულებისათვის. იყო აგრეთვე ცნობილი მრეწველის „ზარბაზუნების მეფის“ გუსტავ-კრუპის კანდიდატურაც, მაგრამ ის სადღაც ავსტრიის ალპებში იწვა ავადმყოფი და სპეციალურ საერთაშორისო სამედიცინო კომისიას, რომლის შემადგენლობაში როგორღაც მეც მოგხვდი, როგორც სამხედრო წარმომადგენელი, მოუხდა მისი ჯანმრთელობის შემოწმება. ამისათვის ნიურნბერგიდან მანქანებით გავედით, მიუხედავად გავიარეთ, დამე ზალცბურგში გავათენეთ, ჰიმლერის ყოფილ სახლში და მეორე დღეს შევედგეთ ალპებს. ჩაუარეთ ჰიტლერის რეზიდენციას ბერჰეტესგადენში და მივედით სოფ. ბლიუნზასში, სადაც ლეიმ გვგვგვდა კრუპის მეუღლე ბერტა, რომლის სახელსაც პირველი მსოფლიო ომის დროს ატარებდა მსხვილფაღობიანი ზარბაზანი.

კომისიამ დაადასტურა კრუპის ავადმყოფობა და ისიც გამოაკლდა მთავარ სამხედრო დამნაშავეთა სიას.

ამის შემდეგ დავა ატყდა მარტინ ბორმანზე.

რომელიც დაპატიმრებული არ იყო, მაგრამ გადაწყვიტეს მისი დაუსწრებელი გასამართლება. ამრიგად მთავარ სამხედრო დამნაშავეთა პირველ სიაში შეტანილ იქნა 22 ბრალდებული.

ზოგს ჰგონია, რომ ნიურნბერგში მხოლოდ ამ 22 კაცს ასამართლებდნენ. ეს ასე არ არის. ყველასათვის ცხადი იყო, რომ იმ მასშტაბის დანაშაულობებს, რაზედაც ლაპარაკი გვექონდა მარტო 22 კაცი ვერ შესძლებდა. ამიტომ მათთან ერთად საბრალდებო სკამზე ნ ორგანიზაცია დასვეს: იმპერიის მთავრობა, ნაცისტური პარტია, არმიის სარდლობა, SS, SA და SD. ცხადია არა რიგითი წევრები, არამედ განსაზღვრულ საფეხურიდან დაწყებული მეთაურები. ამან 10 მილიონზე მეტი კაცი შეადგინა. ამათში არ იგულისხმებიან სინდისისა და პასუხისმგებლობიდან გათავისუფლებული ჯარისკაცები, რომლებიც აწიოკებდნენ დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობას, არც მათი მუშაღმნი ფრონტზე რომ წერდნენ: „ვიღლი, ძვირფასო გამომიგზავნე სურათები როგორ ხოცავთ პარტიზანებს“. „არც ისინი ვინც ოსვენციმსა და მაიდანეკში დახოცილთა ტანისამოსს ინაწილებდა და სისხლს რომ შეინშნავდა პროტესტს წერდა, რატომ წინასწარ კარგად არ ასუფთავებთ.

ყველაფერი რომ ანგარიშში ჩაეგდოთ სად წავიდოდა? ან ყველა რომ იურიდიულად თუ მორალურ სამსჯავროს წინაშე დაეყენებინათ, ვინც ამას იმსახურებდა, რომელი პროცესი შეძლებდა ამისათვის თავის გაართმევას. ისედაც ვამბობთ ნიურნბერგის პროცესის რეალური მასშტაბებით წარმოდგენა შეუძლებელიაო. რაკი ასეა ისევ ალევგორიას მიგმართოთ და ვაჟა-ფშაველას ფანტაზიაც მოვიშველიოთ.

ერთ-ერთ მოთხრობაში ვაყი გვიამბობს თავის „მამა-პაპურ“ დარბაზზე, რომლის გამჭვრეტლული კედლები და უზარმაზარი თავხეები გონების ძალით ჯერ კიდევ ნაწილობრივ განათებულ ქვეყნის ალევგორიას წარმოადგენს. ამ დარბაზში შემოდის ზღაპრული სილამაზის ქალი — ჭეშმარიტების გასწილი სახე, რომელშიც თავმოყრილია „ისტორიული მთელი ქვეყნისა“, ან „მშვენიერება მთელი პლანეტისა“. შემოდის... და „თითქოს თაფლი იღვრებო, ისე მსუბუქად ჯღებდა სამფეხზე“.

დარბაზი მაშინვე განათდება... მისი კედლები განზე იწვევენ და „მთელ ქვეყნიერებას მოიცავენ“, სადაც კეთილი და ბოროტი ძალები ებრძვიან ერთმანეთს.

ახლა წარმოიდგინეთ ნიურნბერგის იუსტიციის სასახლის მართლაც ნახევრად ჩაბნელებული დარბაზი, რომელშიც შემოდის მართლმსაჯულების ქალ-ღმერთი თემიდა თავის სასწორით ხელში და ჩვეულებისამებრ თვალახვეული ჯდება ტრიბუნალის სპეციალურ მაღალზურგიან სკამზე.

დარბაზი უცებ ნათდება. მისი კედლებიც განზე იწვევენ და მთელ ქვეყანას მოიცავენ. მარცხნივ გამოჩნდება 21 ბრალდებული (ბორმანს დაუსწრებლად ასამართლებდნენ მ. კ.), რომელთაც თავზე თეთრმუზარადიანი ამერიკელი სამხედრო პოლიციელები ადვანან ხელკეტებთ. მათ წინ — შავ მოსასხმელებში გახვეული დამცველები და მათი თანაშემწენი, ხოლო ამფითატრში — 250 კორესპონდენტი მსოფლიოს ყველა კუთხიდან.

ყოველივე ეს რეალობა და უბრალო თვალითაც კარგად ხსანს, მაგრამ თუ გონების თვალთ დაეკვირდებით ბრალდებულთა შორის ვნახავთ არა მარტო 21 დამნაშავეს ან 10 მილიონ მათ თანამონაწილეს, არამედ მილიონობით სხვებსაც ვინც მათ ხელს უწყობდა და აქეზებდა. დამნაშავეთა უკან გამოჩნდება 22 მილიონი მსხვერპლი ვინც თავიანთი არარსებობის სიბნელიდან მოსჩერებთან სასამართლოს და მოითხოვენ მართლმსაჯულებას. ბრალდებულებს შორის დავინახავთ ას მილიონამდე იმათ მშობლებს, დებს და ძმებს ვინც ამ ომმა შეიწირა. ისინიც მოითხოვენ მსჯავრდადებას, იქნებ შურისძიებასაც. მოსამართლეთა შორის ჩადგება ქალღმერთი თემიდა, საერთაშორისო სამართალი და ყველა ვისაც ოდესმე მართლმსაჯულების კვერთხი აღუმართავს. ამფითატრში კი 250 კორესპონდენტთან ერთად იქნება დღიამიწის დანარჩენი მოსახლეობა, რომელიც დღი ინტერესით ადევნებს თვალყურს პროცესის მსვლელობას და ფიქრობს თავის მომავალზე.

ეს კიდევ არაფერი. ალევგორია უფრო გაიზრდება თუ იმ 22 მილიონ დაღუპულის 44 მილიონი ჩაბნელებული თვალი მიაჩერდება დანარჩენ მსოფლიოს და იკითხავს: თქვენ სად იყავითო როცა ეს ხდებოდა? ხომ შეიძლება იყოს ყველამ სამსჯავროს წინაშე იკრძინა თავი; თუ იურიდიულისა არა მორალურის მიხედვით. ყოველ შემთხვევაში თავს ვერავინ აარიდებს ამ კითხვებზე პასუხს. ბევრი არც მოისურვებს ამას, პირიქით, სიამაყით იტყვის „ჩვენ ვიბრძოდითო“ და მართლმსაჯულების წინაშე ჩაივლიან უთვალავი ღვეგიონები მილიონებისა ვისი სახეებიც გაბრწყინებულია ამ დღიად გამარჯვებით, ჩაივლიან კოლონები იმათიც, ვინც ხნავდა და თესავდა ან ქარხნებში სჭედდა მათ გამარჯვებას. მაგრამ იმათ რა ქნან ვინც ღაჩრულად იმახდა ეშმაკსაც წაუღია ყველაფერი ოღონდ მე გადავჩე ცოცხალიო, ან ფრანგ რენეგატ მწერალ ქან ქიონოსავით „ფილოსოფოსობდა“ — ცოცხალი გერმანელი მირჩვენია მკვდარ ფრანგო? (პერიფრაზი სენტენციისა: ცოცხალი ძალდი მირჩვენია მკვდარ ლომს მ. კ.). სად წავლენ კვისლინგები, პეტენები, ღვაღლები და მილიონები საკუთარი ხალხის ინტერესების გამყიდველების ან გულგრილებისა, ვანზე გამდგარი

რომ უყურებდნენ ევროპის შუაგულში დატრიალებულ ტრაგედიას?

მერე რომ ვილაყამ დაიძახოს, მოსამართლენი ვინდა არიანთ პასუხი რა იქნება? სხვადასხვაგვარი. ზოგი წელში გაიმართება და ამაყად იტყვის: ვინც იმთავითვე აფრთხილებდა ევროპას რომ ჰიტლერი — ომია. ვინც თავიდანვე აწარმოებდა ანტიფაშისტურ ბრძოლას, ვინც ამ ომში უდიდესი მსხვერპლი გაიღო, გაიმარჯვა და გაათავისუფლა ერები ფაშიზმის მონობისაგან. მაგრამ სხვებმა რა თქვან ვინც წლების მანძილზე მხარს უჭერდა და აქეზებდა ჰიტლერულებს, ვინც მათ მისცა საშუალება დაერღვინათ ყველა სერთაშორისო ხელშეკრულება და ეთარეშათ ევროპაში? ხომ იყო მიუნჰენი და ისიც რამდენჯერ? ჰიტლერისათვის რომ ხელი არ მოემართათ ის ხომ ვერ შესძლებდა ასეთი ძლიერი სამხედრო მანქანის შექმნას, რაც მას ვერსალის ხელშეკრულებით ჰქონდა აკრძალული?

ისტორია მოითხოვდა და ეხლაც მოითხოვს ამ კითხვებზე პასუხს, რადგან ეს წარსული კი არ არის დღევანდელობაა. დღესაც იგივე პრობლემაში დგას ევროპისა და მსოფლიოს წინაშე. რევანშისტები არც ახლა ცხრებიან. გუშინდელი ჰიტლერი ისევ იარაღს აქადარუნებს. სასჯელისაგან გათავისუფლებული ნაცისტები ახალ გეგმებს აწყობენ და ემუქრებიან მეზობელ სახელმწიფოების და ყველას, ვინც მათ ტერორქვეშ ყავდათ დაყენებული.

ნიურნბერგის პროცესი დიდი გაფრთხილებაა მათთვის, მაგრამ ყველა როდის იღებს ამას ყურად. ამიტომ პროცესი ფაქტიურად ჯერ არ დამთავრებულა... ჯერაც ბევრია მსჯავრდებული, მაგრამ დროზე ადრე გათავისუფლებული ჰიტლერი, ისევ ომზე რომ ოცნებობს. ოცნებობს კი არა მოქმედებს კიდევ. მათ ახლაც ბევრი მხარის დამჭერი ყავს, წამქეზებლებიც... ისტორია თითქოს მეორდება, მაგრამ ხალხები ახლა უფრო ფხიზლად არიან. თუ სხვებს მოკლე მესხიერება აქვთ, ისინი მაინც არ იფიწყებენ ხალხთა დიდ სამსჯავროს ნიურბერგში და მის გამაფრთხილებელ მნიშვნელობას.

ამიტომ არის, რომ დღემდე არ ქრება ინტერესი ნიურნბერგის პროცესისადმი. იწერება წიგნები, მემუარები, ქვეყნდება პროცესის მასალები, დოკუმენტები. ყოველივე ეს განუზომელია, ძნელად წარმოსადგენი. მე უკვე გესაუბრეთ ათასი ფუთი დოკუმენტის შესახებ. წარმოიდგინეთ ყოველივე ამის თარგმან ფრანგულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. მერე მათი გამარავლება სამასამდე ეგზემპლარად, ასეული ათასი გვერდი დაკითხვის ოქმებისა, ოთხასი ათასამდე წერილობითი ჩვენება, ორი ამდენი ანოტაცია ჩვენებისა, მათში აღრიცხული დანაშაულობანი, ძალა მათი მტკიცებისა. განუზომელი ძალა ამ ათასი ფუთი

ბრალდებისა იმაშია, რომ წინასწარ დაკითხვებზე არ იყო თითქმის არც ერთი კითხვა დასმული, რომელზეც უარყოფითი პასუხის შემთხვევაში ბრალდებულების წინაშე არ დაედოთ დოკუმენტი, რომელიც მაშინვე ნიღაბს ახდიდა მას.

განაცხადეთ თუ არა ამა და ამ თათბირზე ესა და ეს? — ეკითხებიან გერინგს.

არა — უპასუხებს ის.

მაშინ მას აძლევენ სტენოგრაფიულ ანგარიშს იმ თათბირისა გერმანული სიზუსტით შესრულებულს და დამოწმებულს.

გერინგი სდუმს, ან თარგმანში უზუსტობას ეძებს.

განუცხადეთ თუ არა ეს იაპონიის ელჩს?

რიბენტროპი ხელით იწვევს მაღლა ქუთუთოებს და ამბობს არაო. იქვე მაგნიტის ფირზე ჩაწერილ საუბარს ასმენინებენ მას, რომელზეც ეს საუბარია თვითონ მის მიერ ჩაწერილი და რიბენტროპი ხელს უშვებს ქუთუთოებს.

მე არასოდეს არ ვყოფილვარ საკონცენტრაციო ბანაკში და არც არაფერი გამიგია ამის შესახებ — აცხადებს შირახი. მას უჩვენებენ გერმანელების მიერ გადაღებულ ფილმს, რომელზეც აღბეჭდილია როგორ ათვალიერებს შირახი საკონცენტრაციო ბანაკს, მის მომწამვლელ კამერებსა და კრემატორიუმს.

ფრანკმა ყველაფერი უარყო, არაფერი არ ვიცო, არაფერი არ მახსოვსო. წინ 42 ტომი თავისი დღიურებისა დაუდეს და მოაკონეს როგორ იღწვოდა ის, რომ პოლონეთში 2 მილიონი კაცი მაინც გაეჭლიტა, მისი მოღვაწეობის პირველივე ეტაპზე.

„ცხადია მე არ შემძლია ერთი წლის განმავლობაში მთლიანად მოვსო ტილები და ემბრალები, მაგრამ თქვენი დახმარებით ეს მიზანი მიღწეული იქნება“ — გამოუცხადა მან თავის თანამშრომლებს როცა პოლონეთის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზე დაინიშნა. ფრანკმა მერე ხელი მიჰყო პოლონეთის ინტელიგენციის გაუქმებას, რაც მისთვის „მჭამელთა ზედმეტი კატეგორიის მოსობას“ ნიშნავდა, ხოლო 3 წლის მოღვაწეობის შემდეგ განაცხადა „როგორ გაეხარებდა ფურერის როცა მოვახსენებ, რომ 5 მილიონი კაცი უკვე გავამგზავრე საიქიოს.“

და ასე ნაბიჯ-ნაბიჯ ყველას ხდიდნენ ნიღაბს. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ უკვე არც ერთ ბრალდებულს არ შეჰქონდა ეჭვი ამ დანაშაულებრივი ფაქტების სისწორეში, სამაგიეროდ ყველა უარყოფდა პირად მონაწილეობას „ამ მართლაც შემადიწუნებელ ამბებში.“

მაშ ვინ ჩაიდინა ყოველივე ესო რომ ჰკითხეს, ჰიტლერმაო — ერთხამად მიუგო ყველა ბრალდებულმა. ერთი კაცი ამდენ დანაშაულს როგორ ჩაიდინდაო, რომ თქვეს, ჰიტლერთან ერთად გებელსი, ჰიმლერი, ჰაიდრიხი და სხვები დაასახელეს. მაინც შეეცვდნენ, რაღა მაინც და მაინც ისინია დამნა-

შვე ვინც უკვე ცოცხალი არ არის, დანარჩენი კი მამა აბრამის ბატონებით და ის იყო 22 მთავარი სამხედრო დამნაშავე და 6 ორგანიზაცია დასვეს საბრალდებო სკამზე. დანარჩენები სხვა სასამართლოების წინაშე უნდა წარმდგარიყვნენ.

20 ნოემბერს გაიხსნა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის პირველი სხდომა. მანამდე წინასწარი დაკითხვის დროს მხოლოდ 8 მთავარი სამხედრო დამნაშავე მყავდა ნანახი — გერინგი, ჰესი, კაიტელი, რიბენტროპი, როზენბერგი, პაპენი, ნეირატი და ფრანკი, ყველა ერთად კი დღეს პირველად უნდა მენახა. დარბაზში საერთო მღვლავარებაა. უმრავლესობა განსაკუთრებით კორეს-პონდენტები პირველად ნახავენ მათ და აი, შემოყავთ ისინი. წინ ყოფილი რაიხსმარშალი გერინგი მოდის, ჰიტლერის დროს მას პირველობა არ ეღირსა; სამაგიეროდ მისმა ფიურერმა საბრალდებო სკამზე მთავარი სამხედრო დამნაშავე № 1-ის ადგილი დაუთმო თავის „კანონიერ“ მეგვიდრეს.

ვერ იქნა და ვერ გაძღა თანამდებობითა და ქონებით, „ხორცისა და ძვლის ეს მასივი რომელსაც ბუნების შეცდომით ადამიანი ერქვა“ მოიერეშთა უმაღლესი სარდალი, ესეცელთა გენერალი, რაიხსტაგის პრეზიდენტი, პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრი, პრუსიის პოლიციისა და საიდუმლო პოლიციის უფროსი, პრუსიის სახელმწიფო საქმეთა თავმჯდომარე, ოთხწლიანი გვემის რწმუნებული, იმპერიის ავიაციის მინისტრი, სამხედრო საპატიო ძალების მთავარსარდალი, სახელმწიფო თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე, საიდუმლო საბჭოს წევრი, კონცერნ „ჰერმან გერინგის“ მეთაური და ჰიტლერის მეგვიდრე. ერთ დროს მის უზარმაზარ სხეულზე ადგილი არ იყო დარჩენილი ორდენებისა და მედლების ჩამოსაკიდებლად. მან არ ისურვა არმიაში მიღებული ფორმა. სპეციალური მუნდირი მოიგონა თავისთვის და სამხედროთა დასაცინავად ავიაციის გენერალი კავალერისტებით ატარებდა დეზებს.

აურაცხელი იყო მისი ქონება. თავის სასახლეებში ის ოქროს აბაზანებს აკეთებდა, კედლებზე კი ევროპის მუზეუმებში ნაძარცვი სურათები ჰქონდა გამოფენილი. როცა მის მიერ „შეგროვილი“ კოლექცია შეაფასეს, ასტრონომიული ციფრი გამოვიდა. გერინგის სიხარბის ერთ დამახასიათებელ მაგალითს მოვიყვებით: უკვე ნიურნბერგში თქვეს, იტალიაში, გერმანიის საკონსულოში აღმოჩნდა გერინგის პირადი სიფიფი. ამახ საერთო ყურადღება მიიპყრო და სიფიფი გაუხსნელად ნიურნბერგში ჩამოიტანეს. ოთხმა მხარემ ოთხი წარმომადგენელი გამოყო მის გასასინჯად. საბჭოთა მხრიდან ეს „პატივი“ მე მერგო. გამოვედი დარბაზში და ოთხ მხარეს დავდექით ამერიკელი, ინგლისელი, ფრანგი და მე. ირველივ კორესპონდენტები და ცნობისმოყვარე თანამშრომლები დად-

გნენ. სიფიფი შემოიტანეს და დარბაზის ცენტრში, დადგეს. შემდეგ სპეციალისტები შემოვიდნენ და გასნეს. მარტო წერილები აღმოჩნდა, ოთხივე წარმომადგენელი შევედევით ამ წერილების კითხვას და ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. როცა დავადგინეთ, რომ სამოცამდე წერილი გერინგის მიერ მიწერილი რომელიღაც კონსულსადმი ეხებოდა მხოლოდ ერთ საკითხს — იტალიური ვილის რაც შეიძლება უფრო იაფად შესყიდვას ან სულ უფასოდ ხელში ჩავგვებას.

გერინგს ჰკითხეს, ნუთუ იმის დრო გქონდათ რომ ამდენი წერილები გეწერათ ასეთ საკითხებზე?

— მეურნეობის საკითხებს მე ყოველთვის დიდ ყურადღებას ვაქცევდო.

ახლა მას ისევ ცისფერი მუნდირი ჰკიდია ტანზე, გაძარცული ყოველგვარ სამკაულებისაგან და ჯდება მართლმსაჯულების წინაშე. თუმცა ესეც ბედის დაცინვაა. ჯერ კიდევ 1933 წლის 3 მარტს გერინგი ამბობდა: „მე არ ვაპირებ მართლმსაჯულების დაცვას. ჩემი ამოცანაა მხოლოდ ნგრევა და მოსპობა, მეტი არაფერი“. სხვა დროს ის ქადაგებდა: „ჩემი საქმე მართლმსაჯულების დაცვა კი არ არის, არამედ მისი აღმოფხვრა“. ახლა კი თავის დამცველთან ერთად ისიც იქექება მართლმსაჯულების კოდექსებში, რომ მისთვის სარგო რამ აღმოაჩინოს, მაგრამ ასეთი რამ არც ერთ კანონმდებლობაში არ არის გათვალისწინებული.

მერე რუდოლფ ჰესი მოდის — ჰიტლერის მოადგილე. მისი ნახვა ბრალდებულებსაც კი აინტერესებს, რადგან 1941 წლიდან რაც ის ინგლისში გაფრინდა არც მის კოლეგებს უნახავთ. ამიტომაც შემოსვლისთანავე ესალმებიან მას. ის კი არავის უყურებს. ხელში რაღაც ბულგარული რომანი უჭირავს, ჯდება თავისთვის და იწყებს კითხვას. როცა ჰესი ინგლისში გაფრინდა, გაგოქდაო — გამოაცხადეს. შემდეგ მან წლების მანძილზე დივერსიული მოლაპარაკება აწარმოა ინგლისის მთავრობის წევრებთან, რამდენჯერმე შეხვდა საგარეო საქმეთა მინისტრს, მაგრამ როცა ნიურნბერგში ჩამოიყვანეს ისევ „სიგიჟე“ გაიხსენა და სცადა ობსტრუქცია მოეწყო პროცესისათვის. არ დაუჯერეს, სიმულაციააო — განაცხადეს საერთაშორისო სამედიცინო კომისიის წევრებმა — საბჭოთა კავშირისადმი. ერთი თვე ასე იჯდა ჰესი პროცესზე, მერე ხელი ასწია, სიტყვა მოითხოვა და დამცველის საშუალებით განაცხადა, რომ არაფერი გიჟი არ არის და დღეიდან ჩააბან პროცესში, რადგან თავს სრულიად ნორმალურად გრძნობს. მან საჯაროდ მადლობა გადაუხადა მის ექიმს, რომელმაც მხარი დაუჭირა „სიგიჟის“ სიმულაციას.

კაიტელს მარშლის კვერთხი არ უჭირავს, თორემ ისე სამხედრო „შემართება“ არ აკლია, არც სხვა სამხედროებს. სამაგიეროდ ძლივს მოდის

რიბენტრობი... სხვები ვინ როგორ. იციან რომ სურათებს უღებენ და სწორდებიან ან შავ სათვალეებს იფარებენ...

აქ არიან სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწენი, სამხედროები: სახმელეთო ჯარების ავიაციის და ფლოტის წარმომადგენლები კაიტელი, იოდლი, დენიცი, რედერი, დიპლომატები: რიბენტრობი, ნეირატი, პაპენი, თეორეტიკოსები: როზენბერგი, შტრაიხერი... და სხვა და სხვა. გარდა „პროფესიული“ დანაშაულისა, მკვლელობებსა და არაადამიანურ საქციელში ყველას ედება ბრალი. მართალია, კაიტელი ჰიმლერი არ არის, ის ბირადად არ ხოცავდა და არც უყურებდა ასეთ სცენებს, მაგრამ ამის საწყისის ის იძლეოდა. მისი ფელდმარშლები კი ბრძანებას სცემდნენ — დახვრეტა ჩვენი შტაბიდან 200 კილომეტრის დაშორებით აწარმოეთ. არ უნდოდა ეს „უსიამო ამბები“ მათ ყურებს მისწდომოდა.

რიბენტრობი მოითხოვდა ევროპის სახელმწიფოებში ებრაელობის დაუყოვნებლივ ლიკვიდაციას. „ეს ჯენტლმენების ომი კი არ არის, არამედ ომი მოსპობაზე“ — ამბობდა ის. ყოფილმა საჯარეო საქმეთა მინისტრმა ბარონ-ფონ ნეირატმა კი როცა ჩეხისა და მორავიის პროტექტორად დანიშნა ასეთი კანონი გამოსცა: „პასუხისმგებლობა მპოტაჟის ცალკეულ ფაქტებზე ეკისრება არა მარტო დამნაშავეებს, არამედ მთელ ჩეხ მოსახლეობას. ეს იმას ნიშნავს, რომ პერსონალურად ისევე არა მარტო დამნაშავე, არამედ უდანაშაულოც“. თუ რას ნიშნავს ასეთი კანონის გამოცემა პრაქტიკულად, ამის გასაგებად საკმარისია ერთადერთი საშინელი სიტყვა, რომელმაც შეაძრწუნა მთელი კაცობრიობა:

ლიდცი! — სადაც რამდენიმე საათის განმავლობაში გერმანელებმა ალყა შემოარტყეს მთელ მოსახლეობას, დახვრიტეს ყველა გამოუკლებლივ, სახლები გადასწვეს, ტერიტორია ტრაქტორით გადახნეს და წაივინდნენ.

თეორეტიკოსი როზენბერგი ხომ საბჭოთა კავშირის დროებით ოკუპირებული ტერიტორიების უმადლესი კომისარი იყო და მის სინდისზეა მთელი ის საშინელებანი რაც იქ ხდებოდა...

ასე ყველა. მათ სახელმწიფოს აგრესულ პოლიტიკაში მარტო კი არ ედებათ ბრალი, არამედ ასეთ სისხლიან საქმეებში, გამოუკლებლივ ყველას, პოლიტიკოსი და, სახმედრო, დიპლომატი, თეორეტიკოსი თუ სამეურნეო მოღვაწე. ათასი ფუთი ბრალდება ყველას აწევს კისერზე.

საბრალდებო აქტი რომ წაუკითხეს და ჰკითხეს სცნობენ თუ არა თავს დამნაშავედ, უმრავლესობამ უპასუხა არაო, ზოგმა — არ ვცნობ იმ აზრით, როგორც საბრალდებო აქტშიაო, ზოგმა არავითარ შემთხვევაშიო. ჰესმა აქაც ორიგინალური პასუხი მოიგონა: „თავს ვცნობ დამნაშავედ „მხოლოდ ღმერთის წინაშე“.

თორმეტ საათზე რომ შესვენება გამოცხადდა დერეფანში გამოვედით. მე ყურადღება მივაქციე ერთ ბელგიელ კორესპონდენტს, რომელიც განსაკუთრებულად ადვლეგული სჩანდა... ხან ერთს მივარდებოდა, ხან მეორეს და რაღაცას ეკითხებოდა. ის ისე გავდა ერთ ქართველ მწერალს, რომ ძალაუნებურად ჩემი ყურადღებაც მიიპყრო. ეს იმანაც შენიშნა და უცებ მომვარდა.

— გამარჯობათ, ძალიან სასიამოვნოა, პირველად ველაპარაკები საბჭოთა ოფიცერს, რომელ ენაზე გსურთ ლაპარაკი? — ეს ისე სწრაფად მომყარა, რომ ვერაფერი ვუპასუხე, ან საბასუხო რა მქონდა, მაგრამ უხერხულ მდგომარეობიდან ისევე მან გამომიყვანა:

— ერთი კითხვა მაქვს, ყველას ამას ვეკითხები, მაგრამ ვერაფერ მიპასუხა გარკვევით. ლაიფცივის პროცესი ვაგიგონიათ ალბათ? რაისხტაგის დაწვის გარემო, აი, დიმიტროვს რომ ასამართლებდნენ...

— დიხ გამიგონია...

არც მათქმევინა რამე ისე წამიყვანა კუთხისკენ და ისევე საბასუხით განაგრძო:

— მე ვიყავი იმ პროცესზე. მაშინაც კორესპონდენტად ვმუშაობდი. როცა სასამართლოში გერინგი შემოვიდა, როგორც მოწმე და მთელი თავისი ორდენებით და მედლებით მორთული ამაცად დაღვა ტრიბუნაზე, მე ვერ მოვიტოვინე და დავიყვირე:

— ბატონო გერინგ! დღეს თქვენ სასამართლოში გამოცხადდით როგორც მოწმე, მაგრამ მე მოვესწრები იმ დღეს, როცა საბრალდებო სკამზე გიხილავთ!

— ერთი ამბავი ატყდა. მე დარბაზიდან გამაძვეეს. მეორე დღეს ყველა გაზეთმა აღნიშნა ეს ინციდენტი, ალბათ თქვენც წაიკითხეთ მაშინ ამის შესახებ. დიდი სკანდალი მოსდა.

ეს მართლაც ცნობილი ფაქტი იყო და მეც მახსოვდა, რომ ამის შესახებ ჩვენი გაზეთებიც წერდნენ მაშინ.

— ასლა ხომ ხედავთ რომ მართლაც მოვესწარი — განაგრძო მან — თავს ვერ ვიკავებ, მინდა წამოვდგე და ისევე მივაძახო:

— ბრალდებულ გერინგ! გახსოვთ ჩემი გაფრთხილება ლაიფცივის პროცესზე!... მაგრამ შეშინია ისევე არ გამაძვეინ. თქვენ როგორ გგონიათ გამაძვეებენ?

— რა ვიცი, ალბათ, ასეთი რამე ხომ აკრძალულია! — ვუპასუხე მეც ორჭოფულად.

— ახ, მაინც მინდა დავუძახო და გაიქცა. დარბაზში შეებრუნდით, მაგრამ ბელგიელ კორესპონდენტს გერინგისათვის არაფერი დაუძახნია.

ბრალდებულებს თავდაპირველად თავი ისე მოჰქონდათ, თითქოს თვითონ ყოფილიყვნენ ბრალდებულები. თქვენ რა უფლებით აპირებთ ამათ გასამართლებასო, ატყაბდებდნენ დამცველები. ესე-

ნი ხომ სუვერენული სახელმწიფოს წარმომადგენლებია და მათ შინაურ საქმეებში ჩარევის უფლება არა გაქვთ. ეს რომ არ გაუვიდათ — ახლა ლათინურ სენტენციებზე გადავიდნენ: Nullum crimen sine Jure — დანაშაულად არ ითვლება რაც კანონით ვათავალისწინებულად არ არის. აბა ვის შეეძლო კანონმდებლობაში ვათავალისწინებინა ის დანაშაულებანი რაც ჰიტლერებმა ჩაიდინეს. სამაგიეროდ მათ ტრიბუნალის წესდებაზე მიუთითეს. დამცველებმა აქაც „იხოვეს“ სვრელი. დანაშაული ადრეა ჩადენილი, ხოლო წესდება მერეა შედგენილი, კანონს კი უკუქვევითი ძალა არა აქვს. არც ეს ფანდი გავიდა. მაშინ უკანასკნელ ხავეს ჩაეჭიდნენ — საერთაშორისო სამართალი არ ითვალისწინებს სახელმწიფო დანაშაულზე ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას.

რისი იმედი ჰქონდათ ბრალდებულებს და მათ დამცველებს როცა ასეთ ფორმალურ მოსაზრებებს აყენებდნენ? დანაშაულობათა უპრეცედენტობის! ბრალმდებლებმა ყველაფერი გაისხენეს პროცესზე — ჩინგის ხანი, ტორკვემედა, დანტეს ჯოჯოხეთი, ინკვიზიცია, მაგრამ ჰიტლერელთა დანაშაულის მსგავსი არაფერი აღმოჩნდა ისტორიაში, არც კანონმდებლობა ითვალისწინებდა ასეთ საშინელებას. ამიტომ შეიქმნა ტრიბუნალის ახალი წესდება, რამაც უადრესად გაამდიდრა საერთაშორისო სამართალი. ამასიყაა ამ პროცესის დიდი ისტორიული მნიშვნელობა. მან უთუოდ გაზარდა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სამართლის ავტორიტეტი.

დაცვის ყოველგვარი ფორმალური მოსაზრებანი წალეკა ათასმა ფუთმა ბრალდებამ. პროცესზე რამდენიმე თვე გრძელდებოდა ამ საბრალდებო მასალების გამოქვეყნება... ახლა აქ ამ მოკლე სტატიაში ამაზე ლაპარაკი შეუძლებელია. ეს ყველამ იცის. 22 მილიონი მსხვერპლი მათ შორის ათი მილიონი, არა ომში დაღუპული, არაშეღმოკლული საკონცენტრაციო ბანაკებში. 7 მილიონი მონა ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან იძულებით მორეკილი, გერმანიის სამხედრო ქარხნებში სამუშაოდ, ასიათასობით დასახლებული ბუნქტები დაზარეული და გადამწყვრი — უამრავი კულტურული ძეგლებისა განადგურებული. ყოველივე ამის აღრიცხვა და განსაზღვრა შეუძლებელია... ევროპის დროებით ოკუპირებული ქვეყნების ეკონომიკა განადგურებულ იქნა. მართლ საფრანგეთი რომ ავიღოთ აქედან გაზიდეს 9759861 000 ფრანკის საქონელი. 18464000 ფრანკის სოფლის მეურნეობის პროდუქცია 257.020, 257024, 000 ფრანკის კერძო პირთა ქონება. გარდა ამისა ბანკს გადაახდევინეს 631, 866, 000, 000 ფრანკი „ჯარიმა“. რისი ჯარიმაც რომ იკითხოთ ვერცინ ვეტყვი. მე აქ მაგონდება ერთი კანონი, რომელიც ერთ დროს თურქებმა შემოიღეს ბალკანეთის მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებში. ამ,

ე. წ. „თურქი ბაშის“ კანონის მიხედვით თურქი თუ შვიდოდა რომელიმე მოსახლესთან მისთვის უნდა მიერთობოთ საქმელ-სასმელი. „სტუმარს“ კი უფლება ჰქონდა ფულადი ჯარიმაც გადაეხდებინა მასპინძლისათვის, აქო და უნდა საქმლის ჭამაში კბილები გამოეცვლა. იქნებ გერმანელებიც „კბილების გაცვეთის“ ჯარიმას ახდევინებდნენ ფრანგებს, თანაც ისეთი ცინიზმით, რომ ერთხელ გერინგს გულიც მოუვიდა როგორ ბედავს საფრანგეთის პრემიერ მინისტრი დავალი იმ რესტორანში შესვლას, სადაც გერმანელი ოფიცრები სადილობენო.

ეს საფრანგეთში! სხვაგან? ყველგან ასეთივე „დაგეშილი ნავაზების“ პოლიტიკა. საბჭოთა კავშირს ჰიტლერელებმა შეიდას მილიარდამდე მანეთის მატერიალური ზარალი მიაცანეს. ესეცელები და ვესტაპოელები განსაკუთრებით ჩვენს ტერიტორიაზე მძინვარებდნენ. აქ მოქმედებდნენ საგანგებო დამსჯელი ჯგუფები, შეიარაღებულნი „მკვლელობის“ უკანასკნელი ტექნიკით — „გაზვაგენებთ“, სულ 7 მილიონი იძულებითი მუშებიდან, მარტო საბჭოთა კავშირიდან წაყვანილი იყო 5 მილიონი.

ტრიბუნალი მოთმინებით ეცნობოდა ამ მასალებს. კითხულობდნენ დოკუმენტებს, აჩვენებდნენ ფილმებს, მათ შორის თვითონ გერმანელების მიერ გადაღებულს. მოქმედებდათ ბრალდების დამადასტურებელი მასალები... ნერვები თანდათან იძაბებოდა... ბევრმა ვერც შესძლო ბოლომდე გაძლება და შეეცვალეს... მაგრამ აი... ერთ დღეს დარბაზში შემოიტანეს გრაგნილები ცოცხალი ადამიანისაგან გამძვარელი ტყავისა, რომლისაგანაც წინის ყელბს, საფულეებს და ხელჩანთებს ამზადებდნენ, შემოიტანეს ადამიანის ქონისაგან დამზადებული საპნის ნაჭრები და რეცეპტები, ყუთებში ჩაწყობილი თმები, ფჩხილები, კბილები გერმანიაში გასავაზუნად. გამზადებული ოსვენციში. მოიტანეს ადამიანის ძვლების სამტვრევი მანქანის მოდელი. სამსჯავროს წინაშე წარადგინეს უამრავი სხვა შემადარწუნებელი მასალა — ადამიანური სისასტკისა და ცინიკური დანაშაულის მაჩვენებელი. როცა ადამიანის კანი გაშალეს მდივან ქალთაგან ვიდაცამ ვერ მოითმინა და იკივლა... ის გაიყვანეს დარბაზიდან. ბრალდებულებმა თვალბზე შავი სათვალეები აიფარეს...

— მე მრცხვნი, რომ გერმანელი ვარ — გამოსცრა კბილებიდან კაიტელმა, რომელმაც პასუხისმგებლობისაგან წინასწარ გაათავისუფლა მისი ჯარისკაცები ასეთი მოქმედებისათვის.

— ეს სულ იმ დროი ესეცელების საქმეა — ჩაიბურტყუნა რიბენტროპმა, რომელსაც „დავიწყდა“, რომ თვითონ ევლ SS-ის გენერალი იყო.

გერინგი მომდევნო აღარ იყურებოდა იმ დღეს, პირიქით, სახეს ხელით იფარებდა, რომ ვინმესთვის თვალი არ გაესწორებინა.

შემდეგ მოწმის მაგიდასთან დადგა ერთადერთი ებრაელი, რომელიც ამ პროცესზე გამოიძახეს, როგორც ათი მილიონი გაყვლილი რასის წარმომადგენელი.

მე არასოდეს დამავიწყდება ეს ფიზიკურად განადგურებული მოხუცი, რომელიც ნელა შემოვიდა დარბაზში, დადგა თავის ადგილას და იმის ნაცვლად, რომ დასმულ კითხვებზე ეპასუხა, მიუბრუნდა ბრალდებულებს და ერთხანს უყურებდა გაოგნებულმა. დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ბრალდებულებმა სცადეს თვალი აერიდებინათ მის დაქინებულ მზერისათვის, მაგრამ ამ შემთხვევაში შავი სათვალეებიც აღარ შეელოდა მათ...

ოჯახში თორმეტი ვიყავით — თქვა მან. თორმეტივე წაგვიყვანეს. ყველა დახოცეს ჩემს თვალწინ. დღეები ტყვიით, პატარები თავში კონდახის ჩარტყმით მე მაყურებინეს... მევე ჩამამარხვინეს მიწაში... თორმეტიდან ეს ერთი დავრჩი... და პა, დალიეთ ჩემი სისხლიც...

მეტი ვერაფერი თქვა ისე გაიყვანეს.

ახლა მოწმედ ფრანგი ქალი შემოვიყვანეს, ცნობილი მწერლის პოლ ვაინ კუტიურიეს მეუღლე — კლოდ მარი, საბატიო ლეგიონის ორდენის კავალერი. მუსტიტი შეკუმშული ჰქონდა, ტურნები მაგრად მოკუმული, მომნუსხველი გამოსხედა და ამაყი პოზა. იმდენი ბრაზი და რისხვა იყო მის თვალებში, რომ ტრიბუნალის თავმჯდომარე ლოურენსი იძულებული გახდა ამ შემთხვევაში ნაწილობრივ შეეცვალა საერთოდ მიღებული სავალდებულო ფიცის ტექსტი: «ფიცავ, რომ ვიტყვი სიმართლეს მხოლოდ სიმართლეს და არაფერს სიმართლის გარდა».

ლოურენსმა მიმართა მოწმეს:

გთხოვთ ჩემთან ერთად გაიმეოროთ ფიცის სიტყვები: «ფიცავ, რომ ყოველგვარი გაბოროტებისა და შურისძიების გრძნობის გარეშე ვიტყვი სიმართლეს, მხოლოდ სიმართლეს და სხვ...»

ამის შემდეგ კლოდ მარიმ სრულიად აუღელვებლად მოუთხრო ტრიბუნალს შემპირწუნებელი, მაგრამ გმირული ამბავი: ორასი ფრანგი ქალი გაიყვანეს თურმე საკონცენტრაციო ბანაკის ეზოში, გააშიშვლეს ყველანი და 10 გრადუს ცინვაში გააჩერეს ორი საათის განმავლობაში. ამის შემდეგ გამოუცხადეს, რომ «აბაზანებში» დეზინფექცია უნდა გაიაროთ.

ფრანგებმა იცოდნენ, რომ «დეზინფექცია» მომწამლავ კამერაში დახოცვას ნიშნავდა. დააწყვეს თუ არა რიგში კლოდ მარიმ დაიძახა: ჩვენ ვიცით, რომ უნდა მოგვწამლოთ და მერე დავგვვათ. არ გვენდა ასეთი სამარცხვინო სიკვდილი! ჩვენ ყველანი მზადა ვართ ცოცხლად წავიდეთ პირდაპირ კრემატორიუმისაკენ და მარსელიოზა წამოიწყო. ორასი ფრანგი ქალი მაშინვე აყვა მას. ისინი სიმ-

ღერით გაემართნენ კრემატორიუმისაკენ. გესტაპოელები აირიგნენ. კლოდ მარის ხელი სტაცეს და წაიყვანეს. სხვები ჯოხებით შერეკეს მომწამლავ კამერაში და მერე მათი გვაგები ბოლს გაატანეს კრემატორიუმში. როგორც განსაკუთრებული დამნაშავე კლოდ მარი სპეციალურ საწამებელ ბანაკში გაგზავნეს, სადაც გესტაპოს ჯოჯოხეთის ყველა სფერო მოატარეს, ვიდრე ინგლისის სასოგადოებრიობამ არ შეიტყო ეს ამბავი და დიდი კამპანია არ გააჩაღა მის გასათავისუფლებლად.

ის გადარჩა... და დადგა ნიურნბერგის ტრიბუნალზე, როგორც ცოცხალი ბრალდება.

მერე წამოვიდა ფილემბო... ოსვენციმი... მაინდანი... საბჭოთა ბრალდებლის მიერ წარდგენილმა მასალებმა შეაძრწუნა ყველა. რისი დანტეს ჯოჯოხეთი! ქვესკნელის მთელი პანდემონიმი ვერ მოიფიქრებდა ასეთ საშინელებებს... იქნება ანტიტომაც იყო ფრანგი მწერლის პოლ ვალერიის მეფისტოფელი რომ გაცნო ამგვარ დანაშაულობებს. შეეშინდა ჯოჯოხეთი არ წაგვიბილწონ დამიანებმაო და დაიძახა:

სამოთხეში, სამოთხეში ეს არამზადები!...

კაცობრიობას არ ახსოვს ესოდენ შემზარავი დანაშაულობანი და ისიც ასეთი ფართო მასშტაბით.

იმ დღეს მცე ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, თითქოს ნიურნბერგის დარბაზში დინჯად შემოვიდა «მოთავარი ბრალდებელი» იოჰან ვოლფგანგ გოეთე და გაიმეორა მის მიერ საუკუნე ნახევრის წინ თქმული წინასწარმეტყველური სიტყვები: «ერთხელაც იქნება და ბედისწერა დასჯის გერმანელ ხალხს, დასჯის იმიტომ, რომ მან უღალატა თავის თავს და არ სურს დარჩეს იმად, რაც არის. სამწუხაროა, რომ მას არ ესმის მომხიბვლელობა ქეშმარიტებისა, საზოგადოება, რომ იგი ასე აფასებს ნოსტს, კვამლს და გულისამრევ არაზომიერებას; სინანულის ღირსია, რომ იგი ემორჩილება ნებისმიერ ჭკუანაკლებ ვიგინდარას, რომელიც თამაშობს მის ყველაზე ქვედა ინსტიქტებზე, აქეზებს მის დანაშაულებრივ მიდრეკილებას და შთაავიგნებს, ნაციონალიზმი გაივოს როგორც რბევა და სისასტიკე».

ამაზე მეტი რა ითქმის! მართლაც სინანულის ღირსია, რომ გერმანელებმა უკუაგდეს გოეთესა და თავიანთი ერის სხვა გენიალური წარმომადგენლების შეგონებანი და ასე მასიურად დაუჭირეს მხარი ჰიტლერს, რომელმაც სწორედ რბევა და სისასტიკე დაუდო საფუძვლად თავის პოლიტიკას.

ასლა, რა თქმა უნდა ყველამ იცის, რომ ჰიტლერელების გაიგივება არ შეიძლება მთელ გერმანელ ხალხთან. მაშინაც ვიცოდით, რომ ასი ათასობით გერმანელმა ანტიფაშისტმა შესწირა თავი ნაცისტურ პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძო-



ლას, მაგრამ ყავისფერი ჭირი მაინც ისე ფართოდ იყო გავრცელებული, რომ ჩირქი მოსცხო მთელ გერმანულ ხალხს. დიდი გერმანელი მწერალი თომას მაინც წერდა, ვერც ერთი გერმანელი ვერ აიცდენსო დღეს ამ პასუხისმგებლობას. ეს გაფრთხილება ცუდი არ არის. იქნებ მეტიც იყოს საჭირო, თორემ ის რაც დღეს დასავლეთ გერმანიაში ხდება იმის მანიშნებელი არ არის, რომ მათ კარგად შეიგნეს ისტორიის მაგალითი და სწორი დასკვნები გააკეთეს ნიურნბერგის პროცესიდან.

ომის უკანასკნელ ეტაპზე, 1945 წლის გაზაფხულს როცა ჯერ კიდევ ხელი არ იყო მოწერილი კაპიტულაციამზე, გავიგონეთ გამთოქმა, „მესამე მსოფლიო ომი“. ამის შემდეგ მესამე ომის შესახებ არ წყდება ლაპარაკი. მთელი ომის მანძილზე არ შეჩერებულა საიდუმლო მოლაპარაკებანი გერმანელებსა და ჩვენს დასავლეთელ მოკავშირეებს შორის სეპარატული ზავის შესახებ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. დღევანდელი მათი პოლიტიკა ამავე ტენდენციას აგრძელებს.

ზოგიერთი რამ ჩემთვის მაშინ გაუგებარი იყო. არ ვიცოდი, ასე გულმოდგინედ რატომ მალავდნენ ინგლისელები და ამერიკელები დოკუმენტებს. როცა ქ. კასელში ინგლისის, ამერიკის და საფრანგეთის შეთანხმებით ერთიანი ცენტრი შეიქმნა ნადავლი დოკუმენტების გასარჩევად, მათმა მთავრობებმა მოითხოვეს საბჭოთა კავშირიც შეერთებოდა ამ საერთო ცენტრს. თუმცა ჩვენებისთვის კარგად იყო ცნობილი, რომ კასელში მხოლოდ დოკუმენტების ნაწილი იყო ჩატანილი, ხოლო უფრო მნიშვნელოვანი, სხვაგან ინახებოდა, მაგრამ მაინც გაიგზავნა კომისია ადგილობრივ შესამოწმებლად... მეც ვიყავი მაშინ კასელში გაგზავნილი და გამორიკვა, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დოკუმენტები იყო არა კასელში, არამედ მარბურგში, ხოლო არმიისა—ფლესბურგში. მიუხედავად ჩვენი მხარის რამდენიმე კატეგორიული მოთხოვნისა მე არ მომცეს მარბურგსა და ფლესბურგში შესვლის ნება.

პროცესზედაც ვაწყებოდით ასეთ გაუგებარ სეპარატულ მოქმედებებს. ინგლის-ამერიკელებს სპეციალური საიდუმლო ოთახი ჰქონდათ, სადაც რაღაც განსაკუთრებული მნიშვნელობის დოკუმენტებს ინახავდნენ. საბჭოთა დელეგაციის კატეგორიული მოთხოვნით მე დამიშვეს ამ ოთახში სამუშაოდ, მაგრამ კონტროლის დაწესება მაინც სცადეს. ჯერ უნდოდათ თავიანთ მთარგმნელი მოეხვიათ, რაზედაც განუცხადე, რომ მთარგმნელი არ მჭირია. მერე მოლობერტი ვიღაც ქალი შემომიგზავნეს, რომელსაც მაინცა და მაინც ამ

ოთახში მოუწადა ჩემი პორტრეტის დასახელება. უარი არ მითქვამს, რადგან ფაქტიურად ეს ხელს ვერაფერში შემიშლიდა. იმ ოთახის ოთხივე კედელი სავეს იყო მუყაოს ყდებით, რომლებშიც დოკუმენტები ინახებოდა. ამ ყდების შავ ყუაზე თეთრი ციფრებით იყო დაწერილი ნომრები.

როცა მოულოდნელად „მხატვარს“ თავზე დავადექი შევნიშნე, რომ თემბის ხატვის დროს იმ ნომრებს სწერდა წვრილად რომელ ნომრის დოკუმენტსაც ვიღებდი. ყურებამდე გაწითლდა, მაგრამ მაინც მადლობა ვუთხარი, არიომეტიკის მთელი სახელმძღვანელო დაგებატავთ მეთქი ჩემს თავზე.

მრავალი ასეთი. ზოგჯერ მათი წარმომადგენელი მოვიდოდა და განაცხადებდა: ჩვენ არ გვსურს ასეთი და ასეთი დოკუმენტი გამოქვეყნდეს... ვეთანხმებოდით რადგან დოკუმენტები საერთოდ თავსაყრილი იყო.

ახლა ჩემთვის ყველაფერი გასაგებია, რადგან პროცესის შემდეგ ბევრ რამეს აეხადა ფარდა. ვიცი რატომ არ უნდოდათ ჰესი შეეტანათ მთავარ სამხედრო დამნაშავეთა სიაში, რატომ ასე გულმოდგინედ იტავდნენ შახტს, ან რატომ არ აშუქებდნენ ცნობილ ჯაშუშის ალან დალესის ჯგუფის მოღვაწეობას ომის დროს შვეიცარიაში... და სხვ.

ათასმა ფუთმა ბრალდებამ მაინც თავისი გაიტანა და მთავარმა სამხედრო დამნაშავეებმა ღირსეული სასჯელი მიიღეს.

დანარჩენებს ნელ-ჩელა მოეშვენენ. მართალია, რამდენიმე წელი კიდევ მუშაობდნენ სასამართლოები და სჯიდნენ ჰიტლერელებს, მაგრამ შემდეგ თითქმის ყველანი გაათავისუფლეს ვადაზე ადრე. ყოფილი სამხედრო დამნაშავეების მნიშვნელოვანი ნაწილი დღესაც თავისუფლად განაგრძობს „მოღვაწეობას“ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

დასავლეთ ბერლინში ცნობილი ციხეა — შპანდაუ. ამ უზარმაზარ საპყრობილეში, რომელიც მთავარ სამხედრო დამნაშავეებისათვის იყო განკუთვნილი დღეს სრული სიცარილეა. მიუხედავად ამისა ყოველდღე იცვლება ოთხი სახელმწიფოს არმიების წარმომადგენლებისაგან შემდგარი მცველთა რაზმი მისი ალაყაფის კარებთან, რომლის იქით წის ერთადერთი სამხედრო დამნაშავე, 70 წელს გადაცილებული რუდოლფ ჰესი, რომელსაც ნიურნბერგის პროცესზე სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. დანარჩენი საკნები თავისუფალია და სტუმარმოყვარედ უცდის იმთა, ვისაც ნიურნბერგის პროცესმა ჭკუა ვერ ასწავლა.



რეკვიზიტები № 13

1968 წლის 28 ოქტომბერი

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ძონების გატაცების თავიდან ასაცილებლად  
სასამართლოების საქმიანობის გააქტიურების შესახებ

განიხილა რა მასალები იმის შესახებ, თუ რა საქმიანობას ეწევიან ყირგიზეთის სს რესპუბლიკის, ესტონეთის სს რესპუბლიკისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოები, რათა შეასრულონ კანონისა და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 31 მარტის დადგენილების „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ძონების გატაცების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ მოთხოვნა იმ ნაწილში, რაც შეეხება გატაცების ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოყოფასა და აღმოფხვრას, სასამართლო პროცესების აღმზრდელობითი როლის ამაღლებას და სხვა პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელებას, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმში აღნიშნავს, რომ სასამართლოები უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ თავიანთი საქმიანობის ამ მნიშვნელოვან მხარეს.

ამასთან ერთად, როგორც დავანახვა ზოგიერთი სასამართლოს მუშაობის შემოწმებამ, ღონისძიებანი, რომლებიც სორციელდება, ზოგჯერ საჭირო გავლენას ვერ ახდენენ გატაცებათა თავიდან აცილებაზე. ამას, კერძოდ, სერიოზულად უშლის ხელს საქმის გაჭიანურება, რაც ხშირად ხდება გატაცების საქმეთა განხილვის დროს, და სასჯელის ღონისძიებათა დანიშვნა ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების, დამნაშავის ვინაობისა და საქმეზე დადგენილი სხვა გარემოებების გათვალისწინებლად. არასაკმაო ყურადღება ექცევა აგრეთვე საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია განაჩენების აღსრულებასთან გატაცებით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების ნაწილში.

რიგ შემთხვევებში სასამართლო პროცესებს საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სასამართლო პროცესების გაშუქებას პრესაში და სხვა ღონისძიებებს სასამართლოები დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით იყენებენ მხოლოდ მას შემდეგ, როცა ესა თუ ის გატაცება ფართოდ გავრცელდა რაიონში, ქალაქში ან ოლქში. გამაფრთხილებელ ღონისძიებათა განხორციელების დროს მუდამ როდი ითვალისწინებენ

მატერიალური ფასეულობის მომეტებულ საზოგადოებრივ საფრთხეს დროის გარკვეულ პერიოდში ან სახალხო მეურნეობის მოცემული დარგისათვის, მაგალითად, მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის გატაცება და განიავება, ძვირფასი ნედლეულის მოპარვა მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში და ა. შ.

სასამართლო პროცესების მომზადებასა და ჩატარებას საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ზოგჯერ ფორმალურად ეკიდებიან. გამსვლელ სესიაზე განსახილველად საქმის დანიშვნის დროს მუდამ როდი ითვალისწინებენ მის საზოგადოებრივ მნიშვნელობას, გამაფრთხილებელ და აღმზრდელობით ზეგავლენას, რომელიც სასამართლო პროცესს სხვა მოქალაქეებზე შეუძლია მოახდინოს. საქმის განხილვა ხშირად ეწყობა საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობის გარეშე, აჩქარებულად, ისე, რომ პროცესს ესწრება მოქალაქეთა უმნიშვნელო რაოდენობა.

ზოგიერთი სასამართლო დღემდე არ ასრულებს მათზე კანონით დაკისრებულ მოვალეობას—გამომჟღავნოს და აღმოფხვრას დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზები და პირობები (რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 21-ე და 321-ე მუხლები და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების შესაბამისი მუხლები).

ყირგიზეთის სს რესპუბლიკის სახალხო სასამართლოებს ბევრ საქმეზე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გატაცებათა გამო არ გამოუმუდავენბიათ მიზეზები და პირობები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს გატაცებას; ასე მაგალითად, მოსავლის აღების პერიოდში მარცვლეულის გატაცების გამო მნიშვნელოვანი რაოდენობის საქმეთა გარჩევის დროს გამოტანილია მხოლოდ ერთი განსაკუთრებული დადგენილება.

ასეთივე ნაკლოვანებანია ესტონეთის სს რესპუბლიკის, ყაზახეთის სს რესპუბლიკის, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკისა და სხვა მო-

კავშირე რესპუბლიკების ზოგიერთი სასამართლო მუშაობაში.

სასამართლოებმა ვერ მიაღწიეს იმას, რომ მათ მიერ გამოტანილი ყოველი კერძო (განსაკუთრებული) დადგენილების გამო აღმოიფხვრას ამ დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი ამა თუ იმ ორგანიზაციის, საწარმოსა და დაწესებულების საქმიანობაში და მიღებული ღონისძიებების შესახებ ეცნობოს სასამართლოს. ასეთი მდგომარეობა იმის შედეგია, რომ ზოგიერთი სასამართლო სათანადო კონტროლს არ უწყევს მათ მიერ გამოტანილი კერძო (განსაკუთრებული) დადგენილებების შესრულებას.

კერძო (განსაკუთრებული) დადგენილებანი განხილულ კონკრეტულ საქმეებზე, აგრეთვე წარდგინებანი სასამართლო პრაქტიკის განვითარების მასალებზე ზოგჯერ ეგზავნებათ იმავე თანმდებობის პირთ, რომლებსაც თვითონ მიუძღვით ბრალი დარღვევებისათვის და არა ზემდგომ ორგანიზაციებსა და უწყებებს, რომლებიც უშუალო ხელმძღვანელობას უწყვენ იმ საწარმოსა და დაწესებულების მუშაობას, რომლის საქმიანობაშიც გამოუმუდგენებულა ნაკლოვანებანი.

კერძო (განსაკუთრებული) დადგენილებები ხშირად ზოგად, დეკლარაციულ ხასიათს ატარებენ; ამ დადგენილებებში არ არის აღნიშნული კონკრეტული გარემოებანი და პირნი, რომლებიც ხელი შეუწყვეს ფულადი სახსრების ან მატერიალური ფასეულობის გატაცებას. ასეთ დადგენილებებში საჭირო სიმწვავეთ არ არის დასმული გატაცების ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრის და დამწმენი პირთა პასუხისმგებლობის საკითხი.

ესტონეთის სს რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ გარჩია საქმე პილტსამაას რაიონული სამომხარებლო კავშირის სარეწაო კომბინატის „ტომოტას“ მუშაკების ვიკერის, ენუკისა და აროს მიმართ, რომლებმაც გაიტაცეს ძეხვეული და ხორცის სხვა პროდუქტები 6.408 მანეთის ოდენობით. საქმის მიხედვით დადგენილია, რომ გატაცებას ხელი შეუწყო ძეხვეულის დამზადების ტექნოლოგიური პროცესის სისტემატურმა დარღვევამ, ხორცის ხარჯის ნორმების გადიდება, მაცივრის საწყობში შემოსული ხორცის პროდუქციის აღრიცხვის არადასაკმაყოფილებელმა მდგომარეობამ. სარეწაო კომბინატის დირექტორი, მთავარი ინჟინერი და ბუღალტერი არა მარტო არ ახორციელებდნენ ღონისძიებებს ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, არამედ თავიანთი უღირსი ყოფაქცევით ხელს უწყობდნენ საწარმოში შრომის დისციპლინის გახრწნას და გატაცებას.

ესტონეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი სა-

სამართლო ამ საქმეზე გამოტანილ განსაკუთრებულ დადგენილებაში დაკმაყოფილებულა სარეწაო კომბინატის ხელმძღვანელთა და ქალაქვაჭარობის ცალკეულ მუშაკთა უღირსი ყოფაქცევის ფაქტების მხოლოდ დადასტურებით და იმის ნაცვლად, რომ მოეთხოვა ამ პირთა პასუხისმგებლობის მიცემა, დადგენილება გაუგზავნა სამომხარებლო კომბინატის ხელმძღვანელობასა და ქალაქვაჭარობის ცნობისათვის „შემდგომი შეცდომების თავიდან ასცილებლად“.

ყირგიზეთის სს რესპუბლიკის ტიან-შანის რაიონის სახალხო სასამართლომ 1963 წლის თებერვალში პროდუქტების მითვისებისათვის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა სასოფლო-სამომხარებლო საზოგადოების საჩაიეს მზარეულს ა. ი. მელნიკს. სასამართლომ დაადგინა, რომ მელნიკი, გარდა მითვისებისა, გაუნადგებლად აძლევდა პროდუქტებს ცალკეულ თანამდებობის პირებს. განსაკუთრებულ დადგენილებაში სასამართლომ არ დასვა საკითხი ამ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის შესახებ, და აღნიშნულის გამო მხოლოდ „აცნობა“ რაიონულ სამომხარებლო კავშირის თავმჯდომარეს.

სასამართლოები შესაბამისი ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების წინაშე იშვიათად სვამენ საკითხს იმის შესახებ, რომ პასუხისმგებლობის მიცემა თანამდებობის პირნი, რომლებიც არ იღებენ ზომებს სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველყოფისათვის იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომლებზედაც ადრე გაამახვილეს მათი ყურადღება. ვაწყდებით ფაქტებს, როცა სასამართლოები ლიბერალურად ეკიდებიან გამტაცებულთა ნებაზე მიშვებთ და მფარველთ.

სოციალისტური საკუთრების გატაცების თავიდან ასცილებლად მთლიანად როდი იყენებენ საზოგადოებრიობის ძალებს. ბევრი სასამართლო არასაკმარისად აბამს ამ მუშაობაში, სახალხო მსაჯულებს იმ დროს, როცა მსაჯულებსა და სახალხო მსაჯულთა საბჭოებს, რომლებიც შექმნილია უმეტეს სახალხო სასამართლოებში, შეუძლიათ ამაში დიდი დახმარება გაუწიონ სასამართლოებს. არ არსებობს სასამართლოების საჭირო კავშირი პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტებთან, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტების ხელშემწყობ ჯგუფებთან, რომლებიც შექმნილია საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში და სახლმმართველობებთან.

ზოგიერთი სასამართლო ახორციელებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცების თავიდან აცილების ღონისძიებებს პროკურატურისა და საზოგადოებრივი წესრი-

გის დაცვის სამინისტროების ორგანოებთან საჭირო კავშირის დაუწყებლად, რაც აქვეითებს ასეთ ღონისძიებათა ხარისხს და არ იძლევა სათანადო შედეგებს.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები, სამხარეო და საოლქო სასამართლოები საქირო დახმარებას არ უწევენ სახალხო სასამართლოებს სოციალისტური საკუთრების გატაცების თავიდან აცილების სამუშაოთა ორგანიზაციაში, არასაკმარისად აგრძელებენ დადებით გამოცდილებას. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს:

1. მითითება მიეცეთ სასამართლოებს, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცების თავიდან აცილება შეიძლება მხოლოდ მაშინ იყოს ეფექტური, თუ სასამართლოები დროულად გაარჩევენ ამ კატეგორიის საქმეებს, გამოიტანენ დასაბუთებულ განაჩენებს და დაუნიშნავენ ბოროტ გამტაცებლებს კანონით გათვალისწინებული სასჯელის მკაცრ ზომებს, დაადგენ ყველა პირს, ვისაც კავშირი ქონდა გატაცებასთან. კანონის ამ მოთხოვნათა შესრულება, დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოშვანების და აღმოფხვრის სხვა განხორციელებულ ღონისძიებებთან ერთად, უზრუნველყოფს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცებასთან ბრძოლას უფრო მეტი წარმატებით.

სასამართლოების საქმიანობა იმისკენ უნდა იქნეს მიმართული, რომ შეიქმნას ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც გარდუილი იქნება სასჯელი დანაშაულისათვის, საერთოდ აუტანელი იქნება არა მარტო თვით გამტაცებლების, არამედ აგრეთვე იმ პირთა არსებობა, რომლებიც თავიანთი უმოქმედობით ან სახალხო დოვლათის დაცვისადმი გულგრილი დამოკიდებულებით ობიექტურად ქმნიან ამ დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ პირობებს, ნებაზე უშვებენ დამნაშავეებს.

2. სასამართლოებმა მკაცრად უნდა დაიცვან რუსეთის სსრ რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების შესაბამისი მუხლების მოთხოვნები და სოციალისტური საკუთრების გატაცების ყოველ საქმეზე მიიღონ საჭირო ზომები, რათა რაც შეიძლება მთლიანად იქნეს დადგენილი დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზები და პირობები (დამატებითი მოწმეების გამოძახება, საბუთების გამოთხოვა და ა. შ.).

სასამართლოებმა რეაგირების გარეშე არ უნდა დატოვონ შემთხვევები, როცა საგამომ-

ძიებლო ორგანოები არ იცავენ კანონს (რუსურ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 21-ე და 68-ე მუხლები და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების შესაბამისი მუხლები) მოთხოვნებს დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი გარემოებების, მიზეზებისა და პირობების აუცილებელი დადგენის შესახებ. საჭირო შემთხვევებში ასეთი ფაქტების შესახებ უნდა ეცნობოს შესაბამის პროკურორებს და მიღებულ უნდა იქნეს ზომები ხარვეზის შესავსებად საქმის სასამართლო გარჩევის დროს. თუ მოკვლევა ან წინასწარი გამოძიება არსებითად არასრულა და ამ ნაწილში იგი არ შეიძლება შეივსოს სამსჯავრო სხდომაზე, რასაც შეუძლია გააძნელოს კანონიერი და დასაბუთებული განაჩენის გამოტანა, საქმე დაბრუნებულ უნდა იქნას დამატებითი გამოძიებისათვის.


3. სასამართლოებმა უნდა ამაღლონ მათ მიერ გამოტანილი კერძო (განსაკუთრებული) დადგენილებების ხარისხი. ამ დადგენილებებში უნდა აღინიშნოს კონკრეტული გარემოებანი, რომლებმაც ხელი შეუწყვეს დანაშაულის ჩადენას მოცემულ საწარმოში, ორგანიზაციაში, დაწესებულებაში ან სახალხო მეურნეობის გარკვეულ დარგში.

თუ დადგინდა, რომ არასწორად მოიქცნენ თანამდებობის პირნი ან ცალკეული მოქალაქენი, რომლებმაც თავიანთი უმოქმედობით ან სოციალისტური საკუთრების დაცვისადმი გულგრილი დამოკიდებულებით ხელი შეუწყვეს ან ნებაზე მიუშვეს, რომ მომხდარიყო გატაცება, სასამართლოებმა უნდა დასცან საკითხი ასეთ პირებისადმი საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენების შესახებ, ხოლო საჭირო შემთხვევებში — სისხლის სამართლის ან დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

მატერიალურ-პასუხისმგებელ პირთა თანამდებობრივი დანაშაულის საქმეთა გარჩევის დროს სასამართლოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ბუნებრივი დანაკლისის ჩამოწერის, ნედლეულის ხარჯის ნორმების გამოყენების დასაბუთებას, აგრეთვე იმ სხვადასხვა სახის დანაკლისთა წარმოშობის მიზეზებს, რომლებითაც ხშირად იფარება სოციალისტური საკუთრების გატაცების ფაქტები.

4. მითითება მიეცეთ სასამართლოებს, რომ სოციალისტური საკუთრების გატაცების თავიდან აცილების დროს უფრო მეტი გამოიყენონ საზოგადოებრიობის ძალები.

უფრო ხშირად უნდა მოეწეოს სოციალისტური საკუთრების გატაცების საქმეებზე სასამართლო პროცესების შედეგების, აგრეთვე ასეთ საქმეებზე გამოტანილი კერძო (განსაკუთ-



რებულო) დადგენილებების განხილვა საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებში, სადაც ჩადენილია დანაშაული.

წინადადება მიეცეთ სასამართლოებს უფრო მჭიდრო კავშირი დაამყარონ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის შესაბამის კომიტეტებთან და პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტების ხელშეწყობა ჯგუფებთან, რომლებიც შექმნილია საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში და სახლმმართველობებთან.

5. წინადადება მიეცეთ სასამართლოებს მოახდინონ სასამართლო პრაქტიკის განვითარება სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში გატაცებათა, ხერხისა და გავრცელების გათვალისწინებით (მაგალითად, მოსავლის აღების კამპანიის დროს საწყობებში, ელევატორებზე, საფქვავი მრეწველობის საწარმოებში მარცვლეულის გატაცების საქმეებზე, მსუბუქი, კვების მრეწველობისა და სხვ. საწარმოებში მატერიალური ფასეულობის გატაცების საქმეებზე). განხორციელდეს ღონისძიებანი, იმისათვის, რომ აღმოიფხვრას შეცდომები და ნაკლოვანებანი სასამართლოების მიერ კონკრეტულ საქმეთა გარჩევაში, აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნას გატაცებით მიყენებული მატერიალური ზარალის ყველაზე უფრო სრული ანაზღაურება.

გატაცების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის განვითარების დროს იმ მიზნით, რომ უფრო სრულად და ღრმად გამომუდგნდეს ნაკლოვანებანი ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების საქმიანობაში, საჭირო შემთხვევებში უნდა მოიწვიონ მეცნიერი მუშაკები. იმის შესახებ, რომ აღმოიფხვრას გამოვლინებული მიზეზები და პირობები, რომლებმაც გატაცებას ხელი შეუწყვეს, შესაბამის ორგანიზაციებსა და უწყებებში უნდა შეიტანონ წარდგინებანი, რომლებშიც შემტებისამებრ უნდა აღინიშნოს წინადადება ასეთი მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრის კონკრეტულ ღონისძიებათა შესახებ.

6. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესმა სასამართლოებმა, სამხარეო საოლქო და რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლოებმა დაწესონ სათანადო კონტროლი, რათა საწარმოების, ორგანიზაციებისა და

დაწესებულებების ხელმძღვანელებმა შესრულდეს მოთხოვნები კანონისა, რომელიც ეყრდნობა მათ მოვალეობას განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც აღნიშნულია კერძო (განსაკუთრებულ) დადგენილებებსა და წარდგინებებში, და ამის შესახებ აცნობონ სასამართლოს (რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მ21 მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების შესაბამისი მუხლები).

წარდგინებებისა და კერძო (განსაკუთრებული) დადგენილებების აღსრულებისადმი კონტროლის განხორციელების დროს სასამართლოებმა უფრო ფართოდ უნდა ჩააბნას სახალხო მსაჯულები, იმ საწარმოებებისა და დაწესებულებების საზოგადოებრიობა, რომლებშიც გამოვლინდა ნაკლოვანებანი სახალხო ღოვლათის დაცვაში.

7. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესმა სასამართლოებმა, სამხარეო და საოლქო სასამართლოებმა საკასაციო და ზედამხედველობის წესით საქმეთა განხილვის დროს, აგრეთვე სასამართლოების საქმიანობის შემოწმების დროს მეტი ყურადღება უნდა მიექციონ იმას, რომ სასამართლოებმა შეასრულონ კანონის მოთხოვნა გატაცების ხელშეწყობი მიზეზებისა და პირობების გამომუდგნების და აღმოფხვრის შესახებ, და თითოეულ შემთხვევაში, როცა ეს მოთხოვნა არ სრულდება, მიექციონ სასამართლოების ყურადღება იმაზე, რომ მათ მიერ დაშვებულია რუსეთის სხვ რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მ21-ე მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების შესაბამისი მუხლების დარღვევა.

8. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი კვლავ აქცევს ყურადღებას, რომ უნდა განიღვენოს პრაქტიკიდან სასამართლოს მუშაობის შეფასება დანაშაულის თავიდან აცილების განხორციელებულ ღონისძიებათა მხოლოდ რაოდენობის მიხედვით, მიღწეული შედეგების გაუთვალისწინებლად და უნდა დამყარდეს ამ საქმიანობის უფრო მჭიდრო კოორდინაცია პროკურატურისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროთა ორგანოებთან.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ბ. ზღრპინი,  
სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი ბ. ეფანოვი.



დ ე რ გ ე ნ ი ც ე ბ ა № 14

1963 წლის 28 ოქტომბერი

სასამართლო პრაქტიკის უმაღლესი სასწავლებლის, აბარაკაპინსა და სხვა ნაგებობების აუნაწავადობის ჩამორთმევის საქმეებზე, რომლებიც მოქალაქეებმა არასრომიტი უამოსავლით ააშენეს ან შეიძინეს

განხილვა რა მასალები, სადაც განუყოფად-ბულია პრაქტიკა იმის შესახებ, თუ როგორ იყენებენ სასამართლოები მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმების ბრძანებულებებს იმ სახლების, ავარაკებისა და სხვა ნაგებობების აუნაწავადობის ჩამორთმევის შესახებ, რომლებიც არასრომიტი შემოსავლით არის აშენებული ან შეძენილი, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი აღნიშნავს, რომ სასამართლოები თავიანთი საქმიანობით აქტიურად უწყობენ ხელს იმას, რომ აღიკვეთონ და შეეძლონ არ იქნეს დაშვებული ასეთი ანტისაზოგადოებრივი მოქმედებანი ცალკეულ მოქალაქეთა მხრივ.

ამათან ერთად დასახლებული ბრძანებულებების გამოყენების სასამართლო პრაქტიკაში არსებობდა სერიოზული ნაკლოვანებები და შეცდომები. ზოგიერთ სასამართლოს მხედველობიდან ეპარებოდა, რომ ბრძანებულებების მოთხოვნათა თანახმად აუნაწავადობლად უნდა იქნეს ჩამორთმეული, როგორც ის ნაგებობანი, რომლებიც მოქალაქეებმა არასრომიტი შემოსავლით ააშენეს ან შეიძინეს, ისე ის ნაგებობანიც, რომლებიც სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა თუ სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახსრების უკანონო გამოყენების გზით ააშენეს.

ხელთა აქვთ რა დასახუთებული, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ შემოწმებული მასალები იმის შესახებ, რომ ცალკეულმა მოქალაქეებმა ნაგებობანი ააშენეს ან შეიძინეს უკანონოდ ნაშოვნი სახსრებით, სასამართლოები, რიგ შემთხვევებში, არასწორად ამბობდნენ უარს ასეთი ნაგებობების აუნაწავადობლად ჩამორთმევაზე. ამასთან ერთად ზოგიერთი სასამართლო იღებდა დადგენილებებს მოქალაქეებისათვის ნაგებობების ჩამორთმევის შესახებ მაშინ, როცა არ არსებობდა ან არსებობდა იმის არასაკმარისი დამამტკიცებელი საბუთები, რომ ეს ნაგებობანი არასრომიტი შემოსავლით იყო აშენებული ან შეძენილი.

ცალკეულ შემთხვევებში ართმევდნენ უმნი-

შენელო ფასის მქონე ძველ ნაგებობებს ან ნაგებობათა ნაწილს.

ამ შეცდომებს უშვებენ, როგორც მასალების არასათანადო სასამართლო შემოწმების გამო, ისე იმის შედეგად, რომ არასრომიტი შემოსავალს მიაკუთვნებენ მოქალაქეთა ისეთ შემოსავალს, რომელიც მათ მიიღეს მართლზომიერად, თავიანთი შრომით და საქმიანობით, რაც კანონების დარღვევასთან არ არის დაკავშირებული.

სამსჯავრო სხდომაზე განსახილველად ხშირად ინიშნებოდა მასალები, რომლებზედაც მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ შექმნილ კომისიას არ მოუხდენია იმ გარემოებათა გულმოდგინე და ყოველმხრივი შემოწმება, რომლებიც ადასტურებენ იმას, თუ რამდენად დასახუთებულია ნაგებობების აუნაწავადობის ჩამორთმევის საკითხის დაყენება სასამართლოს წინაშე. ამ მასალებში ზოგჯერ არ იყო ისეთი მონაცემებიც კი, როგორიცაა: ნაგებობის შეძენის ან აშენების დრო, შემოსავლის რა წყაროები ჰქონდა მესაკუთრეს იმისათვის, რომ აეშენებინა ან შეეძინა ნაგებობა, რას წარმოადგენს ეს ნაგებობა და რა ღირებულებისა იგი.

პრაქტიკაში ისეთი ფაქტებიც კი იყო, როცა სასამართლოები თავიანთ წარმოებაში იღებდნენ მასალებს, რომლებზედაც კომისიის დასკვნები არ განუხილავს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომს, მაშინ როცა ასეთი მასალები უნდა დაებრუნებინათ სათანადო გაფორმებისათვის და საჭირო შემთხვევებში დამატებითი შემოწმებისათვის.

ამ კატეგორიის საქმეების გარჩევის დროს სასამართლოები ზოგჯერ ახდენდნენ საქმის გამარტივებას, პროცესუალურ უფლებებს უზღუდავდნენ საქმეში მონაწილე პირთ, კანონის საწინააღმდეგოდ საქმეებს არჩევდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა დაუსწრებლად, არ უზრუნველყოფდნენ მასალების ყოველმხრივ შემოწმებას სამსჯავრო სხდომაზე, ცუდად ასახუთებდნენ თავიანთ დადგენილებებს.

იღებდა რა დადგენილებებს ნაგებობების

აუნაზღაურებელი ჩამორთმევის შესახებ, ზოგიერთი სასამართლო ერთდროულად არ იხილავდა საკითხს იმის შესახებ, რომ ნაგებობის ყოფილი მებატრონისა და მასთან მცხოვრები პირებისათვის აყვარა გასხვისებულ ნაგებობაში საცხოვრებელი ფართობით სარგებლობის უფლება და ამიტომ იძულებული იყო, რიგ შემთხვევებში, კვლავ გადაეჭრა ეს საკითხი ცალკე პროცესზე.

ადგენდნენ რა ნაგებობების მესაკუთრეთა დანაშაულებრივი მოქმედების ნიშნებს იმ ნაგებობების აუნაზღაურებელი ჩამორთმევის შესახებ მასალების განხილვის დროს, რომლებიც შექმნილია ან აშენებულია არაშრომითი შემოსავლით, სასამართლოები, ბრძანებულებების საწინააღმდეგოდ, ამ მასალებს ყოველთვის როდი გადასცემდნენ პროკურორს გამოძიების ჩასატარებლად.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესმა სასამართლოებმა, სამხარეო, საოლქო სასამართლოებმა ვერ უზრუნველყვეს სათანადო კონტროლი იმისადმი, თუ როგორ ირჩევა სახალხო სასამართლოებში მასალები იმ ნაგებობების ჩამორთმევის შესახებ, რომლებიც არაშრომითი შემოსავლით არის შექმნილი, ისინი სუსტ გავლენას ახდენენ იმ შეცდომებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე, რომლებიც სასამართლოებმა დაუშვეს, არ ახარციებდნენ ღონისძიებებს ამ საქმეთა გარჩევასა და დადგენილებათა აღსრულებაში გაჭიანურების ფაქტების აღმოსაფხვრელად.

არასაკმარისად განაზოგადებენ ბრძანებულებების გამოყენების პრაქტიკას, შესაბამისი ორგანოების წინაშე იზვიათად აყენებენ საკითხებს, რომლებიც მიმართულია იმისაკენ, რომ ზუსტად აღსრულდეს კანონმდებლობა იმ სახლების, აგარაკებისა და სხვა ნაგებობების აუნაზღაურებელი ჩამორთმევის შესახებ, რომლებიც არაშრომითი შემოსავლით არის შექმნილი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს:

1. მიეცეს სასამართლოების ყურადღება იმას, რომ სწორი გამოყენება მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების ბრძანებულებისა იმ სახლების, აგარაკებისა და სხვა ნაგებობების აუნაზღაურებელი ჩამორთმევის შესახებ, რომლებიც მოქალაქეებმა არაშრომითი შემოსავლით ან სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულების, კოლმეურნეობებისა თუ სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახსრების უკანონო გამოყენების გზით ააშენეს ან შეიძინეს, ყველა სასამართლო ორგანოს დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა, რომლის შესრულებითაც

ისინი მოწოდებული არიან აღკვეთონ იმ ცალკეულ მოქალაქეთა ანტისაზოგადოებრივი მოქმედებანი, რომელნიც არაშრომით შემოსავალს იღებენ და სახალხო სახსრებს უკანონოდ იყენებენ თავიანთი ანგარებითი ინტერესებისათვის, აგრეთვე თავიდან აცილონ ასეთი მოქმედებანი.

2. მითითება მიეცეთ სასამართლოებს, რომ მათ მკაცრად შეასრულონ მოთხოვნები ბრძანებულებებისა იმ სახლების, აგარაკებისა და სხვა ნაგებობების აუნაზღაურებელი ჩამორთმევის შესახებ, რომლებიც მოქალაქეებმა ააშენეს ან შეიძინეს, როგორც არაშრომითი შემოსავლით, ისე სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახსრების უკანონო გამოყენების გზით.

ამ საქმეების გარჩევის დროს სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ მშრომელთა დებუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომიდან შემოსული მოქალაქეებისათვის ნაგებობების აუნაზღაურებელი ჩამორთმევის შესახებ მასალების, აგრეთვე ყველა სხვა დამამტკიცებელი საბუთის, რომლებიც საქმეში მონაწილე პირებმა წარმოადგინეს, გულმოდგინე და ყოველმხრივი გამოკვლევა.


წარმოდგენილ მასალებზე სასამართლომ უნდა მოისმინოს ნაგებობის მებატრონის განმარტებანი, ხოლო თუ საქმეში მონაწილეობს აგრეთვე მისი წარმომადგენელი — საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა აზრი და პროკურორის დასკვნა.

თუ სასამართლოში წარდგენილი მასალები არასრულია, მაშინ ეს მასალები უნდა დაუბრუნდეს მშრომელთა დებუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომს მითითებით, თუ რა გარემოებანი უნდა გამოირკვეს ან შემოწმდეს.

3. რჩევა მიეცეთ სასამართლოებს პერიოდულად შეისწავლონ ამ კატეგორიის საქმეთა გარჩევის პრაქტიკა; სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ ბრძანებულებების სათანადო შესრულება, თავის დროზე განახორციელონ ღონისძიებანი შეცდომების აღმოფხვრისა და მათი თავიდან აცილებისათვის.

4. განმარტება მიეცეს სასამართლოებს, რომ: ა) ნაგებობების აუნაზღაურებელი ჩამორთმევის საქმეებს არჩევენ სამოქალაქო სასამართლო წარმოების წესით იმ ცალკეული გამონაკლისებით, რაც დადგენილია მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით;

ბ) მასალები იმ სახლების, აგარაკებისა და სხვა ნაგებობების აუნაზღაურებელი ჩამორთმევის შესახებ, რომლებიც მოქალაქეებმა არა-



შრომითი შემოსავლით ააშენეს ან შეიძინეს, უნდა გაარჩიოს რაიონის, ქალაქის სახალხო სასამართლომ აღნიშნული ნაგებობის სამყოფელი ადგილის მიხედვით;

ბ) კანონმდებლობა სახლების, აგარაკებისა და სხვა ნაგებობების აუნაწლურებელი ჩამორთმევის შესახებ უნდა გამოიყენონ იმ შემთხვევებშიც, როცა ნაგებობები კაპიტალურად აღადგინეს არაშრომითი შემოსავლით ან სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა თუ სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახსრების უკანონო გამოყენების გზით;

დ) წყვეტს რა საკითხს იმის შესახებ, რომ ნაგებობის ყოფილ მებატრონესა და მასთან მცხოვრებ პირებს მოესპოთ გასხვისებულ სახლში საცხოვრებელი ფართობით სარგებლობის უფლება, სასამართლო მოვალეა გამოარკვიოს ამის შესახებ იმ ორგანიზაციის აზრი, რომელსაც სახლი გადაეცემა; იმ შემთხვევებში, როცა ყოფილ მებატრონესა და მასთან მცხოვრებ პირებს მოესპოთ გასხვისებულ სახლში საცხოვ-

რბელი ფართობის ნაწილით სარგებლობის უფლება სასამართლომ თავის დადგენილებაში კონკრეტულად უნდა მიუთითოს, რომელი საცხოვრებელი ფართობია ჩამორთმეული;

მ) კანონით გათვალისწინებულ შემრხვევებში მესაკუთრისათვის ჩამორთმეულ სახლებიდან საცხოვრებელი ფართობის დამკირავებელთა გამოსახლების საკითხი უნდა გადაიჭრას სასარჩელო წესით.

ნ) რჩევა მიეცით სასამართლოებს, რომ ნაგებობების აუნაწლურებელი ჩამორთმევის ყველაზე მეტად დამახასიათებელი საქმეები გაარჩიონ ამ ნაგებობების მებატრონეთა სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ვ) ნაგებობების აუნაწლურებელი ჩამორთმევის თაობაზე მასალების გარჩევის დროს სასამართლოები მოვალენი არიან განიხილონ საკითხი იმის შესახებ, თუ რა გარემოებებმა შეუწყო ხელი ამა თუ იმ პირის ანტისაზოგადოებრივ მოქმედებას და საჭირო შემთხვევაში გამოიტანონ კერძო დადგენილებანი ამ გარემოებათა აღმოფხვრის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ბ. ზორბინი,  
სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი ბ. მუხანგვი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის

რეკომენდაცია № 16

1963 წლის 28 ოქტომბერი

სასამართლო პრაქტიკის უმსახვა ზიანის ანაწლურების სარჩელთა გამო


სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებმა, რომელიც სამოქმედოდ შემოღებულია 1962 წლის 1 მაისიდან, მნიშვნელოვნად გააფართოვა პასუხისმგებლობის საფუძველი ორგანიზაციის ან მოქალაქისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 2 ოქტომბრის ბრძანებულებამ „საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის მათ სამუშაოსთან დაკავშირებული დასაზიანებელი ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაწლურების თაობაზე დავის განხილვის წესის შესახებ“ და ამ ბრძანებულების შესაბამისად გამოცემულმა წესებმა, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის და პროფე-

სიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 22 დეკემბრის დადგენილებით, არსებითი ცვლილებები შეიტანეს იმ ზიანის ანაწლურების თაობაზე დავის გადაჭრის წესში, რომელიც დამუშავების ბრალით მოუვიდა დაზღვეულ მუშაკს მის მიერ თავისი შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულების დროს.

სასამართლო პრაქტიკაში ზემოაღნიშნული კანონმდებლობის სწორი და ერთგვაროვანი გამოყენების მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმში ადგენს მიეცეს სასამართლოებს შემდეგი განმარტებანი:

1. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 88-მე მუხლებში მოცემული ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ ზიანის მიყენებისა და სოციალისტური ქონების გადარჩენის გამო წარმოშობილ გარემოებებს, გამოიყენება მხოლოდ



იმ სამართლებრივ ურთიერთობათა მიმართ, რომლებიც წარმოშობილია საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების შემდეგ, ესე იგი 1962 წლის 1 მაისიდან. 1962 წლის მაისამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე საოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლები გამოიყენება იმ უფლებებისა და მოვალეობების მიმართ, რომლებიც წარმოშობილია საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების შემდეგ.

საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის მათ სამუშაოსთან დაკავშირებული დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესები, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტისა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 22 დეკემბრის დადგენილებით და სამოქმედოდ შემოღებულია 1962 წლის 1 იანვრიდან, გამოიყენება 1962 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობათა მიმართ.

1962 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე აღნიშნული წესები გამოიყენება იმ უფლებებისა და მოვალეობების მიმართ. რომლებიც წარმოშობილია წესების სამოქმედოდ შემოღების შემდეგ.

2. საოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 88-95 მუხლების წესები არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როცა ხდება ზიანის ანაზღაურება, რომელიც მოხასუხემ მიაყენა ხელშეკრულებით ნაყირო ვალდებულებათა შეუსრულებლობის შედეგად ან რომელიც წარმოიშვა კანონით გათვალისწინებულ სხვა საფუძველზე. ამ შემთხვევებში პასუხისმგებლობა ზიანისათვის უნდა განისაზღვროს ან მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად (საფუძვლების 36-38 მუხლები), ანდა იმ კანონის წესებით, რომელიც მოცემულ სამართლებრივ ურთიერთობას არეგულირებს.

3. საოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 88-ე მუხლის თანახმად ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობა დგება იმ დროს, როდესაც ზიანი მიყენებულია ბრალეული მოქმედებით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც სპეციალურად გათვალისწინებულია კანონით.

საფუძვლების 88-ე მუხლის მესამე ნაწილის წესი ვრცელდება როგორც იმ შემთხვევებზე, როცა დამზღვევა ზიანი მიაყენა თავის დაზღვეულ მუშაკს, ისე იმ შემთხვევებზეც, როცა ზიანის მიმყენებელი არ არის დაზარალებულის დამზღვევი, მათ შორის მანქანაც, როცა ზიანი დაუზღვეველ პირს მიაყენეს.

საფუძვლების 88-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად ორგანიზაცია პასუხს არ აგებს ზიანისათვის, რომელიც მიყენებულია თუნდაც მისი მუშაკების ბრალით, მაგრამ არა მათ მიერ თავიანთი შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.


4. საოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 89-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც აწესებს სახელმწიფო დაწესებულებათა პასუხისმგებლობის საერთო საფუძვლებს ზიანისათვის, რომელიც მიყენებულია მათი თანამდებობრივი პირების არასწორი მოქმედებით აღმინისტრაციული მმართველობის დარგში (საფუძვლების 88-ე მუხლი), შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ასეთი ზიანი მიაყენეს მოქალაქეებს. ზიანისათვის, რომელიც თანამდებობის პირებმა ასეთი მოქმედებით მიაყენეს ორგანიზაციებს, მათ შორის აგრეთვე კოლმეურნეობებს, სახელმწიფო დაწესებულებების პასუხისმგებლობა განისაზღვრება სპეციალური კანონით.

საფუძვლების 89-ე მუხლი არ ვრცელდება აგრეთვე იმ შემთხვევებზე, როცა ზიანი მიაყენეს სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაკებმა, რომლებიც თანამდებობის პირები არ არიან, ასევე იმ შემთხვევებზე, როცა ზიანი მიყენებულია თანამდებობის პირთა მოქმედებით, რაც აღმინისტრაციული მმართველობის დარგიდან არ გამოდინარეობს. აღნიშნულ შემთხვევებში მუშაკების მიერ მიყენებული ზიანისათვის სახელმწიფო დაწესებულება პასუხს აგებს საფუძვლების 88-ე, 90-92 მუხლების წესით.

5. საოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 88-ე მუხლისაგან განსხვავებით, რომლის თანახმად ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება მისი ანაზღაურებისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანი მისი ბრალით არ ყოფილა მიყენებული, საფუძვლების 90-ე მუხლი აწესებს, რომ ორგანიზაციები და მოქალაქენი, რომელთა საქმიანობა გარეშე მყოფთათვის მომეტებულ საფრთხესთანაა დაკავშირებული, ვალდებული არიან ანაზღაურონ მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანი, თუ ვერ დაამტკიცებენ, რომ ზიანი წარმოიშვა დაუძლეველი ძალის ან დაზარალებულის განზრახვის გამო.

მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელად მიჩნეულ უნდა იქნეს ორგანიზაცია ან მოქალაქე, რომლებიც ექსპლუატაციას უწევენ მომეტებული საფრთხის წყაროს, როგორც მისთვის მიკუთვნებული საკუთრების უფლების ან ოპერაციული მართვის უფლების ძალით, ისე სხვა საფუძვლებით (მაგალითად, საიჯარო, ქირავნობის ხელშეკრულებით, ან მინდობილობით, აგრეთვე კომპეტენტური ორგანოების განკარგულების ძალით, რათა ორგანიზაციას ღრობით სარგებ-





ლობაში გადაეცეს მომეტებული საფრთხის წყარო).

მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელად არ ჩაითვლება და ზიანისათვის დაზარალებულის წინაშე პასუხს არ აგებს პირი, რომელიც მართავს მომეტებული საფრთხის წყაროს ამ წყაროს მფლობელთან შრომითი ურთიერთობის ძალით (შოფერი, მემანქანე, დაზვიის მუშა და სხვ.).

მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელი პასუხს არ აგებს ამ წყაროს მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის, თუ დამტკიცებს, რომ აღნიშნული წყაროს ფლობა მას ხელიდან გამოეცალა მისი ბრალით კი არა, არამედ მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგად.

ასეთ პირობებში მესამე პირთა პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის უნდა განისაზღვროს საფუძვლების 90-ე მუხლის წესებით.

თუ ზიანი მიაყენა მომეტებული საფრთხის წყარომ, რომლის ფლობა მის მფლობელს ხელიდან გამოეცალა მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგად, მაგრამ მფლობელმაც რაიმე დაზავა თავისი ყოფაქცევით, პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის შეიძლება დაეკისროს როგორც პირს, რომელმაც გამოიყენა მომეტებული საფრთხის წყარო, ისე მის მფლობელს, კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით. მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელის ასეთი პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს, კერძოდ, მაშინ, როცა მისი ბრალით არ უზრუნველყვეს მომეტებული საფრთხის სათანადო დაცვა.

6. სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 91-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ზიანისათვის, რომელიც დაზღვევათა თავის მუშაკს მიაყენა განსაკუთრებული პირობების არსებობისას. ასეთი პასუხისმგებლობა დადგება იმ შემთხვევაში, თუ მიყენებულია ზიანი დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით მხოლოდ იმასთან დაკავშირებით, რომ მუშაკი ასრულებდა თავის შრომით (სამსახურებრივ) მოვალეობას და თუ ბრალი ედებოდა ორგანიზაციას ან მოქალაქეს, რომლებიც ვალდებული არიან გადაიხადონ დაზარალებულის ნაცვლად სახელმწიფო სოციალური დაზღვევის შესატანი.

საფუძვლების 90-ე მუხლის წესები არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როცა დაზარალებულის დაზღვევა ზიანი მიაყენა იმასთან დაკავშირებით, რომ დაზარალებული ასრულებდა თავის შრომით (სამსახურებრივ) მოვალეობას, თუნდაც რომ ზიანი მომეტებული საფრთხის წყაროს მიყენებით.

როცა ზიანის მიმყენებელი დაზარალებულად

დაზღვევი არ არის, მათ შორის დაზღვევის პირისათვის ზიანის მიყენების შემთხვევებშიც, პასუხისმგებლობა ზიანისათვის უნდა განისაზღვროს საერთო წესით, რაც დადგენილია საფუძვლების 88-ე მუხლით, ხოლო იმ შემთხვევებში, როცა ზიანი მომეტებული საფრთხის წყარომ მიაყენა — საფუძვლების 90-ე მუხლის წესებით.

7. საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მთელი მუშებისა და მოსამსახურებისათვის მათ სამუშაოსთან დაკავშირებული დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესების შესაბამისად, რაც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 22 დეკემბრის დადგენილებით, სასარჩლო განცხადებანი ზიანის ანაზღაურების შესახებ იმ საფუძვლებზე, რომელიც გათვალისწინებულია სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 91-ე მუხლით, სასამართლო განხილვას ექვემდებარება მხოლოდ მაშინ, როცა ასეთ დავაზე მიღებული ადმინისტრაციის გადაწყვეტილება და პროფესიული კავშირის საფარბიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის დადგენილება, მაგრამ მუშაკი ან ორგანიზაცია, რომლებიც მიღებულ დადგენილებას არ ეთანხმებიან, მიმართავენ სასამართლოს წარმომოხილი დავის გადასაჭრელად.

აშავე წესით ექვემდებარება სასამართლო განხილვას დავა იმის გამო, რომ ზიანი აუნაზღაურდეს მუშაკის კმაყოფაზე მყოფ შრომისუუნარო პირებს, აგრეთვე იმ შრომისუუნარო პირებს, რომლებიც მუშაკის კმაყოფაზე არ იმყოფებიან, მაგრამ უფლებამოსილი არიან მიიღონ მისგან სარჩო, თუ მუშაკი გარდაიცვალა დასახიჩრების ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანების შედეგად, რაც დაკავშირებულია სამუშაოსთან და რაც მოხდა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ბრალით.

მიუხედავად იმისა, თუ ვინ მიმართა სასამართლოს წარმომოხილი დავის გადასაჭრელად — მუშაკმა, მის კმაყოფაზე მყოფმა თუ ადმინისტრაციამ სასამართლო საქმეს განიხილავს სასარჩლო წარმოების წესით, სადაც მოსარჩელეებად ჩაითვლებიან მუშაკი ან მის კმაყოფაზე მყოფნი, რომლებიც მოითხოვენ ზიანის ანაზღაურებას, ხოლო მოპასუხეებად ამ მოთხოვნაზე მოდავე საწარმოები, დაწესებულებანი, ორგანიზაციები.

თუ საწარმოში, დაწესებულებაში ან ორგანიზაციაში არ არის პროფესიული კავშირის საფარბიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი,

აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა განცხადება ზარალის ანაზღაურების შესახებ განიხილეს იმ საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, რომლებიც ლიკვიდირებული საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მიმართ ან უფლების მიმღებო, ან ზემდგომი საწარმო-დაწესებულებებია, დაინტერესებულ პირებს (დაზარალებულ მუშაკს ან მის კმაყოფაზე მყოფს), რომლებიც ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას არ ეთანხმებიან, უფლება აქვთ მიმართონ წარმომოხილველ დავის გადასაჭრელად უშუალოდ რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლოს ქვემდებარეობის საერთო წესით.

ადმინისტრაციის მიერ სასამართლოსათვის მიმართვის 10 დღის ვადის გაშვება (დასახელებული წესების 44-ე პუნქტი) ვერ განდება სასამართლო წარმოებაში განცხადების მიღებაზე უარის თქმის საფუძველი. საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად საპატიო მიზეზით გაუშვა ადმინისტრაციამ განცხადების შეტანის ვადა, სასამართლომ უნდა განიხილოს დავის არსებობად გადაჭრასთან ერთად.

დავა ზიანის ანაზღაურების შესახებ იმ საფუძველზე, რომელიც გათვალისწინებულია სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველების 91-ე მუხლით, თუ ადმინისტრაცია არ ეთანხმება პროცესული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის დადგენილებას, როგორც წესი, უნდა გაირჩეს სახალხო სასამართლოში საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სამყოფელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ მუშაკი ან დაინტერესებული პირნი არ ეთანხმებიან პროცესული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის დადგენილებას — სახალხო სასამართლოში ან საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სამყოფელი ადგილის მიხედვით, ან დაზარალებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ცალკეულ შემთხვევებში სასამართლოს უფლება აქვს მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად საქმე ზიანის ანაზღაურების შესახებ გადასცეს სასამართლოს განსახილველად საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სამყოფელი ადგილის მიხედვით ან დაზარალებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

თუ ზიანი მიყენებულია დაზარალებულის დაზღვევისა და იმ სხვა ორგანიზაციის საერთო მოქმედებით, რომელიც არ ყოფილა დაზარალებულის დამზღვევეთ, დაზარალებულს უფლება აქვს წარადგინოს მოთხოვნა ზიანის მიყენებლის მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ უშუალოდ რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლოში.

8. შესაბამისად სამოქალაქო კანონმდებლობის

საფუძველების 88-ე მუხლის მიყენებული ზიანი სრული მოცულობით უნდა აანაზღაუროს ზიანის მიყენებელმა პირმა. გამოწველის ამ წესიდან დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში (მაგალითად, საფუძველების 93-ე მუხლი).

დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება იმაში მდგომარეობს, რომ დაზარალებულს უხდინა ფულად თანხას ხელფასის იმ რაოდენობით, რომელიც მას მოაკლდა შრომისუნარიანობის დროებით ან ხანგრძლივი დაკარგვის გამო.

დაკარგული ხელფასის ანაზღაურების გარდა დაზარალებულს შესაბამის პირობებში, რაც გათვალისწინებულია ამ დადგენილების მე-16 პუნქტით, აუნაზღაურდება აგრეთვე მისი ჯანმრთელობის აღსადგენად საჭირო დამატებითი ხარჯები.

ამ უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებით დაზარალებულის მიერ, როგორც პროცესული, ისე საერთო შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხს განსაზღვრავს სამედიცინო ექსპერტულა პროცენტებში (ამ დადგენილების 24-ე პუნქტი).

9. ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას იმ შემთხვევებში, როცა ზიანი მიყენა ორგანიზაციამ ან მოქალაქემ, რომელიც მოვალე არ არის გადაიხადოს დაზარალებულისათვის სახელმწიფო სოციალური დაზღვევის შესატანები (სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველების 92-ე მუხლი), გამოიყენება იმ წესების III განყოფილების მე-11-20 პუნქტებში ჩამოყალიბებული დებულებანი, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის და პროცესულ კავშირთა სრულიად საქავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 22 დეკემბრის დადგენილებით.

10. თუ ჯანმრთელობის დაზიანების ხასიათის მიხედვით დაზარალებულს სამკურნალო დაწესებულების დასკვნით რჩევა მიეცა დროებით სხვა სამუშაოზე გადავიდეს და ამ სამუშაოს მას გაუნაღებენ იმ სამუშაოზე წაკლებ, რომელსაც იგი უბედურ შემთხვევამდე ასრულებდა, თუ არის პირობები, რომლებიც განსაზღვრავენ ზიანის მიყენების პასუხისმგებლობას, დაზარალებულს უფლება აქვს ზიანი ანაზღაუროს იმ ოდენობით, რა სხვაობაც არსებობს უბედურ შემთხვევამდე მიღებულ ხელფასსა და იმ ხელფასს შორის, რომელსაც იგი სხვა მცირეხელფასიან სამუშაოზე იღებს შრომისუნარიანობის აღდგენის ან შრომისუნარიანობის ხანგრძლივი დაკარგვის ან ინვალიდობის დადგენის მომენტამდე.

თუ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია არ მისცემს შესაბამის

საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
სამსახური

სამუშაოს, დაზარალებულს უფლება აქვს ზიანი ანაზღაუროს იმ საშუალო ხელფასის ოდენობით, რომელსაც იგი ზიანის მიყენებამდე იღებდა.

11. თუ დაზარალებული უბედური შემთხვევის მომენტისათვის გარკვეული სპეციალობით მუშაობდა, ხოლო მანამდე რამდენიმე წლის განმავლობაში, რასაც მას საშუალო ხელფასში უთვლიან, მუშაობდა მოწაფედ, მაშინ საშუალო ხელფასის გამოთვლისას დაზარალებულის მოწაფედ მუშაობის დრო უნდა გამოირიცხოს.

იმ დაზარალებულთა საშუალო ხელფასი, რომლებიც არ მიეკუთვნებიან მუშათა და მოსამსახურეთა კატეგორიას (თავისუფალი პროფესიის პირნი, შინამრეწველნი და ა. შ.), გამოითვლება გასული წლის წლიური შემოსავლის თანხის თორმეტზე გაყოფის გზით.

თუ ორი წლის განმავლობაში, რომელიც წინ უსწრებდა უბედურ შემთხვევას, დაზარალებულს არ ჰქონია გარკვეული შემოსავლის წყარო, ზიანის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება იმ ხელფასის მინიმუმიდან გამომდინარე, რომელიც კანონმა მოცემული ადგილისათვის დააწესა.

12. შრომისუნარიანობის დროებით დაკარგვისას ზიანის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება დაზარალებულის საშუალო ხელფასის კვალობაზე ორი უკანასკნელი კალენდარული თვისათვის, რომელიც წინ უსწრებდა უბედურ შემთხვევას.

13. კოლმეურნეობის არასწორი მოქმედების შედეგად კოლმეურნეობაში მუშაობისას მიღებული დასახირებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით კოლმეურნეობის წევრისათვის მიუყენებელი ზიანის ანაზღაურების საქმეებზე კოლმეურნეობის პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 88-ე მუხლით დადგენილი საერთო წესებით, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანი მომეტებული საფრთხის წყარომ მიაყენა, დაზარალებულის წინაშე მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელის პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს საფუძვლების 90-ე მუხლით.

კოლმეურნეობის წევრის მიმართ მიყენებული ზიანის ანაზღაურება ეკისრება პერიოდული ნატურალური ან ფულადი გადასახადის სახით, მაგრამ არა შრომადღებში. გადასახადის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო, გამომდინარე იმ ხელფასიდან, რომელიც დაზარალებულს მოაკლდა.

კოლმეურნეობის დაზარალებული წევრის საშუალო ხელფასი აღნიშნულ შემთხვევებში გამოითვლება დაზარალებულისათვის გასულ სა-  
5. საბჭოთა სამართალი № 1.

მეურნეო წელს დარიცხული წლიური შემოსავლის თანხის თორმეტზე გაყოფის გზით.


იმ ზიანის ოდენობის გამოთვლისას, რომელიც კოლმეურნეობის წევრს მოუვიდა დასახირების ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანების შედეგად, სასამართლომ მხედველობაში უნდა იქონიოს, რომ კოლმეურნეობის წევრის ძირითადი ხელფასია შემოსავალი, რომელსაც იგი იღებს კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში მუშაობიდან და ამიტომ კოლმეურნეობის წევრის გარეშე გასამრჯელო, რომელიც საკოლმეურნეო მეურნეობაში მუშაობასთან არ არის დაკავშირებული, მათ შორის საკარმიდამო ნაკვეთიდან მიღებული შემოსავალი, არ უნდა იქნეს გათვალისწინებული.

პენსია და დახმარება, რომლებიც დაზარალებულს დაენიშნა მისი ჯანმრთელობის დაზიანების შემდეგ და რომლებსაც კოლმეურნეობა, აგრეთვე სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები ფაქტიურად უზღიან, უნდა ჩაითვალოს ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის დროს.

კოლმეურნეობის პასუხისმგებლობა იმ პირის დასახირების ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებისათვის, რომელიც კოლმეურნეობაში შრომის ხელშეკრულებით მუშაობდა და რომლის მაგივრადაც კოლმეურნეობამ უნდა შეიტანოს სადაზღვევო შესატანები, განისაზღვრება სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 91-ე მუხლით.

14. იმ შემთხვევაში, როცა ზიანი მიაყენეს არასრულწლოვანს, რომელსაც 15 წელი არ შესრულებია და უბედური შემთხვევის დროისათვის ხელფასი არა აქვს, სასამართლოს არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენლებიან — მშობლებთან ან მეურვეებთან სარჩელით შეუძლია ზიანის მიმყენებელს გადააზღვიოს სარჩები დაზარალებულის მოვლისათვის, დამატებითი კვებისათვის, პროტეზის გაკეთებისათვის, მკურნალობისათვის და სხვ., აგრეთვე გამოიტანოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ აღიარებული იქნეს, დაზარალებულის უფლება შრომისუნარიანობის დაკარგვით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე, როცა მას 15 წელი შეუსრულდება. აღნიშნულ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება მოცემულ ადგილას არაკვალიფიციური მუშის ხელფასის მინიმუმიდან გამომდინარე, ხოლო თუ დაზარალებულს შრომითი საქმიანობის დაწყების შემდეგ გარკვეული კვალიფიკაცია ექნება, მაშინ ანაზღაურების ოდენობა უნდა განისაზღვროს მოცემული კვალიფიკაციის მუშაის საშუალო ხელფასის კვალობაზე.

15. იმ ზიანის ანაზღაურების საქმეებზე, რომელიც 15 წლის ასაკს მიღწეულმა არასრულ-



წლოვანმა პირებმა მიაყენეს, სასამართლოებმა არა მარტო მოსარჩელის თხოვნით, არამედ საკუთარი ინიციატივით თანამოპასუხეებად საქმეში მონაწილეობისათვის უნდა ჩააბან არასრულწლოვანთა მშობლები და მეურვეები. თუ არის პირობები, რომლებიც ვათვალისწინებულა სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 88-ე ან 90-ე მუხლებით, სასამართლოებმა ზიანის ასანაწლადურებლად თანხების გადახდა უნდა მიუსაჯონ როგორც არასრულწლოვან პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ზიანის მიყენებაში, ისე, მათთან ერთად მათ მშობლებსა და მეურვეებს. მშობლების ან მეურვეების ქონებრივი პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, როცა ზიანი მიაყენა არასრულწლოვანმა, რომელსაც 15 წელი შეუსრულდა, დამატებითა და გადახდევინება იმ პირთა ქონებასა და სხვა შემოსავალზე შეიძლება მიიქცეს მხოლოდ მაშინ, თუ არასრულწლოვან პირებს არა აქვთ ქონება, ხელფასი ან შემოსავლის სხვა წყარო რაც საქმარისია ზიანის ასანაწლადურებლად.

იმ დროს, როცა ზიანი მიყენებულია სხვადასხვა მშობლებისაგან წარმოშობილი ჩამდენიმე არასრულწლოვანი პირის ერთიანი მოქმედებით, მშობლებისა და მეურვეების პასუხისმგებლობა დაზარალებულთა წინაშე უნდა განისაზღვროს მხოლოდ პასუხისმგებლობის პრინციპით. თვით არასრულწლოვანი პირები დაზარალებულთა წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად.

16. დაზარალებულებს, რომლებსაც სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით გარეშე მოვლა ესაჭიროებათ, სასამართლოს, ხელფასის დაკარგვასთან დაკავშირებით ზიანის ანაწლადურების გარდა, შეუძლია დაავალოს ზიანის მიმყენებელს მოვლის ხარჯების ანაწლადურება.

დაზარალებულებისათვის, რომლებიც ცნობილი არიან პირველი ჯგუფის ინვალიდებად, საექიმო ექსპერტიზის დასკვნა გარეშე მოვლის შესახებ არ არის საჭირო.

სასამართლოს შეუძლია აგრეთვე ზიანის მიმყენებელს დააკისროს მოვალეობა — აუნაწლადუროს დაზარალებულს ფაქტიური დანახარჯები დამატებითი კვებისათვის, პროტეზის გაკეთებისათვის, სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისათვის და სხვა ხარჯები, თუ დაზარალებულს, საექიმო ექსპერტიზის დასკვნით, ნამდვილად ესაჭიროება აღნიშნული დახმარება და ამ დახმარებას არ იღებს უფასოდ შესაბამისი ორგანიზაციების მეშვეობით.

განსაკუთრებით გამოწვევის შემთხვევებში, როცა სამედიცინო შრომითი საქსპერტო კომისიის დასკვნით, ცნობილი იქნება, რომ დაზარალებულს არ უკეთდება რაიმე სახის პროტეზი, სასამართლოს შეუძლია დაავალოს ზიანის მიმყენებელს აუნაწლადუროს დაზარალებულს

ხარჯები, რაც მან მოტორიანი ეტლის შესაძენად გაიღო.

პროტეზისათვის, სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისათვის საგზურის და მოტორიანი ეტლის შესაძენად მომავალი ხარჯების ანაწლადურების დროს სასამართლომ გადაწყვეტილებაში უნდა აღნიშნოს, რომ მისჯილი თანხა გადაერიცხოს შესაბამის ორგანიზაციას, რომელიც დაზარალებულს აძლევს საგზურს, პროტეზს ან მოტორიან ეტლს.

დამატებითი ხარჯების ოდენობის განსაზღვრის დროს არ გამოიყენება წესები, რომელსაც დასაშვებად მიაჩნია ანაწლადურების ოდენობის შემცირება დაზარალებულის ბრალის ხარისხის მიხედვით.

17. სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 93-ე მუხლის 1 ნაწილის გამოყენების დროს სასამართლოებმა მიხედვითაა უნდა იქონიონ, რომ მხოლოდ თვით დაზარალებულის უხეში გაუფრთხილებლობა, რომელიც ხელს უწყობდა ზიანის წარმოშობას ან გადიდებას, შეიძლება შესაბამის შემთხვევებში საფუძველი გახდეს როგორც ზიანის ანაწლადურების ოდენობის შემცირებისათვის, ისე ასეთ ანაწლადურებაზე უარის თქმისათვის.

საკითხი იმის შესახებ არის თუ არა დაზარალებულის მიერ დაშვებული უხეში გაუფრთხილებლობა, თუ იგი მიეკუთვნება უბრალო წინდაუხედაობას, რომელიც ვაგლენას არ ახდენს ზიანის ანაწლადურების ოდენობაზე, უნდა გადაიჭრას ყოველი შემთხვევაში კონკრეტულ გარემოებათა ვათვალისწინებით.

ზიანის მიყენებაში დაზარალებულის განზრახვა ყველა შემთხვევაში ანთავისუფლებს ზიანის მიმყენებელს მისი ანაწლადურების მოვალეობისაგან.

18. თუ ზიანი მიაყენა მოქალაქემ, მაშინ, მისი მატერიალური მდგომარეობის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია შეამციროს ასანაწლადურებელი ზიანის ოდენობა. მაგრამ ზიანის ანაწლადურებისაგან სრული განთავისუფლება ზიანის მიმყენებლის მატერიალური ხელმოკლეობის საფუძველით, კანონით არ არის ვათვალისწინებული.

19. დაზარალებულის სიკვდილის შემთხვევაში მის ქმყოფაზე მყოფ პირთათვის ზიანის ანაწლადურების გამო დავის გადაჭრისას, სასამართლომ, როგორც სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 91-ე მუხლის 2 ნაწილის, ისე 92-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენების დროს, აგრეთვე უნდა იხელმძღვანელოს დებულებებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია შემოდასახელებული წესების მე-10 და მე-19 პუნქტებში, და დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის სა-

კითხთა სახელმწიფო კომიტეტისა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 22 დეკემბრის დადგენილებით.

ყველა შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების უფლება საფუძვლების 91-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 92-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით წარმოიშობა, იმ პირობების არსებობის დროს, რომლებიც განსაზღვრავენ კანონის მიხედვით ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობას დაზარალებულის წინაშე.

20. დაზარალებულისათვის პერიოდული გადასახადების მისჯა ხელფასის დაკარგვასთან დაკავშირებით ზიანის ანაზღაურების ანგარიშში უნდა წარმოებდეს, როგორც წესი, ზიანის მიყენების დღიდან, თუ სარჩელი წარმოდგენილია სარჩელის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის ფარგლებში, რომელიც დადგენილია სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების მე-16 მუხლით. იმ შემთხვევაში, როდესაც სარჩელი ზიანის ანაზღაურების შესახებ წარმოდგენილია ზიანის მიყენების მომენტიდან სამი წლის გავლის შემდეგ, საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი:

იმ დაზარალებულის მიმართ, რომელსაც ზიანი მიყენებული აქვს ორგანიზაციის სამუშაოსთან დაკავშირებით, რომელიც მოვალეა გადასახადის მისი სადაზღვევო შესატანებო, ხოლო მუშაკის სიკვდილის შემთხვევაში მის კმაყოფაზე მყოფ პირთა მიმართ, სასამართლომ, რომელმაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დასაბუთებულად იცნო, უნდა განსაზღვროს პერიოდული გადასახდელების გადახდევინება იმ დღიდან, როცა დანტერესებულმა პირებმა მიმართეს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას (ტექტი 28 წესებისა, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 22 დეკემბრის დადგენილებით);

ყველა სხვა შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამოარკვიოს სარჩელის ხანდაზმულობის ვადის გავლის მიზეზები და მისი აღდგენის დროს დააკმაყოფილოს სარჩელი პერიოდული გადასახდელების გადახდევინების შესახებ სარჩელის წარდგენის დღიდან.

სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების მე-16 მუხლის შესაბამისად სარჩელის ხანდაზმულობა ზიანის ანაზღაურების დავაზე უნდა გამოითვალოს:

ა) ზიანის ანაზღაურების სარჩელეზე შრომისუნარიანობის დროებით დაკარგვასთან დაკავშირებით მისი დადგომის დღიდან;

ბ) ზიანის ანაზღაურების სარჩელეზე შრომისუნარიანობის ხანგრძლივ დაკარგვასთან დაკავშირებით, იმ დღიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ან უნდა შეეტყო მისთვის ზიანის მიყენება;

გ) ზიანის ანაზღაურების სარჩელეზე გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფ პირთათვის — დაზარალებულის სიკვდილის დღიდან.

21. სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 91-ე და 92-ე მუხლების შესაბამისად დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს იმ ნაწილში, რომელიც აღემატება მის მიერ მიღებული დახმარების ან მისი ჯანმრთელობის დაზიანების შემდეგ დანიშნული და ფაქტიურად მიღებული პენსიის თანხას. აქედან გამომდინარე, იმ საკითხების გადაჭრის დროს, რომლებიც დაკავშირებულია ზიანის ანაზღაურების ანგარიშში საპენსიო უზრუნველყოფის ჩათვლასთან, სასამართლოებმა უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი დებულებებით:

ა) პენსიები მოხუცებულობის, ინვალიდობის, მარჩენალის დაკარგვის შემთხვევის გამო, წელთა დამსახურებისათვის და პერსონალური პენსიები, რომლებიც დანიშნულია უბედური შემთხვევის შემდეგ ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მთლიანად უნდა ჩაითვალოს;

ბ) თუ დაზარალებული უბედურ შემთხვევამდე მთლიანად ან ნაწილობრივ იღებდა პენსიას, მაშინ პენსია, რომელიც ფაქტიურად გაცადა დაზარალებულის ხელფასის გარდა, მიუხედავად მისი დანიშვნის საფუძვლისა, არ უნდა ჩაითვალოს ზიანის ანაზღაურების დროს;

გ) თუ დაზარალებულს, რომელიც პენსიას იღებდა, იმის შემდეგ, რაც მას უბედური შემთხვევა მოუვიდა, პენსიის ოდენობა გაუღიდავს, მიუხედავად პენსიის ოდენობის გაღიდავის საფუძვლისა, ზიანის ანაზღაურების ანგარიშში უნდა ჩაითვალოს პენსიის ის თანხა, რა თანხითაც იგი გადიდა;

დ) ყველა შემთხვევაში როცა პენსია უნდა ჩაითვალოს ზიანის ანაზღაურების ანგარიშში, გათვალისწინებულ უნდა იქნეს პენსიის არა დანიშნული, არამედ ფაქტიურად გაცემული ოდენობა.

22. იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებული მუშაობს, მაშინ სასამართლომ გადაწყვეტილებით ან დამატებითი განჩინებით სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების წესით დაზარალებულის ის ხელფასი, რომელიც აღსარიცხ პენსიათა და სასამართლო გადაწყვეტილებით ასანაზღაურებელ თანხასთან ერთად აღემატება საშუალო ხელფასს ზიანის მიყენებამდე, უნდა ჩაითვალოს მისივე ფულადი თანხის გაცემის დროს.

23. ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო კანონ-



მდებლობის საფუძვლების 9-ე მუხლის მიხედვით შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ სოციალისტურ ქონებას, რომელიც დაზარალებულმა გადაარჩინა, ემუქრებოდა განადგურების ან დაზიანების რეალური საფრთხე.

ზიანის ანაზღაურების ოდენობა სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 9-ე მუხლის მიხედვით უნდა განისაზღვროს ზიანის ანაზღაურების საერთო წესით. აღნიშნული ზიანის ანაზღაურების დავაზე მხარეთა შერეული პასუხისმგებლობის (საფუძვლების 9-ე მუხლი) გამოყენება გამოირიცხულია.

საფუძვლების 9-ე მუხლის მოქმედება არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როცა დაზარალებულმა ორგანიზაციის ქონება გადაარჩინა სამსახურებრივ მოვალეობათა გამო (სახანძრო საშველი სამსახურის მუშაკები, ვახტერი და სხვ.). აღნიშნულ შემთხვევებში მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს, თუ არის პირობები, რომლებიც გათვალისწინებულია სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 9-ე მუხლით.

24. მოქმედ დებულებათა შესაბამისად დაზარალებულის მიერ შრომისუნარიანობის ხანგრძლივი დაკარგვის ხარისხს, ინვალიდობის მიზეზებსა და ჭკუფებს, აგრეთვე ინვალიდობის დადგომის დროს განსაზღვრავს საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისია. ეს კომისიები განუსაზღვრავენ ინვალიდებს შრომის პირობებსა და სახეობებს, რომლებიც ხელმისაწვდომია მათთვის ჭანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით.

თუ დაზარალებული არ ეკუთვნის იმ პირთა კატეგორიას, რომელთა გასინჯვა მოქმედ დებულებათა შესაბამისად დაკარგებული აქვს საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიას, მაშინ ინვალიდობის მიზეზებს, შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხს ადგენს და დაზარალებულისათვის შრომით რეკომენდაციებს განსაზღვრავს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა იმ წესების მიხედვით, რომლებიც გათვალისწინებულია საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიისათვის.

25. სასამართლოებმა თავიანთ წარმოებაში არ უნდა მიიღონ სასარჩელო განცხადებანი შრომისუნარიანობის დროებით დაკარგვის გამო იმ დაზარებულთა გადახდევინებაზე, რომლებიც დაინიშნა სოციალური დაზღვევის წესით, აგრეთვე ამ დაზარებულთა ოდენობის შეცვლაზე.

თუ დაზარალებულის შრომისუნარიანობის დროებით დაკარგვა მოხდა დასახიჩრების ან ჭანმრთელობის სხვა დაზიანების შედეგად, დაზარალებულს უფლება აქვს ზიანის მიმყენებელს მოსთხოვოს ზიანის ანაზღაურება ხელფასის დაკარგვისათვის, თუ დროებითი შრომის-

უუნარობისათვის დახმარება მისთვის არ გადაუხდიათ ან ზიანი არ იფარება დანიშნული დახმარებით. ასეთ შემთხვევებში ზიანის ანაზღაურების უფლება წარმოიშობა, თუ არის პირობები, რომლებიც განსაზღვრავენ კანონის მიხედვით ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობას (სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 9-ე და 92-ე მუხლები).


26. საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, რომლებიც მოვალენი არიან სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 88-ე მუხლის მ ნაწილის ძალით აანაზღაურონ მათი მუშაკების ბრალით მიყენებული ზიანი, უფლება აქვთ წარუდგინონ მათ რეგრესული მოთხოვნები მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ.

მუშაკების მატერიალური პასუხისმგებლობის პირობები და ფარგლები ზიანისათვის, რომელიც მათ საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას მიაყენეს, განისაზღვრება შრომის კანონმდებლობის ნორმებით (რსფსრ შრომის კანონმდებლობის კოდექსის 83-85 მუხლებით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის კოდექსების შესაბამისი მუხლებით).

27. პროფკავშირული ორგანიზაციებისა და სოციალური დაზღვევის ან სოციალური უზრუნველყოფის რეგრესული სარჩელები სახელმწიფო ან საზოგადოებრივი დაწესებულებებისა და საწარმოებისადმი (გარდა კოლმეურნეობისა) იმის შესახებ, რომ მათ აუნაზღაურონ დახმარების ან პენსიის თანხა, რომელიც მიეცათ სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 91-ე და 92-ე მუხლებში აღნიშნულ პირებს, მიუხედავად სარჩელის ფასისა, სასამართლოს არ ექვემდებარება (სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების მე-4 მუხლი).

28. თუ ზიანის ანაზღაურების გამო სარჩელის სასამართლოში განხილვის მომენტისათვის ჯერ კიდევ არ გადაჭრილა საკითხი იმის შესახებ, რომ დაზარალებულს დაენიშნოს პენსია ან დახმარება ჭანმრთელობის დაზიანებასთან დაკავშირებით, საქმის წარმოება სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების მე-40 მუხლის თანახმად უნდა შეჩერდეს.

29. თუ სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ შეიცვალა პირობები, რომლებიც გავლენას ახდენენ ზიანის ასანაზღაურებელი ოდენობის განსაზღვრაზე (მაგალითად, შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხის შეცვლა, პენსიის ოდენობის შეცვლა და სხვ.), როგორც დაზარალებულს, ისე ზიანის მიმყენებელს შეუძლია სასამართლოს მიმართოს სარჩელით, რათა შესაბა-



მისად გაუდიდონ ან შეუმცირონ ზიანის ანაზღაურებლად მისჯილი თანხის ოდენობა.

იმ შემთხვევებში, როცა საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია მუშაკს ზიანი ანაზღაურებს სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 31-ე მუხლის წესით, ზიანის ანაზღაურების ოდენობის შემცირებას ან გადიდებასთან დაკავშირებული საკითხები (მათ შორის აგრეთვე ფულადი თანხის გამო, რომელსაც ინდიან სასამართლო გადაწყვეტილებით), უნდა გადაიჭრას ზიანის ანაზღაურების იმ წესების ზმპუნქტით დადგენილი წესით, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის და პროფესიულ კავშირთა სრულიად საქავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 22 დეკემბრის დადგენილებით.

30. იმ შემთხვევაში თუ სასამართლოს გადაწყვეტილებანი ზიანის ანაზღაურების საქმეებზე გაუქმდა საკასაციო ან ზედამხედველობის წესით სარჩელზე შემდგომი უარის თქმით, ამ გადაწყვეტილებათა საფუძველზე გადახდილი თანხა შეიძლება უკან დააბრუნებინონ დაზარალებულს მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს პირობები, რომლებიც გათვალისწინებულია შემოადინისწული წესების 46 პუნქტით.

თუ საქმის შემდგომი გადაჭრის დროს გამოიტანენ გადაწყვეტილებას, რომ დაკავშირებულ დაზარალებულის სარჩელი ზიანის ანაზღაურების შესახებ, მაგრამ შემცირებული ოდენობით, სასამართლოს იმავე პირობებში უფლება აქვს, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, განსაზღვროს ზედმეტად მიღებული თანხის ოდენობა და ჩათვლის წესი მომავალი გადასახადების ხარჯზე.

31. მიეჭკეს სასამართლოების ყურადღება, რომ სამოქალაქო საქმეების და, კერძოდ, ზიანის ანაზღაურების საქმეების სწორი და დროული გადაჭრა ბევრადაა დამოკიდებული ამ საქმეების წინასწარ მომზადებაზე. საქმის სამსჯავრო სსდომაზე მოსამენად შეტანამდე მოსამართლემ სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების 33-ე მუხლის შესაბამისად მხარეებს უნდა მოსთხოვოს ან თავისი ინიციატივით გამოითხოვოს საქმეზე საჭირო დამამტკიცებელი საბუთები.

ასეთ დამამტკიცებელ საბუთებს ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საქმეებზე, კერძოდ, მიეკუთვნება: ოქმი უბედური შემთხვევის შესახებ (თუ ასეთი შედგენილი არ იყო, უბედური შემთხვევის ფაქტი შეიძლება დაადგინონ სხვა დამამტკიცებელი საბუთებით), შესაბამისი ზედამხედველობის ორგანოს დასკვნა (ტექნიკური სამუშენებ-

ლო ინსპექცია და სხვ.), პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტის დადგენილება, დაზარალებულის საშუალო ხელფასის ოდენობის დამამტკიცებელი საბუთი, საექიმო შრომითი საექსპერტო კომისიის დასკვნა, სამკურნალო დაწესებულების ან საექიმო ექსპერტიზის დასკვნა დაზარალებულის ჯანმრთელობის დაზიანების მიზეზებისა და ხსიათის შესახებ, ცნობა დაზარალებული-სათვის დანიშნული და ფაქტიურად მიღებული პენსიის ან დანმარების გადახდის შესახებ, აგრეთვე საჭირო შემთხვევებში, ცნობა ზიანის მიმყენებლის ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ.

მხარეებს უფლება არ ეწლებათ წარმოადგინონ სხვა დამამტკიცებელი საბუთები სარჩელის დადასტურების ან უარყოფისათვის. ამა თუ იმ დამამტკიცებელი საბუთის დაშვების საკითხს ჭრის სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

32. სასამართლოს გადაწყვეტილებაში დაწვრილებით უნდა ჩამოყალიბდეს გარემოებანი, რომლის დროსაც ზიანი მიაყენეს, უნდა აღინიშნოს მოტივები, რომელთა მიხედვით სასამართლო მივიდა დავის გადაწყვეტამდე. მატერიალური სამართლის ნორმები, რომლითაც იგი ხელმძღვანელობდა, და ზუსტად უნდა გამოითვალოს ზიანის ანაზღაურებლად მისჯილი თანხა.

ჯანმრთელობის დაზიანებასთან დაკავშირებული ზიანის ანაზღაურება უნდა განისაზღვროს ყოველთვიური ფულადი თანხის სახით, რომელიც მოზალსებმ მოსარჩელეს უნდა გადაუხადოს ამ დადგენილების 20 პუნქტში აღნიშნული პირობების შეცვლამდე, ხოლო თუ დაზარალებულის მიერ შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხი დადგენილია გარკვეული ვადით, მაშინ მისი ხელახლა გასინჯვის დღემდე.

33. თუ გამოვლინდა უსაფრთხოების ტექნიკისა და შრომის დაცვის წესების დარღვევის, მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის კანონის მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევები და სხვა ნაკლოვანებები საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა მუშაობაში, სასამართლომ სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების 38-ე მუხლის შესაბამისად უნდა გამოიტანოს კერძო განჩინება, ხოლო თუ არის საფუძველი დასვას საკითხი საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ცალკეულ თანამდებობების პირთა ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

34. ამ დადგენილების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ



კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1948 წლის 10 ივნისის № 11/მ/6/უ დადგენილება „ზიანის მიყენების სარჩელებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1950 წლის 3 მარტის № 5/9/პ დადგენილება „სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1948 წლის 10 ივნისის № 11/მ/6/უ დადგენილებაში „ზიანის მიყენების სარჩელებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ ცვლილებათა შეტანის თაობაზე“, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1956 წლის 12 ოქტომბრის № 4 დადგენილება — „სასამართლო გადაწყვეტილებათა საფუძველზე ზიანის ასანაზღაურებლად გადახდილი ფულადი თანხის გადაანგარიშების წესის შესახებ პენსიების თაობაზე 1956 წლის

14 ივლისის კანონის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით“, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 14 დეკემბრის № 8 დადგენილება „როგორ გამოიყენონ სასამართლოებმა საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის მათ სამუშაოსთან დაკავშირებული დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე დავის განხილვის წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 2 ოქტომბრის ბრძანებულება და „სამოქალაქო საკოლმეურნეო საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო პლენუმის 1960 წლის 26 მარტის № 3 დადგენილების 11 პუნქტი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ბ. გორპინი,  
სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი ბ. მჟანოვი.

**სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კლენუმის**

**დ ე რ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 17**

1963 წლის 23 ოქტომბერი  
„გამომგონებლობისა და რაციონალიზატორების საქმიანობის სასამართლო პრაქტიკის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კლენუმის 1961 წლის 4 მარტის დადგენილების 4 პუნქტის დამატების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი აღკვეთს:

დაემატოს „გამომგონებლობისა და რაციონალიზატორების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 4 მარტის დადგენილების 4 პუნქტის პირველ ნაწილს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„იმ შემთხვევებში, როცა გამომგონებლის ან

რაციონალიზატორის საჩივარი გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადებისათვის გასამრჩელოს ოდენობის, გამოანგარიშების წესისა და გაცემის ვადების საკითხებზე შემდგომი ორგანიზაციის ხელმძღვანელს არ განუხილავს ერთი თვის განმავლობაში, რაც დაწესებულია დებულების 19 პუნქტით, დავა გასამრჩელოს გაცემის შესახებ გადაწყდება სასამართლოს წესით“.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ბ. გორპინი,  
სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი ბ. მჟანოვი.



# ნიკო ნიკოლაძის დახვითი სიტყვა



გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი ნიკოლოზ იაკობის ძე ნიკოლაძე 1879 წელს როგორც გაზეთ „ობზორის“ რედაქტორი პოლიტიკური არასაიმედოების მიუხედავად არაერთხელ იქნა მიცემული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში, მაგრამ იგი ყოველთვის წარმატებით აცამტვერებდა მასზე წაყენებულ ბრალდებებს.

1879 წელს ნიკო ნიკოლაძემ ორჯერ წარმოსთქვა დაცვითი სიტყვა. პირველად თბილისის ოლქის სასამართლოში, ხოლო მეორედ თბილისის სასამართლო პალატაში.

„თავის დაცვით სიტყვებში, რომლებიც სამოსამართლო მჭევრმეტყველების საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ, ნიკოლაძემ სამარცხვინო ბოძზე გააკრა თავისუფალი, პროგრესული აზრის შემოღველი და კულტურის მოსიხსნე მტერი-მეფის ცენზურა, დღის სინათლეზე გამოიტანა პოლიტიკური რევოლუციის მთელი სილუხური, თვითმპყრობელური სისტემის დახვეწებულობა და ცხოვრებისათვის შეუფერებლობა და მკაფიოდ დაახასიათა პრესის სავალალო მდგომარეობა“.<sup>1</sup>

ვაქვეყნებთ ნიკო ნიკოლაძის დაცვით სიტყვას, რაც მან წარმოთქვა თბილისის სასამართლო პალატაში. ეს სიტყვა გამოირჩევა ლოგიკური ბუნებით და ორატორული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ნიშნებით.

ამ სიტყვის ტექსტი პირველად (რუსულად) გამოაქვეყნა ა. იოვიძემ. „საისტორიო მოამბეში“ 1945 წელს.

ნიკო ნიკოლაძის ეს სიტყვა ქართულად თარგმნა იურისტმა გიორგი თარხნიშვილმა.

### 3. სიღაგონიძე

## ნიკო ნიკოლაძის დახვითი სიტყვა 1879 წელს თბილისის სასამართლო პალატაში

ბატონო მოსამართლენო! ჩემი თავის-დაცვა ძალაუნებურად უნდა შევეუფარდო ეს-ეს არის თქვენს მიერ მოსმენილ საბრალდებო სიტყვას და, ასე ვთქვათ, ფეხდაფეხ გავყევ სასამართლო პალატის ბ-ნი პროკურორის თანაშემწის არგუმენტაციას.

ამიტომ უპირველეს ყოვლისა შევეხები იმ მოჩვენებით წინააღმდეგობას, რაც ბრალმდებელს სურს მომაწეროს. ბრალმდებელი ამტკიცებს, თითქოს „ობზორის“ რედაქცია წინ აღუდგა ცენზორის მელიქ-მედრაბოვის კომპეტენტურობას, მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ცენზორმა დაიწყო გაზეთის სტატიების აკრძალვაო. იგი თვლის, რომ უკეთეს დაცვის თვალსაზრისს გაიზიარებთ და მელიქ-მედრაბოვს არაკომპეტენტურად ცნობთ, მაშინ მე მსჯავრი უნდა დამედოს „ობზორის“ მთელი რიგი იმ



<sup>1</sup> საისტორიო მოამბე, 1, 1945 წ. ა. იოვიძე, ნიკო ნიკოლაძე და მეფის ცენზურა.

ნომრების უცენზურად გამოშვებისათვის, რომლებიც ნებადართულია იმავე არაუფლებამოსილი ცენზორის მელიქ-მელრაბოვის მიერ. ამ უკანასკნელი აზრის წინააღმდეგ მე დავას არ ვაპირებ, მაგრამ, პალატა რა თქმა უნდა, დამეთანხმება, რომ თუ მე ბრალს მდებენ „ობზორის“ რიგი ნომრების გამოშვებაში; სათანადო საცენზურო ხელისუფლების ნებადართველად, მაშინ ბრალმდებელმა, ხელისუფლებამ ეს საქმე უნდა მოსპოს და აღძრას ჩემს მიმართ ახალი დევნა ბრალის დადებით დანაშაულში, რაც გათვალისწინებულია სასჯელთა დებულების არა 1029-ე მუხლით, არამედ იმავე დებულების 1024-ე მუხლით. როგორც ცნობილია, პირველით მე დავისკები ჯარიმით 50 მანეთის რაოდენობით, მაშინ როდესაც მეორე მუხლი სასჯელად ითვალისწინებს სამთვიან პატიმრობას ციხეში. მაგრამ იმ შემთხვევაში, უკეთუ ჩემს მიმართ აღძრული იქნება ასეთი ახალი დევნა, მე იმედი მაქვს წარუდგინო სასამართლოს ჩემი უდანაშაულობის სრულიად საკმაო მტკიცებულებები. რაც შეეხება ბრალმდებლის იმ შენიშვნას, თითქოს მე ვეწინააღმდეგები არაკომპეტენტური ცენზორის მხოლოდ აკრძალვით მოქმედებას, მაშინ, როდესაც ვსარგებლობ მისი ყველა ნებადართული მოქმედებით, უნდა გავახსენო ბ-ნ პროკურორის თანაშემწეს, რომ საოლქო სასამართლოში წარმოთქმულ სიტყვაში, რაც სამსჯავრო სხდომის ოქმიდან ჩანს, მე თვითონ ვუწოდებ ამ საფუძველს არა მარტო ფორმალობა, არამედ ფორმალისტურობაც.

„ობზორის“ ცენზორად მელიქ-მელრაბოვის დანიშვნისას ბეჭდვითი სიტყვის შესახებ კანონების დარღვევის მრავალრიცხოვან მტკიცებათა შორის მე მივეუთითებდი ერთ-ერთ მაგალითზე, რაც დაშვებულია სწორედ იმ ხელისუფლების მიერ, რომელმაც მე საბრალდებო სკამზე დამსვა იმავე კანონებისა-

დმი უპატივცემულობაში ბრალის დადებით.

პირადად მე კი ყოველთვის ვაცხადებდი პროტესტს „ობზორის“ მიმართ მელიქ-მელრაბოვის მიერ როგორც ნებადართულ, ისე აკრძალულ მოქმედებათა წინააღმდეგ და თუ ჩემი პროტესტების მიუხედავად იგი „ობზორის“ /ცენზორად რჩებოდა, ამაში მე ბრალი სრულიადაც არ უნდა დამედოს. ჩემს მიერ მისთვის საცენზურო ფურცლების გაგზავნა კი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს ჩემს მიერვე მისი კომპეტენტურობის აღიარებად.

შეიძლება გაზეთის დროულად გამოშვებისათვის ზრუნვა მე მაიძულებდა დავმორჩილებოდი ხელისუფლების უსწორო განკარგულებას, მაგრამ განა ცოტაა შემთხვევები, როდესაც ჩვენც, ბ-ნო პროკურორის თანაშემწეც და თქვენც, ბატონო მოსამართლენო, იძულებული ვართ დავემორჩილოთ ძალაზე დამყარებულ თვითნებობას? განა, ამის გამო, თვითნებობა აღარ იქნება თვითნებობად, განა თქვენი დამორჩილება მას აკურთხებს და კანონად აქცევს? ვიმედოვნებ, რომ ამ ჩემი განმარტების შემდეგ ლაპარაკიც კი ზედმეტია იმაზე თითქოს მე ჩემს თავს ვეწინააღმდეგებოდე და გადავალ პროკურორის სიტყვის იმ ნაწილზე, რომელიც შეიცავს ცდას სრულიად კანონიერ ღონისძიებად წარმოადგინოს აღმოსავლურ ენებზე გამოცემების ცენზორის თითქოს დროებით დანიშვნა რუსული გამოცემების ცენზორად.

ბ-ნი პროკურორის თანაშემწე, სისხლის სამართლის საპროცესო წესდების მე-12 მუხლზე მითითებით, ამ დანაშაულს ხსნის და ამართლებს „კანონების საერთო აზრით“. იგი ამბობს: „თანამდებობა თავისუფალი იყო, საჭირო იყო მისი დაკავება, და ისეთი პირი უნდა დანიშნულიყო ამ თანამდებობაზე, რომელიც მსგავს საქმიანობას ეწეოდა. მაგრამ, ბატონებო, თქვენ კარგად

იცით, რომ რაიმე თანამდებობის დროებით შესრულებაც მოხელეებს ეკისრებათ არა ზეპირი დავალებით, არამედ უმაღლეს ხელისუფალთა წერილობითი ბრძანებებითა და მიწერილობებით. სად უნახავთ, რომ ასეთი განკარგულებების წერილობითი კვალი არ რჩებოდეს და სად, რომელ უწყებაშია დაშვებული ურთიერთობათა ასეთი დაუდევლობა?

მოწმე ფურცელაძემ კი პირდაპირ განაცხადა აქ, პალატაში, რომ არავითარი წერილობითი განკარგულება მას არ მიუღია და არავითარი წერილობითი წინადადება არ გაუკეთებია. ამ განცხადების გამო მე ბ-ნ პროკურორის მიერ გატარებული ანალოგიის მიუხედავად-არავითარი საფუძვლით არ შემიძლია კანონიერად ვცნო რუსული გაზეთის ცენზორად მელიქ-მელრაბოვის დანიშვნა. ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავ აგრეთვე, რომ არავითარი თანამდებობა არ შეიძლება ვაკანტური იყოს ზედიზედ რამდენიმე წელიწადი. რუსულ ენაზე გამოცემის ცენზორის თანამდებობა ჩვენთან ვაკანტური იყო 1874 წლიდან, ცენზორ კოვალენსკის სიკვდილის დროიდან, მხოლოდ 1876 წლის რამდენიმე თვის განმავლობაში მას „ასრულებდა“ ვინმე ბ-ნი ველისარი, რომელმაც ომის მოახლოებისთანავე საცენზურო უწყება საინტენდატო უწყებით შეცვალა. მანამდე და მის შემდეგაც რუსულ გამოცემათა ცენზორებად იყვნენ ხან მელიქ-მელრაბოვი და ბაქრაძე, ხან კავკასიაში მეფის ნაცვლის მთავარსამმართველოს მოხელენი ბ-ნი ელიაბოვსკი და რობაროვსკი (ამ სამმართველოს საიდუმლო განყოფილების გამგე), „დროებით მივიღინებულნი საცენზურო კომიტეტში, ხან ბ-ნი ბოგაჩევი, ერევნის გუბერნიის სასწავლებლების დირექტორი, როგორც ბ-ნმა ფურცელაძემ გამოსთქვა, კომიტეტში „გამოსაცდელად“ გაგზავნილი. მაშ, როგორ, ნუთუ მთელი ამ დროის განმავლობაში არ შეიძლებოდა თბილი ადგილებისა და ჯამაგირე-

ბის მრავალრიცხოვან მაძიებელთა შორის ისეთი, უმაღლესი განათლებით აღჭურვილი პიროვნების შერჩევა, რომელიც რუსულ ლიტერატურას იცნობდა და საცენზურო წესდების 24-ე მუხლის მოთხოვნებს აკმაყოფილებდა? ნუთუ ჩვენი განაპირა ქვეყნის რუსულმა პრესამ არ დაიმსახურა იმდენი პატივისცემა, რომ იგი ხელ-ფეხ შებოჭილი უნდა გადაეცათ ისეთი მოხელეების უკონტროლო და უაპელაციო განკარგულებაში, რომელთაც არ იციან, მაგალითად, რომ გენერალი ბეტრიშჩივი დიდი მთავრის ამაღლის წარჩინებული პიროვნება კი არა, გოგოლისეული ტიპია, გაზეთის მიერ სასაცილოდ ასაგდებად ხელმისაწვდომი? განა ეს არ ნიშნავს ბეჭდვითი სიტყვის ძლიერების, მნიშვნელობისა და განვითარებისათვის ძირის გამოთხრას?

ბ-ნი პროკურორის თანაშემწე ამ საკითხზე არ ჩერდება. იგი შეიპყრო ცდუნებამ ცენზურის მიმართ ჩემი დამოკიდებულება წარმოგიდგინოთ თქვენ, ბ-ნო მოსამართლენო, რაც შეიძლება უარყოფითი სახით. მისი სიტყვით ცენზურა და ცენზორები რედაქციას როგორც ქველმოქმედი მამები ეპყრობიან: ცენზორების „შეწყალებებს“ თურმე საზღვარი არა აქვს. ისინი ღამით შრომობენ, ღამითვე ღებულობენ რედაქტორებს პირადი განმარტებისათვის, ეთანხმებიან მათ სტატიების გაშვებაზე, რედაქტორს კი, ხომ ხედავთ, არამც თუ გული არ უყუჩდება, იგი არამც თუ მადლობას არ უხდის და ხოტბას არ ასხამს ცენზორს, არამედ ღამე თავსაც კი ესხმება და თვითნებობს. საბრალო ცენზორები! მაგრამ ცენზორების თითქოს დაჩაგრული უმანკოება სინამდვილეში ასე არ მოჩანს. ისინი ღებულობენ 2400 და 3000 მან. ვერცხლის ფულს წელიწადში, გარდა ჯილდოებისა და დაწინაურებისა, განა თუ რისთვის? იმისათვის, რომ საღამოობით, მყუდრო კაბინეტში, აუჩქარებლად კი-

თხულობენ იმას, რის წაკითხვაშიაც დანარჩენი მომაკვდავნი ფულს იხდიან. გთხოვთ დააკვირდეთ, ჯერ ერთი, დღისით ბ-ნი ცენზორებს სრულიად არავითარი საქმე არა აქვთ და სამსახურში დაკავებული არ არიან, და მეორეც, ისინი ბეჭდვით ნაწარმოებებს კითხულობენ უკეთესი სახით, ვიდრე ფულის გადამხდელი საზოგადოება, რადგანაც ნიჭიერების ყველა ნაბერწყალი, აზრის მთელი სიმახვილე, ყოველი საგულისხმო ამბავი, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის რაც ბანალობას სცილდება, მათ მიერ უმოწყალოდ იწლება და მკითხველ საზოგადოებამდე არ აღწევს.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე: ხომ არ მივაჩინათ, რომ დაცვის საგანს სცილდებით, როდესაც ცენზორების ხელფასსა და მეცადინეობას ვრცლად ეხებით?

ბ რ ა ლ დ ე ბ უ ლ ი: როდესაც ბრალმდებელი მე მსახავს უმადლიერო ქმნილებად, რომელიც ცენზორების ურიცხვ შეწყნარებაზე, თითქოს ძალადობით და უზრდელობით ვპასუხობ, მე ვფიქრობ, რომ ამ „შეწყნარებათა“ ხასიათისა და ღირსების ზუსტი განსაზღვრა პირდაპირ ეხება ჩემი თავისდაცვის არსს.

ბ რ ა ლ დ ე ბ უ ლ ი: რომ დებულებიდან გამომდინარე, რომ ცენზორს შეიძლება ბრალი დაედოს მხოლოდ ზედმეტ შემწყნარებლობაში. ბ-ნი პროკურორის თანაშემწე პირდაპირ აცხადებს, რომ ძალადობასა, თვითნებობასა და შევიწროვებაში დამნაშავე მხოლოდ მე ვარ. ვეთანხმები, რომ ღამით თავდასხმა არ არის მოსაწონი და ულამაზოა, მაგრამ განა ღამითვე არ შესხმოდა მე თავს ცენზურა, როდესაც ძალით მართმევდა სტამბაში, ნაშუალამევის 5-6 საათზე, მის მიერ ნებადართულ ფურცლებს, მაშინ, როდესაც გაზეთის ნომერი იბეჭდებოდა მისი ყველა წანაშლების მიხედვით? და ეს ერთხელ და ორჯერ არ მომხდარა. განა ღამით არ დამესხნენ მე პოლიციელები, როდესაც სტამბაში მოვიდნენ, ცენზურ-

რის მიერ მთლიანად ნებადართული გაზეთი „ობზორის“ უკანასკნელი ნომრის დასაკავებლად? ძალადობა ძალადობის წილ და თვითნებობა თვითნებობის წილ! მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ცენზურასთან გასწორებული ვართ. ამიტომ უცნაურობაზე მეტად მიმაჩნია, რომ ბ-ნი პროკურორის თანაშემწე გმობს და ჰკიცხავს მხოლოდ ერთი მხარის და ისიც უსუსტესი მხარის ძალადობასა და თვითნებობას. თუმცა კი იგი ამბობს, რომ კარგი იყო თუ ცუდი, სწორი თუ კანონსაწინააღმდეგო ცენზორის მოქმედება და განკარგულებანი, ისინი უცილობლად სავალდებულო იყო რედაქციისათვის.

ხელისუფლების სწორ და სამართლიან განკარგულებათა წინააღმდეგ შეშლილების გარდა, არასდროს არავინ ამხედრდება, და თუ თქვენ გსურთ, რომ ყველა უყოყმანოდ და ნებაყოფლობით დაგემორჩილონ, მოახერხეთ თავშეკავება და მუდამ სამართლიანი და გონიერნი იყავით. მაშინ არ დაგჭირდებათ ძალის გამოყენება. მაგრამ არავითარი ძალა არ კმარა იმისათვის, რომ ყველასათვის სავალდებულო განადოს აშკარად უსწორო და უგუნური განკარგულებანი, რომელთა მოწონება და გამართლება პროკურორის თანაშემწესაც კი არ ძალუძს!

მართალია უგუნური განკარგულები-სადმი დამორჩილების მოთხოვნასთან ერთდროულად ბრალმდებელი გვარწმუნებს, რომ არსებობს უფროსებთან გასაჩივრების საშუალებოა, მაგრამ მართლაც ასეა საქმე? განა ყოველთვის შეიძლება ჩივილი, განა ყოველთვის ისურვებს და შესძლებს ზემდგომი უფროსი გამოასწოროს ის, რაც ჩადენილია მისი აგენტების უაზრო და უსწორო მოქმედებათა შედეგად? ვარწმუნებ ბ-ნი პროკურორის თანაშემწეს, რომ მე უმიზეზოდ არ გადამიწყვეტია თვითნებობა, არამედ წინასწარ ამოვწურე ყვე-

ლა კანონიერი საშუალება ბეჭდვითი სიტყვის უფლებების დასაცავად. ესინჯე ჩივილიც და მრავალჯერ ვსინჯე. მრავალჯერ წარვადგინე კავკასიაში მეფის ნაცვლის მთავარ სამმართველოში და თვით დიდ მთავართან მეფის ნაცვალთანაც საცენზურო კომიტეტის მიერ აკრძალული სტატიები. სამართლიანობა მავალებს განვაცხადო, რომ უმრავლეს შემთხვევაში სამხარეო უმაღლესი ხელისუფლება ნებართვას იძლეოდა ამ სტატიების დასაბეჭდად. ბედკრული სტატიები მიბრუნდებოდა ძვირფასი წარწერით—„ნებას ვრთავ“, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი უკვე მცირეოდენ ინტერესსაც კი არ იწვევდნენ, რის გამოც ვერ დაიბეჭდებოდა. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ სანამ ჩემი საჩივარი ჩვენი ბიუროკრატიის ყველა ინსტანციებს და წვლებს გაივლიდა, სანამ საცენზურო კომიტეტი თავის განმარტებას წარადგენდა, სანამ მოხსენება დამზადდებოდა, სანამ მას წარუდგენდნენ ჯერ მთავარსამმართველოს უფროსს, შემდეგ უკანასკნელი მეფისნაცვლის თანაშემწეს და ბოლოს იგი მეფისნაცვალს, და სანამ ქალაქი მისგან ბრუნდებოდა, ორი სამი თვე ვადიოდა, სტატიის გამომწვევი ინტერესი კი ქრებოდა და იკარგებოდა. დაბეჭდავთ დღეს თუ არა სტატიას მაგალითად, ბერლინის კონგრესის შესახებ?

საოკო სასამართლოში მე უკვე მოვიყვანე პუბლიცისტი გოლოვჩივის აზრი ცენზორის მოქმედებაზე ყოველგვარი საჩივრების უსარგებლობის შესახებ. მკითხველი საზოგადოება გაზეთში ეძებს სადღეისო საკითხებზე გამოხმაურებას. და რა ღირსებისა იქნება გაზეთი, რომელიც ბ-ნ პროკურორის თანაშემწის რჩევის მიხედვით, რამდენიმე დღით ადრე წარადგენს სტატიებს ცენზურაში და თავისი წერილებითა და ცნობებით მთელი კვირით დაიგვიანებს? და აი, ამიტომაც, ბ-ნო მოსამართლენო, ჩვენ ჟუ-

რნალისტებს, არ შეგვიძლია ვისაოგებლოთ პროკურორის თანაშემწის რჩევებით. ყოველდღიური პრესის საქმე არ არის სასამართლო საქმე, სადაც დამშვიდებული სინიდისით შეიძლება დარღვეული უფლების ან შელახული ჭეშმარიტების აღდგენას უცალო ათეული წლების განმავლობაში, სანამ ჩვენი პროცესები გრძელდება.

ყველა ამ მოსაზრებათა დამაჯერებლობის მიუხედავად, მე ჯერ კიდევ არ ამომიწურავს ჩემი პასუხი საბრალდებო სიტყვის ამ ნაწილის წინააღმდეგ, განსაკუთრებით ბ-ნ პროკურორის თანაშემწის განცხადების გამო, „საზოგადოების ყოველი ცალკე წევრისათვის მისი საკუთარი შეხედულებით მოქმედების უფლებების მინიჭების“ საშიშროების შესახებ. სხვათაშორის უნდა შევნიშნო, რომ „საკუთარი შეხედულებით მოქმედების ეს უფლება“ განუყოფლად დაკავშირებულია ასეთივე საკუთარ „პასუხისმგებლობასთან“; და რაკი თავს არ ვარიდებ და ვერც ავარიდებ ასეთ პასუხისმგებლობას, რაიმე საშიშროებას მე აქ ვერ ვხედავ. მაგრამ საქმე ეს კი არ არის. კანონი დამორჩილებას მოითხოვს უფლებამოსილ პირთა კანონიერ განკარგულებების მიმართ; მგონი ეს არის სისხლის სამართლის ელემენტალური დებულება და მე არ მესმის რა საშიშროებას შეიძლება წარმოადგენდეს ცენზორის უკანონო მოთხოვნისათვის წინააღმდეგობის გაწევა? მაგრამ მე ვტოვებ საქმის ამ მხარესაც, რათა პირდაპირ გადავიდე საკითხზე „ლეგალური ბრძოლის“ შესახებ, რომელსაც მე ბ-ნი პროკურორის თანაშემწე მირჩევს.

ბრალმდებლის რჩევა, რომ ყოველთვის ლეგალურად ვიმოქმედოთ და ლეგალური ბრძოლის ფარგლებს არ


გავცილდეთ, საეჭვოა რომ გამოსადეგი იყოს ჩვენი მდგომარეობისათვის. მე, ბატონებო, სრულიადაც არა ვარ კანონიერების თავყანისმცემელი, ამ სიტყვის ვიწრო გაგებით და არა ვფიქრობ, რომ ყველა ჩვენი საზოგადოებრივი უბედურება შედეგია კანონების დაუცველობისა. მაგრამ ჩემს საქმიანობაში ყოველთვის მტკიცედ ვადექი ლეგალურ გზას. უკვე ათი წლის წინათ მიზნად დავისახე საკუთარი გამოცდილებით ვცადო, და ვცადო კეთილსინდისიერად, გულწრფელად, თუ რამდენად შეიძლება ჩვენში, რუსეთში შეუთანხმო სასურველი და აუცილებელი საზოგადოებრივი პროგრესის ინტერესები ლეგალობის მოთხოვნებს, ე. ი. რა ზომამდე უშვებენ ჩვენი კანონები, ჩვეულებანი და წესები ზრუნვას საზოგადოებრივ განვითარებაზე. ამ მიზნით მე გადავწყვიტე ამომეწურა ყველა ის საშუალებანი, რაზედაც ჩვენი კანონები ნებას რთავენ ოპოზიციას, რა თქმა უნდა ლეგალურს.

გულწრფელი მწუხარებით მიხდება ეხლა განვაცხადო, რომ ჩემმა ათწლიანმა გამოცდილებამ არ გამართლა საზოგადოების წყნარი და მშვიდობიანი განვითარების მეგობართა იმედები და სიფრთხილე. თავისთავად ცხადია, რომ ქვეყნის წარმატებითი განვითარებისათვის ლეგალურობა ყველაზე სასურველ პირობებს წარმოადგენს და რაც უფრო მეტი ასპარეზი აქვს დათმობილი ლეგალურ ბრძოლებს მით უფრო მშვიდობიანი, უფრო მყარია საზოგადოების მიერ მოპოვებული პროგრესი. ამაში მე უდავოდ ვეთანხმები ბ-ნ პროკურორის თანამემწეს. მაგრამ მე შევნიშნავ, რომ ლეგალურობა ყველა ნიადაგზე არ წარმოიშობა, ყველგან, ყველა ხალხებში ვერ მოიკიდებს ფესვებს. იმისათვის, რომ იგი რომელიმე ქვეყანაში დამკვიდრდეს აუცილებლად საჭიროა, რომ კანონის ლეგალურობის ეს ფუძე, ორივე მებრძოლ მხარეზე, როგორც ოპოზიციას, ისე ადმი-

ნისტრაციას, მიუწვდომლად და დიდგეს და სრულიად არ იყოს დამოკიდებული არც ერთისა და არც მეორისაგან. მხოლოდ იქ, სადაც კანონის წყარო სრულიად დამოუკიდებელი ხელისუფლებაა, ხოლო მიზანი კი ხალხის ცხოვრების გონივრულად მოწესრიგება, და მებრძოლ მხარეთაგან ერთ-ერთის ინტერესები და კეთილმოწყობა, და სადაც არც ერთს, არც მეორე მხარეს არა აქვს საშუალება კანონს გვერდი აუაროს, ან დაამახინჯოს იგი, მხოლოდ იქ, ვიმეორებ მე, შეიძლება ლეგალური ბრძოლის წყნარი და წარმატებითი მიმდინარეობა, რაც არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს. მხოლოდ იქ ორივე ეს მხარეც, და უკლებლივ ყველა ქვეშევრდომიც, იძულებული არიან მოწინებით მოხარონ თავი დამოუკიდებელი და ხელშეუხებელი კანონის წინაშე. მაგრამ, განა ამასვე გხედავთ ჩვენთან? საქმე რომელსაც თქვენ იხილავთ ყველაზე უკეთ განმარტავს ჩემს აზრს.

თქვენ დაინახეთ, ბ-ნო მოსამართლენო, მაგალითად, თუ როგორ უხვევს და უპასუხისმგებლოდ არღვევს ცენზურა კანონის მოთხოვნას, როდესაც ირწმუნებოდა, რომ ეს კანონი ბეწვისოდენად მაინც ამსუბუქებს ოპოზიციური პრესის მდგომარეობას. იმის გამორკვევისთანავე, რომ რომელიმე კანონი მხარს უჭერს ოპოზიციის თუნდაც სუსტ საყრდენ წერტილს, რომ მმართველთა პირადი კეთილმოწყობისა და მათი კომფორტისათვის რამდენადმე არა ხელსაყრელია რაიმე წესის არსებობა, ამ წესს არა თუ მარტო მაშინვე გვერდს უხვევენ, არა თუ მარტო მაუდის ქვეშ დებენ, არამედ ხშირად სრულიადაც კი აუქმებენ. თუმცა ამის მაგალითებს ჩვენ ყოველდღე მრავალსა გხედავთ, მაგრამ მე მოვიყვან თვალსაჩინო მაგალითს, რომელსაც ჩვენი პროცესი წარმოადგენს.

სასჯელთა დებულების 1020-ე მუხ-



ლი მძლევდა საშუალებას, გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ, ზოგჯერ უვნებლად დამებეჭდა ცენზურის მიერ დამახინჯებული უწყინარი სტატიები, რისთვისაც დამეკისრებოდა ფულადი გადასახადი 50,100 და 200 მანეთის რაოდენობით. მაგრამ ცენზურასა და აღმინისტრაციას არ მოეწონათ სასჯელთა დებულების ეს მუხლი, მით უმეტეს, რომ მისი შეფარდებისათვის საჭირო აღმოჩნდა მათ მიერ მთელი რიგი კანონების დაცვა. და აი ეს მუხლი ჩემთვის ამორიცხეს კანონიდან, იგი ამოშლილია კანონიდან იმით, რომ სტამბასთან დაყენებული პოლიცია, რომელიც ალბათ ჩემი ჯიბის ინტერესის გამო ხელს მიშლის მე ვბეჭდო ჩემი სტატიების ცენზურის მიერ აკრძალული უვნებელი ადგილები. როდესაც ლეგალური ბრძოლის ერთ მხარეს მიკუთვნებული აქვს უფლება და საშუალება თავისი შეხედულებით შეცვალოს არსებული კანონები და წესები, მაშინ გასაგებია, რომ ყველას და თვითულის თვალში კანონი, რომლის მფარველობის ქვეშაც უნდა წარმოებდეს ლეგალური ბრძოლა, იქცევა მხოლოდ ერთი და ამასთან უძლიერესი მხარის განკარგულებაში გადაცემულ საბრძოლველ იარაღად. ბრძოლის ასეთი იარაღის მოქმედებამ შეიძლება დაგვეცეს, მაგრამ მეტიმეტად გულშეპყვილობა ვისგანაც არ უნდა იყოს იმის მოთხოვნა, რასაც პროკურორის თანაშემწე მოითხოვს, რომ თვით ეს იარაღი ცნობილი იქნეს მხსნელ საშუალებად.

მაგრამ მაინც მოსამართლენო, პროკურორის თანაშემწე, როდესაც მიგვითითებს ლეგალობის საჭიროებაზე, მას ავიწყდება, რომ ჩვენ ურთიერთობათა დაძაბულობის ძნელ დროში ვცხოვრობთ, დაძაბულობის, რომელიც გაბოროტებას აღწევს.

მოსახლეობის დიდი ნაწილი მწარე გამოცდილებით მიყვანილია სამწუხარო და არასასურველ უნდობლობამდე

ლეგალური ბრძოლის შესაძლებლობისა და გონივრულობისადმი, და კიდევ უფრო სამწუხარო თაყვანისცემამდე მხოლოდ ფიზიკური ძალის მიმართ.

თუ არ გვსურს კანონიერებას გადავუხვიოთ, თუ ჩვენთვის მართლაც ძვირფასია ქვეყნის მშვიდობიანი განვითარების ინტერესები, მაშინ აუცილებელია ლეგალური ბრძოლის შესაძლებლობის გაადვილება, რაც მეტად საჭიროა თვით ხელისუფლების ინტერესებისთვისაც კი. მაგრამ, როგორც უკვე მოგახსენეთ, ლეგალური ბრძოლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა თანასწორობის პირობებში, კანონისადმი მათი თანაბარი დამოკიდებულებებისას. ჯერჯერობით საჯარო სასამართლო წარმოადგენს ჩვენში ერთადერთ ძალას, რომელსაც ძალუძს, გარკვეულ ფარგლებში მაინც, შექმნას სახელმწიფო კანონებისადმი საჭირო პატივისცემა, ძალუძს, გარკვეულ ზომამდე მაინც — საზღვარი დაუდოს თვითეული მებრძოლი მხარის მიერ კანონის დამახინჯების ხელყოფას. ამიტომ მე, ბნო მოსამართლენო, სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ არ შეისმენთ ბნ პროკურორის თანაშემწის შეგონებებს და თქვენი გამამართლებელი განაჩენით გაახსენებთ ყველას, რომ კანონი არსებობს, ან უნდა არსებობდეს ორივე მხარისათვის და არა ერთი მხარის ასალაგმავად.

საკითხავია, საით მივყევართ ჩვენ პრესისა და ლეგალური ბრძოლის შევიწროებას? თქვენ, ბნო მოსამართლენო, ბერ-მონაზნები და განდეგილები არ ბრძანდებით. თქვენ ყოველდღე ტრიალებთ იმავე საზოგადოებაში, სადაც ჩვენ ვმოქმედობთ. ამავე საზოგადოებაში ხშირად გესმით შეფასებანი, საუბრები და მსჯელობანი, რომელნიც თავისუფლებით და კრიტიკული შინაარსით გაცილებით უფრო მწვავეა, ვიდრე ყველაფერი ის, რის გამოთქმაც პრესას მკვეთრად შეუძლია. უწინ, და-

ახლოებით 25 წლის წინათ, კიდევ შეიძლებოდა „საყოველთაო სიჩუმის“ სისტემის პრაქტიკა. ამჟამად კი ეს სისტემა სრულიად გამოუსადეგარია. ახლა, როდესაც საჯარო სასამართლომ, საქალაქო და საეროებო თვითმმართველობამ და პრესამ საფუძველი ჩაუყარეს საზოგადოებრივი აზრის შექმნას, და როდესაც მიმოსვლის გზების, ფოსტის და ტელეგრაფის განვითარებამ უკიდურესად გაადვილა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, არავითარი შევიწროვება ბეჭდვითი სიტყვისა არ გამოდგება ქიმერული მიზნის მისაღწევად, უწინდელი სიჩუმისა და საზოგადოების ბრმა ნდობის დასამყარებლად. პრესა ხომ ეხლა უსიტყვოა, მას არ მოეპოვება გამოხმაურება ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, რაც თანამედროვე საზოგადოებას აინტერესებს და აღეგებს. და ვანა იმიტომ, ამ საზოგადოებაში არ დადის ხმები, ელვის სისწრაფით არ ვრცელდება, ქვეყნის ერთი საზღვრიდან მეორემდე, ყოველგვარი ახალი ამბები და ცნობები, რომელთაც პრესაში ადგილი ვერ მოუწახავთ? ვანა მთელმა საზოგადოებამ ჩვენი შორეული განაპირა ქვეყნის მიყრუებულ კუთხეებშიც კი არ იცის ყველა ის, რის დამალვასაც კი მისგან ცდილობენ ბ-ნი ცენზორები?


შეადარეთ ხალხში საყოველთაოდ გავრცელებული ცნობები და აზრები ჩვენი და დედაქალაქის პრესის უსიტყვობასთან. და გულახდილად სთქვით, აღწევნ თუ არა მიზანს პრესის ყველა ეს შევიწროებანი? საით მივყვართ საზოგადოებრივი სხეულის ბუნებრივი განვითარების მიმართ ამ სისტემატური წინააღმდეგობის გაწევას, თუ არა ამ სხეულის აურიდებელი ძალების მახინჯ გამოვლინებამდე, თუ არა საზოგადოების ნაწილის გაბოროტებამდე და ნაწილის დასუსტებამდე? ყოველ საზოგადოებაში, ბატონებო, კმაყოფილთა და ბედნიერთა გვერდით, მოიპო-

ვებიან უკმაყოფილონიც, დაბეჩავებულნიც, მოიპოვებიან ადამიანები, რომელნიც მიისწრაფვიან უკეთესი წესებისა და ბედისაკენ. ვანა შეიძლებოდა საზოგადოებრივი წინსვლა ასეთი ელემენტების არსებობის გარეშე?

ქვეყნის მშვიდობიანი განვითარებისათვის სასურველი და აუცილებელია, რომ ამ ელემენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა გამოავლინონ თავისი მისწრაფებანი და ამტკიცონ ეს მისწრაფებანი, ამტკიცონ თავისი რწმენა. როდესაც ეს ელემენტები პოულობენ თავისუფალ პრესაში მათი აზრებისა და მისწრაფებების ქადაგების შესაძლებლობას, მათში იღვიძებს მომავლის იმედი და ამავე დროს იბადება მოთმინებაც. ისინი რწმუნდებიან, რომ შეუძლებელია ყველაფრის ერთბაშად გადაკეთება, რომ ყველას ერთბაშად ვერ დაარწმუნებ, და ათეული წლებით იცდიან, და უკიდურესობაში არ ვარდებიან, უაზრო საქციელებით სახელს არ უტეხენ დროის დაუძლეველ მოქმედებას. მაგრამ როდესაც ეს ელემენტები ძალაუვნებურად რწმუნდებიან, რომ მათ არა აქვთ დათმობილი არავითარი ადგილი მრწამსისათვის გულახდილი და ლეგალური ბრძოლის ასპარეზზე, საით უბრძანებთ მათ წარმართონ, თუ არა არალეგალური მოღვაწეობის სფეროში, რომელიც ყველასათვის ამდენად არასასურველია? რაც უფრო იზღუდება პრესის თავისუფალი განხილვისათვის ხელმისაწვდომი სფერო, მით უფრო ფართო და ადვილი ხდება არალეგალური საქმიანობის ასპარეზი, იმიტომ რომ ამ უკანასკნელის ნიადაგიც, მისი ძალებიც და მისი ხელსაყრელი პირობებიც იქმნებიან, ვითარდებიან, მტკაცდებიან ადამიანის აზრის შევიწროების წყალობით.

ეს პროცესი ბ-ნო მოსამართლენო, გამოძახილია ამჟამად მნიშვნელოვნად შეცვლილი მდგომარეობისა. ახლა, ბა-





ტონებო, ადგილობრივი პრესა გათელილია. „ობზორი“ შეჩერებულია, დანარჩენი ადგილობრივი გაზეთები სულს ძლივს დაფავენ. ეს იმიტომ ხდება, რომ სწორედ იმ დროს, როდესაც მთელი ჩვენი საზოგადოება შეპყრობილია ცხოვრების პირველხარისხოვანი უამრავი საკითხებით, ადგილობრივ პრესას არ შეუძლია გამოეხმაუროს ამ საკითხებს. ცხადია, რომ მკითხველ საზოგადოებას არ აინტერესებს ის ბანალობანი, რაზედაც მხოლოდ შეიძლება ახლა ჩვენში წერა. მე არ ვიცი რისთვისა და ვისთვის არის საჭირო, ვისი სასარგებლოა ბეჭდვითი სიტყვის ეს დისკრედიტაცია, არ ვიცი ვინ იგებს იმ უკუნეთში, რაც დაამყარა ჩვენ თავზე ცენზურამ. მაგრამ, სამწუხაროა, რომ საჯარო სასამართლოს ერთ-ერთი წარმომადგენელი, სასამართლო პალატის

ბ-ნი პროკურორის თანაშემწე, ამბროძისა და საქმის ასეთი მდგომარეობის გამო, ივიწყებს რა საჯაროებისა და საჯარო სასამართლოს ტრადიციებს, ასე გადაჭრით დგება მათ მხარეზე, ვინც ლიტერატურას ასამარებს, რომელსაც შებოჭილს აძლევს მელიქ-მელრაბოვებისა, ვარძიევსკების და კომპანიის განკარგულებაში. დარწმუნებული ვარ, რომ ასე არ მიუდგებით საქმეს თქვენ ბატონო მოსამართლენო. საოლქო სასამართლოში მე ვითხოვე ჩემთვის გამამართლებელი განაჩენის გამოტანა, რაშიც მე ვნახულობდი პირველნაბიჯს პროვინციული პრესის განთავისუფლებისაკენ. ასეთივე თხოვნითა და იმედით მოგმართავთ ახლა თქვენ და გთხოვთ თქვენი ავტორიტეტით და მტკიცოთ ჩემს მიმართ საოლქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი.



# თეთრი სპილოს გავაცაბა\*

ეს უცნაური ამბავი ერთმა მგზავრმა მიაშობ, რომელიც მატარებელში გავიციანი შემთხვევით. იგი 70 წელს გადაცილებული ჯენტლმენი იქნებოდა. მისი სანდომიანი და უწყინარი სახის გამომეტყველება, არაჩვეულებრივად სერიოზული და გულწრფელი მანერები ჭეშმარიტების დღეს ასვამდა მის ყოველ სიტყვას. აი, რა მიაშობ:

## I

თქვენ ალბათ, იცით სიამში რა დიდი პატივიცემით ეყარობიან მეფის თეთრ სპილოს. იგი ხომ მხოლოდ მეფეთა კუთვნილებაა! შეიძლება ისიც თქვენს, რომ სპილო იქ თვით ხელმწიფეზეც მალა დვას, რადგან მას არა მარტო პატივს სცემენ, არამედ აღმერთებენ კიდევ: კეთილი და პატიოსანი. ხუთი წლის წინათ, როცა ბრიტანეთსა და სიამს შორის საზღვრების თაობაზე უთანხმოება ჩამოვარდა, ბოლოს და ბოლოს, გამოირკვა, რომ აქ სიამს მიუძღვოდა ბრალი. ამიტომაც მხარეები მალე მორიდდნენ. ბრიტანეთის წარმომადგენელმა განაცხადა, მოლაპარაკებით კმაყოფილი ვარ და წარსულიც დავივიწყოთ. ამან დიდად გაახარა ბოლოს მეფე და, ნაწილობრივ, მადლიერების ნიშნად, ნაწილობრივ, ალბათ იმიტომაც, რომ ინგლისს გულში ხინჯად არაფერი ჩარჩენოდა, გადასწყვიტა დედოფლისათვის ძვირფასი ძვენი მიერთშია — აღმოსავლური ჩვეულების თანახმად, ესაა ერთადერთი გზა მტრის გულის მოსალობად. საჩუქარი კი უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ მეფური, არამედ ზემეფური. პოდა, ამისათვის მეფის სპილოზე უკეთესი რა იქნებოდა. მე იმ ხანად ისეთი ადგილი მეჭირა ინდოეთის სამოქალაქო სამსახურში, რომ დიდი პატივი დამდეს და დამავალეს — პირადად მიმერთშია ეს საჩუქარი მისი უდიდებულესობისათვის. ჩემთვის, ჩემი მსახურების, ოფიცრების და სპილოს მომვლელებისათვის სპეციალური გემი აღჭურვეს და გავუღდექი გზას. ნიუ-იორკის ნავსადგურში დანიშნულ დროზე შევედი და სპილო ჯერისი-სიტის ერთ-ერთ შესანიშნავ კვარტალში დავა-

ბინავე. საჭირო იყო მცირე ხნით შესვენება, რათა ცხოველს ცოტათი მოეკეთებინა და, შემდეგ, გაგვეკარძელებინა გზა.

ორი კვირა თავს კარვად ვგძნობდი, მერე კი დაიწყო, ჩემი უბედურება. თეთრი სპილო გაიტაცეს! შუალამისას გამაღვიძეს და მაუწყეს ეს საშინელი ამბავი. თავდაპირველად ისე შემეშინდა, რომ გონება დაგვარებ. წასულია მეთქი ჩემი საქმე, გადავწყვიტე, მაგრამ შემდეგ ცოტათი დავმშვიდდი და გონება მოვიკრიფე. მალე მოვისაზრე რა უნდა გამეკეთებინა — გონიერი აღმიაჩინა სხვას მართლაც ვერას მოიმოქმედებდა. გვიან იყო, მაგრამ მაინც ვაგფრინდი ნიუ-იორკში. პირველსავე პოლიციელს ჩავავლე ხელი და სამძებრო პოლიციაში მივედი. საბედნიეროდ, რომ იტყვიან, ბედზე მივუსწარ, რადგან პოლიციის უფროსი, სახელგანთქმული ინსპექტორი ბლანტი ის-ის იყო შინ წასვლას აპირებდა. იგი საშუალო ტანის, ჩასკვნილი კაცი იყო. როცა ფიქრს მიეცემოდა, წარბებს შეიჭმუხნიდა და საჩვენებელ თითს დროდადრო შუბლზე იცემდა. ეს კი დიდ შთაბეჭდილებას ტოვებდა და გრძნობდით, რომ არაჩვეულებრივი აღამიანის წინაშე იდექით. მარტო მისმა დანახვამ გამამხნევა და დამაიმედა. ვუამბე ჩემი გასაჭირი, მაგრამ იგი სულაც არ შეშფოთებულა, ერთი ძარღვიც არ ატოკებია რკინისებურ სახეზე. ჩემი სიტყვები ისე მიიღო, როგორც, მაგალითად, ძაღლის დაკარგვის ამბავს შეიტყობს კაცი. მან სავარძელზე მიმითითა — ჩამოკეპითო და მშვიდად წარმოთქვა:

— ნება მიბოძეთ, ცოტა ხნით ჩავფიქრდე.

ამ სიტყვებთან ერთად იგი მიუჯდა თავის სამუშაო მაგიდას და თავი ხელეში ჩარგო. ოთახის მეორე კუთხეში რამდენიმე მოხელე მუშაობდა და მომდევნო 6-7 წუთი არაფერი მესმოდა მათი კალმების წრიბინის გარდა. ამასობაში ინსპექტორი ფიქრებში ჩაეფლო. ბოლოს ასწა თავი და, შევხედე თუ არა, მიეხვდი, რომ მის გონებას უკვე გაუკეთებინა თავისი საქმე და სამოქმედო გეგმაც მზად იყო.

— ეს ჩვეულებრივი საქმე როდია, — თქვა

\* ეს მოთხრობა არ შევიდა წიგნში „ფეხით ევროპაში“, რადგან ეჭვი გამოითქვა, ზოგი წვირლმანი მასში გადაჭარბებულია, ზოგი კი სულაც არასწორიაო. მე ამ ბრალდებათა უსაფუძვლობის დამტკიცებაც კი ვეღარ მოვასწარი, რომ უკვე დაიწყეს წიგნის ბეჭდვა.  
ავტორის შენიშვნა.

მან დაბალი და მგრძობიარე ხმით, — სიფრთხილით უნდა გადაიდგას ყოველი ნაბიჯი. ყოველ ნაბიჯში დაგრწმუნდეთ და შემდეგ ვიფიქროთ მეორეზე. ყველაფერი უნდა გაკეთდეს საიდუმლოდ — სრულიად საიდუმლოდ. კრინტი არ დასძრათ ამის თაობაზე არავისთან, თვით რეპორტიორებთანაც კი. მათ მე მოუველი. ისინი მხოლოდ იმას შეიტყობენ, რასაც მე ჩავთვლი სპეციალურად.

შემდეგ დარეკა.

შემოვიდა ყმაწვილი მოხელე.

— ალარიკ, რეპორტიორები არ გაუშვია, დამიცადონ.

ყმაწვილი გავიდა.

— ახლა საქმეს შევუდგეთ და ვიმოქმედოთ თანმიმდევრულად. ჩემი პროფესიის ხალხისათვის მთავარია ზუსტი და მკაცრი მეთოდი.

მან ფანჯარი და ქაღალდი აიღო.

— სპილოს სახელი?

— ჰასან შენ ალი ბენ სელიმ აბდლაჰ მაჰამედ მოსიე ალჰამალ ჯემსეტჯეჯიბში დუღიბ სულთან ებუ ბულნური.

— კეთილი. მეტსახელი?

— ჯუმბო.

— ძალიან კარგი. დაბადების ადგილი?

— სიამის დედაქალაქი.

— მშობლები ცოცხალი ჰყავს?

— არა, მკვდარი.

— სხვა შვილი თუ ჰყავდა მის მშობლებს?

— არა, ეს იყო ერთადერთი მემკვიდრე.

— ძალიან კარგი. ჯერჯერობით ეს მონაცემები საკმარისია. ახლა ვთხოვთ აღმოწეროთ სპილო, ოღონდ ისე, რომ არ გამოტოვოთ უმნიშვნელო წვრილმანიც, ე. ი. უმნიშვნელო თქვენი ის აზრით. ჩემი პროფესიის ადამიანებისათვის კი არ არსებობს უმნიშვნელო წვრილმანი.

მე აღვწერე სპილო, მან ჩაიწერა. როცა აღწერას მოგრიჩი, მითხრა:

— ახლა მომისმინეთ. თუ სადმე შეეცდი, შემისწორეთ, — და წაიკითხა შემდეგი: სიმაღლე 19 ფუტი, სიგრძე შუბლიდან კუდამდე 26 ფუტი, ხორთუმი — 19 ფუტი, კული — 6 ფუტი, საერთო სიგრძე ხორთუმისა და კულის ჩათვლით — 48 ფუტი. ეშვების სიგრძე 9 1/2 ფუტი. ყურები პროპორციულია. ნაკვალევს ისეთს სტოვებს, როგორც თოვლზე უკუღმა დამდგარი პატარა კასრი. ფერი — მოჭუჭყო-მოთეთრო. ყურის ნახერტები ძვირფასეულობის მოსართმევი ლანგარისოდენა აქვს. ერთი რამ ჩვევია—მაყურებლებს წუწავს და ხორთუმით სცემს, არა მარტო ნაცნობებს, არამედ უცნობებსაც. უკანა მარჯვენა ფეხზე ოდნავ წიკოჭლებს, მარცხენა ილიაში ერთ დროს ძირმაგარა ჰქონდა და ახლა პატარა ნაიარევი შემორჩა. მოპარსვისას ზურგზე ჰქონდა 15-ადგილიანი კორ. საბჭოთა სამართალი № 1.

შვი და ჩვეულებრივი ნოხის ზომის მოოქროვილი უნაგირის გადასაფარებელი.

არცერთი შეცდომა არ იყო. ინსპექტორმა დარეკა, ალარიკს სპილოს აღწერილობა გადასცა და უთხრა:

— ახლავ გადაბეჭდეთ ეს 50.000 ცალად და დაუგზავნეთ კონტინენტზე არსებულ ყველა სამძებრო პოლიციასა და ლომბარდს. — ალარიკი გავიდა. — ესეც ასე. ახლა, სპილოს ფოტოსურათია საჭირო.

მივიცი. ინსპექტორმა კრიტიკული თვალით ახედ-დახედა და თქვა:

— რა გაეწყობა, ეს იყოს, უკეთესი თუ არ არის, მაგრამ აქ მას ხორთუმი პირში აქვს. სამწუხაროა, ამან შესაძლოა შეგვაცდინოს, რადგან, არა მგონია, მას სულ ასე ჰქონდეს ხორთუმი. — იგი ზარს მიწვდა.

— ალარიკ, გადაბეჭდეთ ეს ფოტოსურათი 50.000 ცალად და დილისთვის გააგზავნეთ სპილოს აღწერილობასთან ერთად.

ალარიკი გავიდა ბრძანების შესასრულებლად. ინსპექტორმა თქვა:

— ახლა კი, რა თქმა უნდა, ჯილდო უნდა დავაწესოთ. რამდენს გაიღებთ?

— თქვენ რამდენს მირჩევთ?

— დასაწყისისათვის მე ვიტყვოდი... კარგი იქნებოდა, ასე, 25.000 დოლარი. ხომ იცით, რა გაიძვერები არიან ქურდები, ათასნაირ გზას გამოსძებნიან, ოღონდაც ხელიდან დაგვიძვრნენ და მიიმალონ. მათ ხომ ყველგანა ჰყავთ მეგობრები და ხელისშემწყობნი...

— ღმერთო ჩემო! ნუთუ თქვენ მათ იცნობთ?

უფროსი ინსპექტორის დაკვირებულმა სახემ, რომელიც ჩანდა დაჩეუული იყო ფიქრებისა და გრძობების დამალვას, ვერაფერი მითხრა, ისევე, როგორც მისმა მშვიდმა პასუხმა:

— ეგ არაფერი. შესაძლებელია ვიცნობდე, შესაძლოა არა. საერთოდ კი, იმისდა მიხედვით, თუ როგორ იქცევა ქურდი და რა მოგებას მოეღობს ამ საქმიდან, ჩვენ წინასწარ ვხედვით ვინ არის იგი. ყოველ შემთხვევაში, ახლა წვრილფეხა ქურდ-ბაცაცებთან რომ არა გვაქვს საქმე, ამაში დაღწმუნებული ბრძანდებოდეთ. არც ახალბედს მოუპარავს თქვენი სპილო. მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ ათასნაირი დამარკოლებებით აღსავსე გზას, რომელიც უნდა გავიაროთ და, მეორეც, იმ ფაქტს, რომ ქურდები ყოველნაირად ეცდებიან გზა-კვალი აგვიბნინონ, ვფიქრობ, 25.000 დოლარი ჯილდოსათვის ერთობ მცირე თანხაა. თუმცა, ჩემის აზრით, დასაწყისისათვის არა უშავს რა.

ასე რომ, დასაწყისისათვის ამ თანხაზე შევთანხმდით. შემდეგ ამ კაცმა, რომლის გამჭრიახ გონებას, როგორც ჩანდა, არაფერი გამოეპარე-

ბოდა, რისთვისაც ხელის ჩაჭიდება შეიძლება — და, თქვა:

— სისხლის სამართლის ისტორიაში იშვიათი როლი შეძთხვევები, როცა დამნაშავენი ჭამის მალის თავისებურებათა მიხედვით აღმოუჩენიათ. მითხარით, რას ჭამს თქვენი სპილო და რამდენს?

— კეთილი, რაც შეეხება იმას, თუ რას ჭამს — იგი ჭამს ყველაფერს. ადამიანს, ბიბლიას. მოკლედ ყველაფერს, რაც არსებობს ადამიანსა და ბიბლიას შორის.

— კარგი, ძალიან კარგი, მაგრამ ეს მეტად ზოგადია. საჭიროა წვრილმანები — ჩვენს საქმეში მხოლოდ წვრილმანებს აქვთ ფასი. ე. ი. ადამიანებს ჭამს, არა? ძალიან კარგი. მაგრამ ხომ ვერ მეტყვი სადილად — ან თუ გნებავთ მთელი დღის განმავლობაში, რამდენს შეჭამს? მე ვგულისხმობ ცოცხალ ადამიანს.

— აჰ, მისთვის სულ ერთია, გინდ ცოცხალი იყოს, გინდ მკვდარი. სადილად კი, ასე, ხუთი კაცი ეყოფა.

— ძალიან კარგი. ხუთი კაცი. ასეც ჩაგწეროთ. ახლა ეს მითხარით, რომელი ეროვნების ხალხი იყვარს?

— მისთვის სულ ერთია; ვინც არ უნდა იყოს. საერთოდ ნაცნობებს უფრო ეტანება, მაგრამ არც უცნობებზე ამბობს უარს.

— ძალიან კარგი. ახლა ბიბლია. რამდენს შეჭამს სადილად?

— მთელ გამოცემას.

— მოითმინეთ, აქ სიზუსტეა საჭირო, კერძოდ რომელი გამოცემა გულისხმობთ: ჩვეულებრივ in octavo თუ ილუსტრირებულს?

— ჩემის აზრით, იგი გულგრილია ყოველგვარი მხატვრობის მიმართ. ამიტომაც ილუსტრაციას არაერთარ უპირატესობას არ აძლევს უბრალო ნაბეჭდ ქაღალდთან შედარებით.

— არა, თქვენ ვერ გამიგეთ. მე მაინტერესებს მოცულობა. ბიბლიის ჩვეულებრივი გამოცემა in octavo იწონის 2 $\frac{1}{2}$  გირვანქას, მაშინ, როცა დიდი ილუსტრირებული in quarto — 10-12 გირვანქას. მაგალითად, რამდენს შეჭამს იგი დორეს ილუსტრირებულ ბიბლიას?

— თქვენ რომ იმ სპილოს იცნობდით, ამას არ შემიკითხებოდით. რამდენს შეჭამს და რამდენიც იქნება.

— კეთილი. აბა, გადავიყვანოთ ახლა ეს დოლარებსა და ცენტებს, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დავაზუსტოთ ეს საკითხი. ტარსიკონს ყდიანი დორეს ბიბლიის ერთი ცალი ღირს 100 დოლარი.

— ასეთ წიგნებს დაახლოებით მთელ 50.000-ტირაჟიან გამოცემას.

— აი, ეს უფრო ზუსტია. ახლავ ჩავიწერ. ძალიან კარგი, ე. ი. უყვარს ადამიანები და ბიბ-

ლია. კიდევ რას ჭამს? გამიგეთ, მე მაინტერესებს წვრილმანები?

— ბიბლიის ჭამას რომ მორჩება, აგურებს მიადგება, აგურებს მოათავებს, ბოთლებს მიადგება, ბოთლებს მოათავებს, ჩერებს მიადგება, ჩერებს მოათავებს, კატებს მიადგება, კატებს მოათავებს, ხამანწყას მიადგება, ხამანწყას მოათავებს, შაშხებს წიადგება, შაშხებს მოათავებს, შაქარს მიადგება, შაქარს მოათავებს, ლევიქლს მიადგება, ლევიქლს მოათავებს, კარტოფილს მიადგება, კარტოფილს მოათავებს, ქატოს მიადგება, ქატოს მოათავებს, თივას მიადგება, თივას მოათავებს, შვრიას მიადგება, შვრიას მოათავებს, ბრინჯს მიადგება, რადგან სწორედ ბრინჯითაა ვაზრდილი. ქვეყნად არაფერია ისეთი, იგი რომ არ ჭამდეს, ევროპული კარაქის გარდა. ვინ აძლევს, თორემ, დარწმუნებული ვარ, არც მაგაზე იტყვის უარს.

— ძალიან კარგი. ერთ ჯერზე რამდენს შეჭამს. მე მაინტერესებს საერთო რაოდენობა, ვთქვათ, დაახლოებით...

— 250 კგ-დან ნახევარ ტონამდე.

— რას სვამს?

— ყველაფერს, რაც თხევადია! რძეს, წყალს, ვისკის, სასაქმებელ ზეთს, ბადაგს, ქაფურს, კარბოლმეფას. რა საჭიროა დაწვრილებით ჩამოვთვალო. ჩაიწერეთ ყოველგვარი სითხე, რაც კი მოგავიდებათ. მოკლედ, ყველაფერს სვამს, რაც თხევადია, ევროპული ყავის გარდა.

— კარგი, მაგრამ რამდენს?

— ჩაიწერეთ — ხუთიდან 15 კასრამდე. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ წყურია. რაც შეეხება ჭამის მადს — მადა მუდამ ერთნაირი აქვს.

— დიდებული მონაცემებია. აწ ვერსად გავვექცევა თქვენი სპილო.

იგი მიწვდა ზარს.

— ალარიკ, გამომიძახეთ კაპიტანი ბერნსი.

ბერნსი გამოცხადდა. ინსპექტორმა დაწვრილებით გააცნო მას მთელი საქმე. შემდეგ მიმართა ისეთი ვადამწყვეტი და ნათელი ტონით, როგორც ახასიათებს ადამიანს, რომელსაც სამოქმედო გეგმა მზად აქვს და რომელიც ბრძანებასა ჩვეული.

— კაპიტანო ბერნსი! სპილოს დასადევნებლად გ მოჰყავით აგენტები — ჯონსი, დევისი, ჰედსი, ბეიტსი და ჰეკეტი.

— არის, სერ.

— აგენტები მოზესი, დეკინი, მერფი, როჯერსი, ტაპერი, ჰიგინსი და ბართოსომიუ ახლავ გამოუღვანენ ქურდებს.

— არის, სერ!

— იქ, საიდანაც გაიტაცეს სპილო, დააყენო 30 რჩეული აგენტი, ამდენივე გამოჰყავით მათ შემცველებად. თვალი გეპირით დღე და დამ,

ჩემი წერილობით ნებართვის გარეშე ახლოს არავინ მიუშვათ, რეპორტიორებს გარდა.

— არის, სერ!

— რკინიგზაზე, ნავსადგურებში, საბორნეებზე და საერთოდ ჭერსი-სიტრიდან მიმავალ ყველა გზატკეცილზე დააყენეთ გადაცემული აგენტები და უბრძანეთ გაჩხრიკონ ყოველი საეჭვო პიროვნება.

— არის, სერ!

— ყოველ მათგანს მიეცით სპილოს ფოტოსურათი და აღწერილობა და დაავალეთ, გაჩხრიკონ ყველა მატარებელი, ამ რაიონიდან მიმავალი ყველა ბორანი და საერთოდ ყოველგვარი სახის გემი.

— არის, სერ!

— თუ სპილო აღმოჩნდება, დააკავონ და მყისვე დამიკავშირდნენ ტელეფონით.

— არის, სერ!

— დაუყოვნებლივ დამიკავშირდნენ, თუ რაიმე კვალს წააწყდებიან, ეს იქნება სპილოს ნაკვალევი თუ რაიმე ამის მსგავსი.

— არის, სერ!

— გეცით ბრძანება, რომ ნავსადგურის პოლიციამ გააძლიეროს თვალყური საზღვრებზე.

— არის, სერ!

— გავზავნეთ გადაცემული აგენტები რკინიგზის ყველა მაგისტრალზე: ჩრდილოეთით — კანადამდე, დასავლეთით — ოკაიომდე, სამხრეთით — ვაშინგტონამდე.

— არის, სერ!

— ფოსტა-ტელეგრაფის ყველა განყოფილებაში დასვით სპეციალისტები დეპეშეზისტების თვალყურის სადევნებლად. რაც შეეხება შიფრიან დეპეშებს, მოითხოვონ მათი გაშიფრვა.

— არის, სერ!

— და ყოველივე ეს მოხდეს მეტად საიდუმლოდ. — გესმით, სრულიად საიდუმლოდ.

— არის, სერ!

—საქმის მიმდინარეობა მომახსენეთ ჩვეულებრივ დროზე.

— არის, სერ!

— მიბრძანდით!

—არის, სერ!

კაპიტანი ვავიდა.

ინსპექტორი ბლანტი წამით გაჩუმდა და ჩაფიქრდა, ამასობაში მის თვალეში ანთებული ცეცხლი თანდათან ჩაქრა. შემდეგ მომიბრუნდა და წყნარად მომიგო:

— არ მიყვარს ტრაბახი, ეს მე არ მჩვევია, მაგრამ ჩვენ აღმოვაჩინეთ თქვენს სპილოს.

მე გულთბილად ჩამოვართვი ხელი და მადლობა გადავუხადე მთელი სულითა და გულით. რაც უფრო შევცქეროდი ამ კაცს, მით უფრო მეტად მომწონდა იგი, მით უფრო მეტად მხიბლავდა მისი საიდუმლოებით მოცული პროფე-

სია. შემდეგ გამოვეშვიდობებთ ერთმანეთს და შინსაკენ გაუუყევი. ახლა გული გაცივლებით უფრო ბედნიერად და მსუბუქად მიცემდა, ვიდრე მაშინ, როცა აქეთვე მოვდიოდი.

II

მეორე დღეს, ყოველივე ეს არაჩვეულებრივი სიუსტიტი იყო მოთხრობილი დილის გაზეთებში. უფრო მეტიც, გაჩნდა დამატებანი — სხვადასხვა აგენტთა „ვერსიები“ იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა ქურდობა, ვინ იყვნენ ბოროტმოქმედნი და საით გაიქცნენ ისინი თავიანთი ნადვლით. სულ 11 ვერსია იყო, რომლებიც თითქმის ყველა შესაძლებელ შემთხვევას ითვალისწინებდნენ. განა მართო ეს ფაქტი არ მეტყველებს იმაზე, თუ როგორი დამოუკიდებელი მოაზროვნენი არიან აგენტები? მათი ვერსიები სულ სხვადასხვაგვარი იყო, უფრო მეტიც, არაფერში ემთხვეოდნენ ერთმანეთს, მხედველობაში თუ არ მივიღებთ ერთ ბუნქტს, რომელსაც თერთმეტივე აღიარებდა: კერძოდ, მართალაა, შენობის უკანა კედელი გამონგრეული იყო, ხოლო ერთადერთი კარები ისევ დაკეტილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სპილო გაყვანილ იქნა არა გამონგრეული კედლიდან, არამედ სხვა (ჯერ კიდევ გაურკვეველი) გზითო. იმასაც აღნიშნავდნენ, რომ ქურდებმა კედელი განზრახ გამოანგრიეს, აგენტებისათვის კვალის ასახვევადო. მე და ვინმე ჩემისთანა უციცს, ეს, ალბათ, არასდროს არ მოგვივიდოდა თავში, მაგრამ აგენტები იმ წამსვე მიხვდნენ. ასე რომ, მე სწორედ იმაში მოვტყუდი, რაც, ჩემის აზრით, საესებით ნათელი იყო. თერთმეტივე ვერსია ასახელებდა სავარაუდო ქურდებს, მაგრამ სულ სხვადასხვას. ასე რომ, ექვმიტანილთა რიცხვმა 37-ს მიიღწია. გაზეთებში ინფორმაციების ბოლოს მოპყვადათ ყველაზე ავტორიტეტული მოსაზრება — ეს იყო თვით უფროსი ინსპექტორის ბლანტის მიერ გამოთქმული აზრი, აი, მისი ნაწილიც:

„უფროსმა ინსპექტორმა ძალიან კარგადაც იცის, ვინც არიან მთავარი ბოროტმოქმედნი. სახელდობენ ესენია „ყოჩი ბიჭი“ დეფი და „წათურა“ მაკ ფადენი. უფროსმა ინსპექტორმა ჯერ კიდევ გაქურდვამდე 10 დღით ადრე იცოდა ამის შესახებ და ამიტომაც ვასცა ბრძანება თვალყური ედევნებინათ ავაზაკებისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საბედისწერო ღამეს მათი კვალი დაებნათ და მის ხელახლა აღმოჩენამდე ჩიტი, ე. ი. სპილო უკვე გაფრენილი იყო.

დეფი და მაკ ფადენი ყველაზე წყაწაწალებული ყალბანდები არიან. უფროს ინსპექტორს აქვს იმის საბუთი, რომ, შარშან, ზამთრის სუსხიან დამით, სწორედ მათ გაიტაცეს ღუმელი სამძებრო პოლიციის შტაბიდან, რის გამოც უფ-

როსსა და ყველა აგენტს დილისათვის ექიმის გამოძახება დასჭირდათ — ვის ფეხი მოეყინა, ვის თითი, ყური და სხეულის სხვა ნაწილები“.

ამ განცხადების პირველი ნაწილის წაკითხვის შემდეგ მე კიდევ უფრო განმაცვიფრა ამ არაჩვეულებრივი ადამიანის შორსმჭვრეტელობამ. მას არამარტო აწყყო, არამედ მომავალიც ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი. მე მყისვე ვავჩნდი მის კაბინეტში და ვუთხარი, მაშინვე რომ დავეპატრონებოდათ ის ავაზაკები, რომ აცილებდით თავიდან ამდენ დავიდარაბასა და ზარალს მეუქი. მაგრამ მან ისე უბრალოდ მიბასუხა, რომ ევლარაფერი ვუთხარი:

— ჩვენი საქმე ის კი არაა, რომ თავიდან ავიცილოთ ბოროტმოქმედება, არამედ დავსაჯოთ იგი, მაგრამ დასჯა მანამ არ შეიძლება, სანამ ბოროტმოქმედება არაა ჩადენილი.

შემდეგ მე შევნიშნე, რომ ჩვენი საიდუმლოება სულ გამოამყლაგენს მეტი გაზუთებმა, ფაქტებს რომ თავი დავანებო, გამოაშვარავებულია ჩვენი ყოველი გეგმა, ყოველი შთანაფიქრი, დასახელებულია ყველა საეჭვო პიროვნება, ასე რომ, ახლა ისინი შეინიღებებიან ან მიიმალეებიან მეტი.

— დაე, ასეც მოხდეს! სად გამექცევიან. როცა საჭირო იქნება ჩემი ხელი ბედისწერასავით შეუცდომლად მისწვდება მათ თავიანთ ბუნებებში. რაც შეეხება გაზუთებს, ჩვენ უნდა შევეთვისოთ მათ. დიდება, სახელი, მუდმივი საზოგადოებრივი გამოძახილი — ეს ყველაფერია აგენტისათვის. აგენტმა თუ არ გამოაქვეყნა ფაქტობრივი მასალა, იტყვიან არ აქვსო. რომელიმე ბოროტმოქმედების თაობაზე მან საკუთარი ვერსია უნდა წამოაყენოს, რადგან ქვეყანაზე არაფერია ისე უცნაური და განსაცვიფრებელი და არაფერი ისე არ უხვევს აგენტს სახელს, როგორც ამგვარი ვერსია. ჩვენ უნდა გამოვაქვეყნოთ ჩვენი გეგმები, რადგან გაზუთები დაჟინებით მოითხოვენ ამას და უარის თქმა — მათი შეურაცხყოფა იქნებოდა. ჩვენ იძულებული ვართ, პერიოდულად მოვახსენოთ საზოგადოებას, რასაც ვაკეთებთ, თორემ, იფიქრებენ, არაფერს აკეთებენო. და საერთოდ, ვანა ვაცილებით უეჭოებიან არაა, როცა გაზუთში წერია „... აი, როგორია უფროსი ინსპექტორის ბლანტის გონებამახვილური და შორსმჭვრეტელო ვერსია...“ ვიდრე, როცა იგი საესეა უხამსოებითა და, უფრო მეტიც, ვესლიანი სარკასმებით?

— მე მესმის თქვენი, მაგრამ, როგორც შევნიშნე დილის გაზუთების გადაკითხვისას, თქვენ მგონი უარი თქვით გამოგეთქვათ აზრი ერთერთ უმნიშვნელო საკითხზე.

— დიან, ჩვენ ყოველთვის ასე ვიქცევით და ამას კარგი შედეგი მოაქვს. ამას გარდა, ამ სა-

კითხვე მე ჯერ კიდევ არ ჩამომიყალიბებია ჩემი აზრი.

მომდინარე ხარჯებისათვის ინსპექტორს საკმარისი თანხა გადაეცი და ჩამოვჯექი ახალი ცნობების მოლოდინში. ახლა ყოველ წამს ველოდით დეპეშების მიღებას. მანამდე გაზუთებსა და სპილოს აღწერილობის ცირკულარს გადავავლე თვალი და აღმოვაჩინე, რომ ჩვენს მიერ დაწესებული ჯილდო 25.000 დოლარი თურმე მხოლოდ აგენტებს ეძლეოდათ. მე ვუთხარი ინსპექტორს, რომ, ჩემის აზრით, ვიღო უნდა მიეცეს ყველას, ვინც სპილოს აღმოაჩენს მეტი.

— სპილოს მხოლოდ აგენტები აღმოაჩენენ, — მომიგო მან, — ასე რომ, ჯილდოს მიიღებს ის, ვინც ღირსია. თუ სპილოს სხვა ვინმე იპოვნის, ესეც მხოლოდ აგენტების წყალობით იქნება, რადგან ისინი სწორედ ჩვენს ბიჭებს გაპყვებიან და ისარგებლებენ მათგან მითვისებული მითითებებითა და მეთოდებით, ეს კი ისევე აგენტების სასარგებლოდ ლაპარაკობს. ჯილდოს აზრია წაახალისოს ადამიანები, რომლებიც მთელ თავის დროსა და გონებას ამგვარ საქმეს ახმარენ და არა მოწყალეა გაიღოს შემთხვევით მოქალაქეებზე, რომლებიც, ალაღებდნენ წააწყდებიან ძვირფას ნადავლს. ჯილდოს დამსახურება უნდა საკუთარი ღირსებებითა და შრომით.

ეს მოსაზრება საკმოდ საფუძვლიანი ჩანდა და ვაჩუქდი. ამ დროს ტელეგრაფის მანქანა აკაქუნდა ოთახის კუთხეში და შემდეგი დეპეშა მივიღეთ:

ფლუა სტენიზ, ნიუ-იორკის შტატი, დილის 7.30.

მივაგენი კვალს. ახლო მდებარე ფერმასთან აღმოვაჩინე რამდენიმე ღრმა ნაკვალევი. გავყევი მათ ორი მილის მანძილზე აღმოსავლეთისაკენ, მაგრამ ამაოდ. ვფიქრობ, სპილო დასავლეთისაკენ წავიდა. ახლა ამ მიმართულებით მივდივარ.

აგენტი დარლი“.

— დარლი ჩვენი საუკეთესო აგენტთაგანია. — თქვა ინსპექტორმა. — მალე ისევ შეგვატყობინებს რაიმეს.

მოვიდა დეპეშა № 2:

„ბარკერის, ნიუ-ჯერსის შტატი, დილის 7.40. ეს-ესაა ჩამოვედი. დამით აქ შუშის ქარხანა გაუტენიათ და 800 ბოთლი წაუღიათ. ერთადერთი წყალსაცავი აქედან 5 მილითა დაშორებული. მივდივარ იქით. სპილოს მოწყურდებოდა ბოთლები ცარიელი ყოფილა.“

აგენტი ბეიკერი“.

— ეს კარგი ნიშანია, — თქვა ინსპექტორმა, — რომ გითხარით, ცხოველის მადა ხელს შევიწყობს მეტი.

დებეშა № 3:

„ტიდორვილი, ლონგ-აილენდის შტატი, დილის 8.15.

ლამით აქ გაჰქრა თივის ზეინი. ალბათ შექამეს. დავადექი კვალს და მივსდევ.

აგენტი ჰაბარდი“.

— უყურებთ, როგორ გვიბნევს გზა-კვალს, — თქვა ინსპექტორმა, — ვიცოდი, რომ რთულ საქმეს მოგიკიდე ხელი, მაგრამ, სულ ერთია, ვერსად გავგექტევა.

„ფლაუა სტივენს, ნიუ-იორკის შტატი, დილის 9.

2 მილის მანძილზე გავყევი კვალს აღმოსავლეთისაკენ. ნაკვალევი ფართო, ღრმა და უსწორმასწოროა. ახლახან შეგვხვდა ერთ ფერმერს, რომელმაც მითხრა ეს სპილოს ნაკვალევი არაა, შარშან ზამთარში მიწა რომ მოყინა, ახალდარგული ხეები ამოვხარე და ეს ორმოები მისგან დარჩაო. როგორ მოვიქცე, — ველი თქვენს მითითებებს.

აგენტი დარლი“.

— აჰა! ქურდების ხელისშემწყობი! საქმე თანდათან რთულდება, — თქვა ინსპექტორმა. შემდეგ კი, დარლისათვის შემდეგი დებეშა უკარნახა:

„დაატუსაღეთ ის კაცი და აიძულეთ დასახელი ამხანაგები. კვალს კი ისევ გაჰყევი, თუნდაც წყნარ ოკეანემდე.

უფროსი ინსპექტორი ბლანტი“.

შემდეგი დებეშა:

„კონი პონტი, პენსილვანიის შტატი, დილის 8.45.

წუხელ გაზის კანტორა გაუტეხიათ და წაუღიათ 3 თვის გადაუხდელი გაზის ქეითრები. დავადექი კვალს და მივსდევ.

აგენტი მერფი“.

— ოი, ზეცაჲ! — წამიყვირა ინსპექტორმა. — ნუთუ გაზის ქეითრებსაც შექამს?

— დიას, უმეტრების გამო, მაგრამ, თუ რაიმე არ დაუბატა, ისე ვერ მოისვენებს.

ახლა ასეთი ამაღლეგებელი დებეშა მოვიდა: „აირონვილი, ნიუ-იორკის შტატი, დილის 9.30.

ეს-ესაა ჩამოვედი. შიშის ზარს მოუტავს მთელი სოფელი. სპილოს აქ დილის 5 საათზე ჩამოუვლია. ზოგი ამბობს, აღმოსავლეთისაკენ წავიდაო, ზოგი — ჩრდილოეთისაკენ, ზოგი — სამხრეთისაკენ, მაგრამ ყველა აღიარებს, მაინცდამაინც ყურადღება არ მიგვიქცევიაო. მოუტავს ცხენი და თან წაუღია ერთი ნაჭერი, როგორც დამამტკიცებელი საბუთი. მოუტლავს ხორთუმი. დარტყმის მანერის მიხედვით ჩანს, რომ მარცხნიდან შემოუტარავს, ხოლო იმ მდგომარეობიდან, რომელშიც გვამი ავლია, ვასკენი, რომ

სპილო ჩრდილოეთით გაუყვა ბერკლის რკინიგზას. ოთხსაათნახევარი გამასწრო. ახლავე გამოვედევნები.

აგენტი ჰოუესი“.

სიხარულისაგან შევეყვირე, ინსპექტორი კი ქანდაკებასავით უძრავად იჯდა. შემდეგ დამწვიდებით მიწვდა ზარს.

— ალარიკ, გამომიძახეთ კაპიტანი ბერნსი. ბერნსი გამოცხადდა.

— რამდენი კაცი გყავთ მზად საგანგებო შემთხვევისათვის?

— 96, სერ.

— ახლავე ჩრდილოეთისაკენ გაგზავნეთ და უბრძანეთ ვანლაგდენს აირონვილის ჩრდილოეთით, ბერკლის რკინიგზის ხაზის გასწვრივ.

— არის, სერ.

— გადასვლა მოხდეს უაღრესად საიდუმლოდ. სხვები რომ განთავისუფლდებიან მორიგეობიდან, დაკავეთ და მზად გყავდეთ.

— არის, სერ.

— მიბრძანდით.

— არის, სერ.

მოვიდა კიდევ ერთი დებეშა:

„სეიჯ კორნერსი, ნიუ-იორკის შტატი, 10.30.

ახლახან ჩამოვედი. სპილოს აქ 8.15 საათზე გაუვლია. ქალაქიდან ყველა გაქცეულა, პოლისმენის გარდა. როგორც ჩანს, სპილოს ხელი უხვლია არა პოლისმენისათვის, არამედ ბოდისათვის, ისე კი ორივეს მოხვდა. პოლიმენის ნაწილი თან წამოვიღე, როგორც ნივთიერი საბუთი.

აგენტი სტამი“.

— ასე რომ სპილო დასავლეთისაკენ შებრუნებულა, — თქვა ინსპექტორმა, — მაგრამ სად გამექცევა, ჩემი ბიჭების ხელში არა მთელი ეს რაიონი!

შემდეგი დებეშა ასეთი იყო:

„გლოვერსი, 11.15.

ეს-ესაა ჩამოვედი. სოფელი დაცარიელებულია, ყველა გახიზნულია ავადმყოფებისა და მხუტეების გარდა. სპილოს აქ ნახევარი საათის წინ ჩამოუვლია, სწორედ მაშინ, როცა სიფხიზლის მოწინააღმდეგე ალკოპოლისტებს კრება ჰქონდათ გამართული. მას აუზიდან წყალი ამოუღია, ხორთუმი ფანჯარაში შეუყვია და გაუწუწუწავს ისინი. ვისაც წყალი გადაცდა, იქვე განუტევა სული. ბევრი დაიხრჩო. აგენტებმა კროსიმ და შონესიმ, მართალია, გაიარეს ეს ადგილი, მაგრამ ისინი სამხრეთით მიემართებოდნენ და აცდნენ სპილოს. შემოვითებულია მთელი რაიონი. ხალხი გამორბის სახლებიდან, მაგრამ საითაც არ უნდა წაივინდნენ, ყველგან სპილოს ეჩხებვიან. ბევრია მსხვერპლი.

აგენტი ბრენტი“.

ამ ამბავმა ისე შემაწუხა, ლამის ავტირდი. ინსპექტორმა თქვა:

— ხედავთ, თანდათან გარს ვეხვევით და ალყაში ვიქცევით. იგი გრძნობს ჩვენს სიახლოვეს და ამიტომაც ახლა ისევ აღმოსავლეთისაკენ უქნია პირი.

მაგრამ ეგ რაა, თურმე უფრო უარესი ამბები გველოდა.

აი, რა გვაცნობა ტელეგრაფმა:

„პოგენბორტი, 12.19.

ეს-ესაა ჩამოვედი. სპილოს აქ გაუვლია ნახევარი საათის წინ და საყოველთაო შიში და მღელვარება გამოუწვევია. ქუჩებში რომ დათარეშობდა, გზად ორი ხელოსანი შემოპყრია. ერთი მოუკლავს, მეორეს მოუსწრია გაქცევა. საყოველთაო მწუხარებაა.

აგენტი ო' ფლაესტერ.

— ახლა იგი ჩემი ბიჭების ხელშია, — წამოიძახა ინსპექტორმა. — გათავდა მისი საქმე.

მოაწყდა იმედებით აღსავსე დეპუტების ნაკადი ნიუ-ჯერსისა და პენსილვანიის შტატებში მიმოფანტულ აგენტებისაგან, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ ისეთი საბუთებით, როგორიც იყო ბედლების, ფაბრიკა-ქარხნების, საკვირაო სკოლების, ბიბლიოთეკების დარბევა-განადგურება და ა. შ.

— ნეტავ შემეძლოს, დაფუკავშირდე მათ და ვუბრძანო ჩრდილოეთისაკენ გადაინაცვლონ. მაგრამ ვაი, რომ ეს შეუძლებელია. აგენტი ტელეგრაფში მხოლოდ დეპუტის გამოსაგზავნად შეირბენს, შემდეგ კი ისევ განაგრძობს გზას და ამიტომაც ძნელია მისი დაჭერა.

ახლა ასეთი დეპეშა მოვიდა:

„ბრიჯპორტი, კონტეკტიკეტის შტატი, 12.15.

ბარნუმი მზადაა ყოველწლიურად გადაიხადოს 4.000 დოლარი, რათა მიეცეს სპილოს მოძრავ რეკლამად გამოყენების უფლება. ვადა — დღეიდან მანამდე, სანამ მას აგენტები აღმოაჩენენ. სურს სპილოს ცირკის რეკლამები მაკრას. მოუთმენლად ელის პასუხს.

აგენტი ბოგისა“.

— რა სისულელეა! — შეეყვირე მე.

— რა თქმა უნდა, სისულელეა. — დამოთანხმა ინსპექტორი. — როგორც ჩანს, ბარნუმი, რომელსაც თავი ჭკვიან კაცად მოაქვს, არ მიცნობს მე, მაგრამ, სამაგიეროდ მე ვიცნობ მას.

შემდეგ კი ასეთი პასუხი გააგზავნა:

„უარი ეთქვას მისტერ ბარნუმს. ან 7.000 დოლარი ან არაფერი.

უფროსი ინსპექტორი ბლანტი“.

— ესეც ასე. პასუხს დიდად არ დაგვიანდება. მისტერ ბარნუმი ახლა სახლში არ იქნება,

დარწმუნებული ვარ, იგი ტელეგრაფში წიხს. ასე იცის, როცა რაიმე სარფიანი საქმე გამოუწდება. სამი...“

„თანახმა ვარ! — პ. ტ. ბარნუმი“.

ასე შეაწყვეტინა ტელეგრაფმა ინსპექტორს. სანამ მოვასწრებდი რაიმე მეთქვა ამ არაჩვეულებრივ ეპიზოდზე, ქვემოთ მოყვანილმა დეპეშამ კიდევ უფრო დაამწუხრა ჩემი ფიქრები:

„ბოლივია, ნიუ-იორკის შტატი, 12.50.

სპილო აქ სამხრეთის მხრიდან მოვიდა და 11.50-სთვის ტყისაკენ გაუყვა. გზად სამგლოვიარო პროცესია შეეყარა, მგლოვიარეთა რიცხვი ორი კაციო შეამცირა და სხვები მიმოიფანტა. მოქალაქეებმა კერ ზარბაზნის ყუმბარები დაუშინეს, შემდეგ კი თავს უშველეს. მე და აგენტი ბერკი ათი წუთის დაგვიანებით ჩამოვედით ჩრდილოეთიდან. რაღაც ორმოცი სპილოს ნაკვალევად მივიჩნიეთ და მის დევენში კარგა ხანი დავკარგეთ. ბოლოს, როგორც იქნა, წავაწყდით ნამდვილ კვალს და გავყევით მას ტყისაკენ. მალე დავიოთხეთ, ნაკვალევს თვალს არ ვაშორებდით და ასე ვსდიეთ სპილოს ბუჩქნარამდე. ბერკი წინ მიდიოდა. საუბედუროდ სპილო შეჩერდა და დასასვენებლად. ბერკი, რომელსაც თავი ძირს დაეხარა, კვალი რომ არ დაკარგვოდა, დაეჯახა სპილოს უკანა ფეხს, იგი მყისვე წამოხტა, ჩაავლო ხელი სპილოს კუდს და სიხარულით შეპყვირა: „გაცხადებ, რომ მე მეყუთ...“ მაგრამ ვეღარ დაამთავრა, რადგან სპილომ ერთი მოიქნია თავისი უზარმაზარი ხორთუმი და ამ მამაც ყმაწვილს სული იქვე გააცხებინა. მე უკან მოვეკურცხლე. სპილო მომიბრუნდა და გამომენთო არაჩვეულებრივი სისწრაფით. ცუდად წავიდოდა ჩემი საქმე, ტყის ნაპირას სპილოს ყურადღება ისევ სამგლოვიარო პროცესიას რომ არ მიეპყრო. ახლახან ვავიგე, რომ მგლოვიარეთაგან უკვე აღარავინ დარჩენილა. მაგრამ ეს არაა დიდი დანაკლისი, რადგან ახლა გაცილებით უფრო უხვადაა მასალა სამგლოვიარო პროცესების მოსაწყობად, ვიდრე ოდესმე. სპილო ისევ გაუჩინარდა.

აგენტი მალროუნი“.

ამის მეტი ახალი ცნობა არავისაგან მიგვიღია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნიუ-ჯერსის, პენსილვანიის, დელავარისა და ვირჯილიის შტატებში მომუშავე ბეჯით და მამაც აგენტებს, რომლებიც ისევ პოულობდნენ უამრავ კვალს და ნიშანს, ისევ მისდევდნენ ფეხდაფეხს სპილოს და სადაც იყო დაიჭერდნენ. ნაშუადღევის ორი საათისათვის მოვიდა შემდეგი დეპეშა:

„ბაკსტერ-სენტრ, 2.15“.



ცირკის რეკლამებით მორთულ-მოკაზმული სპილო გამოჩნდა აქაც, დაარბია „ამლორძინე-ბელთა“ სექტის კრება, ფეხქვეშ გათელა და დასახინჩა ბევრი იმთავანი, რომლებიც ის-ის იყო იწყებდნენ უკეთეს ცხოვრებას. მოქალაქე-ებმა, როგორც იყო, დაამწყვდიეს იგი და დაუ-ყვეს მცველები. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩამო-ვედით მე და აგენტი ბრაუნი, შევედით მასთან და სურათებითა და აღწერილობით გვინდოდა დაგვედგინა, ნამდვილად ის სპილო იყო თუ არა, ჩვენ რომ ვეძებდით. ყველა ნიშანი დაემთხვა გარდა ერთისა — ილიაში ვერ შევამჩნიეთ ნა-ძირმავარევი იარა. ამის გასასიხად ბრაუნი შე-ძერა მის ქვეშ. სპილომ იმ წამსვე გასრისა იგი, უფრო სწორად ისე გაუტყუა და დაუჩიქა თა-ვი, რომ მისგან აღარაფერი დარჩა. ყველანი გა-იქცნენ. გაიქცა სპილოც. იგი ამხსვრევდა და ახვრევდა ყველაფერს მარჯვნივ და მარცხნივ. გაიქცა, მაგრამ დატოვა სისხლიანი ნაკვალევი, რადგან — ჭრილობებიდან სისხლი სდიოდა. მკე-რა რომ ისევ აღმოვაჩენ. გაიქცა სამხრეთის მი-მართულებით, სადაც უღრანი ტყეები.

აგენტი ბრენტი“.

ეს იყო ბოლო დეპეშა. ღამით ისეთი ნისლი ჩამოწვა, რომ სამი მეტრის მანძილზე ვერაფერს გაარჩევდა კაცი. ასე იყო მთელი ღამე. ბორნებ-მაც და ომნიბუხებმაც შეწყვიტეს მოძრაობა.

III

მეორე დღეს ვაზეთები ისევ აჭრელბული იყო აგენტთა ვერსიებით, ამასთანავე მეტად და-წვრილებით ვადმოეცათ ჩვენთვის უკვე ცნო-ბილი ტრაგიკული ფაქტები და სხვა მრავალი რამ, რაც ტელეფონით მიეღოთ თავიანთი კორე-სპონდენტებისაგან. მყვირალა სათაურებმა, რო-მელთაც თითქმის ყველა სეეტის მესამედი ეკა-ვათ, ლამის იყო გული ამირია. ვაზეთების საე-რთო ტონი, დაახლოებით, ასეთი იყო:

„თეთრი სპილო ისევ გარეთაა! იგი თავისი საბედისწერო გზით მიემართება! სოფლები და-ცარიელებულია, შეშინებული მცხოვრებლები გარბიან სახლებიდან! სპილოს წინ—შიში და ზა-რი ნოჰდღის, უკან—სიკედელი და ნგრევა მოს-დევს! აგენტები კვალდაკვალ მიადევენ! ინგრე-ვა სახლები, იმხსვრევა ფაბრიკები, ისპობა მო-სავალი, ირბევა სახალხო კრებები, ამას თან ახ-ლავს ენით გამოუთქმელი მკვლელობისა და სისხლისღვრის სენები! 34 სახელმობხევილი აგენტის ვერსია!


— შესანიშნავია! — წამოიყვირა აღვრთო-ვანებულმა ინსპექტორმა, — ასეთი პატივი ჯერ არც ერთ სამძებრო ორგანიზაციას არ ხვდომია წილად. ჩვენი დიდება მთელ მსოფლიოს მოე-დება და მასთან ერთად ჩემი სახელიც იცოცხ-ლებს მარად.

მე სულაც არ მისაროდა. ისეთი გეგმობა მქონდა, თითქოს თვითონ ჩამდინოს ყველა ეს ბოროტება, სპილო კი ჩემი უპასუხისმგებლო აგენტი ყოფილიყოს და მეტი არაფერი. მაინც როგორ იზრდებოდა მსხვერპლთა რიცხვი. ერთ-გან ეწერა სპილო „შეიჭრა არჩვენებში და მოკ-ლა 5 ამომრჩეველი. ამის შემდეგ ორი საწყალი კაცი გაასადა, სახელა ო' დახაჭუ და მაკ ფლა-ხიგენი, რომელთაც მხოლოდ წიადლით ეპოვათ თავშესაფარი ყველა ჩაგრული ხალხის სამშობ-ლოში — ამერიკაში. სიამულემა მტარველმა კი ისინი სწორად მაშინ იმხსვერება, როცა მათ ის-ის იყო პირველად უნდა ესარგებლათ ამერი-კელი მოქალაქის იმ კეთილშობილური უფლე-ბით, რომელსაც საარჩევსო ხმის უფლება ჰქვია“. მეორე ვაზეთი იტყობინებოდა: „სპილო გადაეყარა ერთ შეშლილ მქადაგებელს, რომე-ლიც გულდასმით ემზადებოდა, რათა მომავალ სეზონში გამანადგურებელი ლახვარი ჩაეცა ცე-კეების, თეატრებისა და სხვა ასეთი დამლუხველი გასართობებისათვის და ფეხით გაჰყლიტა იგი“, სხვაგან მას თითქოს „დაზღვევის აგენტი მოეკ-ლას“ და ა. შ.

ასე იცებოდა მსხვერპლთა სია და რაც უფ-რო იღებებოდა იგი სისხლით, მით უფრო მიკ-ლავდა გულს. 60 კაცი იყო მკვდარი. 240 კი დაჭრილი. ამასთანავე ვაზეთები ზოტბა-დიდებდას ასხამდნენ აგენტების ენერგიულობასა და საქმი-სადმი თავდადებას. ყველა ვაზეთის წერილი მთავრდებოდა იმით, რომ „3.000 მოქალაქემ და 4 აგენტმა ნახა ეს თავზარდამცემი ცხოველი და რომ მან ორი უკანასკნელთაგანი სიცოცხლეს გამოასალმა“.

ვიჯექი ჩემთვის და გულისფანტქალით ველო-დი, აგერ აკაუნდება მეტი ტელეგრაფის აპა-რატი. და აი, როგორც იქნა, დიწყეს დეპეშების გადმოცემა, მაგრამ მათ ვერაფრით მანუგემეს, სპილო თურმე უგზოუკვლოდ გამქარაიყო. ნის-ლის წყალობით მას კარგი თავშესაფარი აღმოე-ჩინა და მიმალულიყო. სხვადასხვა ადგილებიდან გამოგზავნილი დეპეშები იტყობინებოდნენ, რომ ამა და ამ საათზე ბურუსში რალაც უზარ-მაზარი და ბუნდოვანი მასა შევაჩნით, რაც „უშეველად სპილო იყო“. ეს უზარმაზარი ბუნ-დოვანი მასა შეუნიშნავთ ნიუ-ჰევენში, ნიუ-ჯე-რსში, პენსილვანიაში, ნიუ-იორკის შტატში და, თქვენ წარმოიდგინეთ, თვით ნიუ-იორკშიც, შე-მდეგ კი უჭინმაჩინივით უკავებოდ გამქარალა. ამ მხარეებში მომუშავე აგენტები ყოველ საათ-ში გვეგზავნიდნენ დეპეშებს, ყოველი მათგანი ადგა უტყუარ კვალს, ყოველი მათგანი მისდე-და რალაცას.

მაგრამ ის დღე უშედეგოდ მიიწურა. ასევე იყო მეორე დღესაც. არც მესამე დღეს მოუტანია რაიმე.



გაზეთები კი ისევ იყებოდა არაფრისმოქმე-  
ლი ფაქტებითა და ვერსიებით, რომლებსაც გა-  
ოცებისა და სენსაციურობის ნატამალიც არ  
გააჩნდათ.

ინსპექტორის რჩევით ჯილდოს თანხა ორ-  
მაგად გაგზარდევ.

გაიარა კიდეც ოთხმა დღემ, შემდეგ საცოდა-  
ვმა აგენტებმა მეტად მწარე დარტყმა იგემეს:  
რეპორტიორებმა ცივად მიუგეს — აღარ მოგ-  
ვიტანოთ დასაბუქდად თქვენი ვერსიები და სა-  
ერთოდ თავი დაგვანებეთო.

სპილოს დაკარგვადან ორი კვირის შემდეგ  
ინსპექტორის რჩევით კიდეც გაგზარდევ თანხა,  
ამჯერად 75.000 დოლარამდე. ეს მეტად დიდი  
თანხაა, მაგრამ მზად ვიყავ მთლად შემეწირა,  
რაც კი გამაჩნდა, ოღონდ ჩემი მთავრობის ნდო-  
ბა არ დამეკარგა.

გაზეთები ახლა ნირწამხდარ აგენტებს მიუბ-  
რუნდნენ და შავ დღეს აყრიდნენ. აქაოდა აგენ-  
ტებს დასცინიანო, მოხეტიალე მსახიობებმა გა-  
დაიცვეს აგენტებზე და ესტრადაზე უკიდურე-  
სი კომიზმით ანსახერებდნენ სპილოზე ნაღი-  
რობას. კარიკატურისტები ხატავდნენ აგენტებს,  
რომლებიც ჭოგობით გულდასმით ავირდე-  
ბიან ქვეყანას, მაშინ, როცა სპილო მათ უკან  
დგას და ჯიბეებიდან ვაშლებს პარავს. ათასნა-  
ირ კარიკატურას ხატავდნენ სამძებრო პოლი-  
ციის ემბლემაზე — თქვენ ალბათ გინახავთ ეს  
მოქროვილი ემბლემა დეტექტიური წიგნების  
ყდებზე — ფართოდ გაჰყვტილი თვალებითა და  
წარწყობით: ჩვენ არასოდეს გვძინავს.

როცა აგენტები დასალევად შევიდოდნენ და  
ლენოს მოითხოვდნენ, დახილდარი, თუ ხუმ-  
რობის გუნებაზე იყო, ეტყოდა მათ: „როგორი  
ლენო გინდაო, ისეთი, თვალები რომ ავიხი-  
ლოთო?“ მოკლედ, მათ გარშემო მთელი ჰაერი  
ირონიით იყო მოწამლული.

მაგრამ იყო ერთი კაცი, რომელიც დამწვი-  
ლებით იტანდა ყოველივე ამას. ეს იყო „მუხის  
გული“ — უფროსი ინსპექტორი ბლანტი. ის  
არასდროს არ იხრიდა ქედს. მას ყოველთვის  
სწამდა თავისი თავის. იგი ყოველთვის ამბობდა:  
დაე იყებოდნენ, კარგად ის იცინის, ვინც ბოლოს  
იცინისო.

მე ისე აღფრთოვანებული ვიყავი ამ კაცით,  
რომ მალე ეს გრძნობა რაღაც გარკვეულ თაყ-  
ვანისცემაში გადაიზარდა. დღენიადავ მასთან  
ვიყავი. უკვე ველარ ვიტანდი მის კაბინეტს, მაგ-  
რამ სხვა გზა არ იყო, თუკი იგი იტანდა, მეც  
უნდა შევკუბოდი, ყოველ შემთხვევაში მანამ,  
სანამ შეველებდი. დილა აღრიანად გამოცხად-  
დებოდა მასთან, ჩამოვჯდებოდი და ვიცოდი —  
მგონი მე ვიყავ ერთადერთი უცხო პიროვნება,  
რომელსაც ეს შეეძლო. ყველას უეკირდა, ამ-  
ბობდნენ, ეს რა მომთმენი კაცი ყოფილაო. ხან-

დახან მეც მეჩვენებოდა, რომ დადგა დღე, როცა  
უნდა გავქცეულიყავ, მაგრამ ასეთ დროს შეგზე-  
დავდი ამ კაცის წყნარ და გარეგნულად უგრ-  
ძნობელ სახეს და ფეხს ვერ ვიცვლიდი ადგილი-  
დან.

ერთ დღით, ეს იყო სპილოს გატაცებიდან  
სამი კვირის შემდეგ, დავაპირე მეოქვა ინსპექ-  
ტორისათვის, იძულებული ვარ, ყველა-  
ფერზე ხელი ჩავიქნო, თავი დამარცხებულად  
ვცნო და ვაგეცალოთ მეოქვი, მაგრამ ამ უდიდე-  
სმა აგენტმა შემაჩერა და შემომთავაზა კიდეც  
ერთი ოსტატური სვლა.

— იციო რა, — მითხრა მან, — მოდით, და-  
ვუთმოთ ქურდებს. — ამ კაცის გამჭირაობამ  
გადააჭარბა ყველაფერს, რაც კი მანამდე მენახა  
და გამეგონა, მე კი, ჩემი ცხოვრების მანძილზე  
საკმაოდ ბევრ სახელმოხვეჭილ და გონიერ კაც-  
თან მქონია საქმე. მან თქვა, — დარწმუნებული  
ვარ 100.000 დოლარით ამ საქმეს მოგავგარებთ  
და სპილოსაც აღმოვაჩინოთ.

— ოღონდ რაიმე მეშველოს და ჯანდაბას,  
ამაზეც თანახმა ვარ, — მიუფევ მე, — მაგრამ  
იმ საწყალ აგენტებს რა ვუყოთ, მათაც ხომ იშ-  
რომეს?

— კომპრომისის დროს ისინი ნახევარს იღე-  
ბენ.

ასე რომ ამ საკითხზეც შევთანხმდით. შემ-  
დეგ ორი შემდეგი შინაარსის ბარათი დაწერა:

„მოწყალეო ქალბატონო!

თქვენს მეუღლეს შეუძლია იშოვოს საკ-  
მაოდ დიდი თანხა (რაც მთავარია, კანონიერ ფა-  
რგლებში), თუ იგი დაუყოვნებლივ გამოცხად-  
დება ჩემთან.

უფროსი ინსპექტორი ბლანტი“.

ერთ-ერთი მთავანი ყოჩალი ბიჭის დეფის  
„ნავარაუდევ ცოლს“ გაუგზავნა ერთგული შიკ-  
რიკის ხელით, მეორე — წითურა მაკისას.

ერთ საათში ასეთი შეურაცხყოფელი პასუ-  
ხები მივიღეთ:

„ბებერო ჩერჩეტო!

ყოჩი ბიჭი დეფი ორი წელია მკვდარია.

ბრიჯეტ მაკონი“.

„რეგვენო უფროსო!

წითურა მაკი უკვე 18 თვეა ჩამოახრჩეს. ეს  
ყველა ვირმა იცის, თქვენი აგენტების გარდა.

მერი ო' ჰულიგენი“.

— რამდენი ხანია ამის ექვი მქონდა, — თქვა  
ინსპექტორმა, — ეს ერთხელ კიდეც ამტკიცებს  
ჩემს უტყუარ ალოოს.

საოცარი იყო პირდაპირ, ამ კაცს როგორც  
კი ერთი გეგმა ჩაეფუშებოდა, უმალ მეორე  
ჰქონდა მზად. დაჯდა და დილის გაზეთებისათვის  
დაწერა განცხადება, რომლის ასლი მეც შემომ-  
რჩია:

„ა — ქსლგ. 242 ნ. ტჯნდ — ფზ 328 ვმლგ. ოზპო, — 2 მ. რგვ. მუმ“. 2 მ! ოგვ. ზუმ“.

მან თქვა, თუ ქურდი ცოცხალია, ეს ციფრები მას შეხვედრის ადგილზე მოიყვანსო. ეს ადგილი კი იქ არისო, — ამისნა შემდეგ, — სადაც აგენტები და ბოროტმოქმენი ერთმანეთს ხვდებიან საქმეების მოსაგვარებლად. ჩვენი შეხვედრა, — დასძინა მან, — შედეგება ხვალ, ღამის 12 საათზე.

მანამდე საქმე არაფერი გვექონდა, ასე რომ იმ წამსვე დავტოვე მისი კაბინეტი და, მართალი ვითხრათ, ძალიან კმაყოფილი ვიყავი, ამის შესაძლებლობა რომ მომიცა.

მეორე დღეს, 11 საათზე მივიტანე 100.000 დოლარის საბანკო ბილეთი და გადავეცი. ინსპექტორი წამოდგა და სადაც წავიდა. როგორც იქნა გაიარა საათმა, რომელიც საუკუნესავით გაგრძელდა და მომესმა მისი ნაბიჯების ხმა. მე სუნთქვა შემიკრა, წამოვდექი და წაბანცალდი მის შესახვედრად. ღმერთო ჩემო! რა საზეიმოდ ბრწყინავდნენ მისი მშვენიერი თვალები.

— მივალწიეთ კომპრომისს! — შემომძახა მან მოახლოებისას. — ხვალ სულ სხვაგვარად იმღერებენ ტაკიმასხარები. მოწყევით!

მან ხელი დაავლო ანთებულ სანთელს და ჩავიდა ვეებერთელა სარდაფში, სადაც მუდამ ეძინა ექვს აგენტს. ახლა იქ ოციოდე იჯდა და დროის მოსაკლავად ბანქო ვაგებუბინათ. მე კვალდაკვალ მივდევი ინსპექტორს. იგი აჩქარებული ნაბიჯით მიეშურებოდა სარდაფის ბნელი კუთხისაკენ და სწორედ მაშინ, როცა ის-ის იყო სული შემეხუთა და გონება დამეკარგა, უფროსი ინსპექტორი წაბორძიკდა და დაცა რაღაც უხარმაზარი საგნის წინ გამოშვრილ ნაწილებზე. დაცემის წინ მომესმა, როგორ წამოიყვირა.

„ჩვენი კეთილშობილური პროფესია რეაბილიტირებულია. აი, თქვენი სპილო“.

გონებაწასული ამომიყვანეს კაბინეტში და კარბოლმკავით მომასულიერეს. შემდეგ, აგენტები უკლებლივ შემოცვივდნენ შიგ და ისეთი ზარ-ზეიმ იატყხეს, რომ მსგავსი ჩემს დღეში არ მენახა. დაუძახეს რეპორტიორებს, გახსნეს შამპანურები, შესვეს საღვებრძელოები, ხელის ჩამორთმევებსა და მილოცვებს ხომ ბოლო არ

უჩანდა. ინსპექტორი ბლანტი, რაღა თქმა უნდა, დღის გმირად გამოაცხადეს. ისე დიდი იყო მისი სიხარული, რომელიც მან ასე მოთმინებით, ღირსეულად და მამაცურად მოიპოვა, რომ მიხაროდა მეც, იქვე რომ ვიჯექი, როგორც მიუსაფარი, უსახლკარო მათხოვარი. მკვდარი იყო სპილო, ფასდაუდებელი საჩუქარი, რომლის პატრონობაც მე მომანდევს. მასთან ერთად დაიღუპა ჩემი სახელი და მდგომარეობაც, რადგან გამოვიდა, რომ ვერ გავამართლე ჩემი მთავრობის ნდობა.

აგენტთა გაბრწყინებული სახეები მოწმობდნენ იმაზე, თუ როგორ აღმერთებდნენ ისინი თავიანთ უფროსს.

— შენედეთ მას! — ისმოდა შეძახილები. — ჩვენი საქმის დიდოსტატს. მხოლოდ კვალზე დააყენეთ იგი და შემდეგ რა საქმე იქნება, მან რომ არ გახსნას!

50.000 დოლარის განაწილება ხომ პირდაპირ ზეიმად გადაიქცა. როცა დაამთავრეს, უფროსმა ჩაიჯიბა თავისი კუთვნილი თანხა და მოკლე სიტყვა წარმოთქვა:

—აიღეთ, ბიჭებო, ეს ფული, შეგერგოთ, თქვენ დაიმსახურეთ იგი. უფრო მეტიც, — ამით ჩვენს პროფესიას მოუტანეთ მარადიული დიდება!

ამ დროს ასეთი დებეშა მივიღეთ:

„მორნო, მიჩინგანის შტატი, საღამოს 10 საათი.


სამი კვირაა ვეძებ და როგორც იქნა წავაწყული ტელეგრაფს. დაბურთულ ტყეებში 1.000 მილის მანძილზე მოვსდეგ სპილოს ნაკვალევს. იგი თანდათან დიდდება, ღრმავდება და ახლდება. ნუ შეშფოთდებით, ერთ კვირაში აუცილებლად აღმოვაჩენ სპილოს. ამას წყალი არ გაუყვ.

აგენტი დარლი“.

— ვაშა, ვაშა და კიდევ ვაშა დარლის, ჩვენს ერთ-ერთ უგამკრიახეს აგენტს! — შესძახა უფროსმა, შემდეგ ბრძანა—უდებეშეთ ჩამოვიდეს და ჯილოდან თავისი წილი მიიღოსო.

ასე დამთავრდა სპილოს გატაცების ეს განსაკვივრებელი ამბავი. მეორე დღით გაზეთებში ისევ გაჩნდა აგენტთა ქება-დიდებანი, გარდა ერთი საძაგელი გამონაკლისისა. აი ისიც:

— ო, რა დიდებული აგენტია! შეიძლება იგი არცთუ ისე აჩქარებულა ისეთი წვრილმანის მო-



საძებნად, როგორცაა გზააზნეული სპილო, შე-  
იძლება მან სამი კვირა სდიოს სპილოს დღისით,  
ლამეები კი მის გახრწნილ ჩონჩხთან გაათიოს,  
მაგრამ, საბოლოოდ, მაინც აღმოაჩენს — თუ გა-  
მოძებნის ქურდს, რომელიც უჩვენებს სადაც  
ჰყავს გადამალული სპილო.

საბრალო ჰარნი საბოლოოდ დაიკარგა ჩემ-  
თვის. ზარბაზნების ქურდებს სასიკვდილოდ დაე-  
ჭრათ იგი. ნისლიან ამინდში შემთხვევით მოხვ-  
და ამ საზარელ ადგილას და მტრებისაგან გარ-  
შემორტყმულს ეშინოდა აქაც არ მომავნონო.  
დროთა განმავლობაში ჩამოხმა, დასუსტდა და  
შიმშილსა და ტანჯვაში დალია სული.

კომპრომისი 100.000 დოლარი დამიჯდა, <sup>და</sup> <sup>და</sup> <sup>და</sup>  
ნტებზე კიდევ 42.000 დოლარი დამეხარჯა. მთა-  
ვრობისათვის კი ამის შემდეგ რა პირით მეთ-  
ხოვა მოწყალეობა და სამსახური. ახლა რაღა ვარ,  
გავლატაკდი და დავხეტიალობ ქვეყნად, მაგრამ  
როცა მომაგონდება, მე ისევ აღტაცებაში მოვ-  
ყავარ ადამიანს, რომელიც ყველაზე უდიდეს  
აგენტად მიმაჩნია მთელს მსოფლიოში.

ეს რწმენა ჩემში დღესაც ღრმადაა გამჯდარი  
და ასე იქნება მარადის.

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი დოლიძემ

## საბჭოთა კავშირის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის სახელმძღვანელოს შესახებ\*

საბჭოთა კავშირის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კურსი იკითხება უნივერსიტეტების იურიდიულ ფაკულტეტებსა და იურიდიულ ინსტიტუტებში. მას ასაძლე სალექციო საათი აქვს დათმობილი. ეს დისციპლინა შექმნილია საბჭოთა ხელისუფლების დროს. მისი შემოღება და სწავლება კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამოხატულებაა.

რევოლუციამდე უმაღლეს სასწავლებლებში ისწავლებოდა მხოლოდ რუსეთის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. ამის შესაბამისად სახელმძღვანელოები იქმნებოდა რუსეთის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიაში.<sup>1</sup>

დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაიწყო საკითხი საბჭოთა კავშირის ხალხების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნის შესახებ.

ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ყაზახეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრს, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ სერაფიმ ვლადიმერის ძე იუშკოვს.

ს. ვ. იუშკოვი ასზე მეტი შრომის ავტორია. მას ეკუთვნის კაპიტალური შრომები კიევის რუსეთის ისტორიიდან, რამდენიმე შრომა კუკასიისა და შუა აზიის ხალხების ისტორიიდან.

ს. ვ. იუშკოვი დიდი ერუდიციისა და ენერჯიის მკვლევარი იყო. ამიტომაც შეძლო მან ხელი მოეყარა ისეთი საპასუხისმგებლო საქმიანობის, როგორც არის საბჭოთა კავშირის ხალხების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნა.

რასაკვირველია, ერთი კაცისათვის ძნელია ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა. მაგრამ ს. ვ. იუშკოვს, გარდა ფართო ერუდიციისა, დიდი ორგანიზატორული ნიჭიც ჰქონდა. მან კავშირი დაამყარა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ხალხების სახელმწიფოსა და სამართ-

ლის ისტორიის სპეციალისტებთან; ამ გზით ს. ვ. იუშკოვი ეცნობოდა სახელმძღვანელოსათვის საჭირო მასალას და კომპენსაციას უკეთებდა იმ დანაკლისს, რომელიც შეიძლება ჰქონოდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის სახელმძღვანელოს ავტორს საბჭოთა კავშირის ხალხების ისტორიის დარგში. ს. ვ. იუშკოვის სახელმძღვანელო დიდი სამსახური გაუწია უმაღლესი იურიდიული განათლების საქმეს. თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში ემსახურება ის ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებს. ს. ვ. იუშკოვის სიცოცხლეშივე სახელმძღვანელო რამდენიმეჯერ გამოიცა. გარდაცვალების შემდეგაც დაიწყო საკითხი იუშკოვის სახელმძღვანელოს კვლავ გამოცემის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი და სპეციალური განათლების სამინისტრომ შეკითხვები დააგზავნა უმაღლეს სასწავლებლებში ამ გამოცემის შესაძლებელი სარგებლიანობის შესახებ. წინამდებარე რეცენზიის ავტორი დადებითად გამოეხმაურა ს. ვ. იუშკოვის სახელმძღვანელოს გამოცემას შემდეგი პირობით: 1) სახელმძღვანელოდან ამოღებული უნდა ყოფილიყო ს. ვ. იუშკოვის შეხედულების შესაბამისი თხრობა იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხმა განვლო ე. წ. წინაფეოდალური ფორმაცია, 2) შესწორებულიყო სახელმძღვანელოს შესავალი და ზოგიერთი სხვა ადგილი ისტორიოგრაფიის თანამედროვე მიღწევების მიხედვით, 3) შეტანილი ყოფილიყო სათანადო შესწორება საჭარბილოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის გადმოცემაში.

1961 წელს ს. ვ. იუშკოვის სახელმძღვანელო კვლავ გამოიცა. მასში შეტანილია მრავალი შესწორება. შრომიდან მართებულად ამოღებულია ს. ვ. იუშკოვის თხრობა იმის შესახებ, თითქმის ფეოდალიზმის ფორმაციას საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ისტორიაში წინ უსწრებდა ისეთი საზოგადოებრივი წყობილება,

\* ს. ვ. იუშკოვი, „საბჭოთა კავშირის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია“, ნაწ. I, 1961 წელი (რუსულ ენაზე).

<sup>1</sup> ასეთები იყო მაგალითად ლატინის, ვლადიმირსკი-ბუდანოვის, ფილიპოვისა და სხვების სახელმძღვანელოები.

რომელიც შეიცავდა სამი წყობილების — პირველყოფილ-რეპუტრის, მონათმფლობელობის და ფეოდალიზმის საწყისებს. ამ საწყისების ურთიერთობა თანდათანობით ფეოდალიზმის გამარჯვებისაკენ იხრებოდა და თავისთავად ეს წყობილება თავისებურ ეპოქას შეადგენდა. პროფ. ს. იუშკოვის ეს შეხედულება სამეცნიერო ლიტერატურაში არავინ არ გაიზიარა. სახელმძღვანელოში შეტანილია აგრეთვე სხვა მრავალი ცვლილებაც, მათ შორის ნაწილი საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის საკითხებზე.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ პროფ. ს. იუშკოვი დიდი სიყვარულით ეკიდებოდა საბჭოთა კავშირის ხალხების, მათ შორის ქართველი ხალხის ისტორიასაც.

ჩვენი რეცენზიის მიზანია, შევეხოთ სახელმძღვანელოს იმ ნაწილს, რომელიც საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიას ეხება. სახელმძღვანელოს ამ ნაწილში, სამწუხაროდ, მრავალი დეფექტი დარჩა, ზოგიერთი ნაკლი კი მას ახალ გამოცემაში დაემატა.

შრომა შემდეგ შენიშვნებს იწვევს:

1). ს. იუშკოვი თავისი სახელმძღვანელოს 1947 წლის გამოცემაში პირდაპირ სვამდა საკითხს საქართველოს უძველესი პერიოდის, სახელდობრ ძველი წელთაღრიცხვის VI—V საუკუნეებიდან დაწყებული ახალი წელთაღრიცხვის V—VI საუკუნეების საზოგადოებრივი წყობილების შესახებ; აღნიშნავდა ამ საკითხის შესახებ აზრთა სხვადასხვაობას და დასკვნის სახით გადმოგვცემდა თავის შეხედულებას: „ჩვენ გვგონია, რომ მართებული იქნებოდა საქართველო V—VI საუკუნეებამდე ჩაგვიტყავა წინაფეოდალური სახელმწიფოთა რიცხვში; იმ თავისებურებით, რომ იქ (საქართველოში ო. ს.) განსაკუთრებით კოლხიდაში, სადაც არსებობდნენ ბერძნული კოლონიები, შედარებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მონათმფლობელურ საწყისს. V—VI სს. საქართველოში დამყარდა ფეოდალური წყობილება“ (გვ. 40).

სახელმძღვანელოს 1950 წლის გამოცემაში ს. ვ. იუშკოვი ასე პირდაპირ აღარ სწერს ე. წ. წინაფეოდალური წყობილების შესახებ, მაგრამ შინაარსით იმავე შეხედულებას ატარებს. სტრაბონის ცნობების ინტერპრეტაციის დროს ავტორი აღნიშნავს, რომ ამ ცნობების მიხედვით იბერია თავის საზოგადოებრივი წყობილების მიხედვით არის მრავალსაწყისიანი: იბერიაში, განსაკუთრებით მის სამხრეთ ნაწილში ირდევია პირველყოფილ-თემური წყობილება, სავარაუდოდ არისტოკრატიამ უკვე მოასწრო არა მარტო გვარის, არამედ თემის ქონებისა და მიწების მისაკუთრება; ამის შემდეგ სახელმძღვანელოს ავტორი ლაპარაკობს

საქართველოში ფეოდალიზაციის პროცესის გადრეკილებაზე და „ქართული საზოგადოების ორ ძირითად კლასად დაყოფაზე: ფეოდალებად და ფეოდალურად დამოკიდებულ მოსახლეობად“ (გვ. 50). მოსასადანე, ს. ვ. იუშკოვი, 1950 წლის გამოცემაში, ისევე როგორც 1947 წლისაში, საქართველოში უეჩოფს მონათმფლობელური წყობილების არსებობას. ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ შემდეგი გარემოება: ამ შემთხვევაში ს. ვ. იუშკოვი გამოადის თავის საკუთარი კონცეფციიდან ე. წ. წინაფეოდალური ეპოქის არსებობის შესახებ; ასეთ მოსაზრებას საქართველოს მიმართ ს. იუშკოვი გამოთქვამს სტრაბონის ცნობის განხილვასთან დაკავშირებით, ასეთი შეხედულებისათვის სხვა წყარო მას არა აქვს (რომ ჰქონდა მიუთითებდა კიდევ).

1961 წლის გამოცემაში, რომლის პასუხისმგებელი რედაქტორია ვ. ს. პოკროვსკი, არაფერი აღარ არის ნათქვამი ს. ვ. იუშკოვის მოსაზრების, ე. წ. „წინაფეოდალური“ წყობილების შესახებ. ახალი გამოცემის რედაქტორი, საესეებით მართებულად მოიქცა, როდესაც აღიარა საქართველოში პირველყოფილ-თემური წყობილების შემდეგ მონათმფლობელობის არსებობა და კიდევ შეიტანა ამის შესახებ სათანადო ადგილი სახელმძღვანელოში. 1947 და 1950 წლის გამოცემებში კავკასიის ხალხების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიას ასეთი საერთო სათაური ჰქონდა: „კავკასიის სახელმწიფოები X ს.“ (1947 წლის გამოცემა, გვ. 26, 1950 წლის გამოცემა, გვ. 37); 1961 წლის გამოცემაში ეს სათაური ასე გადაკეთებული: „ამიერკავკასიის მონათმფლობელური სახელმწიფოები“ (გვ. 39), § 1. სომხეთი (გვ. 39), § 2. საქართველო (გვ. 45), § 3. აზერბაიჯანი (გვ. 50).

ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელმძღვანელოს უკანასკნელი გამოცემის ის ნაწილი, რომელიც საქართველოს უძველეს ისტორიას ეხება, არ ემყარება საქართველოს ისტორიოგრაფიის უახლოეს მიღწევებს.

საჭირო იყო საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოების მიხედვით საქართველოში არქეოლოგიამფლობელური სახელმწიფოების დახასიათება; ეს არა თუ არ არის გაკეთებული, არამედ სიტყვა „არქეოლოგიამფლობელური“ არც არის ნახსენები და საერთოდ ამ პერიოდის საზოგადოებრივი წყობილება: სარეცენზიო შრომაში უშინაარსოდ და უსახოდ გამოიყურება.

2) სახელმძღვანელოს ახალ გამოცემაში გადმოცემულია საქართველოს უძველესი პერიოდის ისტორიის ზოგიერთი წვრილმანი საკითხი (და თანაც არაუხსნად, არასწორად), რომელიც არ იყო ს. ვ. იუშკოვის სახელმძღვანელოს 1947 და 1950 წლის გამოცემებში. მაგალითად,

1961 წლის გამოცემაში საუბარია იმის შესახებ თითქოს ქართლის მეფეებმა I—II საუკუნეებში შეუერთეს იბერიის სომხეთის ნაწილი. გაცილებით უმჯობესი იქნებოდა ამის ნაცვლად, სახელმძღვანელოში მოტანილი ყოფილიყო ეპიზოდები ამიერკავკასიის ხალხების კავშირისა და ძმობის შესახებ. ცნობილია, რომ ამიერკავკასიის ხალხები საუკუნეების განმავლობაში აწარმოებდნენ ერთად ბრძოლას დამპყრობთა წინააღმდეგ. ამიერკავკასიის ხალხების უძველეს პერიოდშიც ჰქონდა ადგილი ასეთ ძმობას, კერძოდ იმ პერიოდში, რომელსაც ამჟამად ვგებთ; მაგალითად, ძვ. წ. 68 წელს ქართველები და სომხები სასტიკ ბრძოლას აწარმოებდნენ დამპყრობი რომაელების წინააღმდეგ (საქართველოს ისტორიის საშუალო სკოლის სახელმძღვანელო რუსულ ენაზე, 1959, გვ. 54. საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელო რუსულ ენაზე, 1962 წ., გვ. 54—55);

3) სახელმძღვანელოს 1961 წლის გამოცემაში ვკითხულობთ: „საქართველოს ანტიკურა ქალაქების მოსახლეობა იყო სხვადასხვა ტომისა და სხვადასხვა ენის“ (გვ. 47). საქართველოს ანტიკური პერიოდის მსხვილ ქალაქებში, მსხვილ სავაჭრო ცენტრებში იმართებოდა დიდი ბაზრობა, სადაც თავს იყრიდა სხვადასხვა ტომები და რასაკვირველია ლაპარაკიც სხვადასხვა ენაზე ისმოდა, მაგრამ ამ ქალაქების მცხოვრებნი ძირითადად ქართველები იყვნენ.

4) ს. ვ. იუშუკოვი ეხება გიორგი III (1156-1184 წწ.) მეფობის პერიოდს და სწერს: „გიორგი III, რომელიც ეყრდნობოდა აზნაურებს დიდებულების წინააღმდეგ, იძულებული იყო გაეძლიერებია გლეხებზე დაწოლა, რამდენადაც აზნაურები დაეინებით მოითხოვდნენ გლეხთა ექსპლუატაციის უფრო მაკაც ფორმებს. მაშინ იფეთქა გლეხთა აჯანყებამ, რომელიც სასტიკად იქნა ჩაქრობილი“ (სახელმძღვანელოს 1950 წლის გამოცემა, გვ. 218); 1961 წლის გამოცემაში ეს სიტყვა-სიტყვით გამეორებულია (გვ. 245-246). ცნობილია, გიორგი III წინააღმდეგ მსხვილი აზნაურების მეთაურობით მოწყობილი 1777 აჯანყება; აჯანყებას სათავეში ედგა ბატონიშვილი დემნა, მეფე გიორგი III ძინაშვილი, რომელიც იბრძოდა ტახტისათვის; მას განსაკუთრებით ეწერა გოულად უჭურად მხარს აღმზრდელი და სიმამრი ამირსპასალარი ივანე ორბელი, რომელსაც, ალბათ, მწიგნობართუხუცეს — ჭყონდიდელის სახელის მიღება უნდოდა. ამ აჯანყებაში რასაკვირველია, ორივე მხრიდან მონაწილეობდნენ გლეხები, მშრომელი მასები, მაგრამ ეს არ იყო გლეხთა აჯანყება. შეიძლება სახელმძღვანელოს ავტორის სხვა აჯანყება აქვს მხედვე-

ლობაში, მაგრამ რას ეყრდნობა, ან რა აქვს მას მხედველობაში, გამოურკვეველია.

5) გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს (XI—XII სს.) სახელმწიფოებრივი წყობილება წარმოადგენს „ფეოდალურ-დანაწევრებულ სახელმწიფოს“ (1961 წლის გამოცემა, გვ. 249). ეს განმარტება არ არის ზუსტი: დანაწევრებული ანუ დაქუცმაცებული ფეოდალური მონარქია რუსეთსა და ევროპის ძირითად ქვეყნებში წინ უსწრებს წოდებრივ-წარმომადგენლობით მონარქიას, რომელსაც თავის მხრივ სცვლის აბსოლუტიზმი. საქართველოს წოდებრივ-წარმომადგენლობითი და აბსოლუტური მონარქია არ გაუვლია, ხოლო დანაწევრებული ანუ დაქუცმაცებული მონარქია მას ჰქონდა XI საუკუნის წინ. XI—XII საუკუნეების ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილება ფორმის მხრივ წარმოადგენს ცენტრალიზებულ სახელმწიფოს, რომელიც მტკიცედ და მყარ საფუძველზე არ იყო გაერთიანებული.

6) XI—XVI საუკუნეების ქართული ფეოდალური სისხლის სამართლის დახასიათებისას სახელმძღვანელოში ლაპარაკია გიორგი V და ბექა-ალბუღას სამართლის წიგნებზე და ამის საფუძველზე აღნიშნულია, რომ ამ პერიოდის ქართულ ფეოდალურ სამართალში არ არის აღმოფხვრილი სისხლის აღება. ეს მართალია, მაგრამ გიორგი V სამართლის წიგნი მთიეთათვის არის დაწერილი. ამავე დროს, რამდენადაც გიორგი V სამართლის წიგნი და აგრეთვე ბექა-ალბუღას სამართლის წიგნი შეიცავს განვითარებული ქართული ფეოდალური სამართლის საწყისებს, იმდენად საჭირო იყო სახელმძღვანელოს ავტორი საკითხის ამ მხარესაც შეხებოდა. ცნობილია ის გარემოება, რომ გიორგი V სამართლის წიგნი დანაშაულის თანამონაწილეობის საკითხს განიხილავს სუბიექტური ბრალეულობის თვალსაზრისით და მეტად საყურადღებო და პროგრესულ შეხედულებას ავითარებს; კანონმდებლის აზრით თანამონაწილენი ერთნაირად პასუხისმგებელნი არიან, მხოლოდ მშობლის მკვლელობის თანამონაწილენი გამონაკლისს უნდა წარმოადგენდნენ, რადგანაც შვილისათვის მშობლის მკვლელობა კვალიფიციურია თავისი ხასიათით, მაშინ როდესაც ამ დანაშაულის თანამონაწილისათვის ის არ არის კვალიფიციური.

სახელმძღვანელოში არ არის აგრეთვე ყურადღება მიქცეული იმ გარემოებაზე, რომ ბექა-ალბუღასა და ვახტანგის სამართლის წიგნებში ბრალეულობის საკითხის დამუშავება მაღალ დონეზე დგას. ყველაფერი ეს დამატკიცებულია ქართული ფეოდალური სამართლის განვითარების მაღალი დონისა.



7) სახელმძღვანელოში საუბარია XVI საუკუნიდან საქართველოს დაქუცმაცებაზე: „XVI საუკუნეში საქართველო დანაწილდა ოთხ სახელმწიფოდ: ქართლის, კახეთის, იმერეთის და სამცხე-საათაბაგოს“ (გვ. 414, 419), ეს ორჯერ არის გამოვრებული და არსად არ არის ნახსენები სამეგრელოს, აფხაზეთისა და გურჯინის სამთავროები (სამცხე-საათაბაგოც სამთავრო იყო).

8) სახელმძღვანელოში სწერია: „საქართველოში იყო გლეხთა ისეთი კატეგორიები, რომლებიც განსაკუთრებით დამცირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ: სახელდობრ ე. წ. ხიზნები, მინდობილი, მიბარებული“ (გვ. 419). ეს სიმართლეს არ შეეფერება და საიდანაა ამოღებული ასეთი ცნობა გაურკვეველია. XVI—XVIII საუკუნეების გლეხებისაგან ყველაზე უარეს მდგომარეობაში იყო ე. წ. ნასყიდ გლეხთა კატეგორია, ნასყიდებზე უარეს მდგომარეობაში იყო ბატონის წინააღმდეგ დანაშაულისათვის ისევ ბატონზე გადაცემული ყმა, ე. წ. მოჯალაზე გლეხი დასავლეთ საქართველოში და სხვა.

9) სახასო გლეხი სახელმძღვანელოს მიხედვით არის მხოლოდ სამეფო გლეხი (გვ. 419), სინამდვილეში სახასო ეწოდებოდა როგორც სამეფოს, ისე საერთო-საფეოდალო გლეხებს.

10) სახელმძღვანელოში ქართლის სამეფოს ადმინისტრაციული დაყოფა (XVI—XVIII ს.) ბუნდოვნად არის წარმოდგენილი. სახელმძღვანელოს მიხედვით იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ქართლი საერისთავოებად არის დაყოფილი (გვ. 420). მართალია ის რომ ამ დროს ქართლში ორი საერისთავო იყო, მართალია ისიც, რომ ერეკლე II ებრძოდა საერისთავებს და გააუქმა კიდევ ისინი, მაგრამ ქართლი, პირველ ყოვლისა, ადმინისტრაციულად 4 სადროშოდ იყო დაყოფილი და რომ სადროშოს მეთაური — დიდებული, ქართლში ექვსი იყო და ერთ-ერთ სადროშოში შედიოდა ორი ერისთავი (ქსნისა და არაგვის). ოთხ სადროშოში შედიოდნენ სათავადოები.

11) სახელმძღვანელოს მიხედვით XVI—XVIII საუკუნეების საქართველოში მცირე-მნიშვნელოვან საქმეებს მდივანბეგი არჩევდა დამოუკიდებლად, ხოლო უფრო მნიშვნელოვან საქმეებს მდივანბეგი არჩევდა მეფის დას-

ტურით (გვ. 425). სინამდვილეში მცირე-მნიშვნელოვან საქმეებს არჩევდნენ ფეოდალები, ხოლო სამეფო მამულებში მეფის მოურავება; რაც შეეხება დიდმნიშვნელოვან საქმეებს, ასეთი საქმეები მეფესთან შედიოდა, ხოლო 1778 წლიდან, მას შემდეგ, რაც ერეკლე II-მ მდივანბეგთა საკრებულო დააარსა, ასეთი საქმეები ამ დაწესებულებაში შედიოდა.

12) სახელმძღვანელოში გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ვეზირების სახელების ქართული ტრანსკრიპციით რუსულად გადმოცემას მხოლოდ შემთხვევითი ხასიათი აქვს და ის არ არის დამოკიდებული ამ ვეზირის მნიშვნელობასა, ან ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრივი წყობილების თავისებურებაზე; ასე მაგალითად, ქართული ტრანსკრიპციით რუსულად გადმოცემულია მხოლოდ „მსახურთუხუცესი“ (გვ. 250) ვეზირთა შორის უკანასკნელი; ალბათ იმიტომ რომ ის შედარებით ადვილად გადმოსაქვია რუსულად.

13) არ შეიძლება იმის თქმა, რომ XVI—XVIII საუკუნეებში საქართველოში სამართლის „ძირითადი წყარო იყო ადათობრივი სამართალი“ (გვ. 415). ადათობრივი სამართალი ამ პერიოდშიც დიდ როლს თამაშობდა, როგორც სამართლის წყარო, განსაკუთრებით საქართველოს მთიან რაიონებში, მაგრამ ამ პერიოდში სამართლის ძირითადი წყარო იყო დაწერილი კანონები: გიორგი V სამართლის წიგნი, ბექა-აბბულას, კათალიკოსის სამართალი და ვახტანგ VI სამართლის წიგნების კრებულო.

14) ანისი საქართველომ ორჯერ გამოსტაცა მუსულმანებს, დავით აღმაშენებლისა (1124.) და გიორგი III დროს (1174 წ.). სახელმძღვანელოს იმ ნაწილში, სადაც გადმოცემულია სომხეთის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, ლაპარაკია გიორგი III დროს სომხებისა და ქართველების ერთობლივი ბრძოლის შედეგად ანისის აღების შესახებ (გვ. 232). ხოლო სახელმძღვანელოს იმ ნაწილში, სადაც გადმოცემულია საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, საუბარია დავით აღმაშენებლის მიერ ანისის აღების შესახებ (გვ. 245). არასპეციალისტისათვის ეს ადგილი გაურკვეველია და წინააღმდეგობის შემცველი. სახელმძღვანელოში დასმულ საკითხებს



უფრო მეტი გარკვეულობა სჭირდება. აქ ბუნ-  
დოვანი ადგილი არ უნდა იყოს.

15) განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ წინა  
გამოცემებთან შედარებით, სახელმძღვანელოს  
სარეცენზიო ნაწილი, ენობრივად ძლიერ და-  
უღვევრად არის შესრულებული:

ა) პიტუნტი (გვ. 46) პიტუნთის მაგიერ,  
ბ) ურბნიში (გვ. 47) ურბნისის ნაცვლად,  
გ) ოდარხე (გვ. 47), ოძრხეს ნაცვლად, დ) სახ-  
ლია — წული (გვ. 49) სახლის წულის, ნაცვ-  
ლად, ვ) დმონიმ (გვ. 244) დმანისის ნაცვ-  
ლად, ე) სპასიეტ (გვ. 49)—სპასპეტის ნაცვლად,  
ზ) ახალციკ (გვ. 244) — ახალციხის ნაცვლად,  
თ) გლიხაკი (გვ. 249) — გლახაკის ნაცვლად,  
„მოდჯიბე“ (გვ. 419) — მოჯალაბის ნაცვლად  
და სხვა.

ზოგჯერ ვერც კი მიხვდებით, თუ რისი გად-

მოცემა სურთ. მაგალითად, პეხაკი (გვ. 49)—  
სახელმძღვანელოს განმარტებით ბატრას,  
დღიურ მღშას ნიშნავს (გვ. 131).

საჭიროა ახალი გამოცემის დროს სახელმ-  
ძღვანელოში სათანადო შესწორებების შეტანა.

საერთოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ს. ვ.  
იუშკოვის სახელმძღვანელო დადებით შეფასე-  
ბას იმსახურებს და მან საპატიო წვლილი შეი-  
ტანა იურიდიული კადრების მომზადების საქ-  
მეში. მომავალშიც, სათანადო შესწორების შემ-  
დეგ, ს. ვ. იუშკოვის სახელმძღვანელო დიდ  
დახმარებას გაუწევს ჩვენი უმაღლესი სასწავ-  
ლებლები მასწავლებლებსა და სტუდენტებს  
და საერთოდ საბჭოთა კავშირის სახელმწიფოსა  
და სამართლის ისტორიით დაინტერესებულ  
მკითხველს.

პროფ. ი. სურგულაძე.

## აკტორთა საყურადღებოდ

1. მასალები რედაქციაში წარმოდგენილი უნდა იქნეს მანქანაზე დაბეჭდილი სახით, ორ ინტერვალზე, ხელმოწერილი ავტორის მიერ. სტატიას, წერილს, კორესპონდენციას აუცილებელია დაერთოს შემდეგი ცნობები: ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი, სამეცნიერო ხარისხი ან წოდება, სამუშაოს ადგილი, მისამართი, ტელეფონის ნომერი. სასურველია მასალები წარმოდგენილი იქნეს ორ ეგზემპლარად და დამუშავებული ლიტერატურულად.

2. თეორიული წერილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს, სხვა მასალისა 8 გვერდს. თეორიულ წერილებს აუცილებელია ჰქონდეს სათანადო სამეცნიერო დაწესებულების ვიზა მითითებით—წერილი შესრულებულია ამ დაწესებულების გეგმით თუ გეგმის გარეშე. რედაქცია დაინტერესებულია შიილს მოკლე ცნობები ან შენიშვნები სასა-

მართლოს და პროკურატურის ორგანოების მუშაობის პრაქტიკულ-კონკრეტულ საქმეებზე.

3. ყველა ციტატა, რომელიც გამოყენებულია მასალაში, აუცილებელია გულდასმით შედარდეს პირველწყაროებს და ვიზირებულ იქნეს სტატიის ავტორის მიერ, ციტატები მოყვანილი უნდა იქნას უკანასკნელი გამოცემიდან, ამასთან შრომის დასახელებასთან ერთად, უნდა მიეთითოს გამოცემის წელსა და გვერდზე.

4. სიტყვებისა და დაწესებულებების სახელწოდების შემოკლება არ დაიშვება.

5. გამოუქვეყნებელი მასალა, როგორც წესი, ავტორებს არ უბრუნდებათ.

6. სტატიები, რომლებიც უკვე გამოქვეყნებულია ან გადაგზავნილია სხვა პერიოდულ გამოცემაში, უურნალში არ გამოქვეყნდება.

630750



ფასი 50 ჯსს.

ИНДЕКС 76185

# СОВЕТСКОЕ ПРАВО № 1

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР  
и Юридической комиссии при Совете Министров  
Грузинской ССР